რეი ბრედბერი

# ბაბუაწვერას ღვინო



# რეი ბრედბერი

# ბაბუაწვერას ღვინო

ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

* * *

მშვიდად თენდებოდა. ქალაქს ჯერ კიდევ წყვდიადის საბანი ეხურა და ძილში ნებივრობდა. ჰაერი ზაფხულით გაჟღენთილიყო, ეს ნიავსაც ეტყობოდა. სამყარო ღრმად, აუღელვებლად სუნთქავდა. საკმარისი იყო, საწოლიდან წამომდგარიყავი და ფანჯრიდან გადაგეხედა, რომ იგრძნობდი: თავისუფლება და სიცოცხლე სწორედ ახლა იწყებოდა, ვინაიდან ზაფხულის პირველი დღე დადგა.

თორმეტი წლის დაგლას სპოლდინგმა გაღვიძებისთანავე შეისუნთქა ზაფხულის დღის გარიჟრაჟი. მესამე სართულზე იწვა, თავის თაღიან საძინებელში, და ივნისის ნიავს, არაჩვეულებრივ სიმაღლესა და ძალას გრძნობდა: ის ხომ ქალაქის ყველაზე მაღალ კოშკში იმყოფებოდა. ღამღამობით, როცა ხეები ერთმანეთს ტალღებად ეხლებოდნენ, ბიჭის მზერა შუქურას სხივივით სწვდებოდა მოშრიალე თელების, მუხებისა და ნეკერჩხლების ოკეანეს. ახლა კი...

- ბიჭოო... - ჩურჩულით წარმოთქვა დაგლასმა.

მთელი ზაფხული მის ხელში იყო, თითოეული დღე თავის ნებაზე შეეძლო გამოეყენებინა და შემდეგ კალენდარში გადაეხაზა. თავი ტურისტულ გზამკვლევში გამოსახულ ღვთაება შივად იგრძნო: მისი ხელები რას აღარ სწვდებოდა - ვაშლებს, ატმებსა და ღამეულ ქლიავს წყვეტდა. უკვე გრძნობდა, როგორ შეიმოსებოდა ხეებით, ბუჩქებითა და მდინარეებით! რა სიამოვნებით გაიყინებოდა ნაყინის მაღაზიის დათრთვილულ მაცივარში! რა ნეტარებით შეიბრაწებოდა ბებოს სამზარეულოში ათი ათას ვარიასთან ერთად!

ახლა კი ჩვეული მოვალეობის შესრულება უწევდა. კვირაში ერთხელ ნება ჰქონდა დართული, მძინარე დედ-მამა და უმცროსი ძმა ტომი მათ პატარა სახლში მიეტოვებინა და პაპას მანსარდის ჩაბნელებული ხვეული კიბე აერბინა, რათა იქ, თავის მისნურ კოშკში, ჭექა-ქუხილებსა და ხილვებთან ერთად გაეტარებინა ღამე, დილით კი რძის ბოთლების კრისტალისებრი წკარუნისათვის დაესწრო ადგომა და ჩვეული ჯადოქრობა აღესრულებინა.

რიჟრაჟის ბინდში ღია ფანჯარასთან გაჩერდა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა.

ქუჩის ლამპიონები მუქ ტორტში ჩარჭობილი სანთლებივით ერთბაშად ჩაქრა. ბიჭმა კვლავაც ამოუშვა მკერდიდან ჰაერი და თანდათან ყველა ვარსკვლავი გაქრა ციდან.

დაგლასს გაეღიმა. თითი გაიშვირა.

აი, აქ და, აი, აქ, ახლა კი იქ და, აიი, იქ...

ჩაბნელებულ მიწაზე ერთიმეორის მიყოლებით ყვითელი კვადრტები გამოიკვეთა, როცა სახლებმა განათებული თვალები დაჭყიტეს. ფანჯრების შუქები ნათელ წერტილებად მოეფინა დაბინდულ მიდამოს.

- აბა, ყველამ დაამთქნაროს. ყველა წამოდგეს.

დიდი სახლი თითქოს ოდნავ შეირხა.

- პაპა, წყლიანი ჭიქიდან ამოიღე შენი კბილების პროთეზი! - ამის შემდეგ იმდენ ხანს შეიცადა, რამდენსაც ზრდილობა მოითხოვდა, - აბა, ბებოებო, ბლინები დააცხვეთ!

შებრაწული ცომის თბილი სურნელი მოეფინა დერეფნებსა და ოთახებს, ძილი გაუფრთხო სახლის მცხოვრებთ: ბიძებს, დეიდებს, სტუმრად ჩამოსულ ბიძაშვილ-მამიდაშვილებს.

- მოხუცების ქუჩავ, გაიღვიძე! მის ელენ ლუმის, პოლკოვნიკო ფრილაი, მისის ბენტლი! დაახველეთ, ადექით, თქვენ-თქვენი აბები მიიღეთ, ამოძრავდით! მისტერ ჯონას, შეკაზმეთ ცხენი, გამოაგორეთ ნაგვის ორთვალა და ქუჩებს ჩამოუარეთ!

ქალაქს რომ შუაზე კვეთდა, იმ ხევის გადაღმა მდგარმა პირქუშმა მდიდრულმა სახლებმაც გაახილეს ურჩხულის საზარელი თვალები. მალე დილის ქუჩებში ორი მოხუცი ქალი გამოჩნდა, თავიანთ ელექტრულ „მწვანე მანქანას“ მოასრიალებდნენ და ყველა შემხვედრ ძაღლს უქნევდნენ ხელს.

- მისტერ ტრიდენ, ფარეხისკენ, ცოცხლად!

ცოტა ხნის შემდეგ ქალაქის ტრამვაი აგურით მოკირწყლულ ქუჩებში გამოცურდა, თან ზევიდან ცისფერ ნაპერწკლებს ყრიდა.

- ჯონ ჰაფ, ჩარლი ვუდმენ, მზად ხართ? - ჩურჩულით მიმართა დაგლასმა ბავშვების ქუჩას, - მზად ხართ, მოიმარჯვოთ გაზონების ნამით ღრუბელივით გაჟღენთილი ბეისბოლის ბურთები? მზად ხართ, იქანაოთ ხეებზე ჩამოკიდებულ ბაგირებზე?

- დედა, მამა, ტომ, გაიღვიძეთ!

მოშორებით მაღვიძარები აწკრიალდა. ბოხი ხმით ჩამორეკა მერიის შენობის საათმა. ჩიტები ჟრიამულით გაიფანტნენ ხეებიდან და ბიჭის ნატყორცნ ბადესავით მოეფინნენ ზეცას. დაგლასმა დირიჟორის ჟესტით აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა ხელი.

მზე ამოდიოდა.

ბიჭმა მკლავები მკერდზე გადააჯვარედინა და გრძნეული ღიმილით გაიღიმა. აი, ასე, ჩემს სიტყვებზე ყველა წამოხტა და აფუსფუსდაო, გაიფიქრა. მშვენიერი სეზონი იქნება.

თითების ერთი გატკაცუნებით უკანასკნელი ნიშანი მისცა ქალაქს.
ხმაურით გაიღო კარი, ხალხი გარეთ გამოვიდა.
1928 წლის ზაფხული დაიწყო.

* * *

იმ დილით გაზონზე რომ გადაირბინა, დაგლას სპოლდინგმა სახით ობობას ქსელი გაარღვია. ჰაერში გაჭიმული უხილავი ბაწარი საფეთქელზე ოდნავ შეეხო და უხმოდ გაწყდა.

ამ უფაქიზესმა, მოუხელთებელმა შემთხვევამ ბიჭს ანიშნა: ეს დღე განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. ის კიდევ იმიტომაც იქნებოდა განსაკუთრებული, რომ, როგორც მამამ აუხსნა დაგლასს და მის ათი წლის ძმას, ტომს, მანქანით მგზავრობისას, არის დღეები, მხოლოდ სურნელისაგან რომ შედგება. ასეთ დღეებში სამყარო შემოდის შენში ერთი ნესტოდან, მეორიდან კი გადის და ყნოსვის გარდა სხვა შეგრძნებები თითქოს არც კი არსებობს. არის კიდევ ისეთი დღეები, განაგრძობდა მამა, როცა შენს ყურსყოველი გაფაჩუნება და ყოველი ჩქამი სწვდება, რასაც კი მსოფლიო გამოსცემს. ზოგი დღე გემოს დასაჭაშნიკებლადაა ხელსაყრელი, ზოგი კიდევ ხელით შეხებისათვის. ზოგიც ყველა შეგრძნებას ერთბაშად გიმძაფრებს. აი, დღეს, მაგალითად, თავი გააქნია მამამ, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს მთებს იქით ერთ ღამეში ხეხილის ბაღი ამოსულა და ახლა მთელი ხილული მიდამო მისი თბილი ქორფა სუნთქვით არის ავსებული. ჰაერში წვიმის სუნი ტრიალებს, თუმცა, ცაზე ერთი ღრუბელიც კი არ ჩანს. ყოველ წამს შესაძლებელია, ჭალაში ვიღაც უცნობმა გადაიხარხაროს, მაგრამ ის ჯერჯერობით დუმს...

დაგლასი გაჰყურებდა ფანჯარაში მქროლ არემარეს. ის ვერც ბაღის სურნელს გრძნობდა, ვერც წვიმის მოახლოებას, რადგან იცოდა: ვაშლის ხეებისა და ღრუბლების გარეშე არც ერთი იყო შესაძლებელი და არც მეორე. და რაც შეეხება ტყეში მოხარხარე უცნობს... რა ვიცი...

და მაინც უეჭველია - დაგლასს გააჟრჟოლა კიდეც, - ეს დღე, რაღაც დაუდგენელი მიზეზის გამო, ყოვლად გამორჩეული იქნება.

მანქანა მდუმარე ჭალის შუაგულში გაჩერდა.

- ბიჭებო, აბა, წესიერად.

ძმები ერთმანეთს იდაყვებს ჰკრავდნენ.

- ჰო, მამა.

მანქანიდან გადმოვიდნენ, ცისფერი თუნუქის ვედროები მოიმარჯვეს და ტალახიანი შარაგზიდან ნაწვიმარი მიწის სუნით გაჟღენთილ ტყეში შეაბიჯეს.

- ფუტკრებს დააკვირდით, - უთხრა მამამ, - ფუტკრები ისევე არ სცილდებიან ველურ ყურძენს, როგორც ბიჭები სამზარეულოს. დაგლას!

დაგლასი შეკრთა და მამას ახედა.

- სადღაც მილიონი კილომეტრის იქით ხარ, - უთხრა მამამ, - გამოფხიზლდი, არ ჩამოგვრჩე.

- ჰო, მამა.

ჭალაში მიაბიჯებდნენ, მამა ძალიან მაღალი იყო, დაგლასი მის ჩრდილში აბიჯებდა, ტომს კი, ყველაზე პატარას, ძმის ჩრდილი ფარავდა. პატარა აღმართი აიარეს და ბორცვიდან გადმოიხედეს.

- აგერ, იქ, ხედავთ? - ანიშნა მამამ, - იქ, ქვევით ცხოვრობენ ზაფხულის თბილი, მძლავრი ქარები, მწვანე სიღრმეში ვეშაპების აჩრდილებივით უხილავად დასრიალებენ.

დაგლასმა სწრაფად გაიხედა, ვერაფერი დაინახა და იგრძნო, რომ მამა მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებდა. მასაც, პაპასავით, გამოცანებზე მეტად არაფერი უყვარდა. და მაინც... მაინც...

დაგლასი გაყუჩდა და მიაყურადა.

ჰო, რაღაც უნდა მოხდეს, გაიფიქრა, ნამდვილად ვიცი!

- აქ გვიმრაა, - მამამ ვედროს ჟღარუნით ჩაუარა, - გრძნობთ ამას? - მიწას დაჰკრა ფეხი, - აქ მილიონი წლის მანძილზე ჩამოცვენილი ნეშომპალაა. წარმოიდგინეთ, რამდენმა შემოდგომამ გაიარა, ვიდრე ეს პოხიერი ნიადაგი მომზადდებოდა.

- აუ, ინდიელივით დავდივარ, - თქვა ტომმა, - რბილად და უხმოდ.

დაგლასმაც მოსინჯა, მაგრამ ვერ იგრძნო მიწის სირბილე. გაფაციცებული ყურს უგდებდა არემარეს. ალყაში ვართ! გაიფიქრა. აი, ახლა უნდა მოხდეს! რა? ბიჭი გაიტრუნა. გამოდი, სადაცა ხარ, ვინცა ხარ! დაიყვირა უხმოდ.

ტომი და მამა ნება-ნება განაგრძობდნენ გზას მდუმარე მიწაზე.

- ამაზე თხელი მაქმანი არ არსებობს, - მშვიდად თქვა მამამ და ბავშვებს მაღლა, დაფოთლილ ტოტებზე მიანიშნა, რათა კარგად დაჰკვირვებოდნენ, თუ როგორ ჩაწნულიყვნენ ფოთლები ცის ქსოვილში, - იქნებ ცაა ფოთლებში ჩაწნული? - ეს თავადაც ვერ გაერკვია, - ასეა თუ ისე, - გაეღიმა მამას, - სულერთია.

მათ წინაშე საუცხოო ნაქარგობა იყო, ცისფერი და მწვანე, და თუ კარგად დააკვირდებოდნენ, შეამჩნევდნენ, რომ ტყე ახლაც განაგრძობდა მუშაობას

თავის მოზუზუნე დაზგაზე. მამა მოხერხებულად იდგა. სიტყვებს მსუბუქად ამოთქვამდა, სიამოვნებდა ასე ლაპარაკი. უფრო ხშირად თავადვე ეცინებოდა საკუთარ ნათქვამზე და ამით საქმეს აიოლებდა. მერე თქვა, მიყვარს სიჩუმისათვის ყურის გდებაო, და განაგრძო, იმიტომ, რომ ასეთ სიჩუმეში, როგორიც ახლაა, ისმის, ყვავილების მტვერი როგორ დაფარფატებს ფუტკრებისაგან დასიცხულ ჰაერშიო. ჰო, ღმერთმანი, ჰაერი, მართლაც, ფუტკრებისგანაა დასიცხული! უსმინეთ! იმ ხეებს იქით ჩიტების ხმამაღალი ჟღურტული ისმისო!

აი, ახლა, გაიფიქრა დაგლასმა, საცაა მოვა! მოქრის! ვერ ვხედავ! მოქრის! ლამის შემეჯახოს!

- ყურძენი! - წამოიძახა მამამ, - ნახეთ, როგორ გაგვიმართლა!

არა! აღმოხდა დაგლასს.

ტომი და მამა დაიხარნენ და ხელები ბუჩქებში ააფათურეს. ტოტების ტკაცუნმა დაარღვია ჯადოსნური წამი. ის დიდებული, ფრთაშესხმული, მოხეტიალე, გოროზი სულთამპყრობელი უკვალოდ გამქრალიყო.

დაგლასი მუხლებზე დაეცა, სახტად დარჩენილი და გულგამოცარიელებული. დაინახა, როგორ ჩაეფლო მისი თითები მწვანე წყვდიადში, ხოლო ისევ რომ ამოსწია, ისეთი ფერის ლაქებით ჰქონდა მოთხვრილი, თითქოს ტყის ღია ჭრილობაში ამოევლო ხელის მტევნები.

- ბიჭებო, ხემსის დროა!

ვედროები სანახევროდ გაევსოთ ველური ყურძნითა და ტყის მარწყვით და ასე, ამ ფუტკრების გარემოცვაში, რომელთა ზუზუნი მამამ სამყაროს მოგუდულ ღიღინს შეადარა, მწვანედ დახავსებულ მორზე ჩამომსხდარნი, სენდვიჩებს შეექცეოდნენ და ცდილობდნენ, ტყისთვის ესმინათ. დაგლასი გრძნობდა, მამას მშვიდი, გაოცებული მზერა მისკენ მიეპყრო, რაღაცის თქმა უნდოდა, რამაც უეცრად გაუელვა თავში, მაგრამ ამის მაგიერ სენდვიჩი ჩაკბიჩა და ფიქრს მისცა თავი.

- როცა სენდვიჩს ღია ცის ქვეშ ჭამ, ეს უკვე აღარ არის უბრალო სენდვიჩი, სულ სხვა გემო აქვს. დაჰკვირებიხართ? მეტი სიმძაფრე აქვს. პიტნისა და ფიჭვის ნაყენის გემო დაჰკრავს. სულ რომ არ გშიოდეს, მადა მაინც მოგივა.

დაგლასმა პურის ნაჭერი და შებოლილი ლორი ჩაკბიჩა. არა... არა... ჩვეულებრივი სენდვიჩი იყო.

ტომმა ღეჭვა-ღეჭვით დაუქნია თავი.

- ჰო, მესმის, რასაც გულისხმობ, მამა!

ცოტაც და, რაღაც მოხდება, გაიფიქრა დაგლასმა. არ ვიცი, რა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ვეება იყო, ღმერთო ჩემო, უზარმაზარი! რაღაცამ დააფრთხო.

ნეტავ სად არის ახლა? ამ ბუჩქებს იქით! არა, ჩემს ზურგს უკან! არა, აქ... თითქმის, აი, აქ... სხვებისათვის შეუმჩნევლად მოისრისა მუცელი.

თუ დაველოდები, დაბრუნდება. საშიში არ არის; რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ არაფერს დამიშავებს. მაშ, რა არის? რა? რა?

- იცი, რამდენჯერ ვითამაშეთ ბეისბოლი წელს, და შარშან, და იმის წინ? - უცებ ისე, სრულიად მოულოდნელად, ჰკითხა ტომმა.

დაგლასი თვალს ადევნებდა ტომის მოძრავ ტუჩებს.

- სულ ჩაწერილი მაქვს! ათას ხუთას სამოცდარვაჯერ! რამდენჯერ გამოვიხეხე კბილები ათი წლის მანძილზე? ექვსი ათასჯერ! დავიბანე ხელები თხუთმეტი ათასჯერ. მეძინა, სადღაც, ოთხი ათასჯერ, ცოტ-ცოტა ხნით თვალის მოტყუებას თუ არ ჩავთვლით. შევჭამე: ექვსასი ცალი ატამი, რვაასი ვაშლი. მსხალი ორასი ცალი. მსხალზე დიდად არ ვგიჟდები. რაც გინდა, დამისახელე. ყველაფრის სტატისტიკა მაქვს ჩამოწერილი! ზოგი რამე, რაც ათი წლის მანძილზე მაქვს გაკეთებული, მილიარდებამდე ადის.

აი, გაიფიქრა დაგლასმა, ისევ მიახლოვდება. რატომ? ტომი რომ ლაპარაკობს, იმიტომ? რატომ მაინცდამაინც ტომი? ტომი ლაქლაქებს, პირი საწებლით აქვს მოთხუპნილი, მამა, ჯიქივით გაფაციცებული, მორზე წამოწოლილა, ტომის პირიდან კი გაზიანი წყლის ბუშტებივით იფრქვევა სიტყვები.

- სულ ოთხასი წიგნი მაქვს წაკითხული. ახლა რა და რა ფილმები მაქვს ნანახი: ბაქ ჯონსის[1] მონაწილეობით - ორმოცი, ჯექ ჰოქსის[2] - ოცდაათი, ტომ მიქსის[3] - ორმოცდახუთი, ჰუთ გიბსონის[4] - ოცდაცხრამეტი, ვნახე კატა ფელიქსის[5] მულტფილმის ას ოთხმოცდათორმეტი სერია, დაგლას ფერბენკსის[6] ათი კინო, რვაჯერ ვნახე „ოპერის მოჩვენება“ ლონ ჩეინის[7] მონაწილეობით, ოთხი კინო - მილტონ სილსის[8] და ერთი რაღაც სიყვარულზე, ადოლფ მენჯუ თამაშობდა, ოღონდ მთელი ფილმის დროს კინოთეატრის

---

*1 ბაქ ჯონსი (1891-1942) - ამერიკელი კინოვარსკვლავი, ცნობილი პოპულარულ ვე-სტერნებში მონაწილეობით.*

*2 ჯექ ჰოქსი (1885-1965) - ამერიკელი კინომსახიობი, როდეოსა და ვესტერნების ვარ-სკვლავი.*

*3 ტომ მიქსი (ტომას ედვინ მიქსი; 1880-1940) - ამერიკული მუნჯი კინოს ეპოქის ვე-სტერნების ვარსკვლავი.*

*4 ჰუთ გიბსონი (1892-1962) - ამერიკეი როდეოს ჩემპიონი და პირველი კოვბოური ფი-ლმების მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი.*

*5 კატა ფელიქსი - მუნჯი კინოს ეპოქის მულტფილმების გმირი.*

*6 დაგლას ფერბენკსი (1883-1939) - მუნჯი კინოს ეპოქის ერთ-ერთი ბრწყინვალე ამე-რიკელი მსახიობი, სცენარისტი, რეჟისორი და პროდიუსერი.*

*7 ლონ ჩეინი (ლეონიდას ფრენკ ჩეინი; 1883-1930) - მუნჯი კინოს ეპოქის შესანიშნავი ემრიკელი მსახიობი, სცენარისტი, რეჟისორი და პროდიუსერი.*

*8 მილტონ სილსი (1882-1930) – XX საუკუნის დამდეგის თეატრისა და კინოს ამერი-კელი მსახიობი.*

ტუალეტში ველოდე, როდის მორჩებოდა ეგ დებილობა, იმიტომ, რომ მერე უნდა დაწყებულიყო „კატა და კანარის ჩიტი“ თუ, არა, „ღამურა“, ის, რომლის დროსაც ყველა ერთმანეთს ებღაუჭება და მთელი ორ საათი შეუჩერებლად კივიან. სეანსების განმავლობაში, ჩემი გამოთვლებით, ასე, ოთხმოცამდე საწუწნი კანფეტი, სამასი შოკოლადის ფილა და შვიდასი ნაყინი „ლოლო“ მაინც მექნება შეჭმული...

ასე მშვიდად და რიტმულად განაგრძობდა ჩამოთვლას კიდევ ხუთ წუთს, ვიდრე მამა არ შეეკითხა:

- რამდენი კენკრა გაქვს მოკრეფილი სიცოცხლეში, ტომ?

- ზუსტად ორას ორმოცდათექვსმეტი ცალი! - წამსვე უპასუხა ტომმა.

მამას გაეცინა და ხემსიც დასრულდა. სამივემ ისევ ბუჩქნარისაკენ გასწია, ისევ ყურძენსა და მარწყვს დაუწყეს ძებნა. ხან ერთი ჩაიხრებოდა, ხან მეორე, ხან მესამე. მათი ხელები გამალებით მოძრაობდა, ვედროები თანდათან უმძიმდებოდათ, დაგლასი კი, სუნთქვაშეკრული, ფიქრობდა: ჰო, ისევ მიახლოვდება! აი, უკვე ჩემს ზურგს უკანაა, საცაა კეფით მის სუნთქვას ვიგრძნობ! არ მიიხედო! იმუშავე, განაგრძე კრეფა, გაავსე ვედრო! თუ მიიხედავ, ისევ დააფრთხობ! ამჯერად მაინც უნდა მოიხელთო! მაგრამ როგორ შემოაბრუნებ ისე, რომ აქ, შენ წინაშე აღმოჩნდეს, რომ თვალი გაუსწორო? როგორ?! როგორ?!

- ჰო, იცი, ფიფქი მაქვს ასანთის კოლოფში, - წარმოთქვა უცებ ტომმა, თან ყურძნის წვენის ხელთათმნით შემოსილ თავის ხელს აკვირდებოდა ღიმილით.

დაგლასს უნდოდა, დაეყვირა: მოკეტე, რა! მაგრამ არა, მისი ხმა ექოს გამოიწვევდა და იმას დააფრთხობდა!

თანაც, მოიცადე... რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ტომი, მით უფრო ახლოს მოდიოდა ის რაღაც ვეება, მას ტომისა აშკარად არ ეშინოდა, ტომი მას თავისი სუნთქვით იზიდავდა, ტომი თვითონაც მისი ნაწილი იყო!

- თებერვალში, - ამბობდა ტომი, - ქარბუქში ასანთის კოლოფი მაღლა ავწიე და ერთი ფიფქი შიგ ჩავარდა, მერე დავახურე, შინ შევვარდი და საყინულეში შევაგდე.

ახლოსაა, სულ ახლოს! დაგლასი ტომის მოუსვენარ ტუჩებს მიშტერებოდა. ხტუნვის დაუოკებელი ჟინი მოეძალა, იმიტომ, რომ ჭალის მიღმა უზარმაზარი ტალღის აზვირთება იგრძნო. ის სულ ერთ წამში დაბლა დაენარცხებოდა და მათაც თან ჩაიტანდა...

- მართლა, მართლა, - თავისთვის მსჯელობდა ტომი, თან ყურძნის კრეფას განაგრძობდა, - მთელ ილინოისში ერთადერთი ბიჭი ვარ, ვისაც

ზაფხულში თოვლის ფიფქი აქვს. ის ახლა ბრილიანტზე უფრო ძვირად ფასობს, ნაღდად. ხვალ უნდა გავხსნა. დაგ, შენც შეგახედებ, თუ გინდა.

ნებისმიერ სხვა დროს დაგლასი ჩაიფრუტუნებდა, ხელს აუქნევდა, გაუცამტვერებდა მთელ ოცნებებს, მაგრამ ახლა, როცა ის ვეება მისკენ მოიჩქაროდა და აგერ უკვე მის თავზე ეშვებოდა კრიალა ჰაერში, ისღა დარჩენოდა, თვალდახუჭულს უხმოდ დაექნია თავი.

ასეთი უჩვეულო თანხმობით გაოცებულმა ტომმა კენკრის კრეფაც კი შეწყვიტა და ძმას მიაშტერდა. ბალახში ჩახრილი დაგლასი საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენდა. ტომი ახტა, შეჰყვირა, ძმას ზედ დაახტა. ბიჭები ერთმანეთს მიეხალნენ, გადაყირავდნენ და ბალახში გაგორდნენ.

არა! დაგლასი შინაგანად შეიკუმშა. არა! და უცბად... ჰო, ყველაფერი რიგზეა! ვარდნას, თავბრუდამხვევ კოტრიალსა და აურზაურს არ შეუჩერებია აზვირთებული ზღვა, ის ახლა ნიაღვრად ჩამოექცათ თავზე, ორივენი წალეკა და ბალახის სანაპიროზე, ტყის სიღრმეში გამორიყა. დაგლასს ტუჩებში მუშტი მოხვდა. პირში სისხლის თბილი, მომწკლარტო გემო იგრძნო, ტომს მაგრად ჩაეჭიდა, მკლავებში მოიქცია და ასე გაშეშდნენ ძირს გართხმულები. მათ გულებს ბაგაბუგი გაუდიოდა, ნესტოებიდან სისინით უშვებდნენ ჰაერს. როგორც იქნა, დაგლასმა ძალიან ნელა გაახილა ცალი თვალი: ეშინოდა, ვაითუ, აღარაფერი დამხვდესო.

მაგრამ ყველაფერი, სულ ყველაფერი თავ-თავის ადგილას იყო. და სამყაროც, ახალგახელილი გიგანტური თვალივით, მას უყურებდა.

ახლა კი მიხვდა, რა იყო ეს, ასე მძლავრად რომ მიეხალა და სამუდამოდ რომ შეერწყა მის არსებას.

მე ცოცხალი ვარ, გაიფიქრა ბიჭმა.

ათრთოლებული, სისხლით მოსვრილი თითები რაღაც უცნაური დროშის ნაგლეჯებს მიამსგავსა, რომელიც ის-ის იყო, ეპოვა და ახლა ცდილობდა, გამოეცნო, თუ რა ქვეყანას ეკუთვნოდა ეს დროშა და რა იდუმალი ვალი ჰქონდა ამ ქვეყნის წინაშე. ტომი კვლავაც მკლავებში ჰყავდა მომწყვდეული, ოღონდ მისი არსებობა სულ დაავიწყდა. თავისუფალი ხელი სისხლიან თითებზე მოისვა. შემდეგ ტომი მოიცილა. თავად ისევ გულაღმა იწვა, მკლავი ცისკენ ჰქონდა აშვერილი. მისი მთელი არსება ახლა თავში იყო კონცენტრირებული, ის უცნაურ ციხე-გალავნად იქცა, რომლის ასაწევ გისოსს მიღმა თვალები გუშაგებად იდგნენ და გრძელი ხიდის - მკლავის - გაყოლებაზე, შორს, მზეზე მოცახცახე მეწამულ ალამს გაჰყურებდნენ.

- რა მოგივიდა, დაგ? - ჰკითხა ტომმა.

ძმის ხმა საიდანღაც შორიდან, წყლის სიღრმიდან, მწვანე, დახავსებული ჭის ფსკერიდან მოესმა.

დაგლასის ბეჭებქვეშ ბალახი აჩურჩულდა. მკლავი დაუშვა და უცებ იგრძნო, როგორ შეიმოსა ის ღინღლის საფრით, ხოლო შორს, ქვევით, ფეხსაცმელებში, ფეხის თითები როგორ გაეხახუნა ერთიმეორეს. მის ნიჟარისებრ ჩახვეულ ყურებში ქარმა ამოიოხრა. სამყარომ თვალების მომრგვალებული მინის გასწვრივ ჩაუქროლა ჯადოსნურ სფეროში მოციმციმე გამოსახულებებივით. ყვავილები თურმე მზეები ყოფილან, თუ ზეცის მოელვარე ნაგლეჯები, ვიღაცის ხელს რომ უხვად მიმოეფანტა ტყის მდელოზე. ცა ფართო, გადმოპირქვავებულ ტბად იქცა, მის ზედაპირზე ჩიტები მარჯვედ ნასროლი ქვებივით მიხტოდნენ. ბიჭმა კბილებს შორის სუნთქვა გამოცრა: ის ყინულად შევიდა და ცეცხლად გამოვიდა. ჰაერი მწერების ელექტრული ვიბრაციით მონუსხულიყო. დაგლასის თავზე თმის ათი ათასი დამოუკიდებელი ღერი წამში დუიმის ერთი მემილიონედით იზრდებოდა. ყურებში ორი ტყუპი გულის ბაგაბუგი გაიგონა. მესამე ყელში უფართხალებდა, კიდევ ორი გული პულსირებდა მის მაჯებში, ხოლო ნამდვილი გული მკერდში რეკავდა დიდრონი ზარივით. სხეულის ზედაპირზე მილიონი ფორა გაეხსნა სამყაროს შესახვედრად.

მე მართლა ცოცხალი ვარ! გაიფიქრა ბიჭმა. აქამდე ეს არ ვიცოდი, ან იქნებ არ მახსოვდა!

მან ეს სიტყვები ძალიან ხმამაღლა, მაგრამ უხმოდ დაიყვირა კიდევ და კიდევ! წარმოგიდგენია?! წარმოგიდგენია?! თორმეტი წლის ვარ და მხოლოდ ახლა მივხვდი ამას! მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე ეს უიშვიათესი ქრონომეტრი, ეს ოქროს საათი უდავო გარანტიით. აქ, ხის ქვეშ, დამრჩენია ოდესღაც და აი, ამწუთას, ტომთან ჭიდაობისას, კვლავ ვიპოვე.

- დაგ, კარგად ხარ?

დაგლასმა დაიღრიალა, ტომს ჩაებღაუჭა და მასთან ერთად გაგორდა მიწაზე.

- დაგ, გაგიჟდი?

- გავგიჟდი!

ბიჭები დაღმართზე ჩაკოტრიალდნენ. ღია პირებში და ფართოდ გახელილ თვალებში მზე ლიმონისფერ ნამსხვრევებად ეფანტებოდათ. ნაპირზე გამოყრილი კალმახებივით აქოშინებულებმა იმდენი იცინეს, ვიდრე ცრემლები არ წასკდათ.

- დაგ, მართლა ხომ არ გაგიჟდი?

- არა, არა, არა, არა, არა!

დაგლასის დახუჭული თვალების წინაშე, შავ ფონზე, რბილად ჩაიარეს ლაქებიანმა ლეოპარდებმა.

- ტომ! - ხმას ცოტა დაუწია, - ტომ... მსოფლიოში ყველამ იცის... რომ ცოცხალია?

- ჰო. ჰო, აბა, რა!

ლეოპარდებმა უხმოდ გასწიეს უფრო ბნელი მხარეებისკენ, სადაც მათ დაგლასის თვალის კაკლები ვეღარ გაჰყვებოდნენ.

- რა კარგია, - ჩაიჩურჩულა დაგლასმა,- ნეტავ მართლა ყველამ იცოდეს!

დაგლასმა თვალები გაახილა. მამა თავს წამოსდგომოდა, სადღაც ძალიან მაღლა იყო, მწვანეფოთლებიან ცაში, დოინჯშემოყრილი იდგა და იცინოდა. ერთმანეთს თვალი გაუსწორეს. დაგლასი იმწამსვე გამოფხიზლდა. გაიფიქრა: მამამ ყველაფერი იცის, ყველაფერი წინასწარ ყოფილა ჩაფიქრებული. აქ განგებ მოგვიყვანა, რათა ეს მომსვლოდა! ის ამ თამაშშია ჩართული და ახლა ისიც იცის, რომ მე ყველაფერს ჩავწვდი.

ჰაერიდან ჩამოსული ხელი ბიჭს ჩაეჭიდა და ფეხზე წამოაყენა. ბარბაცით იდგა მამისა და ტომის გვერდით. ჯერაც დაბეჟილი და გაჩეჩილი, გაოცებული და მონუსხული, სათუთად ისრესდა გახევებულ იდაყვს და ნეტარებით ილოკავდა გახლეჩილ ტუჩს. ბოლოს, მამასა და ტომს გადახედა.

- ყველა ვედროს მე წამოვიღებ, - თქვა დაგლასმა, - ამჯერად ყველაფერი მე მომანდეთ!

მათ ირონიული ღიმილით გაუწოდეს ვედროები.

დაგლასი ოდნავ ბარბაცებდა. ჩამოწეულ მკლავებზე ეკიდა მარცვალ-მარცვალ შეგროვებული ტყე, ტკბილი წვენით გაჟღენთილი და დამძიმებული. გაიფიქრა: მინდა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი შევიგრძნო, დაღლილობაც, ნამდვილი დაღლილობა! არ უნდა დამავიწყდეს, რომ ცოცხალი ვარ! ახლა ხომ უკვე ვიცი! ჰოდა, ეს დღეს საღამოსაც უნდა მახსოვდეს, ხვალაც და ზეგაც!

უკან გაიყოლია ფუტკრები და ყურძნისა და ყვითელი ზაფხულის სურნელი. მძიმედ დატვირთული და გაბრუებული მიტორტმანებდა. თითები უცნაურად დაუბუჟდა, მკლავები დაუმძიმდა, ერთი-ორჯერ ფეხიც დაუცდა, ისე, რომ მამამ ხელი შეაშველა.

- არა, - ჩაიბურტყუნა დაგლასმა, - არ მიჭირს, მოვდივარ.

ნახევარი საათი დასჭირდა საიმისოდ, რომ ბალახთან, ფესვებთან, ხავსიანი მორის ქერქთან შეხების ანაბეჭდები წაშლოდა ხელ-ფეხსა და ზურგზე. ვიდრე ამ განცდებს ემშვიდობებოდა, მათ თანდათანობით ქრობას, აორთქლებას აკვირდებოდა, უმცროსი ძმა და უშფოთველი მამა უკან

მიჰყვებოდნენ: დაე, თავად გაიკვლიოს გზა ტყიდან იმ არარსებული შარაგზისაკენ, რომელმაც სამივენი ქალაქში უნდა დააბრუნოს.

* * *

ქალაქი, იმავე დღის ნაშუადღევს.

და კიდევ ერთი ჭირნახულის აღება.

პაპა ფართო პარმაღზე იდგა და კაპიტანივით გადაჰყურებდა გარდასული სეზონის მოსავალს, მის წინაშე ოკეანის მშვიდი ზედაპირივით რომ გადაშლილიყო. მდუმარე შეკითხვით მიმართა ნიავს, მიუწვდომელ ზეცასა და გაზონს, რომელზედაც დაგლასი და ტომი იდგნენ და მხოლოდ მისთვის მიეპყროთ კითხვით სავსე მზერა.

- პაპა, მზად არის? უკვე დროა?

პაპამ ნიკაპი მოისრისა.

- ხუთასი, ათასი, სულაც ორი ათასი ცალი იქნება. ჰო, ნამდვილად მშვენიერი მარაგია. შეაგროვეთ ფრთხილად, სათითაოდ შეაგროვეთ. დასაწურად ჩაბარებულ თითო ტომარაში ათცენტიანს მიიღებთ!

- ჰეი!

გაბადრული ბიჭები ბალახში ჩაიხარნენ და ოქროსფერი ყვავილების კრეფა დაიწყეს. ყვავილებს მთელი ქვეყანა დაეტბორა, გაზონებიდან ქვაფენილზე გადმოღვრილიყვნენ, სარდაფის ფანჯრის მინებზე რბილად აკაკუნებდნენ, აბობოქრებულ ტალღებად მოსდებოდნენ ყველაფერს, ისე, რომ სამყარო დამდნარი მზის ბრჭყვიალა ნათელით ღუოდა.

- ყოველ წელს, - წარმოთქვა პაპამ, - აი, ასე გიჟდებიან. მე ხელს არ ვუშლი. გეგონება, ეზოში ლომების პრაიდი დასეირნობსო. დიდხანს რომ უყურო, თვალის ბადურას ამოგწვავს. სულ უბრალო ყვავილია, კაცმა რომ თქვას, სარეველაა. სხვა მას ვერც კი შეამჩნევს, მაგრამ კეთილშობილი რამაა: ბაბუაწვერა.

სათითაოდ შეგროვებული ბაბუაწვერები ტომრებით ჩაიტანეს სარდაფში. მათმა ნათელმა ქვესკნელის სიბნელე გაანათა. ღვინის წნეხი კი, თავახდილი და ცივი, იდგა და მათ ელოდა. ყვავილების ნიაღვარმა გაათბო იგი. პაპამ დაატრიალა ხრახნი და წნეხი ფრთხილად შეუდგა ძვირფასი მოსავლის სრესას.

- ასე... აი, ასე...

ოქროს ნაკადმა, წელიწადის ყველაზე ხალასი თვის დვრიტამ და სიცოცხლემ, ქვევიდან გამოყვანილ ღარში დაიწყო დენა, რათა, ბოლოს და

ბოლოს, გამოხდილ-გამჭვირვალებული, კეტჩუპის სუფთა ბოთლებში მომწყვდეული, მბზინავ რიგებად ჩაწყობილიყო სარდაფის წყვდიადში.

ბაბუაწვერას ღვინო.

ეს სიტყვები ენაზე ზაფხულის გემოს ტოვებდა, თავად ღვინო კი შეყოვნებული და მოხუფული ზაფხული გახლდათ. მას შემდეგ, რაც დაგლასმა შეიტყო, რომ ცოცხალია, სურდა, სამყაროს ყველა საგანი ხელითა და თვალით მოეცვა და ახლა ადრინდელზე უფრო უპრიანადაც მიაჩნდა ის, რომ ამ ახალი ცოდნის, ამ ყოვლად განსაკუთრებული არდადეგების თუნდაც მცირე ნაწილი, ცხრაკლიტულში საიმედოდ შემონახული, იანვრის სუსხიან დღეებამდე მიატანდა, იმ დრომდე, როცა ყოველივე თოვლით დაიფარება, მზე კვირაობით ან თვეობით არ გამოჩნდება და ვინ იცის, იქნებ მის გულშიც გახუნდეს და განელდეს სასწაულის განცდა. აი, როდის დასჭირდება მას კვლავ აღორძინება! ეს ხომ ყოვლად მოულოდნელი თავგადასავლების ზაფხული იქნება და რა კარგია, რომ ყოველ წუთს შეგეძლება, თითის წვერებზე ჩაუყვე ბნელ კიბეს და ხელით მოსინჯო ის სიბნელეში, ეტიკეტებს მიღმა საიმედოდ შემონახული!

მწკრივებად იდგება ბაბუაწვერას ღვინო: მტვრის თხელი ფენის ქვეშ განთიადზე გაშლილი ყვავილები იბრწყინებენ და ივნისის მზეც უწყვეტად იბრჭყვიალებს მასში. გაიხედავ ჭურჭელში ზამთრის დღეს და დამდნარი თოვლი წამში ბალახად გადაიქცევა, შიშველი ხეები ჩიტებით, ფოთლებით, ყვავილებით დაიხუნძლება - თითქოს ყველაფერს პეპლების ფარფატით აღძრულმა ზღაპრულმა სიომ შემოუქროლაო. გახედავ გამჭვირვალე ჭიქას და ლითონისფერ ცას ლაჟვარდი გადაეკვრება.

ამასაც შეძლებ, ჭიქაში ჩამოსხმული ზაფხული ხელში დაიკავო - ეს, რა თქმა უნდა, ძალზე პატარა ჭიქა იქნება, ყველაზე ციცქნა, ერთყლუპიანი წკრიალა ჭურჭელი, რაც კი მთელ სახლში მოიძებნება, საგანგებოდ ბავშვებისათვის. შეძლებ, ზაფხული ბაგესთან მიიტანო, გადაყლურწო და სისხლძარღვებში აიჩუხჩუხო.

- მზადაა! ახლა წვიმის წყლის კასრთან გაიქეცით!

რა თქმა უნდა, არანაირი სხვა წყალი არ გამოდგება. მხოლოდ ის კრისტალური წყლებია საჭირო, უშორესი ტბებიდან და უტკბესი დილის ნამიანი მინდვრებიდან რომაა გამოხმობილი, ცაში ცხრა ათასი მილის სიმაღლეზე აზიდული და გაქათქათებული ღრუბლის ზეწრებში ნარწევ-ნატარები, შემდეგ ყინულოვან ქარში გამონაწრთობი და მაღალი ძაბვით დამუხტული. აი, ამ წყლის ყოველ წვეთში ზეცის მთელი ენერგიაა მოქცეული. ის სამხრეთის ქარსაც ეზიარა, აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქარებსაც

და, საბოლოოდ, წვიმად ჩამოიქცა, წვიმა კი, თავის მხრივ, ახლა ღვინოდ გარდაიქმნება.

დაგლასი დაიხარა და კასრიდან სავსე ჩამჩა ამოიღო.

- მომაქვს!

წყალი აბრეშუმივით ბზინავდა ჭურჭელში: ქათქათა, ოდნავ მოცისფრო აბრეშუმივით. თუ შესვამდი, ბაგეზე, ყელსა და გულზე გელამუნებოდა. ეს წყალი სარდაფში ვედროებითა და ჩამჩებით უნდა ჩაეტანათ, რათა გრილ წყაროებად, მთის ნაკადულებად გადასხმოდა დასერილ ბაბუაწვერებს.

სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ბებოც კი - თებერვლის რომელიმე სუსხიან დღეს, როცა ქარბუქი თავბრუს ახვევს არემარეს, აბრმავებს ფანჯრებს, სუნთქვას გართმევს - აი, ასეთ დღეს თვით ბებოც კი ჩაიპარებოდა ხოლმე სარდაფში.

მაღლა, უზარმაზარი სახლი სავსე იქნება ხველით, ცემინებით, ხრიალითა და კვნესით, ბავშვების სიცხეებით, ყასბის დახლზე გამოფენილი ხორცივით გაწითლებული ყელებითა და დაღვინებული ალუბლის მსგავსი ცხვირებით, და ყველგან უხილავი მიკრობი იბატონებს.

აი, სწორედ ასეთ დროს ივნისის ქალღმერთივით ამოყვინთავს ბებო სარდაფიდან, რაღაცას მალულად ჩაიკრავს გულში, ნაქსოვი შალის ნაკეცებში მაინც რომ ამოიცნობა. ამ რაღაცას ავადმყოფობებით გატანჯულ ყოველ ოთახში შემოატარებს და ერთი ზომის ჭიქებში ჩამოასხამს, რათა ყველამ ზუსტი დოზით შესვას ეს სულ სხვა დროის წამალი, მზის ელექსირი, და მასთან ერთად - აგვისტოს უზრუნველი შუადღეები, აგურის ქვაფენილებზე სანაყინე ურიკის ბორბლების ხმა, ვერცხლისფერი ფეიერვერკების შხუილი, ჭიანჭველების სამოსახლოებზე გადატარებული მოლის საკრეჭი მანქანის ზუზუნი... და ეს ყველაფერი, ეს ყველაფერი - ერთ ჭიქაში.

დიახ, თვით ბებოსაც ხანდახან გაუწევს გული სარდაფში დავანებული ივნისის განცდისაკენ. ისიც, პაპას, მამას, ძია ბერტის ანდა რომელიმე მდგმურის მსგავსად, მხოლოდ საკუთარ გულს განდობილი, ბოთლების თაროებთან გაირინდება და იდუმალ საუბარს გაუბამს დიდი ხნის წინ მოხეულ კალენდრის ფურცლებს: მთელ ამ პიკნიკებსა და შხაპუნა წვიმებს, პურის ყანებს, ცხელ-ცხელ ბატიბუტსა და მოსათიბად წაწოლილ ბალახს. თვით ბებოც კი კვლავაც და კვლავაც გაიმეორებს ამ საოცარ, ოქროვან სიტყვებს, ახლა, ამ წუთშიც რომ ისმის, როცა ყვავილები წნეხშია, და არც ზამთარში - არც ერთ ზამთარში - არ მიეცემა დავიწყებას. მის ბაგეზე ეს სიტყვები ღიმილად გაიშლება და კვლავაც და კვლავაც სხივივით უეცრად გააპობს წყვდიადს.

ბაბუაწვერას ღვინო. ბაბუაწვერას ღვინო. ბაბუაწვერას ღვინო.

* * *

მათ მოსვლასა და წასვლას ძნელად თუ შენიშნავდით. მთიდან ჩამოსული ღრუბლების ჩრდილებივით უხმოდ ჩაიქროლებდნენ და მათი ფეხით გათელილი ბალახი წამსვე ისევ წამოიმართებოდა... ზაფხულის ბიჭები, ფეხმარდად მრბოლელნი.

დაგლასი სხვებს ჩამორჩა. აქოშინებული შეჩერდა ხევის პირას, იმ იდუმალი უფსკრულის თავზე, საიდანაც ოდნავ შესამჩნევი გრილი ნიავი უბერავდა. შველივით ყურებდაცქვეტილმა ბიჭმა ქვევიდან მონაქროლი ისეთი საფრთხე იყნოსა, მილიარდი წლის წინათ უკვე ბებერი რომ იყო.

აქ, ამ ადგილას, ქალაქი შუაზე გაპობილიყო. აქ მთავრდებოდა და ქრებოდა ცივილიზაცია. აქ მხოლოდ მიწა იყო, რომელიც ცოცხლობდა და იზრდებოდა, და ყოველ საათში მილიონ სიკვდილსა და დაბადებას ზეიმობდა.

სწორედ აქ გადიოდა ურიცხვი ბილიკი, დატკეპნილი თუ ჯერაც გაუკვალავი, და ყოველი მათგანი ბიჭების მოგზაურობისაკენ სწრაფვაზე მეტყველებდა, მარადი ხეტიალის წყურვილზე, რომელსაც ისინი საბოლოოდ მამაკაცებად უნდა ექცია.

დაგლასმა მიმოიხედა. აი, ეს ბილიკი გველივით დაკლაკნილ მტვრიან ქუჩაზე, ზედ სანაყინესთან ამოდიოდა, სადაც ამ ყვითელ დღეებში ზამთარს შეეფარებინა თავი. ეს კი ტბის სანაპიროზე ბრძმედივით გავარვარებული ქვიშისკენ მიქროდა. კიდევ ერთი ბილიკი იმ ხეებისკენ ისწრაფოდა, რომელთა ფოთლებშიც საიმედოდ დამალული ბიჭები ტოტებზე ვაშლებივით კონწიალობდნენ. ეს კი ატმის ბაღში მიგიყვანდათ, ვაზის ტალავერში და იქ, სადაც საზამთროები გაზულუქებული ზოლიანი კატებივით მზეზე ნებიერად თვლემდნენ. ეს ბილიკი, დროებით მიტოვებული, საშინლად მიხვეულ-მოხვეული - სკოლისაკენ მიმავალი ბილიკია. ეს კი, ისარივით სწორი - კინოთეატრისკენ მიისწრაფვის, სადაც შაბათობით კოვბოურ ფილმებს აჩვენებენ, ხოლო ეს, ნაკადულს რომ მიჰყვება, ქალაქის იქით უდაბური ადგილებისაკენ მიეშურება...

დაგლასმა თვალები დახუჭა.

ვინ იტყოდა დანამდვილებით, თუ სად მთავრდებოდა ქალაქი და სად იწყებოდა უდაბური მიდამო? რომელი უფრო ძლიერი იყო? მუდამ რჩებოდა რაღაც იდუმალი შუალედური ალაგი, სადაც ეს ორნი ერთურთს ერკინებოდნენ და ხან ერთი, ხანაც მეორე თითო წლით ეპატრონებოდა ამა თუ იმ ქუ-

ჩას, დაბლობს, ღელეს, ხეს თუ ბუჩქს. ბალახისა და ყვავილების თვალუწვდენი ზღვის ლივლივა ზედაპირი წელიწადის დროთა ცვლასთან ერთად შორი მინდვრებიდან აგორებულ ტალღებად აწყდებოდა ქალაქს. ღამღამობით ვერანი მიდამო და ხასხასა მდელო ჩაიღვრებოდა ხოლმე ხევში, როგორც მდინარის კალაპოტში, მოუყვებოდა მას, თან მოჰქონდა ბალახისა და წყლის სუნი და საბოლოოდ ტბორავდა ქუჩებს. ქალაქს ყველანაირი სიცოცხლის ნიშანწყალს ართმევდა და მიწასთან ასწორებდა. და ყოველ დილით აღმოჩნდებოდა, რომ ხევი კიდევ ერთ სოლად შეჭრილიყო ქალაქის ხორცში, გარაჟებს ზვირთებზე მოტივტივე ნავებივით ჩაყლაპვით ემუქრებოდა, ნთქავდა წვიმისა და, მაშასადამე, ჟანგისათვის მსხვერპლად შეწირულ ძველ, მიტოვებულ ავტომანქანებს.

- ჰეი-ჰეი! - ჯონ ჰაფმა და ჩარლი ვუდმენმა გაიქროლეს და გაუჩინარდნენ ხევის, ქალაქის, დროის იდუმალებაში, - ეჰე-ჰეი!

დაგლასი ნელა გაუყვა ბილიკს. ხევი მართლაც ის ადგილი იყო, სადაც ადამიანისა და ბუნების სამყაროები გვერდიგვერდ თანაარსებობენ. ბოლოს და ბოლოს, რა იყო ქალაქი, თუ არა სტიქიას თავდაღწეული ხომალდი, ბალახის ამოძირკვითა და ჟანგის ფხეკით დაკავებული მოფუსფუსე მგზავრებით სავსე. დროდადრო რომელიმე ქოხმახი, სეზონების ქარიშხალში გზააბნეული, დედაგემს მოწყვეტილი უსუსური ნავივით იძირებოდა ტერმიტებისა და ჭიანჭველების მდუმარე ზვირთებში, ხევის ვეება განხმულ ხახაში, და მხოლოდ კალიების ზუზუნი ათრთოლებდა მზით გაცხელებულ ბალახბულახს, გეგონებოდა, ერთმანეთს მუყაოს ორი ფურცელი ეხახუნებაო; საბოლოოდ, ის, აბლაბუდებით საიმედოდ შეფუთული, ფიცრისა და ქვითკირის ზვავად ქცეული, საკურთხეველზე დანთებული კოცონივით ჩაიქცეოდა, ხოლო ჭექა-ქუხილი ქაოსის ამ მორიგ გამარჯვებას ლურჯი ელვის ბლიც-ფოტოთი გააუკვდავებდა.

დაგლასს სწორედ ეს იზიდავდა: ადამიანისა და მიწის მარადი ჭიდილის საიდუმლო. იცოდა, რომ ქალაქები საბოლოოდ მუდამ მარცხდებოდნენ. ამიტომაც მშვიდად განაგრძობდნენ მთვლემარე არსებობას დაღუპვის ზღვარზე; აღჭურვილნი გაზონის საკრეჭი მანქანებით, მწერების შესაწამლი სითხითა და ბუჩქის მაკრატლით, ცივილიზაციის ზედაპირზე მანამ ტივტივებდნენ, ვიდრე აღსასრულის ჟამი არ მოუწევდათ; თითოეული სახლი მზადაა, ყოველ წუთს სამუდამოდ ჩაინთქას მწვანე მორევში, ჩაიძიროს და დასამარდეს, როგორც კი უკანასკნელი ადამიანი აღიგვება პირისაგან მიწისა, მისი ბარ-ნიჩაბი და მაკრატელი კი ჟანგის ნაფლეთებად იქცევა.

ქალაქი. უდაბნო. სახლები. ხევი.

დაგლასმა ჯერ ზურგს უკან მიიხედა, მერე წინ ისროლა მზერა. როგორ უნდა დაუკავშირო ერთურთს ეს ორი რამ, როგორ უნდა ჩასწვდე მათ მარად წონასწორობას, როცა...

ბიჭმა მიწისაკენ დახარა მზერა.

ზაფხულის პირველი რიტუალი, ბაბუაწვერების კრეფა და ღვინის წურვა დასრულდა. ახლა მას მეორე რიტუალი ელოდა: მოძრაობა, მაგრამ ბიჭი სრულიად უძრავად იდგა.

- დაგ... წამო... დაგ!.. - გაქცეული ბიჭების ხმები სადღაც შორს მიწყდა.

- მე ცოცხალი ვარ! - ხმამაღლა წარმოთქვა დაგლასმა, - მაგრამ ამას რა აზრი აქვს? ისინი ჩემზე უფრო ცოცხლები არიან. როგორ?! რანაირად?!

იდგა მარტო, საკუთარ უძრავ ფეხებს დაშტერებოდა, ვიდრე უეცრად არ მიაგნო ამ კითხვაზე პასუხს.

* * *

იმ საღამოს, გვიან, დაგლასი და ტომი დედ-მამასთან ერთად კინოთეატრიდან ბრუნდებოდნენ. დაგლასმა განათებულ ვიტრინაში ტენისის ფეხსაცმელები შენიშნა. სწრაფად აარიდა თვალი, მაგრამ იგრძნო, ფეხები წუთით როგორ გაუშეშდა, თითქოს კოჭებში ვიღაც ჩაეჭიდაო. ისევ დაიძრა ადგილიდან, მაგრამ მიწა უხილავ მახეს უგებდა. მაღაზიის თავზე გადაჭიმული ჩარდახი მისმა მოძრაობამ შეარხია. დედ-მამა და ძმა მშვიდად განაგრძობდნენ გზას დაგლასის მხარდამხარ. დაგლასი შეტრიალდა, უკან-უკან განაგრძო სვლა, თან უკან დარჩენილ შუაღამის ვიტრინასა და იქ გამოფენილ ფეხსაცმელებს თვალს არ აცილებდა.

- კარგი ფილმი იყო, - თქვა დედამ.

- ჰო, კარგი იყო... - ჩაილუღლუღა დაგლასმა.

ივნისში უკვე დაგვიანებული იყო საგანგებო ფეხსაცმლის ყიდვა, - იმ ფეხსაცმლისა, ბილიკებს ზაფხულის შხაპუნა წვიმასავით რბილად და უხმაუროდ რომ ეხებოდა. ივნისი იდგა და მიწა ახალი ენერგიით ივსებოდა, ყველაფერი მოძრაობის ჟინს აეტანა. ბალახი კვლავაც ღვარად მოედინებოდა მინდვრებიდან, გზებსა და ტროტუარებს ეხლებოდა, სახლებს იტაცებდა და ნაპირზე რიყავდა. ქალაქი ყოველ წუთს შეიძლებოდა გემივით გადაბრუნებულიყო და ისე ჩაძირულიყო, რომ კვალიც არსად დაეტოვებინა. დაგლასი კი მონუსხული იდგა მკვდარი ცემენტითა და წითელი აგურით ნაგებ ქუჩაზე და წესიერად ნაბიჯსაც კი ვერ დგამდა.

- მამა! - დაგმა ვეღარ გაუძლოცდუნებას, - იქ, ვიტრინაში, „ზღვის ღრუბლისძირიანი სუპერმარდი სპორტული ფეხსაცმელი“...

მამა არც კი მიბრუნებულა.

- იქნებ მითხრა, რატომ დაგჭირდა ახალი წყვილი ბოტასი? შეგიძლია ამიხსნა?

- ჰმ-მ...

იმიტომ, რომ ამ ბოტასში თავს ისე გრძნობ, თითქოს წელს პირველად გაირბინე ფეხშიშველამ ბალახზე; თითქოს ზამთარში ფეხები თბილი ლოგინიდან გარეთ გაყავი და ფანჯარაში შემოქროლილ ცივ ნიავს შეუშვირე, კარგა ხანს გააჩერე ასე, შემდეგ ისევ შემოყავი საბნის ქვეშ და ახლა ტერფები დაპრესილი თოვლივით გაქვს გათოშილი. სპორტული ფეხსაცმლის ჩაცმისას მუდამ ერთი და იგივე გრძნობა გეუფლება, როგორც მაშინ, ამ ზაფხულს პირველად რომ გადახვედი ნაკადულის მდორე წყალზე და საკუთარი ტერფები ქვევით, წყლისა და სინათლის პრიზმულ გარდატეხაში დაინახე, ზედაპირზე მდებარე რეალური სხეულისაგან ნახევარი დუიმით აცდენილი.

- მამა, - თქვა დაგლასმა, - ეს ძალიან ძნელი ასახსნელია.

იმათ, ვინც სპორტულ ფეხსაცმელს ამზადებენ, საიდანღაც ზუსტად იციან, თუ რა სჭირდებათ და რა სურთ ბიჭებს: ლანჩებში ზეფირსა[9] და წვრილად ჩახვეულ ზამბარებს აფენენ, დანარჩენ ნაწილს კი მინდვრის მზეზე გამოხუნებულ-გამხმარი ბალახებისგან ქსოვენ. სადღაც, ფეხსაცმლის რბილ სიღრმეში, ხარირმის თხელი, მკვრივი ძარღვები ჩაუმალავთ. ამ ფეხსაცმლის დამამზადებლებს უეჭველად ძალიან ბევრჯერ უნახავთ, თუ როგორ არხევს ქარი ხეებს და როგორ ჩაედინება მდინარეები ტბების სილურჯეში. შეუძლებელია ამის ახსნა და განსაზღვრა, მაგრამ ერთი კი ცხადზე ცხადია: ამ ფეხსაცმელში თვით ზაფხულია.

დაგლასი ამ ყოველივეს სიტყვებით გადმოცემას შეეცადა.

- მესმის, - თქვა მამამ, - მაგრამ შარშანდელ ბოტასებს რაღა დაემართა? რატომ არ შეგიძლია უბრალოდ კარადიდან გამოიღო და ჩაიცვა?

ჰმ, ნამდვილად სიბრალულის ღირსნი იყვნენ კალიფორნიაში მცხოვრები ბიჭები, მთელ წელიწადს ტენისის ფეხსაცმელი რომ ეცვათ! მათთვის ხომ უცხო იყო ეს განცდა: ფეხებიდან ზამთარს რომ ჩამოიხსნი, თოვლითა და წვიმით დამძიმებული რკინისძირებიანი ტყავის ფეხსაცმლისგან გათავისუფლდები და მთელი დღე ფეხშიშველი ირბენ, მერე კი

---

*9 ზეფირი - აქ: საკონდიტრო ნაწარმი, მზადდება შაქარში ათქვეფილი ხილ-კენკრის პიურეთი და კვერცხის ცილით.*

ახალთახალ ბოტასებში ჩაყოფ ფეხს, რაც თვით ფეხშიშველა სირბილზე უკეთესიც კია! ამ მაგიას მხოლოდ ახალი ფეხსაცმელი ფლობდა. ზუსტად პირველი სექტემბრის წინაღამით ეს მაგია კვდებოდა, მაგრამ ახლა, ივნისის მიწურულს, მისი ჯერ კიდევ უხვი მარაგი რჩებოდა დაუხარჯავი და ასეთი ფეხსაცმელი ხეებზე, მდინარეებსა და სახლებზე გადაგახტუნებდა. თუ მოისურვებდი, ღობეებსაც გადაახტებოდი, ტროტუარებსაც და ძაღლებსაც.

- როგორ არ გესმის?! - შეჰყვირა დაგლასმა, - შარშანდელ ფეხსაცმელს ვერ ჩავიცვამ!

შარშანდელი ფეხსაცმელი შიგნიდან მკვდარია. ის არაჩვეულებრივი იყო შარშან, პირველი ჩაცმისას, მაგრამ ყოველი ზაფხულის ბოლოს საიდანღაც მოდიოდა გარდაუვალი ცოდნა იმისა, რომ ამ ფეხსაცმლით მდინარეებს, ხეებსა და სახლებს ვეღარ გადაახტებოდა, რომ ის გამოიფიტა და მოკვდა. ზაფხული ის იყო, იწყებოდა და ბიჭიც უტყუარად გრძნობდა, რომ ახალი ფეხსაცმლით ყველაფერს შეძლებდა, აბსოლუტურად ყველაფერს.

სახლის კიბეს აუყვნენ.

- შენი ჯიბის ფული დაზოგე, - უთხრა დაგს მამამ, - და ხუთ-ექვს კვირაში...

- ...ზაფხულიც დამთავრდება!

როცა სინათლე ჩააქრეს და ტომს ჩაეძინა, დაგლასი იწვა და შორს, საწოლის ბოლოში, მთვარის შუქით განათებულ საკუთარ ტერფებს აკვირდებოდა. ისინი ახლა რკინისძირებიანი ზამთრის ფეხსაცმლისგან კარგა ხნით გათავისუფლდნენ, თითქოს უმძიმესი ლოდები ჩამოსწყდათო.

„გამართლება. უნდა მოვიფიქრო გამართლება ახალი ფეხსაცმლისათვის“.

მაშ, ასე: როგორც ცნობილია, ქალაქის მიმდებარე ბორცვები აკლებული ჰქონდათ მეგობრებს, რომლებიც აფრთხობდნენ ძროხებს, ბარომეტრის სიზუსტით რეაგირებდნენ ატმოსფერულ ცვლილებებზე და იხრუკებოდნენ მზეზე. მათი კალენდრის ფურცლებივით აქერცლილი კანი მზის სულ ახალ-ახალ სხივებს ისრუტავდა. ასეთ მეგობრებს ფეხი რომ აუწყო, მელიებსა და ციყვებზე სწრაფი უნდა იყო; ხოლო რაც შეეხება ქალაქს, ის ბრდღვინავდა სიცხისაგან ჩვეულებრივზე მეტად გაღიზიანებული მტრების რისხვით, ზამთრის ყველა წაკინკლავება და შეურაცხყოფა ახლა განსაკუთრებით მძაფრად რომ მოაგონდათ. დაეწიე მეგობრებს, უკან მოიტოვე მტრები! - აი, „კრემისფერი, სუპერმარდი ფეხსაცმლის“ სლოგანი, - სამყარო მეტისმეტად სწრაფად მიქრის? გსურს, დაეწიო? გსურს, მუდამ ფხიზელ მზადყოფნაში იყო? მაშ, იყავი სუპერსწრაფი!

ბიჭმა თავისი ყულაბა შეანჯღრია. იქიდან სუსტი ჩხრიალი მოისმა, ხელში ფულის მსუბუქი წონა იგრძნობოდა.

საკუთარ თავს უთხრა: თუკი რაღაც გსურს, შენით უნდა მიაღწიო. ამაღამვე უნდა შევიმუშაო გეზი ამ ჯუნგლების გასაკვალად...

ქალაქის ცენტრში ერთიმეორის მიყოლებით ჩაქრა მაღაზიის განათებები. ფანჯარაში ღამის სიომ შემოუბერა. ბიჭს თითქოს მდინარის ტალღა გადაევლო. მისი ტერფები სიამოვნებით გაჰყვებოდნენ ამ დინებას.

სიზმარში ესმოდა, როგორ მირბოდა, მირბოდა, მირბოდა ბოცვერი რბილ ბალახში.

მოხუცი მისტერ სენდერსონი ისე მიმოდიოდა თავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, როგორც ზოომაღაზიის მეპატრონე უნდა მიმოდიოდეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოყვანილი ცხოველების გალიებს შორის. გზადაგზა ხელის ოდნავი შეხებით ეფერებოდა თითოეულ წყვილს.ვიტრინაში გამოფენილ ფეხსაცმელებსაც გადაუსვა ხელი, სათუთად გაუსწორა თასმები, ამოუწია ენები, შემდეგ ზუსტად ხალიჩის შუაგულში გაჩერდა, მიმოიხედა და კმაყოფილების ნიშნად თავი დახარა.

შორიდან ქუხილი მოისმა.

წამის წინ სენდერსონის ფეხსაცმლის მაღაზიის კარში არავინ ჩანდა, ახლა კი მის ზღურბლზე დაგლას სპოლდინგი ატუზულიყო. ბიჭი უხერხულად იშმუშნებოდა თავის ტყავის ფეხსაცმელებს მიშტერებული, თითქოს უჭირსო ამ მძიმე ლოდების ადგილიდან დაძვრა. როცა ის ზღურბლზე შეჩერდა, ქუხილის ხმაც მინელდა. როგორც იქნა, მტკივნეულად ნელა შეაბიჯა შუადღის მზიანი ქუჩიდან. თვალს ვერ სწყვეტდა ხურდა ფულს, ხელისგულზე რომ ჰქონდა დახვავებული. დახლზე ისე ჩაამწკრივა ათ, ოცდახუთ და ორმოცდაათცენტიანი მონეტების სვეტები, გეგონებოდათ, ჭადრაკს თამაშობს და ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა სვლამ შეიძლება თამაშს ბოლო მოუღოსო.

- გიჯობს, ხმა არ ამოიღო! - უთხრა მისტერ სენდერსონმა.

დაგლასი შედგა და ადგილზე გაიყინა.

- ჯერ ერთი, მშვენივრად ვიცი, რისი ყიდვაც გინდა, - განაგრძო მისტერ სენდერსონმა, - მეორეც, ყოველ ნაშუადღევს ჩემი ვიტრინის წინ დგახარ; თუ გგონია, ვერ გამჩნევ, ძალიან ცდები. მესამეც, თუკი ყველაფერს გავამხელთ, შენ გსურს „საუკეთესო კრემისფერი სუპერმსუბუქი და სუპერმარდი ტენისის ფეხსაცმელი“: აი, ის, „ფეხზე მენთოლის სიგრილის განცდას რომ მოგანიჭებთ!“ მეოთხეც, გინდა, ნისიად გაგატანო.

- არა, ნისიად არა, - დაგლასი ისე ქოშინებდა, გეგონებოდათ, მთელი ღამე სიზმარში შეუსვენებლად ირბინაო, - ნისიაზე უკეთეს რამეს გთავაზობთ! - ჰაერი პირით შეისუნთქა, - გთხოვთ, მისტერ სენდერსონ, ერთი პატარა თხოვნა შემისრულეთ. შეგიძლიათ, გაიხსენოთ, სერ, თქვენ თვითონ უკანასკნელად როდის გეცვათ სუპერმარდი სპორტული ფეხსაცმელი?

მისტერ სენდერსონს სახე მოეღუშა.

- ოო, ათი, ოცი თუ სულაც ოცდაათი წლის წინათ. ამას რატომ მეკითხები?

- მისტერ სენდერსონ, არ გეჩვენებათ, რომ თქვენი კლიენტების წინაშე ვალდებული ბრძანდებით, წუთით მაინც მოისინჯოთ ფეხსაცმელი, რომელსაც ყიდით, რათა იცოდეთ, მასში კაცი თავს როგორ გრძნობს? დიდი ხნის წინათ განცდილი შეგრძნება თანდათან ნელდება და ბოლოს გავიწყდება, რა და როგორ იყო. სიგარეტის გამყიდველი ხომ ეწევა? ტკბილეულის დახლის მეპატრონე უეჭველად წუწნის იმ კანფეტებს, რომელსაც ყიდის. ასე რომ...

- ეტყობა, ვერ შენიშნე, - ჩაურთო მოხუცმა, - მე ფეხსაცმელი მაცვია.

- მაგრამ არა სპორტული ფეხსაცმელი, სერ! სპორტულ ფეხსაცმელს ისე ვერ გაყიდი, თუ მასზე არ გიჟდები, და თუკი არ გცმია, როგორღა უნდა გაგიჟდე?

სიტყვების ამ კორიანტელის წინაშე მისტერ სენდერსონმა ოდნავ უკან დაიხია, მერე ხელი ნიკაპზე მოისვა.

- ჰოო...

- მოდი, ასე მოვიქცეთ, - არ ცხრებოდა დაგლასი, - თქვენი საქონელი მომყიდეთ და სანაცვლოდ მეც არანაკლებ ფასეულ საქონელს მოგყიდით.

- შვილო, ამ გარიგებისათვის აუცილებელია, სპორტული ფეხსაცმელი ჩავიცვა? - იკითხა მოხუცმა.

- მთელი გულით ვისურვებდი ამას, სერ!

მოხუცმა ამოიოხრა. წუთის შემდეგ მძიმედ სუნთქავდა და ვიწრო ტერფებზე მორგებული ტენისის ფეხსაცმლის თასმებს იკრავდა. მოხუცის მკაცრი, ოფიციალური კოსტიუმის გაგრძელებად ქცეულმა ფეხსაცმელებმა იმწამსვე უცხო და გზააბნეული იერი მიიღეს. მისტერ სენდერსონი ფეხზე წამოდგა.

- აბა, რას გრძნობთ? - შეეკითხა ბიჭი.

- რას ვგრძნობ? გადასარევად ვგრძნობ თავს, - უპასუხა კაცმა და ისევ დასაჯდომად მოემზადა.

- მოიცადეთ, გთხოვთ! - მუდარის ნიშნად ხელი გაიშვირა დაგლასმა, - ერთი წუთით, მისტერ სენდერსონ! ახლა, თუ შეიძლება, ოდნავ წინ

გადმოიზნიქეთ, მერე - უკან, ცოტათი ახტით-დახტით, ერთი-ორჯერ ჩაბუქნეთ, მე კი ამასობაში დარჩენილ სათქმელს მოგახსენებთ. აი, რისი თქმა მინდოდა: მე მოგცემთ მთელ ჩემს ფულს, თქვენ მომცემთ ფეხსაცმელს, ერთი დოლარი თქვენი ვალი დამრჩება, მაგრამ, მისტერ სენდერსონ, მაგრამ... იცით, რა მოხდება, როგორც კი ფეხსაცმელს ჩავიცვამ?

- რა?

- რა და: ბრახ! ელვისუსწრაფესად მივარბენინებ თქვენს გზავნილებს დანიშნულების ადგილას, მოგიტანთ ყავას, დავწვავ თქვენს ნაგავს, გავიქცევი ფოსტაში, ტელეგრაფის სადგურზე, ბიბლიოთეკაში! წამში თორმეტჯერ მაინც მნახავთ გაქცეულსა და მობრუნებულს. შეიგრძნობთ თუ არა ამ ფეხსაცმელს, მისტერ სენდერსონ? ატყობთ, რა სისწრაფით შეუძლია გამაქროლოს? გრძნობთ, რა ხტუნვისა და რბოლის ენერგიითაა დამუხტული? როგორ გეუფლება ჩაცმისთანავე, აღარასოდეს გტოვებს მარტოს და როგორ არ მოსწონს, როცა უძრავად დგახარ! გჯერათ, რომ წამში მოგიგვარებთ ყველა იმ საქმეს, რითაც თავის გაცხელება არ გსურთ? თქვენ მშვიდად იჯდებით სიგრილეში, მე კი თქვენთვის მთელ ქალაქს შემოვირბენ! ოღონდ სინამდვილეში ამ ყველაფერს მე კი არა, ეს ფეხსაცმელები გააკეთებენ: შეშლილივით გადაკვეთენ ქუჩას, გზას მოკლეზე მოჭრიან, მეორე წუთში კი ისევ აქ გაჩნდებიან!

მისტერ სენდერსონი ამ ბგერათა ნიაღვარში გაოცებული იდგა. როცა სიტყვებმა სიჩქარეს უმატეს, ისიც გაჰყვა მათ დინებას; სულ უფრო ღრმად ჩაეფლო ფეხსაცმელში, ადგილზე როკვა დაიწყო, ქუსლები და თითის წვერები თავისთავად აუცეკვდა. უხმოდ და თითქმის შეუმჩნევლად ირწეოდა, მის სხეულს თითქოს ღია კარში შემოქროლილი ნიავი არხევდა. ფეხსაცმელები უჩუმრად ჩაეფლნენ ხალიჩაში, როგორც სარეველა ბალახსა და რბილ მიწაში. მოხუცი უეცრად საზეიმო გამომეტყველებით შეხტა და კვლავ ჩაეშვა მთრთოლავ აფუებულ ცომში, ურბილეს თიხაში. განცდებმა ისე გადაურბინეს სახეზე, თითქოს უამრავი ფერადი ნათურა მიანათეს და კვლავ ჩააქრესო. პირი ოდნავ ღია დარჩა, ძლივს მოახერხა ატოკებული სხეულის დაშოშმინება. ბიჭიც დადუმდა და ახლა ორივენი ურთიერთის პირისპირ იდგნენ და, ვეება დუმილით მონუსხულნი, ერთმანეთს მიშტერებოდნენ.

გარეთ, მზით გავარვარებულ ტროტუარზე, ვიღაცებმა ჩამოიარეს.

მოხუცი და ბიჭი ისევ ისე იდგნენ, ბიჭი შინაგანი მხურვალებისაგან თრთოდა, მოხუცს კი სახე ზეციური გამოცხადების შუქით გაცისკროვნებოდა.

- შვილო, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო კაცმა, - რას იტყვი, ასე, ხუთი წლის შემდეგ მაღაზიაში შეგირდად რომ აგიყვანო?

- ოო, დიდი მადლობა, მისტერ სენდერსონ, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, რა უნდა გამოვიდე.

- რაც უნდა გადაწყვიტო, შვილო, - უთხრა მოხუცმა, - ყველაფერი გამოგივა. შენ ვერავინ შეგაჩერებს.

მოხუცმა მსუბუქი ნაბიჯით გადაკვეთა მაღაზია ათასობით ყუთით დაფარული კედლის მიმართულებით, მალევე დაბრუნდა ბიჭისთვის განკუთვნილი ფეხსაცმლით და, სანამ დაგლასი თასმებს იკრავდა, შემდეგ კი იდგა და ელოდა, ბარათზე სია ჩამოუწერა.

ბარათი ბიჭს გაუწოდა.

- ამ საქმეებს დღესვე მომიგვარებ. რომ დაასრულებ, ბარიბარში ვიქნებით და სამსახურიდანაც გაგათავისუფლებ.

- გმადლობთ, მისტერ სენდერსონ! - ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით გაემართა გასასვლელისაკენ.

- მოიცადე! - დაიყვირა მოხუცმა.

დაგლასი შეჩერდა და მიუბრუნდა.

მისტერ სენდერსონი მთელი სხეულით წინ გადაიხარა:

- რას გრძნობ?

ბიჭმა დაიხედა უკვე მდინარეთა სიღრმესა და მწვანე ტევრებში ჩაფლულ ტერფებზე, ქალაქიდან შორს რომ მიჰყვებოდნენ უხილავ ნიავს, მერე გაბრწყინებული თვალებით ახედა მოხუცს, ბაგე აამოძრავა, მაგრამ ერთი ბგერაც ვერ ამოთქვა.

- ანტილოპები? - იკითხა მოხუცმა, თან მზერა ბიჭის სახიდან ფეხსაცმელებზე გადაიტანა, - ქურციკები?

ბიჭი ჩაფიქრდა, წამით შეყოვნდა, შემდეგ გაცხარებით დაუკრა თავი. თითქმის იმწამსვე გაუჩინარდა, სისინით გაიქროლა და გაქრა. ღია კარის ჭრილი ისევ დაცარიელდა. ტენისის ფეხსაცმელების ხმა ტროპიკული მზის გახუნებულ ჰაერში მინელდა.

მისტერ სენდერსონი ერთხანს კიდევ იდგა ზღურბლზე მზეს მიფიცხებული და აყურადებდა. გაიხსენა, დიდი ხნის წინ, ბიჭობაში, როგორ ესიზმრებოდა ეს ხმა. უნატიფესი არსებები მსუბუქად მიხტოდნენ ლურჯი ცის ფონზე, სერავდნენ ჯაგნარს, ხეების ჩრდილებს, და სიშორეში მხოლოდ ძლივს გასაგონ ექოს ტოვებდნენ.

- ანტილოპები, - გაიმეორა მისტერ სენდერსონმა, - ქურციკები.

დაიხარა ბიჭის მიერ მიტოვებული ზამთრის ფეხსაცმლის ასაღებად, მივიწყებულ თქეშსა და კარგა ხნის დამდნარ თოვლს რომ დაემძიმებინა. შემდეგ რბილად და აუჩქარებლად შებრუნდა მათთან ერთად შიგნით, ცივილიზაციისაკენ...

* * *

ყვითელი ნიკელისყდიანი ბლოკნოტი და „ტიკონდეროგას“ ფირმის ყვითელი ფანქარი გამოიღო. ბლოკნოტი გადაშალა. ფანქრის წვერს ენა აუსვა.

- ტომ, - გასძახა ძმას, - შენი სტატისტიკის შემხედვარეს ერთი აზრი გამიჩნდა. მეც შენნაირად მოვიქცევი, ყველაფერს დავაფიქსირებ. მაგალითად, თუ ატყობ, რომ ყოველ ზაფხულს ზუსტად იმავე თანამიმდევრობით ვაკეთებთ იმავეს, რასაც გასულ ზაფხულს ვაკეთებდით?

- რას, დაგ?

- თუნდაც იმას, რომ ბაბუაწვერას ღვინოს ვწურავთ, ტენისის ახალ ფეხსაცმელს ვყიდულობთ, პირველად ვუშვებთ ცაში ფეიერვერკს, ლიმონათს ვხარშავთ, ფეხისგულში ხიჭვი გვერჭობა, ველურ ყურძენს ვაგროვებთ. წლიდან წლამდე ერთი და იგივე მოვლენები უცვლელად მეორდება, მაგრამ ეს ზაფხულის მხოლოდ ერთი ნახევარია, ტომ.

- მეორე ნახევარი რაღაა?

- ის, რასაც წელს კი არა, სიცოცხლეში პირველად აკეთებ.

- მაგალითად, ზეთისხილი რომ გავსინჯე?

- უფრო მნიშვნელოვან რამეებს ვგულისხმობ. მაგალითად, როცა აღმოაჩენ, რომ პაპამ და მამამ შეიძლება მსოფლიოში სულმთლად ყველაფერი არ იცოდნენ.

- როგორ არა! სუულ ყველაფერი იციან, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს!

- ტომ, ნუ მეკამათები. ეს უკვე ჩანიშნული მაქვს „აღმოჩენებისა და გამოცხადებების“ განაყოფში. სულ ყველაფერი არ სცოდნიათ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ყოფილა დანაშაული. ესეც აღმოვაჩინე.

- კიდევ რა სიგიჟე გაქვს მანდ ჩანიშნული?

- ის, რომ ცოცხალი ვარ.

- ეგ ხომ უკვე ძველია!

- ის, რომ ამაზე ვფიქრობ, ამას ვაცნობიერებ, ახალია, რაღაც-რაღაცებს ისე ვაკეთებთ, რომ ვერც კი ვამჩნევთ. მერე კი უცებ შეხედავ და გაიაზრებ იმას, რაც ხდება, და ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ეს პირველად ხდებოდეს. ახლა ვაპირებ, ზაფხული ორ ნაწილად დავყო. ამ ბლოკნოტის

პირველი ნაწილის სათაურია„რიტუალები და ტრადიციები“: წლეულს პირველად როგორ მოვხარშეთ ლუდი; პირველად რომ გავირბინე ფეხშიშველამ ბალახზე; კინაღამ რომ დავიხრჩვი ტბაში ჭყუმპალაობისას, ესეც - წელს პირველად; მერე - პირველი საზამთრო; პირველი კოღოს ნაკბენი; ბაბუაწვერას პირველი მოსავალი. სულ ისეთი რამეებია, გამუდმებით რომ მეორდება, თან ამაზე არც კი ვფიქრობთ, აი, აქ კი, ბოლოში, როგორც გითხარი, მეორე ნაწილია: „აღმოჩენები და გამოცხადებები“, ან იქნებ „მიგნებები“ უკეთესი სიტყვა იყოს, ან სულაც „გასხივოსნებები“, ჰა, რას იტყვი? მოკლედ, სიტყვაზე: დაკავებული ხარ რაიმე ძველი, კარგად ნაცნობი საქმით, თუნდაც ბაბუაწვერას ღვინის მოხუფვით, ამას, ცხადია, „რიტუალებსა და ტრადიციებში“ შეიტან, მერე კი ჩაუფიქრდები ამ საქმიანობას და, აი, რაც ამ დროს თავში მოგივა, რაგინდ გიჟური აზრი იყოს, უკვე „აღმოჩენებსა და გამოცხადებებში“ ჩაინიშნავ. აი, ღვინის შესახებ რა ჩავწერე: „ყოველი ახალი ბოთლის მოხუფვისას 1928 წლის კიდევ ერთ დიდ ულუფას ინახავ საიმედოდ, მომავლისათვის იმარაგებ“. როგორ მოგწონს, ტომ?

- ერთი კილომეტრით უკან ჩამოვრჩი იმას, რისი თქმაც გინდოდა.

- მოდი, სხვას წაგიკითხავ. წინ, „ტრადიციებში“, მიწერია: „1928 წლის ზაფხულში პირველად წავიჩხუბეთ და მამამ პირველად გამტყიპა. 24 ივნისის დილა“. „გამოცხადებებში“ კი ჩავწერე: „უფროსებისა და ბავშვების უთანხმოების მიზეზი მუდამ ის არის, რომ ისინი განსხვავებულ რასებს მიეკუთვნებიან. შეხედეთ მათ: ისინი ყველაფრით განსხვავდებიან ჩვენგან. მერე შემოგვხედეთ ჩვენ: მათ არაფერში ვგავართ. ორი სხვადასხვა მოდგმაა და ის ვერასოდეს გახდება ერთი“. კარგად შეიგნე, ტომ!

- დაგ, ათიანში გაარტყი! ზუსტია! ამიტომაც გვიჭირს დედასა და მამასთან საერთო ენის გამონახვა. დილიდან ღამემდე სულ პრობლემაა! ბიჭო, შენ გენიოსი ხარ!

- თუ ამ სამ თვეში შენიშნავ, რომ რაღაც მოვლენა მეორდება, მითხარი, კარგი? მერე ჩაუფიქრდი ამ მოვლენას და ესეც მითხარი. შრომის[10] დღეს ზაფხულის შედეგები შევაჯამოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა!

- ახლავე შემიძლია ერთი სტატისტიკური მონაცემი გითხრა. ფანქარი მოიმარჯვე, დაგ. მსოფლიოში ხუთი მილიარდი ხეა. დათვლილი მაქვს. თითოეულ ხეს საკუთარი ჩრდილი აქვს, ხომ ასეა? ესე იგი, საიდან ჩნდება ღამე? ახლავე გეტყვი: ხუთი მილიარდი ხის ძირიდან გამოცოცდებიან ჩრდილები! წარმოიდგინე! ჩრდილები ჰაერში ირევიან და ჰაერს ამღვრევენ.

*10 შრომის დღე - აშშ-ში დღესასწაულობენ სექტემბრის პირველ ორშაბათს.*

რამენაირად რომ მოვახერხოთ და ეს წყეული ხუთი მილიარდი ჩრდილი თავ-თავიანთ ხეებქვეშ დავაკავოთ, მაშინ შეგვეძლება ნახევარი ღამე ფეხზე გავატაროთ, დაგ, იმიტომ, რომ მაშინ საერთოდ არ დაღამდება! აი, ხომ ხედავ: ძველიცაა და თან ახალიც.

- ჰო, მართალი ხარ, თან ძველია, თან ახალი, - დაგლასმა ენა აუსვა „ტი-კონდეროგას“ ყვითელი ფანქრის წვერს, გაგიჟებით უყვარდა ამ ფირმის და-სახელება.

- აბა, თავიდან გამიმეორე!

- ხუთ მილიარდ ხეს თითო ჩრდილი აქვს...

* * *

დიახ, ზაფხული ტრადიციებისაგან შედგებოდა. თითოეულს საკუთარი დრო და ადგილი ჰქონდა. აი, ჩაიარეს ლიმონათისა და ცივი ჩაის დამზადე-ბის, ღვინის, ფეხსაცმლის თუ ფეხშიშველ ა სირბილის ადათ-წესებმა და სახლის წინ, ვერანდაზე, საქანელას ჩამოკიდების ადათიც მშვიდი ღირსე-ბით მიჰყვა სხვებს.

ზაფხულის მესამე დღის ნაშუადღევს პაპა გამოჩნდა სახლის კარში და პირქუშად ახედა ვერანდის ჭერში გაყრილი ორი რგოლის უსინათლო თვალებს. შემდეგ ბალბების მწკრივით მორთული მოაჯირისაკენ გაემარ-თა, აქაბივით[11] შეათვალიერა მშვიდი დღე და კრიალა ცა, შემდეგ ნერწყვით დასველებული თითის წვერით ქარის მიმართულება შეამოწმა, ქურთუკი გა-იხადა და სახელოები დასავლეთის ქარს შეუშვირა. სალმით უპასუხა სხვა კაპიტნების შეგებებას, მასავით რომ გამოსულიყვნენ ყვავილებიან პარმა-ღებზე და მიდამოს ტალღების მშვიდი რხევით მონუსხულები, ყურს აღარ უგდებდნენ ვერანდის ფარდის უკან ფინია ძაღლებივით მოწკავწკავე ცო-ლებს.

- კარგი, დაგლას, მოდი, ჩამოვკიდოთ.

გარაჟიდან გამოიტანეს დამტვერილ ბრეზენტში გახვეული საქანელა, ზაფხულის საღამოთა მშვიდი დღესასწაულების განუყრელი მონაწილე, რომელიც პაპამ ვერანდის ჭერში გაყრილ რგოლებზე ჯაჭვებით ჩამოკიდა.

დაგლასი მსუბუქი იყო და პირველი მოკალათდა სავარძელში. წუთიც და, პაპა მთელი თავისი პატრიარქალური სიმძიმით ფრთხილად დაჯდა ბიჭის

---

*[11] აქაბი - იგულისხმება კაპიტანი აქაბი, ამერიკელი კლასიკოსი მწერლის, ჰერმან მე-ლვილის (1819-1891) რომან „მობი დიკის“ ჰერონაჟი.*

გვერდით. ისხდნენ, ერთმანეთს უღიმოდნენ და თავს უკრავდნენ, თან მსუბუქად ირწეოდნენ, წინ და უკან, წინ და უკან.

ათი წუთის შემდეგ ვერანდაზე გამოჩნდა ბებო ვედროთი და ცოცხით ხელში და ცოტა ხანში ფიცრული იატაკი ერთნაირად ალაპლაპდა. ოთახებიდან გამოიტანეს სკამები, სარწეველები და შეზლონგები.

- მიყვარს გარეთ ჯდომა ზაფხულის პირველ დღეებში, - თქვა პაპამ, - ვიდრე კოღოები მომრავლდებიან.

საღამოს შვიდი საათისათვის სასადილო ოთახის ფანჯარას გარედან თუ მიადგებოდით, გაიგონებდით, ყველა სკამი ჭრიალით როგორ სცილდებოდა მაგიდას და ვიღაც როგორ აწყობდა მელოდიას ძველ ფორტეპიანოზე. ტაფები ჟღარუნით ეხლებოდა ჯერ სამზარეულოს ნიჟარის ფსკერს, შემდეგ კი - კედელს. საიდანღაც ფირსაკრავის ჩუმი ხმა მოცურავდა, ხოლომოგვიანებით საღამოს ბინდში ჩაფლულ ქუჩაზე, გოლიათი მუხებისა და თელების ძირში ჩამწკრივებულ ვერანდებზე, თანდათან, საათიდან გამოსული მექანიკური ფიგურებივით ჩნდებოდნენ ადამიანები.

ესენი იყვნენ ძია ბერტი, ზოგჯერ პაპაც, შემდეგ - მამა და რომელიმე ბიძაშვილი; მამაკაცები მუდამ პირველები გამოეფინებოდნენ საღამოს ბლანტ სივრცეში, მათ ზურგს უკან, უკვე შეგრილებულ სამზარეულოებში, თავიანთი სამყაროს მოწესრიგებით დაკავებული ქალების ხმები ჟღერდა. საერთო ხმაურს მამაკაცების ხმებიც უერთდებოდა, ვერანდის ნაპირზე რამდენიმე წყვილი ტერფი გამოჩნდებოდა, რიკულებიანი ხის მოაჯირები ბიჭებით დაიხუნძლებოდა და დროდადრო, საღამოს განმავლობაში, რაიმე - ბიჭი ან ბალბიანი ქოთანი - აივნიდან მიწაზე მოადენდა ხოლმე ზღართანს.

ბოლოს, როგორც იქნა, კარის ჭრილში ლანდებივით უხმოდ გამოჩნდებოდნენ ბებო, დიდი ბებია, დედა, მამაკაცები წამოიშლებოდნენ, გაიწევ-გამოიწევდნენ და მათ სკამებს დაუთმობდნენ. ქალებს თან ნაირ-ნაირი დასანიავებელი საშუალება გამოჰქონდათ: დურბინდად დახვეული გაზეთები, ჩალის დაწნული მარაოები, სუნამოდაპკურებული ცხვირსახოცები, რათა საუბრისას თავიანთი სახეების ირგვლივ სიო აემოძრავებინათ.

მეორე დღეს აღარავის ახსენდებოდა, თუ რაზე ბაასობდნენ მთელი საღამო. უფროსების საუბრის თემას საერთოდ არავისთვის ჰქონდა მნიშვნელობა; მთავარი თვით ბგერები იყო, ვერანდის სამი მხრიდან შემოვლებული მსუბუქი ჯებირებიდან გარეთ რომ იღვრებოდა; მთავარი წყვდიადი იყო, ზეციდან ჩამომდინარე შავი წყალივით რომ ტბორავდა ქალაქს; კიდევ - სიგარეტის კვამლი და ის, რომ საუბარი უსასრულოდ გრძელდებოდა.

ქალების ტარტალი ეზოში ღრუბლებად ჩამოკიდებულ კოღოების გუნდებს აფრთხობდა, მამაკაცთა ხმები კი ბებერი სახლის ძვალ-რბილში ატანდა; თვალებს თუ მოხუჭავდი და თავს იატაკის ფიცრებს დაადებდი, ეს ხმები შორეული ბრძოლის ყრუ, გაბმულ გუგუნად ჩაგესმებოდა.

დაგლასი ნებიერად გაწვა აივნის მშრალ, გლუვ ფიცრებზე, ეს უსასრულო ხმები ამშვიდებდა, ტალღებივით ჩურჩულით ევლებოდა მის სხეულს, დახუჭულ თვალებს, გაბრუებულ ყურთასმენას, და ასე გაგრძელდებოდა უკუნითი უკუნისამდე. საქანელა-სკამები კალიებივით იჭრიალებდნენ, კალიები საქანელებივით იჭრიჭინებდნენ, წვიმის წყლის დახავსებული კასრი კოღოების ახალ-ახალ თაობებს მოავლენდა ამ ქვეყანაზე, რათა საუბრის თემა არასოდეს დაშრეტილიყო.

ზაფხულის ღამით ვერანდაზე ჯდომა ისეთი შვებისა და სილაღის მომგვრელი იყო, რომ ამ ტრადიციას აშკარად არასოდეს მიივიწყებდნენ. მუდამ ასევე იბოლებდა ჩიბუხები, მკრთალი ხელები ბინდში საქსოვ ჩხირებს აამოძრავებდნენ, ვერცხლის ქაღალდში გახვეული ნაყინი „ესკიმო“ ყელებს ჩაუგრილებდათ და არც ხალხის მიმოსვლა შეწყდებოდა ოდესმე, რადგან გვიან ღამემდე აქ ყველა ასწრებდა სტუმრობას; მოდიოდნენ ქუჩის მეორე ბოლოს მცხოვრებნი და კარის მეზობლები; მის ფერნი და მის რობერტაც შემოიქროლებდნენ თავიანთი ელექტრომანქანის ზუზუნით, ტომსა და დაგლასს კვარტალის გარშემო გაასეირნებდნენ, შემდეგ აივანზე ჩამოსხდებოდნენ და მარაოებით გაიგრილებდნენ ალეწილ ღაწვებს; ანდა მისტერ ჯონასი, მეძველმანე, ცხენსა და ორთვალას ხეივნის ბოლოში დატოვებდა და, მწიფე სიტყვებით დახუნძლული, ისე გაბადრული ამოივლიდა აივნის კიბეს, თითქოს ის, რის თქმასაც აპირებდა, ჯერ არასოდეს ეთქვას. და, მართლაც, მისი ერთი და იგივე სათქმელი როგორღაც მუდამ ახლებურად ჟღერდა. ბოლოს კი, უკანასკნელი დამალობანას თუ ბურთის თამაშის ლაბირინთიდან თავდაღწეული ბავშვები გამოჩნდებოდნენ: აქოშინებულნი და გახურებულნი, ბუმერანგებივით ჩუმი სისინით დაუბრუნდებოდნენ მთვლემარე ბაღებს, მოგროვდებოდნენ აივანზე და უსასრულო საუბრის ტბორში ჩაძირულნი, თანდათან მშვიდდებოდნენ...

ო, რა ნეტარება იყო ასე წოლა გვიმრითა და ბალახით დაბურულ ღამეში, ვიდრე მოჩურჩულე ხმებით ნელა იქსოვებოდა წყვდიადის ფარდაგი. უფროსებს მისი აქ ყოფნა კიდეც ავიწყდებოდათ, იმდენად უხმოდ იწვა ხოლმე დაგლასი, და ისიც ყურს უგდებდა საკუთარი და სხვისი მომავლის მათ მიერ დაწყობილ გეგმებს. საუბარი სიგარეტის კვამლის მსუბუქ, მთვარით განათებულ ქულებზე მიირწეოდა, შორს კი, ქუჩაში, რძისფერი ფარვანები

გაცოცხლებული ვაშლის ყვავილებივით მსუბუქად ეხლებოდნენ ლამპიონების მინებს. და საუბარი დროის ზანტ დინებას მიუყვებოდა მომავლისაკენ...

* * *

იმ საღამოს სიგარების მაღაზიის წინ შეკრებილ მამაკაცებს ყურადღება აფეთქებული დირიჟაბლების, ჩაძირული სამხედრო გემებისა და დინამიტისკენ მიეპყროთ, უპირველეს ყოვლისა კი აქ ფაიფურის მუნდშტუკში მომწყვდეული იმ ბაქტერიის შესასრუტად მოსულიყვნენ, ოდესმე სასიკვდილოდ რომ გაუყინავდათ ბაგეს. მომაკვდინებელი კვამლის ღრუბლები მჭიდროვდებოდა და კვლავ იფანტებოდა ერთი მამაკაცის ფიგურის გარშემო, იქვე რომ იდგა და სხვების საუბარში წერაქვ-ნიჩბების კაკუნი და ყრუ ჩურჩული რომ ჩაესმოდა: „მიწა ხარ და მიწად იქეც...“ ეს ქალაქის იუველირი, ლეო აუფმანი გახლდათ. ერთხანს დიდრონი, მუქი, წყლიანი თვალებით აშტერდებოდა მწეველ ჯგუფს, ბოლოს ბავშვური ხელები ცისკენ აღაპყრო და აღშფოთებით წამოიძახა:

- შეჩერდით! ღვთის გულისათვის, მოშორდით მაგ სასაფლაოს!

- ლეო, სავსებით მართალი ხარ, - გამოეხმაურა პაპა სპოლდინგი, სწორედ ამ დროს ძილისპირული სეირნობის შემდეგ რომ ჩამოიარა დაგლასსა და ტომთან ერთად, - ამ საბედისწერო მოლაყბეებს მხოლოდ შენ თუ შეაჩერებ, ლეო. გამოიგონე ისეთი რამ, მომავალს კაშკაშა ფერები, დასრულებული სიმრგვალე და უსასრულო სიხალისე რომ შესძინოს. ხომ უკვე გამოიგონე ამდენი ველოსიპედი, შეაკეთე ამდენი ატრაქციონი, ქალაქის კინოთეატრიც ხომ პირველად შენ აამუშავე!

- მართლა, - აჰყვა დაგლასი, - გამოიგონეთ ბედნიერების მანქანა!

მამაკაცებს სიცილი აუტყდათ.

- სულ ტყუილად იცინით, - მიუბრუნდა მათ ლეო აუფმანი, - აქამდე ხომ მანქანებს მუდამ ადამიანების გასანადგურებლად ვიყენებდით! მართალია! რამდენჯერაც გავიფიქრებთ, რომ ადამიანი და მანქანა მშვენივრად უგებენ ერთმანეთს, იმდენჯერ - ბრახ! და ერთი ზედმეტი კბილანის გამო თვითმფრინავები ყუმბარებს გვესვრიან, ავტომანქანები კი კლდიდან უფსკრულში გვჩეხენ. განა ბიჭის თხოვნა სავსებით გამართლებული არ არის? დიახაც, რომ არის!

ლეო აუფმანი დადუმდა და ქუჩის პირას მიყუდებულ თავის ველოსიპედს როგორც დიდ შინაურ ცხოველს, ისე შეახო ხელი.

- ბოლოს და ბოლოს, რას ვკარგავ? - თავისთვის ჩაიბურტყუნა, - ხელისგულებზე გადატყავებულ კანს, ცოტაოდენ ლითონს, ორიოდ საათის ძილს. აი, ნახავთ, თუ არ გავაკეთებ!

- ლეო! - მიაძახა შეძრწუნებულმა პაპამ, - მართლა კი არ...

მაგრამ ლეო უკვე ატრიალებდა პედლებს ზაფხულის თბილ ბინდში, შორიდან კიდევ მოაწვდინა ხმა:

- გავაკეთებ...

- იცი, - ჩაილაპარაკა მონუსხულმა ტომმა, - მოდი, ნაძლევი: გააკეთებს.

* * *

ლეო აუფმანი მსუბუქად ატრიალებდა პედლებს. ეტყობოდა, სიამოვნებით მიქროდა აგურით მოკირწყლულ ქუჩებზე, რომლებსაც უკვე ეფინებოდა საღამოს ჩრდილი. სიამოვნებდა, ღუმლის სუნთქვასავით გავარვარებული ქარი ნარშავას თავებს რომ აწრიალებდა და წვიმისაგან ალაპლაპებულ ბოძებზე გაჭიმულ ელექტროსადენებს ასისინებდა. ეს კაცი უძილო ღამეებში მშვიდად, ხალისით აკვირდებოდა სამყაროს ვეება საათის მოძრაობას, რომელიც, ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლებოდა მწყობრიდან გამოსულიყო. მრავალი ღამის განმავლობაში მის წიკწიკს ხან იმედით, ხან უიმედოდ აყურადებდა.

პედლების ტრიალში გართული ფიქრობდა: მაინც რა განცდებს გვანიჭებს სიცოცხლე? დაბადება, ახალგაზრდობა, სიბერე, სიკვდილი. პირველს ბევრს კი ვერაფერს მოუხერხებ, მაგრამ დანარჩენ სამს?

ბედნიერების მანქანა ოქროს ბორბალივით უტრიალებდა თავში და მის ქერქქვეშ ყველა მიმართულებით აფენდა ნათელს...

ისეთი მანქანა იქნება, ბიჭებს ატმის ღინღლი ასკილისეკლებიან სიმკვრივედ რომ გარდაუქმნას, გოგონებში კი შხამასოკოს სიფითრე ვაშლის სიგლუვედ აქციოს. და წლების შემდეგ, როდესაც შენი აჩრდილი ბრტყლად გაწვება მიწაზე და თავადაც საწოლზე გაირთხმება აჩქროლებული გულისცემით, ეს მანქანა ფოთოლცვენის მშვიდი შრიალით ისე მიგაძინებს, როგორც პატარა ბიჭს, მშრალი ნეშოს გროვაში მყუდროდ ჩაფლული ნეტარად რომ ეზიარება კვდომის საერთო ნადიმს...

- მამიკო!

ექვსი შვილი, საული, მარშალი, ჯოზეფი, რებეკა, რუთი, ნოომი, ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ასაკისა, სირბილით გამოეგება ბაღის ბილიკზე, ყველას ერთდროულად უნდოდა მისთვის ველოსიპედის ჩამორთმევა.

- გელოდებოდით! ნაყინი გვაქვს!

სახლისკენ მიმავალი ბინდში გრძნობდა პარმაღზე მდგარი ცოლის ღიმილს.

ხუთი წუთი ჭამის ნეტარმა დუმილმა დაიკავა. ამის შემდეგ ქმარმა მთვარისფერი ნაყინით სავსე კოვზი პირთან გაიჩერა და ისე შეხედა, თითქოს მისი გემო მთელი სამყაროს საიდუმლოს შეიცავდა, მერე კი ფრთხილად წარმოთქვა:

- ლინა, რას იტყვი, ბედნიერების მანქანა რომ გამოვიგონო?

- რა იყო, მოხდა რამე? - შეშფოთდა ცოლი.

* * *

პაპა დაგლასსა და ტომთან ერთად შინ ბრუნდებოდა. შუა გზაზე ჩარლი ვუდმენმა, ჯონ ჰაფმა და სხვა ბიჭებმა მეტეორების გუნდივით ჩაუქროლეს ისეთი შემართებითა და სერიოზულობით, რომ დაგლასი პაპასა და ტომს მოსწყვიტეს და თან წაიყოლიეს, ხევისკენ.

- შორს არ წახვიდე, შვილო!

- ჰო, კარგი... კარგი.

ბიჭებმა წყვდიადში ჩაყვინთეს.

არც ტომს, არც პაპას მთელი დარჩენილი გზის მანძილზე ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ სახლისკენ რომ გადაუხვიეს, ტომმა ძლივძლივობით ამოთქვა:

- აუ, რა მაგარი იქნება ბედნიერების მანქანა!

- ხვნეშას მოეშვი, - უთხრა პაპამ.

სასამართლოს შენობიდან რვაჯერ ჩამორეკა საათმა.

სასამართლოს შენობის საათმა ცხრაჯერ ჩამორეკა. უკვე მართლაც ღამდებოდა ამ პატარა ქუჩაზე, პატარა ქალაქში, დიდ შტატში, უზარმაზარ კონტინენტზე, პლანეტა დედამიწაზე, უსასრულო კოსმოსურ სივრცეში არარასკენ ან იქნებ რაღაც მიზნისკენ რომ მიექანებოდა, და ტომიც ამ უსასრულო ვარდნის ყოველ კილომეტრს შეიგრძნობდა. ის შემოსასვლელი კარის ბადეში გადაჰყურებდა ამ მქროლავ სიბნელეს, უცოდველი იერით თავს რომ იკატუნებდა, აქაოდა, უძრავად ვარო. თვალებს თუ მოხუჭავდი და წამოწვებოდი, მაშინღა გრძნობდი შენი საწოლის ქვეშ სამყაროს ტრიალს, მისი შავი ტალღები ყურებში ჩაგეღვრებოდა და არარსებულ კლდეებს მიეხლებოდა.

წვიმის სუნი იდგა. დედა აუთოებდა: ტომის ზურგს უკან იდგა, მშრალ, ხრაშუნა ტანისამოსს კეტჩუპის ხუფდასვრეტილი ბოთლით აპკურებდა წყალს.

კვარტალის ბოლოს ერთადერთი მაღაზია რჩებოდა ღია - მისის სინგერის.

ბოლოს, მაღაზიის დაკეტვამდე ზუსტად ერთი-ორი წუთით ადრე, დედამ საქმე გადადო და ტომს დააბარა, გაიქეცი და ერთი პინტა ნაყინი იყიდე, თან მისის სინგერსშეახსენე, კარგად შეფუთოსო.

ბიჭმა ჰკითხა, თუ შეიძლება თავზე ერთი კოვზი შოკოლადის ნაყინი დავადებინო, ვანილისა არ მიყვარსო. დედამ ნება დართო. ბიჭმა ფული მაგრად ჩაბღუჯა და ფეხშიშველა გაიქცა მაღაზიისაკენ, ვაშლისა და მუხის ხეების ძირას დაგებულ თბილ ქვაფენილზე. ქალაქი განაბულიყო, თითქოს ვიღაცას უსაფრდებაო, და მხოლოდ ჭრიჭინები ხმიანებდნენ იმ ინდიგოსფერი ხეების ქვეშ, თავიანთ მხურვალე ფოთლებში ვარსკვლავებს რომ მალავდნენ.

შიშველი ტერფების ტყაპატყუპით გადაირბინა ქუჩა და მაღაზიაში მისის სინგერს შეეფეთა, ებრაული მელოდიების ღიღინით ზანტად რომ მიმოდიოდა.

- ერთი პინტა ნაყინი? - გაიმეორა ქალმა, - შოკოლადი ზევიდან? კი, ბატონო!

ბიჭი თვალს ადევნებდა იმას, თუ როგორ ახადა ქალმა ლითონის ხუფი დიდ სანაყინე კასრს და მრგვალი კოვზით მჭიდროდ გაავსო მუყაოს ყუთი ცარცისფერი მასით, შოკოლადის ბურთულა კი თავზე დაადო. ბიჭმა ფული გაუწოდა და ცივი მასა გამოართვა. ტყაპატყუპითვე გავარდა შინ, თან ყინულოვან ყუთს საფეთქელსა და ლოყაზე ისვამდა და ეცინებოდა. მის ზურგს უკან პატარა მაღაზიის ეული შუქი ჩაქრა და მხოლოდღა ქუჩის ფარანიღა ანათებდა შენობის კუთხეს. ქალაქი თითქმის ძილმა მოიცვა.

ბადიანი კარი რომ გააღო, დედა ისევ საუთოო მაგიდასთან დახვდა. აფორიაქებული და შეწუხებული ჩანდა, მაგრამ მაინც გაუღიმა.

- მამა როდის დაბრუნდება სხდომიდან? - შეეკითხა ბიჭი.

- თერთმეტისთვის ან თორმეტის ნახევრისთვის, - უპასუხა დედამ. ნაყინი სამზარეულოში შეიტანა, გაანაწილა. შვილს შოკოლადის მოზრდილი ულუფა დაუდო. ცოტაოდენი თავისთვის გადაიღო, დანარჩენი გადაინახა „დაგლასისთვის და მამასთვის, როცა შინ დაბრუნდებიან“.

ზაფხულის ღამის უძირო სიმშვიდეში გახვეულები ისხდნენ და ნაყინს აგემოვნებდნენ. მხოლოდ დედა და ბიჭი იყვნენ, პატარა ქუჩაზე, პატარა

სახლში, რომელსაც ყოველი მხრიდან ღამე შემოხვეოდა. ბიჭი კოვზს ყოველ ჯერზე გულდაგულ ლოკავდა, ვიდრე ტკბილ მასაში ხელახლა ამოუსვამდა. დედამ კი საუთოო მაგიდა აალაგა და უთო გასაგრილებლად ჩადგა მისთვის განკუთვნილ ღია სათავსში. ახლა ფირსაკრავის გვერდით სავარძელში იჯდა, თავის წილ დესერტს შეექცეოდა და აუჩქარებლად ამბობდა:

- ღმერთო, რა ცხელი დღე იყო. დედამიწა მთელ სიმხურვალეს ისრუტავს, ღამით კი ისევ უშვებს. ამ ჩახუთულ ჰაერში რა დაგვაძინებს!

ორივენი ისხდნენ და კარ-ფანჯრების წინ ჩამოწოლილ ღამეს უსმენდნენ სრულ სიჩუმეში და ეს იმიტომ, რომ რადიოს ელემენტი დაუჯდა, და კიდევ იმიტომ, რომ დღეს უკვე დაუკრეს ნიკერბოკერის კვარტეტის ყველა ფირფიტა; ელ ჯოლსონისა და „ორი შავი ყვავის“ ფირფიტებიც იქვე ეწყო, გაცვეთილ-დაქანცული. ასე რომ, ტომი ხის იატაკზე იჯდა, ბნელ სივრცეს გაჰყურებდა და კარის ბადეზე ცხვირი იმდენ ხანს აჭყლიტა, ვიდრე ცხვირის წვერი ციცქნა, კვადრატული ანაბეჭდით არ დაეფარა.

- ნეტავ დაგი სად არის? თითქმის ათის ნახევარია.

- მოვა, - დარწმუნებით უპასუხა ტომმა.

ჭურჭლის დასარეცხად გასულ დედას უკან გაჰყვა. ცხელი ღამის სიჩუმე კოვზის თუ ფიალის ყოველ წკრიალს აასმაგებდა, უსიტყვოდ შებრუნდნენ სასტუმრო ოთახში, ტახტიდან ბალიშები აალაგეს და ერთად გაშალეს ორსაწოლიანი ლოგინი, რომელსაც ტახტი მთელი დღის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდა საკუთარ წიაღში. დედამ საწოლს თეთრეული გადააფარა და ბალიშები მოხდენილად მიაწყო სასთუმალთან. ბიჭი უკვე პერანგის ღილების შეხსნას იწყებდა, როდესაც დედამ უეცრად შეაჩერა:

- ცოტა ხანს მოიცადე, ტომ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ასეა საჭირო.

- რა უცნაური სახე გაქვს, დე!

დედა წამით ჩამოჯდა, მერე ადგა, კარში გაიხედა და დაიძახა. ბიჭი დიდხანს უგდებდა ყურს მის გაბმულ ძახილს.

- დაგლას, დაგლას, ოჰ, დაგ! დაااااგლااااას! - ძახილი თბილ წყვდიადში იფანტებოდა და უკან აღარ ბრუნდებოდა. ექო მას ყურადღებას არ აქცევდა.

დაგლას. დაგლას. დაგლას.

დაგლას!

და იატაკზე ჩამომჯდარ ტომს სხეულში ისეთმა სიცივემ დაუარა, არც ნაყინს და არც ზამთარს რომ არ უკავშირდებოდა და ზაფხულის სიცხის ნაწილი ხომ არა და არ იყო. შენიშნა, დედას რა უცნაურად უბზინავდა და

აქეთ-იქით მიმოურბოდა თვალები; რა გზააბნეული და შეშფოთებული ჩანდა.

ეს ყველაფერი ერთბაშად დაინახა.

დედამ კვლავ დაიძახა.

დუმილი.

კიდევ ორჯერ დაიძახა.

ტომი გატრუნული იჯდა ოთახში. ყოველ წამს შეიძლებოდა, გრძელი, ვიწრო ქუჩის ბოლოდან დაგლასი გამოხმაურებოდა ძახილს:

- ჰო, დედა! აქა ვარ, მოვდივარ, დე!

მაგრამ ის არ გამოხმაურებია. ორი წუთის განმავლობაში ტომი აშტერდებოდა გაშლილ ლოგინს, მდუმარე რადიოსა და ფირსაკრავს, მქრქალ, მრგვალპლაფონებიან ჭაღს, წითელი და ღვინისფერი ჩუქურთმებით გაწყობილ ხალიჩას. ფეხი განგებ ჰკრა საწოლის კიდეს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ტკივილს იგრძნობდა. მართლაც, ეტკინა.

ბადიანი კარი კივილით გაიღო და დედამ ტომს უთხრა, წამოდი, ტომ, გავიაროთო.

- საით?

- კვარტალის ბოლომდე. წამო.

ტომმა დედას ჩასჭიდა ხელი. ერთად გაუყვნენ სენტ-ჯეიმზის ქუჩას. მათ ფეხქვეშ ქვაფენილი ჯერაც თბილი იყო, ჭრიჭინების ხმა ჩამოწოლილ წყვდიადში კიდევ უფრო მძლავრად ჟღერდა. კუთხეს შემოუარეს და დასავლეთისკენ, ხევისკენ გაემართნენ.

სადღაც შორს მანქანის შუქმა გაიელვა. სიცოცხლის, სინათლის თუ მოძრაობის სხვა არანაირი ნიშანწყალი არ იყო არსად. მათ ზურგს უკან, აქა-იქ, კიდევ რჩებოდა მკრთალი სინათლის კვადრატები - იქ, სადაც ადამიანები ჯერაც არ დაწოლილიყვნენ, მაგრამ სახლების უმრავლესობას წყვდიადში ჩაფლულს ეძინა. ზოგიერთი სახლის ბინადრები კი ვერანდაზე ჩამომსხდარიყვნენ და ღამეულ საუბარში გართულებს სინათლე არ სჭირდებოდათ. გვერდით თუ ჩაუვლიდი, მხოლოდ საქანელას ჭრიალი შემოგესმებოდა.

- მამაშენი მაინც ყოფილიყო შინ, - ჩაილაპარაკა დედამ. ფართო ხელისგული ბიჭის პატარა ხელს შემოხვია და მაგრად მოუჭირა, - აი, ნახავ, რას ვუზამ იმ ბიჭს! მარტოხელა ისევ თარეშობს. გამვლელებს ხოცავს. ღამით ვერავის გაუვლია მშვიდად. არავინ იცის, სად და როდის გამოჩნდება მარტოხელა. შინ რომ მოვბრუნდებით, ნახე, დაგლასს ტყავი თუ არ გავაძრო!

კიდევ ერთი კვარტალიც გაიარეს და გერმანული ბაპტისტური ეკლესიის ბნელი და გოროზი სილუეტის გვერდით აღმოჩნდნენ, ჩეპელ-სტრიტისა და

გლენ-როკის კუთხეში. ეკლესიის უკან, ასიოდე მეტრში, ხევი იწყებოდა. მისი სუნთქვა აქამდეც კი აღწევდა. ეს საკანალიზაციო მილისა და ნეშომპალას მძიმე, ბნელი, სიმწვანის სუნი იყო. ეს ფართო ხევი, კლაკნილ ნაპრალად რომ სერავდა ქალაქს, დღისით ნამდვილი ჯუნგლი იყო, ღამით კი, როგორც დედა ხშირად იტყოდა ხოლმე, მარტოკაცისთვის მეტად საშიში ადგილი გახლდათ.

წესით, გერმანული ბაპტისტური ეკლესიის სიახლოვეს ბიჭი ცოტათი მაინც უნდა გაემხნევებინა, მაგრამ ეკლესია ჩაბნელებული და გაყინული იდგა, ის ახლა უფსკრულის ზღვარზე ლოდების მკვდარ, უმიზნო გროვად აღმართულიყო.

ათი წლის ბიჭმა სიკვდილის, შიშის, ძრწოლის შესახებ ცოტა რამ თუ იცოდა. სიკვდილი ექვსი წლისამ გაიცნო, როდესაც დიდი პაპა გარდაიცვალა. ის კუბოში ცვილის ქანდაკებას ჰგავდა. იწვა ასე, აბჯარასხმული დაცემული სვავივით, მდუმარე, ყველაფრისაგან განრიდებული, ახლა უკვე აღარასოდეს ეტყოდა, კარგად მოიქეციო, აღარც რომელიმე პოლიტიკური მოვლენის თაობაზე წამოისვრიდა მოკლე, ბასრ ფრაზას. სიკვდილი მისი პატარა დაიკო იყო, როდესაც შვიდი წლისამ ერთ დილას მის აკვანში ჩაიხედა და მისი ცისფერი, გაშტერებული თვალების უძრავ, უსინათლო, გაყინულ მზერას შეეჩეხა, მერე უცხო ადამიანები მოვიდნენ, პატარა კალათში ჩააწვინეს და წაიყვანეს. ისიც სიკვდილი იყო, როდესაც ოთხი კვირის შემდეგ ბავშვის მაღალი სკამის წინ მდგარმა ერთბაშად გაიაზრა, რომ ის აღარასოდეს იჯდებოდა ამ სკამში, აღარ გაუცინებდა, აღარ ატირდებოდა, თავისი არსებობით ტომს ეჭვიანობის განცდას აღარ აღუძრავდა. აი, რა იყო სიკვდილი! სიკვდილი იყო მარტოხელა მკვლელი, ყველასათვის უჩინარი, მუდამ ხეებსა და ბუჩქებს ამოფარებული, სადღაც შორ მიდამოში ჩასაფრებული, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც რომ ესტუმრებოდა ამ ქალაქსა და მის ქუჩებს, ბნელ კუნჭულებს, რათა ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამი ქალი გამოესალმებინა სიცოცხლეს.

ეს იყო სიკვდილი!

მაგრამ ახლა ბიჭი სიკვდილზე რაღაც ბევრად ძლიერს შეიგრძნობდა. თვალუწვდენი სიმაღლიდან ჩამომზირალი ვარსკვლავების ქვეშ გაწოლილიყო ზაფხულის ღამე, საკუთარ თავში ყოველივეს რომ იტევდა, რისი შეგრძნებაც, დანახვაცა და გაგონებაც მოუწევდა სიცოცხლეში და ეს ყოველივე ერთბაშად მის წალეკვას ლამობდა.

ტროტუარიდან სარეველებით დაფარულ, დაღარულ ქვაფენილზე გადავიდნენ, კალიებმა კი ამასობაში დოლების გუნდი აახმოვანეს. ბიჭი

მორჩილად მიჰყვებოდა უშიშრად მიმავალ, ტანმაღალ დედას - სამყაროს დამცველს. ერთად მიადგნენ ცივილიზაციის დასალიერს და ზედ მის ზღვარზე შეჩერდნენ.

ხევი.

ერთბაშად მიხვდა, რომ აქ და ამ წამს, წყვდიადის ამ ტევრებში, ყოველივე ის გამოუცნობი სახლობდა, რასაც, იცოდა, ვერასოდეს ჩასწვდებოდა; ყველა უსახელო საგანი ხეების ამ შემჭიდროებულ ჩრდილსა და სიდამპლის სუნში შეფარულიყო.

ტომი და დედა სრულიად მარტონი იყვნენ.

უცბად იგრძნო, რომ დედას ხელი უკანკალებდა.

თრთოლა ბიჭსაც გადმოედო... კი მაგრამ, რატომ? განა დედა მასზე ბევრად უფროსი, ძლიერი და ჭკვიანი არ იყო? ნუთუ ისიც გრძნობდა ამ მოუხელთებელ საფრთხეს, იქ, ქვევით გართხმულ ამ ბოროტებას, წყვდიადიდან უხილავ საცეცებს რომ აცეცებდა? მაშ, როცა ვიზრდებით, არც მაშინ ვხდებით ყოვლისშემძლენი? ესე იგი, დიდობა არც ნუგეშია, არც თავშესაფარი? არც შუაღამის გულისმღრღნელი შემოტევისაგან დამცავი მედგარი ციხე? ეჭვმა წამიერად გაუელვა გონებაში. ნაყინმა წეღანდელზე მეტად ჩაუწვა ყელი, მუცელი, ხერხემალი და ყველა კიდური; სხეული უცბად შარშანდელი დეკემბრის ქარივით გაეთოშა.

მიხვდა: თურმე ყველა ასეა, თითოეული ადამიანი მარტოა საკუთარ თავთან. ერთიანი საზოგადოების ნაწილია, მაგრამ მაინც ნიადაგ შიშშია. აი, როგორც ახლა. რომ დაეყვირა, მიშველეთო, განა ეს რამეს შეცვლიდა?

სიბნელე უსწრაფესად მოვა და გადაგსანსლავს; ერთ უსაშველო, გამყინავ წამში ყველაფერი დასრულდება. დამთავრდება გათენებამდე დიდი ხნით ადრე, მანამ, ვიდრე პოლიცია მოაღწევს და პროჟექტორებით დასერავს წყვდიადს, ვიდრე აღელვებული ადამიანები დასახმარებლად მოირბენენ. ახლა მხოლოდ ხუთასი მეტრის იქით რომ იყვნენ და თუნდაც ნამდვილად იყოს საშველი, ბნელ მორევს სამი წამიც კი ეყოფა, რათა ამოიზვირთოს და მისი ათივე წელი სამუდამოდ წალეკოს. და მაშინ კი...

მარტოსულობის განცდამ დამანგრეველი დარტყმით შეუძრა ისედაც აცახცახებული სხეული. დედაც მარტო იყო. და ამ წუთში მას ვერც ქორწინების სიწმინდე დაიფარავდა, ვერც ოჯახის სიყვარული, ვერც შეერთებული შტატების კონსტიტუციის იმედი ექნებოდა და ვერც ქალაქის პოლიციისა. ამ წუთში საკუთარი გულის ამარა დარჩენილიყო და უმართავი მღელვარებისა და შიშის მეტი არაფერი გააჩნდა. ეს განმხოლოებული პრობლემა იყო და

საკუთარ, კონკრეტულ გადაწყვეტას საჭიროებდა. მომავალში ხომ ბიჭსაც მოუწევდა მარტოობას შეჰგუებოდა და დამოუკიდებლად ემოქმედა.

ნერწყვი ძლივძლივობით გადაყლაპა და დედას მიეკრა.

ღმერთო, გთხოვ, დედას ნუ მოკლავ, გაიფიქრა. ნურაფერს დაგვიშავებ. ერთ საათში მამა სხდომიდან დაბრუნდება და სახლი რომ ცარიელი დახვდეს...

დედა პირველყოფილი ჯუნგლით გარშემორტყმულ ბილიკს ჩაუყვა. ბიჭმა გაბედა და ამოილუღლუღა:

- დედა, დაგს არაფერი დაემართება! კარგად იქნება! ყველაფერი კარგად იქნება! დაგს არაფერი სჭირს!

დედას ხმა წვრილი და დაძაბული ეჩვენა.

- ყოველთვის ამ ბილიკით გადმოდის. სულ ვეუბნები, აქ ნუ გაივლი-მეთქი, მაგრამ ეს საძაგელი ბავშვები მაინც სულ აქ დარბიან. ერთ მშვენიერ საღამოსაც ჩავა და უკან აღარასოდეს ამოვა...

აღარასოდეს ამოვა.

ეს ყველაფერს შეიძლება ნიშნავდეს: მაწანწალებს, ბოროტმოქმედებს, სიბნელეს, უბედურ შემთხვევას. რაც მთავარია - სიკვდილს!

შენ მარტო ხარ სამყაროში!

მთელ მსოფლიოში მილიონობით ასეთივე პატარა ქალაქია. თითოეული ასევეა ჩაბნელებული, ასევეა მარტოსული, ასევე შორი, ასევე სავსე კრთომითა და ჭოჭმანით. პატარა ქალაქების მუსიკა მინორში აჟღერებულ ვიოლინოთა მკივანა ხმაა, არსად - სინათლე, ყველგან - ჩრდილები. ო, რა უსაზღვროა მათი სიმარტოვე. მათი ხევების სინოტივე - რა იდუმალი. ღამით მათი არსებობა კოშმარია, რადგან სიჯანსაღეს, ქორწინებას, ბავშვებს, ბედნიერებას ყოველი მხრიდან საზარელი ურჩხული ემუქრება: მას სიკვდილი ჰქვია!

დედამ ჩასძახა სიბნელეს:

- დაგ! დაგლას!

უცბად ორივემ გაიაზრა, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე.

კალიების ხმა აღარ ისმოდა.

დუმილი ყოვლისმომცველი გამხდარიყო.

ასეთი სრული სიჩუმე ცხოვრებაში არ განუცდია. მაინც რატომ დადუმდნენ კალიები? რატომ? რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ადრე არასოდეს დადუმებულან ასე. არასოდეს.

ესე იგი... ესე იგი.

რაღაც უნდა მომხდარიყო.

ხევი თითქოს თავის შავ, უხილავ თითებს ძაბავდა, მუჭად კრავდა, მძინარე მიდამოებიდან შორ მანძილზე იწოვდა ენერგიას. ნამიანი ტყეებიდან, ღარტაფებიდან და ბორცვების ტალღოვანი ზედაპირიდან, სადაც თავაწეული ძაღლები მთვარეს აჰყურებდნენ - ყველა კუნჭულიდან ერთი შუაგულისკენ დიდი სიჩუმე მოედინებოდა და ამ შუაგულს ტომი და დედამისი შეადგენდნენ. ათი წამიც და, რაღაც მოხდებოდა. კალიებს ისევ ისე შეეკრათ პირი, ვარსკვლავები გუნდ-გუნდად ეკიდა, ისე დაბლა, ბიჭს ეგონა, მათ ცხელ ქიმებს ხელს გაუსვამდა.

სიჩუმე მატულობდა. მატულობდა დაძაბულობაც. ო, რა ბნელში იდგნენ, რა შორს იყვნენ ყველაფრისაგან. ღმერთო!

მერე კი, შორს, ძალიან შორს, ხევის გადაღმიდან მოისმა:

- ჰოო, დედა! მოვდივარ, დედა!

მეორე წუთში ისევ:

- მოვდივარ, დედა, მოვდივარ!

შემდეგ კი ტენისის ფეხსაცმელებმა ტყაპატყუპით ამოირბინეს უფსკრულში გაჭრილი ბილიკი და სამი მოცინარი, აქოშინებული ბავშვი გამოჩნდა. ტომის ძმა დაგლასი, ჩაკ ვუდმენი და ჯონ ჰაფი. ხარხარით მორბოდნენ.

ცამ ათი მილიონი ლოკოკინას საცეცი ანტენასავით შეისრუტა ვარსკვლავები.

კალიები ამღერდნენ!

წყვდიადმა უკან დაიხია, დამფრთხალმა და გაწბილებულმა. ის-ის იყო, საჭმელად მოემზადა და ისე ტლანქად შეუშალეს ხელი, მადაც კი გაუქრა. როგორც კი წყვდიადი ვეება ტალღასავით მიიქცა, ბიჭები მხიარულად ამოხტნენ მისი წიაღიდან.

- დედა, ტომ, გაუმარჯოს!

დაგლასი იყო, სხვა თუ არაფერი, ყნოსვით იცნობდი: ოფლის, ბალახის, ხეებისა და წყლის სუნი უდიოდა.

- იცოდე, გაილახები, ვაჟბატონო, - გამოუცხადა დედამ. წამიერად ჩამოიცილა შეშფოთება. ტომმა იცოდა, დედა ამას არასოდეს არავის უამბობდა, მაგრამ გულში ორივე სამუდამოდ ჩაიტოვებდა.

ზაფხულის გვიანი ღამით ბრუნდებოდნენ შინ დასაძინებლად. ტომს უხაროდა, დაგლასი რომ ცოცხალი იყო. ძალიან უხაროდა, თორემ სულ ერთი წამით ეგონა...

შორს, მთვარით გადათეთრებულ მინდვრებსა და ხეობებში, მჭახე სტვენით ჩაიარა ლითონის გზააბნეულმა, უსახურმა არსებამ, მატარებელმა.

აკანკალებული ტომი ძმის გვერდით ჩაწვა, საბანი მოიფარა და მატარებლის სტვენას მიაყურადა, ბიძაშვილი მოაგონდა, ხეობის ბოლოს რომ ცხოვრობდა, სწორედ იქ,საითაც მატარებელი მიიჩქაროდა; ბიძაშვილი, რომელიც წლების წინ, გვიანი ღამით, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა...

თავის გვერდით მწოლიარე დაგლასის ოფლის სუნი შეისუნთქა. საოცრება იყო. ტომს კანკალმა გადაუარა.

- ორად ორი რამ ვიცი უეჭველად, დაგ, - ჩასჩურჩულა.

- რა და რა?

- ღამე მაგარი ბნელია - ეს ერთი.

- მეორე?

- ღამით ხევი არ ეკუთვნის მისტერ აუფმანის ბედნიერების მანქანას, თუკი ოდესმე მოახერხა მისი აშენება.

დაგლასი ერთხანს ფიქრობდა:

- ეგ ნაღდია.

საუბარი შეწყვიტეს. ყურები ცქვიტეს და ქუჩის ბოლოდან მომავალი ნაბიჯების ხმა გაიგონეს, ხეივანში და შემდეგ სახლის წინ ტროტუარზე რომ გაისმა. დედამ მათ თავისი საწოლიდან მშვიდად გამოსძახა:

- მამათქვენია.

მართლაც მამა იყო.

* * *

გვიან ღამით ლეო აუფმანი თავის პარმაღზე ადგენდა სიას. საკუთარ ნაწერს სიბნელეში ვერ ხედავდა. ყოველი ახალ-ახალი კარგი მიგნებისას ხან „ოჰ!“-ს წამოიძახებდა ხოლმე, ხან კიდევ: „ესეც!“ უცბად შესასვლელი კარის მინაზე ფარვანასებრი რბილი კაკუნი მოესმა.

- ლინა, შენ ხარ? - ჩურჩულით ჰკითხა კაცმა.

ლინა ღამის პერანგის ამარა გამოვიდა და გვერდით ჩამოუჯდა საქანელაზე. არც იმ გოგონებივით იყო გამხდარი, ჩვიდმეტი წლის ასაკში რომ არავის უყვარს, არც იმ ქალებივით სრული, ორმოცდაათი წლის ასაკშიც რომ ვერ ეღირსნენ სიყვარულს. ლეოს აზრით, ის სრულყოფილი - ზომიერად მკვრივი და მრგვალი იყო, როგორიცაა ნებისმიერი ასაკის ქალი მაშინ, როდესაც ყველაფერი აწყობილი აქვს.

საოცარი ვინმე იყო. მისი სხეული მის მაგიერ ფიქრობდა, აჩენდა ბავშვებს, ლეოს ნებისმიერ ოთახში შეასწრებდა, რათა იქ მისი იმწუთიერი გუნება-განწყობის ზუსტად შესაფერისი გარემო დაეხვედრებინა. ქალს

თითქოს ფიქრისათვის დრო არც კი სჭირდებოდა: ნებისმიერი გადაწყვეტილება მისი თავიდან წამში მის ხელს გადაეცემოდა და ბუნებრივი, მსუბუქი წრებრუნვის ძალით კვლავ უკან ბრუნდებოდა. ამ პროცესის განჭვრეტა და გააზრება ლეოს არც შეეძლო და არც სურდა.

- ეს მანქანა, - როგორც იქნა, წარმოთქვა ქალმა, - ჩვენ ის არ გვჭირდება.

- არა, - უპასუხა კაცმა, - მაგრამ ზოგჯერ სხვებისთვის უნდა ვიშრომოთ. სწორედ ახლა ვფიქრობდი, რა ჩავდო შიგნით: ფილმები? რადიო? სტერეოსკოპი? ეს ყველაფერი ერთ წერტილში მოვაქციე, ისე, რომ საკმარისია, კაცმა ხელი გადაუსვას, მაშინვე იტყვის: „აი, ეს არის ბედნიერება!“

დიახ, ისეთი მარჯვე ხელსაწყოს გამოგონება უნდოდა, ტალახიანი ფეხების, კბილის ტკივილის, არეულ-დარეული საწოლებისა და იმ წუთების მიუხედავად, როცა დილის სამ საათზე მაჯლაჯუნები არ გასვენებენ, მაინც ბედნიერებას რომ წარმოქმნის იმ ჯადოსნური საფქვავივით, ოკეანეში გადაგდებული ისევ შეუჩერებლად რომ ფქვავდა მარილს მანამდე, ვიდრე ოკეანე წათხის გოლიათ ქვაბად არ გადააქცია[12]. ასეთი მანქანის შესაქმნელად ვინ არ დაღვრის ოფლს? ამ კითხვით მიმართა სამყაროს, ქალაქსა და საკუთარ ცოლს!

მის გვერდით საქანელაზე ლინას უხერხული დუმილი აზრის გამოთქმის ტოლფასი იყო.

ლეოც დადუმდა, თავი უკან გადასწია და ქარში მოსისინე თელის ფოთლებს მიაყურადა.

არ დაგავიწყდეს, უთხრა საკუთარ თავს, მანქანა ხმოვანიც უნდა იყოს.

წუთის შემდეგ საქანელაც და პარმაღიც დაცარიელდა.

* * *

პაპას ძილში გაეღიმა.

ღიმილი თავადვე იგრძნო და გაკვირვებამ გამოაღვიძა. სმენადქცეული უძრავად იწვა და ღიმილის მიზეზსაც მალე მიაგნო.

ის, რაც ესმოდა, ჩიტების ჭიკჭიკსა და ნორჩი ფოთლების შრიალზე უფრო მნიშვნელოვანიც კი იყო. ყოველ წელიწადში ერთხელ, აი, ასე ეღვიძებოდა და საწოლში გარინდებული იმ ხმას ელოდა, ზაფხულის ოფიციალურ შემობრძანებას რომ მოასწავებდა. ყოველთვის, ასეთივე დილით, რომელიმე

---

*[12] მინიშნება ზღვის ძლაშე წყლის წარმოშობის შესახებ თქმულებაზე, რომელშაც ფი-ნურ ეპოსში „კალევალაში“ ჰპოვა ასახვა.*

მდგმური, ნათესავი, შვილი თუ შვილიშვილი ეზოში ჩავიდოდა და ზაფხულის ქორფა ბალახზე ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთიდან დასავლეთისაკენ იმოძრავებდა მბრუნავი ბასრი ფოლადის ზუზუნით, თავისი ტრაექტორიით მოლზე სულ უფრო მცირე კვადრატებს რომ ხაზავდა. გამრჯე მანქანიდან სამყურას ყვავილების, თითო-ოროლა დაუკრეფავი ბაბუაწვერას ნაპერწკლების, ჭიანჭველების, ტოტების, კენჭების, შარშან ოთხ ივლისს გასროლილი შუშხუნებისა და ძენძის ნარჩენების, ძირითადად კი ხასხასა სიმწვანის შადრევანი ამოიფრქვეოდა, გრილი და ფაფუკი შადრევანი; პაპამ წარმოიდგინა, ფეხებსა და გახურებულ სახეზე როგორ ელამუნება, ნესტოებს ახალი სეზონის სურნელით უვსებს, გულს კი - უტყუარი რწმენით: დიახ, ყველანი კიდევ თორმეტ თვეს ვიცოცხლებთ!

დაილოცოს მოლის საკრეჭი მანქანა, გაიფიქრა პაპამ. რომელმა უგუნურმა დააწესა ახალი წლის დადგომა პირველ იანვარს? ამის მაგივრად ილინოისის, ოჰაიოსა და აიოვის მილიონობით მოლზე მეთვალყურეობა უნდა დაეწესებინათ და როგორც კი ბალახი საკმარის სიმაღლეს მიაღწევდა, ფეიერვერკების, საყვირებისა და შეძახილების მაგიერ კონტინენტის ტრამალებზე მოლის საკრეჭი მანქანების სიმფონია უნდა აჟღერებულიყო. კანფეტისა და ქაღალდის ბურბუშელას მაგიერ ადამიანებს ერთმანეთისთვის მოჭრილი ბალახი უნდა შეეფრქვიათ და ასე აღენიშნათ ჭეშმარიტი დასაბამის დღე!

საკუთარ მსჯელობაზე თავადაც ჩაეცინა, ფანჯარასთან მივიდა და მზის ლბილი სხივებით დამთბარ ჰაერში გადაიხარა. აი, ისიც: ერთ-ერთი მდგმური, ახალგაზრდა ჟურნალისტი ფორესტერი, ეს-ეს არის რომ ჩაამთავრა პირველი მწკრივი.

- დილა მშვიდობისა, მისტერ სპოლდინგ!

- მიდი, ბილ, მიდი! - გულიანად ჩასძახა პაპამ. მეორე წუთში უკვე ქვედა სართულზე იყო და ბებოს მომზადებულ საუზმეს შეექცეოდა. კედლის შვერილში გაჭრილი ფანჯარა ღია იყო და საკრეჭის ზუზუნი პირდაპირ მის თეფშს დასტრიალებდა.

- რა გამამხნევებლად ჟღერს, - აღმოხდა პაპას, - ერთი უსმინე ამ საკრეჭს!

- მალე მოლის საკრეჭი მანქანა აღარავის დასჭირდება, - მიუბრუნდა ბებო და წინ მაჭკატებით სავსე თეფში დაუდგა, - რაღაც ახალი ჯიშის ბალახი გამოუყვანიათ, ახლა რომ ბილ ფორესტერი თესავს, აი, ის. თურმე გაკრეჭა არ სჭირდება. არ ვიცი, რა ჰქვია, მაგრამ, აი, ამაზე მაღალი არ იზრდება.

პაპა გაოგნებული მიშტერებოდა.

- გთხოვ, ასე უშნოდ ნუ მეხუმრები.

- წადი, შენ თვითონ ნახე, - უპასუხა ბებომ, - ბილ ფორესტერის იდეა იყო, - ახალი ბალახი პატარა ფენილებად აწყვია სახლის გვერდით. თურმე, საკმარისია აქა-იქ პატარა ორმოები ამოთხარო და ეს ნაჭრები შიგ ჩააფინო, წლის ბოლოს ახალი ბალახი მთლიანად დაჩაგრავს ძველს და - მორჩა, შეგიძლია გაზონის საკრეჭი გაყიდო.

პაპა სკამიდან წამოხტა, დერეფანი გამოირბინა და ათ წამში უკვე ეზოში იყო.

ბილ ფორესტერმა მანქანა მიატოვა, ახლოს მივიდა, მზის კაშკაშა შუქისაგან თვალებმოჭუტული და მოღიმარი.

- დიახ, ასეა, ამ დილით ვიყიდე. ვიფიქრე, შვებულებით ვისარგებლებ და დაგირგავთ-მეთქი.

- რატომ არ გამაფრთხილეთ ამის შესახებ? ეს ხომ ჩემი გაზონია! - შესძახა პაპამ.

- მეგონა, ამ იდეას მომიწონებდით, მისტერ სპოლდინგ!

- ჰმ, არა, არა მგონია, მოგიწონოთ. ერთი მიჩვენეთ ეგ თქვენი წყეული ბალახი!

ახალი ბალახის პატარა ოთხკუთხედი ბალიშების გროვას მიუახლოვდნენ. პაპამ იჭვნეულად წაჰკრა ფეხის წვერი.

- ჩვეულებრივ ბალახს ჰგავს. დარწმუნებული ხართ, რომ ვიღაც ვაჭრუკანას დილაადრიან ნამძინარევი არ გამოუჭერიხართ და არ მოუტყუებიხართ?

- ეს ბალახი კალიფორნიაში მინახავს. აი, ამსიმაღლე იზრდება, მეტი - არა, ჩვენს ჰავას თუ შეეგუა, გაისად კვირაში ერთხელ აღარ მოგვიწევს ამ ჯანდაბის აღრიალება.

- აი, თქვენი თაობის პრობლემაც სწორედ ეს არის, - მიუგო პაპამ, - გრცხვენოდეს, ბილ, შენ ხომ ჟურნალისტი ხარ. თქვენ გინდათ, ერთი ხელის მოსმით ყველაფერი მოსპოთ, რაც სიცოცხლეს ეშხსა და გემოს ანიჭებს. დრო დავზოგოთ, შრომა დავზოგოთო, გაიძახით, - მოხუცმა ბალახის ფირფიტებს ფეხი ჰკრა ზიზღით, - ბილ, ჩემს ასაკს რომ მიაღწევ, მაშინ მიხვდები, რომ ასეთი წვრილმანების დაგემოვნება დიდ სიახლეებზე გაცილებით მნიშვნელოვანია. გაზაფხულის დილით ფეხით გასეირნება ბევრად სჯობს ჩქაროსნული მანქანით გრიალს და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ასეთი დილა ათასნაირი სურნელითაა სავსე. გარშემო ყველაფერი იზრდება და სუნთქავს და ფეხით სიარულისას დაკვირვებისა და აღმოჩენის საშუალება გეძლევა. მესმის, თქვენ სწრაფი შედეგი გჭირდებათ და, ალბათ, ასეც უნდა იყოს, მაგრამ შენსავით გაზეთში მომუშავე ახალგაზრდა მხოლოდ საზამთროებს არ უნდა გამოეკიდოს, ყურძენიც უნდა ეძებოს. თქვენ ჩონჩხები

გაინტერესებთ, მე კი - თითის ანაბეჭდები; კეთილი და პატიოსანი, ბევრი რამ მოსაწყენად გეჩვენებათ, იქნებ იმის გამო, რომ არ იცით, რომელი მხრიდან მიუდგეთ საქმეს. კაცმა ნება რომ დაგრთოთ, ყველა მცირე საქმისა და საზოგადოდ ყველა წვრილმანის გასაუქმებლად გამოსცემთ კანონს, ახალ-ახალი რამეების გამოგონებით იჭყლეტთ ტვინს, ვიდრე საბოლოოდ არ შეიშლებით. ამის ნაცვლად, რატომ არ აცლით ბუნებას, თავისი გამოგონებები გიჩვენოთ? ბალახის კრეჭა და სარეველების ამოძირკვა შეიძლება ცხოვრების სტილად აქციო, შვილო.

ბილ ფორესტერი მშვიდი ღიმილით შეჰყურებდა.

- ვიცი, - შეცბა პაპა, - ძალიან ბევრს ვლაპარაკობ.

- ასეთი სიამოვნებით სხვას არავის მოვუსმენდი.

- მაშინ ლექციას განვაგრძობ. უბრალო იასამნის ბუჩქი ორქიდეაზე უფრო ძვირფასია. ბაბუაწვერა და ეშმაკის ბალახიც ძვირფასია! რატომ? იმიტომ, რომ ძირს დაგაჩოქებს, სულ ცოტა ხნით ჩამოგაშორებს ქალაქსა და ხალხს, ოფლს გამოგადენს და შენი ცხვირის არსებობას შეგახსენებს. და როცა ასე მარტო რჩები საკუთარ თავთან, ცოტა ხნით კვლავაც საკუთარ თავად იქცევი; ეჩვევი ფიქრსა და განმარტოებას. მებაღეობა ხომ ყველაზე მარჯვედ ამართლებს ფილოსოფოსობას, ვერავინ გამჩნევს, ვერავინ გსაყვედურობს, არადა, იორდასალამების კვალში მუხლმოყრილი პლატონი ხარ, კონიოს კვლებზე მზრუნველი სოკრატე. კაცი, რომელიც თავისი ბაღის ბილიკზე ნაკელით სავსე ტომარას მიარწევს, მხრებზე სამყაროს ტვირთაკიდებულ ატლასს ემსგავსება. როგორც ოდესღაც ბრძანა სემუელ სპოლდინგმა, „რაც მეტად ვთხრით მიწას, მითუფრო ღრმად ვაღწევთ საკუთარი სულის წიაღში“. მაგ საკრეჭის კბილანები ატრიალე, ბილ, და სიყმაწვილის უშრეტი შადრევნის წყლები იპოვე. ლექციის დასასრული. თანაც, დროდადრო ბაბუაწვერას ღეროების სალათი ძალზე სასარგებლოა.

- უკანასკნელად რამდენი წლის წინათ მიირთვით ბაბუაწვერას სალათი, სერ?

- მოდი, ახლა ამას ნუ ჩავუღრმავდებით!

ბილმა მსუბუქად ჩაჰკრა ფეხი ბალახის ერთ ფირფიტას და თავი დაუკრა.

- ამ ბალახს რაც შეეხება, მოყოლა არ დამიმთავრებია, ისე მჭიდროდ იზრდება, რომ სავსებით ანადგურებს სამყურას და ბაბუაწვერას...

- ღმერთო დიდებულო! ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად ბაბუაწვერას ღვინოს ვეღარ დავლევთ! აღარც ფუტკრები გვეწვევიან! ჭკუიდან ხომ არ შეიშალე, შვილო! მომისმინე, რამდენი დაგიჯდა ეს ყველაფერი?

- დოლარი, - თითო ფირფიტა, სიურპრიზად ათი ცალი შევიძინე.

პაპამ ჯიბეზე იტაცა ხელი, ძველებური ღრმა საფულე ამოიღო, ვერცხლის შესაკრავი შეხსნა და სამი ხუთდოლარიანი კუპიურა ამოაძვრინა.

- ბილ, ამ საქმიდან ხუთი დოლარი მოგება დაგრჩება. მინდა, ეს პროზაული ბალახის გროვა ხევში გადაყარო, ან ნაგავსაყრელზე. სულერთია, ოღონდაც უმორჩილესად გთხოვ: ჩემს ბაღში ნუ დარგავ. შენ ყოვლად საპატიო მიზეზები გაქვს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ჩემი მიზეზებია გასათვალისწინებელი, რაკიღა მე უკვე უაღრესად ფაქიზ ასაკს მივუკაკუნე.

- კარგი, სერ, - ბილმა უხერხულად ჩაიდო ფული ჯიბეში.

- ბილ, არა უშავს, სხვა დროს დარგავ მაგ ახალ ბალახს. როცა მოვკვდები, მეორე დღესვე შეგიძლია მთელი გაზონი ამოძირკვო. როგორ ფიქრობ, მოითმენ კიდევ ხუთიოდ წელიწადს, ვიდრე ბებერი ორატორი სულს არ გააფრთხობს?

- როგორ ვერ მოვითმენ, სერ, - უპასუხა ბილმა.

- წესიერად ვერც კი აგიხსნი, მაგრამ მოლის საკრეჭის ხმა ქვეყნად ულამაზეს ხმად მიმაჩნია: ეს თვით ზაფხულის ხმაა და მის გარეშე საშინლად მოვიწყენ. ვერც ბალახის სუნს დავთმობ ასე ადვილად.

ბილი ერთ-ერთი ფირფიტის ასაღებად დაიხარა.

- წავალ, ხევში გადავყრი.

- შენ კარგი, თავაზიანი ახალგაზრდა ხარ და შენგან ბრწყინვალე, გამჭრიახი რეპორტიორი დადგება, - უთხრა პაპამ და თვითონაც ფირფიტების გადაზიდვას შეუდგა, - კარგად დაიხსომე ჩემი წინასწარმეტყველება!

დილა მიიწურა, შუადღის სამხრის შემდეგ პაპა თავის ოთახში ავიდა მოსასვენებლად, უიტიერს[13] კითხულობდა, მერე კი რამდენიმე საათს ტკბილად იძინა. როდესაც გაეღვიძა, სამი საათი იყო, მზის სხივები ფანჯრებში იღვრებოდა. გაოცებულს ისევ ძველი, ნაცნობი, დაუვიწყარი ხმა ჩაესმა.

- რა ხდება? - წამოიძახა, - ვიღაც გაზონს კრეჭს! მაგრამ ჩვენი გაზონი ხომ დღეს გაკრიჭეს!

ისევ დაუგდო ყური. ეჭვი არ იყო: ისევ ის ხმადაბალი ზუზუნი გაისმოდა.

თავი ფანჯარაში გაყო და გაკვირვებისაგან პირი დააღო.

- ბილი ყოფილა. ბილ ფორესტერ, აქ რა გინდა? მზემ ხომ არ დაგკრა? მოლს ისევ კრეჭ?

ბილმა ახედა, გაიბადრა და ხელი დაუქნია.

---

*[13] ჯონ გრინლიფ უიტიერი (1807-1892) - ამერიკელი პოეტი, პროზაიკოსი, ჟურნალი-სტი, აბოლიციონისტი.*

- დიახ! მგონი, დილით რამდენიმე ადგილი გამომრჩა!

და სანამ გაოცებული პაპა კიდევ ხუთ წუთს ნებივრობდა საწოლში, ბილ ფორესტერმა საკრეჭი მანქანა ჯერ ჩრდილოეთის მიმართულებით გაატარა, შემდეგ - დასავლეთის, შემდეგ - სამხრეთის და საბოლოოდ, მწვანე შადრევნის შხეფებში გახვეული, აღმოსავლეთისკენ შებრუნდა.

* * *

კვირა დილით ლეო აუფმანი ძალიან ნელა ფუსფუსებდა თავის გარაჟში და მოელოდა, რომ რომელიმე ფიცარი, მავთულის ხვეული, ჩაქუჩი თუ ჭანჭიკი მოუხმობდა, აქეთ მოდი, აქედან დაიწყეო. მაგრამ არაფერი უხმობდა, არაფერი მიუთითებდა, საიდან დაეწყო საქმე.

დაფიქრდა, უნდა იყოს თუ არა ბედნიერების მანქანა ისეთი ზომის, რომ მისი ჯიბით ტარება შეგეძლოს.

ან, განაგრძო ფიქრი, იქნებ იმხელა უნდა იყოს, რომ თვითონ გატაროს ჯიბით?

- ერთი რამ უეჭველად ვიცი, - წამოიძახა ხმამაღლა, - ის უნდა კაშკაშებდეს.

დაზგის კუთხეში საგანგებოდ დადგა ნარინჯისფერი საღებავის ქილა, მერე ლექსიკონი მოიმარჯვა და შინ შევიდა.

- ლინა! - ლექსიკონში ჩაიხედა, - მითხარი, ხარ თუ არა „კმაყოფილი, მხიარული, ნასიამოვნები“? თუ გრძნობ თავს „იღბლიანად, ბედნიერად?“ არის თუ არა შენს გარს არსებული ნივთები „კარგად მორგებული და მოსახერხებელი“, „მყუდრო და სასურველი“?

ლინამ ბოსტნეულის კეპვა შეწყვიტა და თვალები მოწკურა.

- აბა, კიდევ ერთხელ წამიკითხე.

ლეომ წიგნი დახურა.

- ნუთუ ასე რთულია, რომ პასუხის გასაცემად გაჩერდე და ერთი საათი იფიქრო? უბრალოდ მითხარი: ჰო ან არა! არა ხარ კმაყოფილი, მხიარული და ნასიამოვნები?

- მე კი არა, ძროხები არიან კმაყოფილები, ჩვილი ბავშვები და მეორე ბავშვობაში გადავარდნილი მოხუცები ყოველთვის ნასიამოვნები ჩანან, ღმერთმა უშველოთ! „მხიარული“ კიდევ... ნახე, ლეო, რა მხიარულად ვხეხავ ნიჟარას!

კაცი სახეში ჩააშტერდა და შემდეგ შვებით ამოისუნთქა:

- მართალი ხარ, ლინა. მამაკაცები თქვენს შრომას ვერ ვაფასებთ. იქნებ შემდეგ თვეს სადმე გავემგზავროთ.

- მე არ ვწუწუნებ! - მიუგო ქალმა, - მე კი არ შემოვსულვარ აქ ლექსიკონით და არ მითქვამს, აბა, ენა გამოყავიო. ლეო, განა ვკითხულობთ, რა გვიძგერებს გულს მთელი ღამე? არა! კიდევ რის კითხვას აპირებ: რა არის ქორწინება? ვინ იცის, ლეო? სჯობს, არ იკითხო. ის, ვინც ზედმეტად უკვირდება იმას, თუ როგორ ხდება ესა თუ ის მოვლენა, ან ცირკში ტრაპეციიდან ვარდება, ანდა საყლაპავის კუნთების მუშაობაზე დაკვირვებისას იგუდება. ჭამე, იძინე, ისუნთქე, ლეო, და ნუ მომშტერებიხარ, თითქოს ამ სახლში პირველად მხედავდე!

ლინა აუფმანი უცებ გაშეშდა. ჰაერი დაყნოსა.

- ღმერთო, სულ შენი ბრალია!

ღუმელის კარი გამოაღო. სამზარეულო კვამლით აივსო.

- ეგეც შენი ბედნიერება! - მოთქვამდა ქალი, - მაგ ბედნიერების გულისთვის ექვსი თვის მანძილზე პირველად ვიჩხუბეთ! და ოცი წლის მანძილზე პირველად ვახშმად პურის მაგივრად ნახშირი გვექნება!

ბოლის ღრუბელი რომ გაიფანტა, ლეო აუფმანი აღარსად ჩანდა.

ყურისწამღები ხმაური, კაცის ჭიდილი შთაგონებასთან, ფოლადის ჟღარუნი, ფიცრების ბრაგაბრუგი, ჩაქუჩის კაკუნი, სახრახნისის, ლურსმნებისა და რაისშინას[14] ღრჭიალი მრავალი დღე გაგრძელდა.

დროდადრო დამარცხებული ლეო აუფმანი დაძაბული და შეშფოთებული გალასლასდებოდა ქუჩებში, შორიდან გაგონილი სიცილის ყოველ ხმაზე კრთებოდა, ბავშვების ლაზღანდარობას უგდებდა ყურს, მათ ღიმილს აკვირდებოდა. საღამოობით გვიანობამდე იჯდა მეზობლების ხალხმრავალ ვერანდებზე, უსმენდა ცხოვრების აწონ-დაწონაში ჩაფლულ მოხუცებს და მხიარულების ყოველი ამოფრქვევისას თავადაც გამოცოცხლდებოდა ხოლმე იმ გენერალივით, მტრის უკან დახევასა და საკუთარი სტრატეგიის წარმატებას რომ ამჩნევს. შინ აღტაცებული ბრუნდებოდა, მაგრამ გარაჟში, უძრავი ხელსაწყოებისა და მკვდარი ფიცრების დანახვისთანავე გაბადრული სახე ისევ მოეღუშებოდა და საკუთარი მარცხის დასაფარად გამალებული ბრაგუნით შეუდგებოდა ხოლმე მანქანის აწყობას, იფიქრებდი, ერთურთზე დახვავებულ ამ ჯართის ნაწილებს, მართლაც, რაიმე აზრი აქვსო. ბოლოს, როგორც იქნა, უწესრიგო გროვამ რაღაც ფორმა შეიძინა და ათი დღე-ღამის

---

*[14] რაისშინა - დიდი სახაზავი, როოშელსაც ცალ ბოლოზე პერპენდიკულარული მო-კლე ლარტყა აქვს.*

შემდეგ ქანცგამოცლილი, აცახცახებული, ნაშიმშილები ლეო აუფმანი, როგორც იქნა, ბარბაცით შევიდა შინ. მეხდაცემულს ჰგავდა.

მის დანახვაზე ბავშვები, მანამდე საშინელი წივილ-კივილი რომ ჰქონდათ ატეხილი, დადუმდნენ და ადგილზე გაიყინნენ, თითქოს მამა კი არა, მეწამული სიკვდილი შემოსულიყოს საათის ბოლო ჩამოკვრასთან ერთად.[15]

- ბედნიერების მანქანა... - ჩაიბუტბუტა ლეო აუფმანმა, - მზადაა...

- ლეო აუფმანმა თხუთმეტი გირვანქა დაიკლო, - ალაპარაკდა მისი ცოლი, - უკვე ორი კვირაა, ბავშვებისთვის ხმა არ გაუცია, ისინი ღელავენ, შეხედე, რა ამბავი აუტეხიათ! მისმა ცოლმა ნერვიულობით ათი გირვანქა მოიმატა, ახალი ტანისამოსი დასჭირდება, აი, ნახე! მანქანა მზადაა, კარგი, ბატონო! მაგრამ სადაა ბედნიერება? ვინ მეტყვის? ლეო, მოეშვი მაგ საათის კეთებას! იმხელა გუგულს მაინც ვერ იშოვი, შიგ რომ იცხოვროს! ასეთი რამეები ადამიანის საქმე არ არის. არა, ღმერთს სცოდავო, არ გეუბნები, მაგრამ ლეო აუფმანს რომ სცოდავ, ეს აშკარაა, კიდევ ერთი ასეთი კვირა და აქედან შენი მანქანითვე გაგასვენებენ!

ლეო აუფმანი ყურს არ უგდებდა, უფრო მნიშვნელოვანი რამით იყო დაკავებული: გაოცებით აკვირდებოდა, ოთახის კედლები მაღლა როგორ მიქროდა.

რა საინტერესოა, გაიფიქრა ძირს გაშოტილმა.

წყვდიადი ფართოდ რომ ჩამოეფარა ქუთუთოებზე, კიდევ ჩაესმა, ვიღაცამ რაღაც როგორ დაიყვირა და ბედნიერების მანქანა სამჯერ ახსენა.

მეორე დილით, პირველი, რაც გააცნობიერა, ფრთების ფარფატის ხმა იყო, ჰაერს კრიალა ნაკადულში ჩაყრილი კენჭებივით რომ აღელვებდა: ათობით ფრინველი რბილად დაეშვა გარაჟის თუნუქგადაკრულ სახურავზე.

სხვადასხვა ჯიშის ძაღლების მთელი ხროვა უხმოდ შემოპარულიყო ეზოში და გარაჟის კარში იცქირებოდა; ოთხი ბიჭი, სამი გოგო და რამდენიმე მამაკაცი ქუჩაში, ალუბლის ხეების ძირში, ბოლთას სცემდა. ლეო აუფმანმა მშვენივრად იცოდა, თუ რამ მოიზიდა ყველანი მის ეზოში.

ეს ბედნიერების მანქანის ხმა იყო.

მსგავს ხმას, ალბათ, ზაფხულის ნაშუადღევს გაიგონებთ გოლიათის სამზარეულოდან. ეს ყველანაირი ზუზუნი გახლდათ - ჩუმი და ხმამაღალი, მონოტონური და ცვალებადი. თითქოს ჩაის ფინჯნებისხელა ფუტკრები ბზუილით ამზადებდნენ ყოვლად წარმოუდგენელ კერძებს და სადაც იყო,

---

*[15] მინიშნება ამერიკელი მწერლის, ედგარ ალან პოს მოთხრობაზე „მეწამული სი-კვდილის ნიღაბი“*

გოლიათი დიასახლისიც გამოჩნდებოდა კარში, თვით ზაფხულივით გაფაშფაშებული, კმაყოფილებით მოღიღინე, ატმისფერ მთვარესავით პირმრგვალი, და მშვიდად გადახედავდა მოღიმარ ძაღლებს, ხორბლისფერქოჩრიან ბიჭებსა და თმადაფერფლილ მოხუცებს.

- მოიცა, - იყვირა ლეო აუფმანმა, - ამ დილით რომ მანქანა ჯერ არ ჩამირთავს? საულ!

საულმა ეზოდან ახედა მამას.

- საულ, შენ ჩართე?

- ნახევარი საათის წინ შენ თვითონ მითხარი, შეახურეო.

- ჰო, კარგი, საულ, უბრალოდ, დამავიწყდა. კარგად ვერ გამოვფხიზლდი, - ისევ საწოლში ჩაიკეცა.

ცოლმა საუზმე ამოუტანა, ფანჯარასთან შეყოვნდა და ერთხანს გარაჟს გაჰყურებდა.

- მითხარი, - მშვიდად მიუბრუნდა ქმარს, - თუ ეს მანქანა მართლაც ისეთია, როგორც ამბობ, იქნებ ბავშვების გაჩენის შესახებაც ჰქონდეს პასუხი? შეუძლია სამოცდაათი წლის ადამიანები ოცი წლისებად აქციოს? და კიდევ, თუ მის შიგნით ჩაიმალები, იქიდან სიკვდილი როგორი გამოჩნდება?

- ჩაჯექი და ნახავ!

- გადაღლილობამ თუ შემიწირა, რა უნდა ვქნა - აი, მაგ ყუთში ჩავძვრე და თავი ბედნიერად ვიგრძნო? ერთი მითხარი, ლეო, რას წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება? ხომ იცი ჩვენი ოჯახის ამბავი: დილის შვიდ საათზე საუზმე, ბავშვები; ცხრის ნახევრისთვის ყველანი გაიკრიფებით და მხოლოდ მე ვრჩები სარეცხთან, სადილსა და დასაკემს წინდებთან ერთად, ბოსტანიც ჩემი გასამარგლია, საყიდლებიც და ვერცხლის დანა-ჩანგლის ხეხვაც ჩემზეა. განა ვწუწუნებ? უბრალოდ, გახსენებ, ლეო, თუ რაზე დგას ჩვენი სახლი, რა ასულდგმულებს! ახლა მითხარი, როგორ იტევს ამ ყველაფერს შენი მანქანა?

- ის სულ სხვანაირადაა მოწყობილი!

- მაშინ, მაპატიე, მაგრამ დრო არა მაქვს, რომ შევხედო.

ლოყაზე აკოცა და ოთახიდან გავიდა. კაცი იწვა და ისრუტავდა ქვევიდან, გარაჟში დამალული მანქანიდან მონაქროლ ნიავს, სავსეს იმ შემწვარი წაბლის სურნელით, რომელსაც შემოდგომობით ყიდიან პარიზის ქუჩებში. იმ ქუჩებში მას არასდროს გაევლო.

კატამ უხმოდ და შეუმჩნევლად გამოიარა მონუსხულ ძაღლებსა და ბიჭებს შორის და გარაჟის კარს გაეხახუნა, საიდანაც შორ სანაპიროსთან მიქცეული ტალღების რიტმული სუნთქვა იღვრებოდა...

ხვალ, გაიფიქრა ლეო აუფმანმა, ყველანი ერთად გამოვცდით ბედნიერების მანქანას.

გვიან ღამით გაეღვიძა და იმწამსვე მიხვდა, რომ თავისთავად არ გაუღვიძია. მოშორებით, სხვა ოთახში ვიღაც ტიროდა.

- საულ? - ჩურჩულით წამოხტა საწოლიდან.

საული თავის ოთახში იწვა ბალიშში თავჩარგული და გულამოსკვნით სლუკუნებდა.

- არა... არა... მორჩა... მორჩა...

ბიჭი ტირილს განაგრძობდა.

- საულ, ცუდი სიზმარი ნახე, მითხარი, რა ნახე, შვილო?

ბიჭის საწოლზე ჩამომჯდარმა ლეო აუფმანს უეცრად რაღაცამ უბიძგა, ფანჯარაში გაიხედა. გარაჟის კარი ღია იყო.

იგრძნო, როგორ დაბურძგლა.

როცა საულს, როგორც იქნა, ჩაეძინა, თუმცა, მაინც მოუსვენრად სუნთქავდა და დროდადრო კრუსუნებდა, მამა კიბეს ჩაუყვა და ხელგაწვდილი მიუახლოვდა გარაჟის ღია კარს.

ღამის გრილ ჰაერში ბედნიერების მანქანის ლითონი ისე გავარვარებულიყო, რომ ხელს ვერ შეახებდი.

გაიფიქრა, ესე იგი, საული ამაღამ აქ იყო.

რატომ? უბედური იყო და მანქანა სჭირდებოდა?

არა, ბედნიერი იყო, მაგრამ სურდა, ბედნიერება სამუდამოდ მოეხელთებინა. ბიჭი უკვე იმდენად შეგნებული იყო, რომ საკუთარი მდგომარეობა გაცნობიერებული ჰქონდა. მაშ, როგორღა გაამტყუნებდი, თუკი ამ ყოფის შენარჩუნება სურდა? და მაინც...

უეცრად მაღლა, საულის ფანჯრიდან რაღაც თეთრი გამოფარფატდა. ლეო აუფმანს გული შეუქანდა. მერე მიხვდა, უბრალოდ ღამის ნიავმა ააფრიალა ფარდა, მაგრამ სიბნელეში ისე იდუმლად ქათქათებდა, ეგონა, ბიჭის სული გამოფრინდაო ოთახიდან. და ლეო აუფმანმაც უნებლიეთ გაშალა მკლავები, თითქოს სურდა, აეტაცა და მძინარე სახლში დაებრუნებინა.

გაყინული და აკანკალებული შებრუნდა შინ, საულის ფანჯარაში ქარისგან აფრიალებულ ფარდას ხელი წაავლო და საკეტი მაგრად ჩარაზა, რათა ფერმკრთალი ლანდი ისევ არ გაქცეულიყო. მერე კარგა ხანს იჯდა საწოლის კიდეზე და ხელი საულის ზურგზე ედო.

- „ორი ქალაქის ამბავი“? ჩემია. „სიძველეთა დუქანი“? ჰმ, ლეო აუფმანის არის, მეტი ვისი იქნება! „დიდი იმედები“? ჩემი იყო ოდესღაც, მაგრამ ახლა მისთვის მიჩუქნია!

- რა ხდება აქ? - იკითხა ოთახში შესულმა ლეო აუფმანმა.

- რა და, - მიუგო ცოლმა, - ქონებას ვანაწილებ! როცა მამა შვილს ღამით აშინებს, დროა, ყველაფერი ორად გაიყოს! გამეცალე, მისტერ „ცივო სახლო“, „სიძველეთა დუქანო“.[16] ლეო აუფმანისთანა შეშლილ მეცნიერს მთელ ამ წიგნებში ვერ ნახავს კაცი!

- მიდიხარ! მანქანა არც კი გამოგიცდია! - შეეწინააღმდეგა ქმარი, - გამოცადე და ნახავ, ყველაფერს ამოალაგებ და დარჩები!

- „ტომ სუიფტი და მისი ანიჰილატორი“[17] - ნეტავ ვისი უნდა იყოს? რა რთული გამოსაცნობია? - ჩაიფრუტუნა ცოლმა და „ტომ სუიფტი“ ლეო აუფმანს მიაწოდა.

- ზოგი აქ, ზოგი იქ; ოთხი აქ, ოთხი იქ; ათი აქ, ათი იქ, - ლინა აუფმანს ამდენი თვლით გული შეუწუხდა და ცოტა ხნით ჩამოჯდა.

- ჰო, კარგი, - ამოიხვნეშა, - ვიდრე წავიდოდე, ლეო, დამიმტკიცე, რომ შენი უცოდველი შვილების კოშმარებში ხელი არ გირევია!

ლეო აუფმანი ულაპარაკოდ გაუძღვა ცოლს საღამოს ბინდში და რვა ფუტი სიმაღლის ნარინჯისფრად შეღებილ ყუთთან მიიყვანა.

- ესაა ბედნიერება? - ჩუმი ხმით იკითხა ქალმა, - რომელ ღილაკს უნდა დავაჭირო, რომ სიხარული, მადლიერება, კმაყოფილება და აღტაცება დამეუფლოს?

ბავშვები გარს შემოეხვივნენ.

- დედა, - უთხრა საულმა, - არ გინდა!

- ხომ უნდა ვიცოდე, საულ, რის გამო ავტეხე ეს დავიდარაბა, - მანქანის სავარძელში ჩაჯდა და ქმრისკენ გაიქნია თავი.

- მე არა, ეს შენ გჭირდება, ადამიანის სახე რომ დაგიკარგავს.

- მოდი, გთხოვ, - შეევედრა კაცი, - თვითონ ნახავ!..

ლეომ კარი დახურა.

- ღილაკს დააჭირე! - ჩასძახა გაუჩინარებულ ცოლს.

წკაპუნი გაისმა. მანქანა მშვიდად ათრთოლდა ვეება მძინარე ძაღლივით.

- მამა! - აღელდა საული.

- ყური დაუგდე! - უთხრა ლეო აუფმანმა.

---

*[16] „ორი ქალაქის ამბავი“, „სიძველეთა დუქანი“, „დიდი იმედები“, „ცივი სახლი“ - ჩარლზ დიკენსის (1812-1870) რომანები.*

*[17] „ტომ სუიფტი და მისი ანიჰილატორი“ – XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში მოზარდე-ბისთვის განკუთვნილი წიგნების სერიის ერთ-ერთი წიგნი. მთავარი გმირი, ნორჩი გენიოსი ტომ სუიფტი, თავისი გამოგონებებით დროს უსწრებს - გამოიგონა ტურბო-ძრავიანი მოტოციკლეტი, მოტორიანი ნავი, საჰაერო ხომალდი, ელექტრონული ია-რაღი, ფოტოტელეფონი და ა.შ.*

თავიდან მანქანის უჩინარი ბორბლებისა და კბილანების ზუზუნის გარდა არაფერი ისმოდა.

- დედას რამე ხომ არ დაემართა? - იკითხა ნოომიმ.

- დაემართა კი არა, კარგად არის, მშვენივრად! აი... გესმის?

- ოჰ!.. - უეცრად აღმოხდა მანქანის წიაღში დამალულ ლინა აუფმანს, წუთის შემდეგ კი შეცბუნებულმა წამოიყვირა, - აჰ!.. ამას შეხედე! პარიზი! - ცოტა ხნის შემდეგ კი, - ლონდონი! აი, რომი! პირამიდები! სფინქსი!

- სფინქსიო, გესმით, ბავშვებო? - ჩუმი სიცილით ჩასჩურჩულა შვილებს ლეო აუფმანმა.

- სუნამო! - გაოცებით შეჰყვირა ლინა აუფმანმა.

საიდანღაც ბუნდოვნად ისმოდა პატეფონზე დაკრული მელოდია „ცისფერი დუნაი“.

- მუსიკა! ვცეკვავ!

- ეჩვენება, თითქოს ცეკვავს, - განმარტა მამამ.

- საოცარია! - წარმოთქვა უჩინარმა ქალმა.

ლეო აუფმანს ლოყები შეეფაკლა.

- რა გამგები ცოლი მყავს.

მერე კი, უცბად, ბედნიერების მანქანაში მომწყვდეულმა ლინა აუფმანმა ტირილი დაიწყო.

გამომგონებელს სახეზე ღიმილი შეეყინა.

- ტირის, - თქვა ნოომიმ.

- შეუძლებელია!

- ტირის, - გაიმეორა საულმა.

- ყოვლად შეუძლებელია! - თვალები აახამხამა ლეო აუფმანმა და მანქანას ყური მიადო, - კი, მაგრამ... ჰო... ბავშვივით ქვითინებს...

უმწეოდ შეაღო კარი.

- მაცალე, - ცოლი ადგომას არ აპირებდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ღაწვებზე, - დამამთავრებინე, - ერთხანს კიდევ იტირა.

თავზარდაცემულმა ლეო აუფმანმა მანქანა გამორთო.

- ოჰ, ეს ქვეყნად ყველაზე უფრო გულსაკლავი რამაა, - ამოიკვნესა ბოლოს ლინამ, - თავს საშინლად ვგრძნობ, საშინლად, - მანქანიდან გადმობობღდა, - თავიდან პარიზი ვნახე...

- მერედა, რა არის ამაში ცუდი?

- ცხოვრებაში არასოდეს მომსვლია თავში პარიზში წასვლა, მაგრამ ახლა პარიზი განმაცდევინე და მისი ნახვა მომანდომე!

- მანქანა თითქმის მთლიანად გიცვლის რეალობას.

- ვერა. შიგ რომ ვიჯექი, ვიცოდი, რომ ეს სინამდვილე არ იყო!

- დედა, ნუ ტირი.

ქალმა დიდრონი, ჩამუქებული, სველი თვალებით ახედა ქმარს.

- მაცეკვე კიდეც. უკვე ოცი წელიწადია არ გვიცეკვია.

- ხვალვე წაგიყვან საცეკვაოდ!

- არა, არა! რა აუცილებელია! არც უნდა იყოს აუცილებელი, ეს შენი მანქანა ამბობს, აუცილებელიაო! და მისი გჯერა! ცოტას კიდევ ვიტირებ, ლეო, და უკეთ ვიქნები.

- კიდევ რა?

- კიდევ? მანქანა ამბობს, ახალგაზრდა ხარო, მე კი აღარ ვარ. ის ტყუის! ბედნიერების კი არა, უბედურების მანქანაა!

- რატომ უბედურების?

ცოლი ცოტათი დამშვიდებულიყო.

- ლეო, გეტყვი, რა შეცდომაც დაუშვი. დაგავიწყდა, რომ ოდესღაც დადგება ის წუთი, ის საათი, როცა აქედან უნდა გამოვძვრეთ და ისევ გასარეცხ ჭურჭელსა და ასალაგებელ ლოგინებს დავუბრუნდეთ. სანამ შიგ ზიხარ, ყველაფერი კარგადაა: მზის ჩასვლა უსასრულოდ გრძელდება, ჰაერში საამო სუნი ტრიალებს და ტემპერატურაც იდეალურია. რაც გსიამოვნებს, შენი სურვილისამებრ გრძელდება. გარეთ კი ბავშვები სადილს ელოდებიან, პერანგებზე ღილებია მისაკერებელი, თანაც, გულზე ხელი დაიდე, ლეო, რამდენ ხანს შეიძლება უყურო მზის ჩასვლას? ვის სჭირდება უსასრულოდ გაჭიანურებული მზის ჩასვლა? ვის სჭირდება მარადიული კეთილსურნელება და იდეალური ტემპერატურა? დროთა განმავლობაში ამ ყოველივეს ვეღარც კი შევამჩნევთ. მზის ჩასვლა ორიოდ წუთით არის მშვენიერი, შემდეგ ის რაღაც სხვამ უნდა შეცვალოს. ასეთები ვართ ადამიანები. ეს როგორ დაგავიწყდა, ლეო?

- მართლა დამავიწყდა!

- მზის ჩასვლა იმიტომაც გვხიბლავს, რომ ხანმოკლეა.

- მაგრამ რომ მთავრდება, ყოველთვის გვწყდება გული.

- სამუდამოდ თუ გაგრძელდა და ყელში ამოგივიდა, მაშინ ნახე გულის დაწყვეტა. შენ ორი რამ გააკეთე არასწორად: ხანმოკლე მოვლენები შეაყოვნე, შორეული კი ჩვენს ეზოში შემოიყვანე, მაგრამ აქ მათი ადგილი არ არის, აქ მხოლოდ ეს შეუძლიათ მითხრან: „ლინა აუფმან, პარიზს ვერასოდეს ნახავ! ვერც რომის ნახვას ეღირსები!“ მე კი ეს ისედაც მუდამ ვიცოდი, რაღა საჭიროა შეხსენება? სჯობს, დავივიწყოთ ეს ყველაფერი და დინებასმივყვეთ, ლეო, უბრალოდ ვიცხოვროთ, რას იტყვი?

ლეო აუფმანი შეტორტმანდა და მანქანას მიეყრდნო, მერე იმწამსვე წამოიმართა და დამწვარი ხელი გაიქნია.

- მაშ, ახლა რა ვქნათ, ლინა?

- მე ვერაფერს გირჩევ. ის კი ვიცი დანამდვილებით, რომ ვიდრე ეს მანქანა აქ დგას, მუდამ მოგვინდება გამოსვლა ან მე, ან საულს, როგორც წუხელ იყო, ჩვენდა უნებურად ჩავსხდებით შიგ და შორეულ და მიუწვდომელ ადგილებს მოვინახულებთ, მერე კი ყოველ გადმოსვლაზე მწარედ ავტირდებით და ოჯახის სრულყოფილ წევრებად ვეღარ ვივარგებთ.

- არ მესმის, - თქვა ლეომ, - ასე როგორ შევცდი. რომ დავრწმუნდე, თვითონ უნდა გამოვცადო, - მანქანაში ჩაჯდა, - ხომ არსად წახვალთ?

- დაგელოდებით, ლეო, - თავი დაუკრა ცოლმა.

ლეომ კარი დახურა. ერთ წუთს შეჩერდა თბილ სიბნელეში, მერე ღილაკს დააჭირა და ის-ის იყო, ფერებისა და მუსიკის ტალღებში განცხრომას მიეცა, რომ ვიღაცის კივილი შემოესმა.

- ცეცხლი, მამა! მანქანა იწვის!

ვიღაც გამალებით ურტყამდა კარს. ლეო წამოხტა, თავით ჭერს მიეხალა და მოულოდნელად ღია კარში გადავარდა. ბავშვებმა გარეთ გამოათრიეს და წამოაყენეს. მის ზურგს უკან რაღაცამ მოგუდულად იფეთქა. მეორე წუთში მთელი ოჯახი სხვადასხვა მიმართულებით გარბოდა. ლეომ უკან მიიხედა და შეიცხადა:

- საულ, სახანძროში დარეკე!

ლინა აუფმანმა საული შეაჩერა.

- მოიცა, საულ.

გარაჟიდან ცეცხლის ალმა იხუვლა და მოგუდულად კვლავ რაღაცამ იფეთქა. როდესაც დარწმუნდა, რომ მანქანა კარგად იწვოდა, ლინამ თავის დაკვრით გაამხნევა შვილი:

- კარგი, საულ, ახლა გაიქეცი, სახანძრო გამოიძახე.

თუკი ვინმე იყო რაიმეს შემძლე, ხანძრის ჩასაქრობად მოქანდა. პაპა სპოლდინგიც აქ იყო დაგლასსა და ტომთან ერთად, მათი მდგმურების უმრავლესობა, ხევის გაღმიდან მოსული მოხუცები და ექვსი კვარტალის რადიუსზე მცხოვრები ბავშვებიც აქ იმყოფებოდნენ. ლეო აუფმანის შვილები კი, წინა რიგში ამაყად გამოჭიმულნი, გარაჟის თავზე ლამაზად მოცეკვავე ალებს აყოლებდნენ თვალს.

პაპა სპოლდინგმა ცისკენ ამავალ კვამლის ღრუბელს ახედა და მშვიდად იკითხა:

- რა იყო ეს, ლეო? შენი ბედნიერების მანქანა?

- ერთ-ორ წელიწადში შეიძლება კარგად გავიაზრო და მერე გეტყვით, - უპასუხა ლეომ.

ლინა აუფმანი სიბნელეში იდგა და ეზოში მოფუსფუსე მეხანძრეს უმზერდა; გარაჟი გუგუნით ჩამოიშალა.

- ლეო, - თქვა ქალმა, - ამის მოფიქრებას წლები არ უნდა. შეხედე, დაფიქრდი. ცოტა ხნით გაყუჩდი, მერე შემოდი და მეც მითხარი. სახლში ვიქნები: წიგნებს თაროებზე დავაბრუნებ, ტანსაცმელს - კარადებში, ვახშამს მოვამზადებ, თორემ დაგვიანდა, ხედავ, უკვე ბნელა. წამოდით, ბავშვებო, დედას დაეხმარეთ.

როდესაც მეხანძრეები და მეზობლები გაიკრიფნენ, ლეო აუფმანი, პაპა სპოლდინგი, დაგლასი და ტომი მხრჩოლავი ნაცეცხლარის წინაშე დარჩნენ ჩაფიქრებულნი.

ლეომ ფეხი წაჰკრა სველი ნაცრის გროვას და მძიმედ ამოთქვა აუცილებელი სათქმელი:

- ცხოვრების დასაწყისში ყველაფერზე ადრე ერთ რამეს ხვდები: რომ სულელი ხარ... და სულ ბოლოსაც ამას ხვდები: ისევ ისეთ სულელად დარჩი. ამ ერთ საათში ძალიან ბევრი რამ გავიაზრე. ვიღაცამ თითქოს ჩამჩურჩულა: „ლეო აუფმან, ბრმა ხარ!..“ გინდათ, ნამდვილი ბედნიერების მანქანა გაჩვენოთ? ასე, ორი ათასი წლის წინ გამოიგონეს და დღემდე მუშაობს, არა, მუდამ უხარვეზოდ არა, მაგრამ მაინც მუშაობს. ამდენ ხანს აგერ, ჩემ გვერდით იყო.

- კი მაგრამ, ხანძარი?.. - იკითხა დაგლასმა.

- ხანძარი, გარაჟი, ჰო, მართალია! მაგრამ, როგორც ლინამ თქვა, ამის მიხვედრას წლები არ სჭირდება. ის, რაც გარაჟში დაიწვა, ნამდვილი არ ყოფილა!

ყველანი პარმაღის კიბეზე აჰყვნენ ლეოს.

- აგერ, - ჩასჩურჩულა ლეო აუფმანმა, - მოუახლოვდით ფანჯარას, ჩუმად იყავით და დაგანახვებთ.

პაპამ, დაგლასმა და ტომმა ყოყმანით შეიხედეს შუშაბანდის ფართო ჭრილში.

იქ, თბილი შუქის პატარა ტბორებში გახვეულიყო ის, რასაც ლეო აუფმანი უჩვენებდათ: საული და მარშალი პატარა მაგიდასთან ჭადრაკს თამაშობდნენ. სასტუმრო ოთახში რებეკა სუფრაზე დანა-ჩანგალს აწყობდა. ნოომი ქაღალდისაგან თოჯინას კაბებს ჭრიდა. რუთი აკვარელით ხატავდა. ჯოზეფს თავისი ელექტრომატარებელი ჩაერთო. სამზარეულოს ღია კარში ლინა აუფმანი ოხშივრიანი ღუმლის წინ დახრილიყო, ფრთხილად

გამოჰქონდა ტაფა, რომელზედაც შებრაწული ქათამი შიშხინებდა. ყოველი ხელი, თავი თუ ბაგე დიდ-პატარა მოძრაობას ასრულებდა. მინის მიღმა მათი ხმები მოისმოდა. ვიღაც მღეროდა მაღალი, კრიალა ხმით. ახალგამომცხვარი პურის სურნელი იფრქვეოდა. ისეთი, ეჭვს რომ არ ტოვებდა: ეს ნამდვილი პური იყო, რომელსაც ერთ წუთში ნამდვილი კარაქი წაესმებოდა. ყველაფერი თავ-თავის ადგილზე გახლდათ და აწყობილად მუშაობდა.

პაპა, დაგლასი და ტომი ლეო აუფმანს მიუბრუნდნენ, მას ფანჯრისათვის თვალი არ მოეცილებინა, გამტკნარებულ სახეზე ვარდისფერი სინათლე ეღვრებოდა.

- რა თქმა უნდა, - თავისთვის ჩაილაპარაკა, - აგერ არის, - მშვიდი სევდით, გაათმაგებული სიხარულითა და დარწმუნებით ადევნებდა თვალს სახლის წიაღში აღძრულ ფუსფუსს, ჭერქვეშ საგნების გადანაცვლებას, შეყოვნებასა და კვლავ საერთო წესრიგში ამოძრავებას, - ბედნიერების მანქანა, - წარმოთქვა ბოლოს, - ბედნიერების მანქანა.

წამიც და, ის გაუჩინარდა.

მერე კი პაპა, დაგლასი და ტომი უყურებდნენ, როგორ მიმოდიოდა ლეო აუფმანი თავისი დანადგარის წიაღში, მის თბილ, საოცარ, უსასრულოდ ფაქიზ და იდუმალ ნაწილებს შორის, ხან ერთს წაახმარდა ხელს, ხან მეორეს გაასწორებდა, ხანაც მესამეს დაატრიალებდა.

ბოლოს სამივენი პარმაღიდან ზაფხულის გრილ ღამეში ჩაეშვნენ.

* * *

წელიწადში ორჯერ ეზოში დიდ, ფართო ხალიჩებს ფრიალით აფენდნენ მოლზე, სადაც ისინი უადგილოდ და უკაცურად გამოიყურებოდნენ. მერე კი ბებოსა და დედას რაღაცები გამოჰქონდათ, რაც იმ ულამაზესი, გრეხილი მავთულის სკამების ზურგს მოგაგონებდათ, ქალაქის ცენტრში, გამაგრილებელი სასმელების კაფეში რომ იდგა. ამ დიდ მავთულის ჩოგნებს წრეში ჩამოარიგებდნენ და წამით ყველანი - დაგლასი, ტომი, ბებო, დიდი ბებია და დედა - კუდიანებივით თუ ფუძის ანგელოზებივით გატრუნულნი, ძველ სომხურ ჩუქურთმებში ჩამჯდარ მტვერს ჩაუსაფრდებოდნენ. შემდეგ დიდი ბებია თვალით ან ბაგის ამოძრავებით აძლევდა ყველას ნიშანს, ყველანი საბერტყებს მოიქნევდნენ, მავთულის წნულები სისინით გააპობდა ჰაერს და ხალიჩებს ეცემოდა, - აი, შენ! ესეც შენ! - გაჰყვიროდა დიდი ბებო, - აბა, ბიჭებო, ბუზებს დაერიეთ! გასრისეთ ეგ ბაღლინჯოები!

- კარგი რა! - შეაგონებდა ხოლმე ბებო თავის დედას.

ყველას ეცინებოდა. თავზე მტვრის ქარბუქი დასტრიალებდათ. სიცილი ხველაში გადადიოდა.

ჰაერის ყოველ აფეთქებაზე იფრქვეოდა ბუსუსების კორიანტელი, ქვიშის მარცვლების ნიაღვარი, ჩიბუხიდან გადმოცვენილი თუთუნის ოქროს ფანტელები. სულის მოსათქმელად შეჩერებული ბიჭების თვალწინ ფარდაგის ფაფუკ ზედაპირზე მათი საკუთარი და უფროსების ფეხის ურიცხვი ნაკვალევი იკითხებოდა. აღმოსავლეთ სანაპიროზე აღბეჭდილი ეს მილიარდი კვალი ახლა მრავალჯერ მიმოქცეული დარტყმების ზვირთებს უნდა ამოეშალა.

- აი, შენი ქმრის დაღვრილი ყავა! - ბებომ გულისწყრომით მიარტყა საბერტყი ხალიჩას.

- აქ ნაღები დაგექცა! - დიდმა ბებიამ მტვრის ბუღი დააყენა.

- ხედავთ, როგორ ემჩნევა, ზედ რომ სრიალებდით? ოჰ, ბიჭებო, ბიჭებო!

- სუპერბებია, აგერ, შენი კალმიდან გადმოღვრილი მელანი!

- ფუჰ! ჩემი მეწამულია, ეს კი უბრალო ლურჯი მელანია!

ტყაპ!

- ერთი შეხედე შემოსასვლელი კარიდან სამზარეულოსაკენ გაკვალულ ბილიკს. საკვები. აი, რა იზიდავს ლომებს სარწყულებლად. მოდი, ამოვშალოთ, უკუღმა შემოვატრიალოთ.

- მაგას სჯობს, მამაკაცები სახლში აღარ შემოვუშვათ.

- ფეხსაცმელი შემოსასვლელთან გაიხადონ.

ტყაპ! ტყაპ!

საქმის დასაგვირგვინებლად ხალიჩები სარეცხის თოკებზე გადაფინეს. ტომი დააშტერდა უცხო ხვეულებსა და თვლებს, ყვავილებსა და ყოვლად გამოუცნობი ფიგურების განმეორებად ჩუქურთმებს.

- ტომ, რას გაჩერებულხარ. დაარტყი, შვილო!

- მაგარია, იმდენ რამეს ვხედავ, - გაეპასუხა ტომი.

დაგლასმა ეჭვით შეხედა.

- მაინც რას ხედავ?

- ბიჭო, მთელ ქალაქს, ხალხს, სახლებს, აი, ჩვენი სახლიც! - ტყაპ! - ჩვენი ქუჩა! - ტყაპ! - ეს შავი ადგილი ხევია! - ტყაპ! - აგერ სკოლა! - ტყაპ! - ეს სასაცილო სიფათი შენ ხარ, დაგ! - ტყაპ! - აი, დიდი ბებია, ბებო და დედა. - ტყაპ! - რამდენი წელია, რაც ეს ხალიჩა ძირს გვიფენია?

- თხუთმეტი.

- თხუთმეტი წელია ხალხი ზედ დააბიჯებს; ყოველ ნაკვალევს მკაფიოდ ვხედავ, - გაიკვირვა ტომმა.

- გონს მოდი, ბიჭო, რას მიედ-მოედები? - უთხრა დიდმა ბებიამ.

- აქ ყველაფერი ჩანს, რაც კი ამ წლების მანძილზე მოხდა ჩვენს სახლში! - ტყაპ! - მთელი წარსული, მაგრამ მე მომავალსაც ვხედავ. თვალებს თუ დავაჭყეტ და ამ ჩუქურთმებს კარგად ჩავაკვირდები, იმასაც დავინახავ, სად წავალთ და სად ვირბენთ ხვალ.

დაგლასი შედგა, ცალ ხელში ისევ საბერტყს იმარჯვებდა.

- კიდევ რას ხედავ მაგ ხალიჩაზე?

- ალბათ, ძირითადად, ძაფებს, - ჩაერთო დიდი ბებო, - ისეთი გაცრეცილია, რომ ჩონჩხიღა დარჩა. სულ გამჭვირვალე ჩანს ქსოვილი.

- მართალია! - იდუმალი კილოთი დაეთანხმა ტომი, - ჯვარედინად გაჭიმული ძაფები. ყველაფერს ვხედავ. მზაკვარი არამზადები. ჩასაფრებული მტარვალნი. აი, ასე გადის ავდრის ხაზი, ეს კი კარგი ამინდის ხაზია. პიკნიკები, პურმარილი, მარწყვის წვეულებები, - საბედისწერო ჟესტით მიუთითებდა თავისი საბერტყით ხალიჩის ხან ერთ მონაკვეთზე, ხან მეორეზე.

- მაშ, მე აქ პანსიონი მქონია გახსნილი, - გაწბილდა ბებია.

- ყველაფერი ამ ფაფუკ ხავსშია ჩახატული. თავი გვერდზე გადასწიე, დაგ, და ცალი თვალი მოჭუტე. რა თქმა უნდა, საღამოთი უფრო მოსახერხებელია, როცა ხალიჩა ოთახში აფენია, სინათლე ანთია, მაშინ ზედ ყველანაირი ჩრდილი ეცემა, მკრთალი და ბნელი, ძაფები უსასრულობაში იჭიმება, გეძინება, ხელს უსვამ ხაოიან მინდორს. დაგენაძლევები, ზუსტად ასეთი სუნი აქვს უდაბნოს, ცხელი და ხრაშუნა, ალბათ, სარკოფაგშიც ასეთი სუნია. ამ წითელ ლაქას შეხედე: ბედნიერების მანქანა იწვის!

- ვიღაცის სენდვიჩიდან გადმოღვრილი კეტჩუპი იქნება, - თქვა დედამ.

- არა, ბედნიერების მანქანაა, - დაგლასს გული დასწყდა ამის გამო, რომ ის აქაც იწვოდა. ლეო აუფმანის იმედი ჰქონდა, ეგონა, ის ყველაფერს მოაგვარებდა, ყველა სახეზე უცვლელ ღიმილს გააჩენდა, ეგონა, მისი წყალობით ციცქნა ავტოპილოტი, რომელსაც დაგლასი საკუთარ არსებაში შეიგრძნობდა, მუდამ მზისკენ იფრენდა, მაშინაც კი, როცა დედამიწა კოსმოსური წყვდიადისაკენ შებრუნდებოდა. ამის მაგიერ თვალწინ ლეო აუფმანის უნიათობა და ნაცარტუტის გროვა ედგა. ტყაპ! ტყაპ! დაგლასმა მთელი ძალით შეუტია ამ სანახაობას.

- შეხედე, მწვანე ელექტრომანქანა! შიგ მის ფერნი და მის რობერტა სხედან! - შესძახა ტომმა, - პიპიიპ! ტყაპ!

ყველანი იცინოდნენ.

- დაგლას, შენი სიცოცხლის ძაფები კვანძებად იხლართება. ძალიან ბევრი მკვახე ვაშლი არ ჭამო, არც მწნილი ძილის წინ!

- აბა, რომელია? - ჩააკვირდა დაგლასი.

- ეს დღეიდან ერთი წლის შემდეგ იქნება, ეს კვანძი ორი წლის მერეა, ეს კი ერთი, სამი, ოთხი, ხუთი წლის მერე!

ტყაპ! მავთულის საბერტყი ჰაერში გველივით ასისინდა.

- ეს მომავალში კიდევ გაიზრდება! - დაასრულა ტომმა.

ისე მაგრად დაარტყა ხალიჩას, მთელი ხუთი საუკუნის მტვერი ადინა შეშინებულ ქსოვილს და ერთი შემზარავი წუთის მანძილზე ეს შავი ღრუბელი მთრთოლარე ქსოვილის ხლართებში ჩაშტერებული დაგლასის თავზე ჰაერში გაქვავდა, მერე კი ძველი სომხეთის ქარიშხალმა მათ თვალწინ, უხმოდ, შავი სუდარით შემოსა ბიჭი...

* * *

ხნიერ მისის ბენტლის აღარც კი ახსოვდა, რით დაიწყო ბავშვებთან მისი ურთიერთობა. ხშირად მოხვედრიან თვალში ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში, ფარვანებივით თუ მაიმუნებივით რომ დაძრწოდნენ კომბოსტოებსა და ბანანის კუნწულებს შორის, მუდამ უღიმოდა მათ და ისინიც ღიმილით პასუხობდნენ. ხედავდა, ახალ ნათოვზე ნაკვალევს როგორ ტოვებდნენ, როგორ ისრუტავდნენ შემოდგომის ბოლს, გაზაფხულობით კი ვაშლის ყვავილის კორიანტელს აყენებდნენ, მაგრამ მათი არასდროს შეშინებია. თავად მას რაც შეეხება, მის სახლში მუდამ უკიდურესი წესრიგი სუფევდა: იატაკები სუფთად ჰქონდა გამოგვილი, სურსათი - სათავსებსა და ყუთებში დაბინავებული, ქუდის სამაგრი ქინძისთავები - საგანგებო ბალიშზე ასხმული, საძინებლის კამოდის უჯრებში კი მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები ტკიცინა თეთრეული ინახებოდა.

მისის ბენტლი თავშენახული ქალი გახლდათ. სათუთად ინახავდა ბილეთებს, თეატრის ძველ პროგრამებს, მაქმანის ჩამონაჭრებს, თავსაფრებს, მატარებლის განრიგებს; ყველაფერს, რაც კი არსებობის მოსაგონარ სუვენირებად ეგულებოდა.

- ფირფიტების მთელი დასტა მაქვს, - ჰყვებოდა ხშირად, - აი, ეს კარუზოა. 1916 წელს ვიყიდე ნიუ-იორკში; მაშინ სამოცისა ვიყავი და ჯონი კიდევ ცოცხალი იყო. ეს კი, „ივნისის მთვარეა“, 1924 წელს შეძენილი, მგონი, უკვე ჯონის გარდაცვალების შემდეგ.

გარკვეულწილად, მისი ცხოვრების უდიდეს სინანულს სწორედ ეს წარმოადგენდა: უსაყვარლესი არსება, რომლის მოსმენა და შეხება ყველაზე მეტად სიამოვნებდა, ვერ შეინარჩუნა. ჯონი ახლა შორს იყო, ის კუბოში

სათუთად მოეთავსებინათ, ტრიალ მინდორზე ბალახის ქვეშ ჩაემალათ და ზედ თარიღიც მიეწერათ. მისგან აღარაფერი შემორჩა გარდა აბრეშუმის ქუდისა, ხელჯოხისა და საგარეო კოსტიუმისა, რომელსაც ქალი კარადაში ინახავდა. აი, სულ ეს გახლდათ მისი ნაშთი და ისიც ჩრჩილს დაეძენძა.

და მაინც, რაც შეძლო, ყველაფერი შემოინახა: ვარდისფერი ყვავილებით მოჩითული მისი კაბები უზარმაზარ შავ ჩემოდნებში ნაფტალინის ბურთულებს შორის ეწყო; ბავშვობისდროინდელი თლილი მინის ჭურჭელი მინისავე კარადებში იდგა, - ეს ყველაფერი ხუთი წლის წინ წამოიღო, როდესაც ამ ქალაქში ჩამოვიდა. მისი მეუღლე სხვადასხვა ქალაქში ბინებს აქირავებდა. მისის ბენტლი კი მონაცვლეობით ცხოვრობდა ამ ბინებში, სიძველისგან გაყვითლებული ჭადრაკის სპილოს ძვლის ფიგურასავით ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და გზადაგზა ბინებს ყიდდა, სანამ ამ უცხო ქალაქში არ ამოყო თავი ჩემოდნებითა და ჩამუქებული ავეჯით გარშემორტყმულმა.

ბავშვებთან დაკავშირებული ამბავი შუა ზაფხულში მოხდა. სუროს მოსარწყავად ვერანდაზე გამოსულმა მისის ბენტლიმ ორი გოგონა და პატარა ბიჭი შენიშნა, მის გაზონზე უდრტვინველად რომ წამოწოლილიყვნენ და ბალახის სილბოთი ტკბებოდნენ.

მისის ბენტლის ნიღაბივით ყვითელ სახეზე ღიმილი გამოისახა. წუთიც და, მოსახვევიდან ჯადოქრის კიდობანივით უეცრად გამოჩნდა მენაყინის ვაგონი. მოგორავდა და თან სიგრილის მომასწავებელი ჟღარუნა მელოდიით უხმობდა ყველას. ბავშვები ბალახზე წამოიმართნენ და მზისკენ მიქცეული მზესუმზირებივით მისკენ მიაბრუნეს თავები.

- გინდათ ნაყინი? - გასძახა მისის ბენტლიმ, - ახლავე! - ვაგონი გაჩერდა და მოხუცმა ქალმა გამყიდველს ხურდა ჩაუჩხრიალა, დიდი გამყინვარების უმშვენიერესი ნაკუწები გამოართვა და ბავშვებს დაურიგა. ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს, პირი უკვე თოვლით ჰქონდათ ამოვსებული, იდგნენ და თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდნენ მოხუც ქალს.

- თქვენც ხომ არ მოკბეჩთ ცოტას? - შესთავაზა ბიჭმა.

- არა, პატარავ. ისეთი მოხუცი ვარ, რომ პაპანაქება სიცხეშიც კი მცივა, - ჩაიცინა მისის ბენტლიმ.

ციცქნა აისბერგებით ხელში კიბე აიარეს და ვერანდის ჩრდილში ჩამწკრივდნენ გრძელ დივან-საქანელაზე.

- მე ელისი ვარ, ეს ჯეინია, ეს კი ტომ სპოლდინგი.

- ძალიან სასიამოვნოა. მე კი მისის ბენტლი ვარ. იყო დრო, როცა ელენს მეძახდნენ.

ბავშვები გაოგნებით მიაშტერდნენ.

- არ გჯერათ, რომ ელენი მქვია? - ჩაეკითხა მოხუცი ქალი.

- არ ვიცოდი, ხნიერ ქალბატონებსაც თუ ჰქონდათ სახელები, - ტომმა თვალები დაბნეულად ააცამცამა.

მისის ბენტლიმ ცივად ჩაიცინა.

- იმის თქმა უნდოდა, რომ მოხუცებს სახელით არავინ მიმართავს, - შეარბილა ჯეინმა.

- ჩემო კარგო, ჩემი ხნის რომ გახდები, არც შენ დაგიძახებენ ჯეინს. ასაკი სიდინჯეს გვმატებს და ქალბატონობით მომართვას ითხოვს. ახალგაზრდები ვერ ბედავენ, „ელენით“ მომმართონ. ეს მეტისმეტად ფამილარულად ჟღერს.

- რამდენი წლის ბრძანდებით? - იკითხა ელისმა.

- ასე, პტეროდაქტილის ხნის, - ღიმილით უპასუხა ქალმა.

- მაინც, რამდენის?

- სამოცდათორმეტის.

ბავშვები ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად დაეწაფნენ ტკბილ ლოლოებს, რათა ეს ინფორმაცია საფუძვლიანად გაეაზრებინათ.

- რა ბებერი ხართ, - აღმოხდა ტომს.

- ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მას მერე, რაც თქვენი ტოლი ვიყავი, არაფერი შეცვლილა, - მიუგო ქალმა.

- ჩვენი ტოლი?

- ჰო, ოდესღაც შენნაირი მშვენიერი გოგონა ვიყავი, ჯეინ, და შენნაირიც, ელის.

ბავშვებს ხმა აღარ ამოუღიათ.

- რაშია საქმე?

- არაფერში, - ჯეინი წამოდგა.

- ოჰ, ასე უცბად ნუ წახვალთ. ჭამა არ დაგიმთავრებიათ... მოხდა რამე?

- დედამ მითხრა, ტყუილის თქმა არ შეიძლებაო, - თქვა ჯეინმა.

- რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ეს ძალიან ცუდია, - დაეთანხმა მისის ბენტლი.

- და არც ტყუილის მოსმენა შეიძლება.

- ვისგან მოისმინე ტყუილი, ჯეინ?

ჯეინმა მოხუც ქალს შეხედა და შეწუხებული სახით აარიდა მზერა:

- თქვენგან.

- ჩემგან? - მისის ბენტლიმ გადაიხარხარა, დამჭკნარი პატარა თათი გამხდარ მკერდზე მიიდო, - მაინც რა მოგატყუე?

- თქვენი ასაკის შესახებ რაც გვითხარით, პატარა გოგონა ვიყავიო.

მისის ბენტლი გაშრა.

- კი მაგრამ, დიდი ხნის წინათ მართლა ვიყავი პატარა გოგონა!

- ელის, ტომ, წამოდით.

- მოიცადეთ ერთ წუთს, - უთხრა მისის ბენტლიმ, - ესე იგი, არ გჯერათ?

- არ ვიცი, - თქვა ჯეინმა, - არა.

- სასაცილოა პირდაპირ! ეს ხომ თავისთავად ცხადია: ოდესღაც ყველა იყო პატარა!

- თქვენ არა, - თვალებდახრილმა თითქმის უხმოდ ჩაილუღლუღა ჯეინმა და ნაყინის ჯოხი ძირს წარმოქმნილ ვანილის გუბეში ჩაუვარდა.

- როგორ არა, თქვენსავით მეც ვიყავი რვა, ცხრა, ათი წლის.

გოგონებს სიცილი წასკდათ, მაგრამ იმწამსვე თავი შეიკავეს და დადუმ-დნენ.

მისის ბენტლიმ თვალები დააბრიალა.

- კარგი, გეყოფათ! სად მაქვს ათი წლის ბავშვებთან კამათის დრო! საკ-ვირველი არაფერია: ათი წლისა მეც თქვენსავით სულელი ვიყავი.

გოგონებს ისევ გაეცინათ. ტომმა თავი უხერხულად იგრძნო.

- გვეხუმრებით, ხომ ასეა? სინამდვილეში ხომ არასოდეს ყოფილხართ ათი წლის, მისის ბენტლი?

- აბა, შინ მოუსვით! - უეცრად დაუყვირა ქალმა, რადგან მათი მზერის ატანა აღარ შეეძლო, - რას მომჩერებიხართ და დამცინით?!

- სინამდვილეში ხომ არ გქვიათ ელენი?

- აბა, რა მქვია?

- კარგად ბრძანდებოდეთ, - გასძახეს გოგონებმა და ხითხითით გაუყვნენ ჩრდილში გახვეულ გაზონს, ტომი მათ უკან მიჩანჩალებდა, - გმადლობთ ნაყინისათვის!

- ოდესღაც კლასობანასაც ვთამაშობდი! - უკან დაადევნა მისის ბენტლიმ, მაგრამ ბავშვები უკვე აღარსად ჩანდნენ.

* * *

მისის ბენტლი საღამომდე არ გაჩერებულა: ხმაურიანად ახეთქებდა თუ-ნუქის ჩაიდნებს, მომეტებული ენერგიით მოიმზადა დიეტური სამხარი, წამ-დაუწუმ გარეთ აცეცებდა თვალს, ღია კარში, რათა იმ აბეზარა ლაწირაკები-სათვის სიცილის დროს წაესწრო. თუმცა, რომც გამოჩენილიყვნენ, რაღა უნ-და ჰქონოდა მათთან სალაპარაკო, ან მათზე ფიქრით რატომ უნდა გაეცხე-ლებინა თავი?

- ერთი ამათ დამიხედე! - გაცხარებით მიმართა მოხუცმა ქალმა თავის კოხტა, ვარდებიან ფინჯანს, - არავინ არასოდეს დაეჭვებულა იმაში, რომ ოდესღაც პატარა გოგონა ვიყავი. რა სულელური, რა საშინელი აზრია! სიბერე სულაც არ მაწუხებს! სრულებით არა! მაგრამ ვერ დავუშვებ, რომ ჩემი ბავშვობა წამართვან!

ერთი-ორჯერ დალანდა ბავშვები ფუღუროებიანი ხეების ქვეშ, ულმობელი პატარა თითებით მის ჰაერივით უჩინარ სიყმაწვილეს რომ დააქროლებდნენ.

ვახშმის შემდეგ თვითონაც გაოცდა, როდესაც მისმა ხელებმა, სპირიტისტულ სეანსზე ამოძრავებული ხელთათმანებივით, დამოუკიდებლად მოაგროვეს რამდენიმე საგანი და სუნამონაპკურებ ცხვირსახოცში გაახვიეს. ამის შემდეგ ქალი ვერანდაზე გავიდა და იქ ნახევარ საათს იდგა უძრავად.

უცბად ღამის ფრინველებივით ჩაიქროლეს ბავშვებმა, მაგრამ მისის ბენტლის ძახილმა ააფართხალა და შეაჩერა ისინი.

- დიახ, მისის ბენტლი?

- ვერანდაზე ამოდით! - უბრძანა ქალმა და გოგონები კიბეზე აბობღდნენ, ტომიც კვალდაკვალ მიჰყვა.

- გისმენთ, მისის ბენტლი! - ისევ განსაკუთრებულად, ფორტეპიანოს პედალივით მძიმედ გამოკვეთეს სიტყვა „მისის“, თითქოს ეს ქალის სახელი ყოფილიყოს.

- ჩემთვის ძვირფასი რამეები უნდა გაჩვენოთ, - ცხვირსახოცი გაშალა და შიგ ისე ჩაიჭყიტა, თითქოს თვითონაც ცნობისმოყვარეობას აეტანა. ხელოვნური ბრილიანტებით გაწყობილი ციცქნა, ნატიფი თმის სამაგრი ამოიღო.

- ცხრა წლის რომ ვიყავი, ეს მეკეთა, - უთხრა ბავშვებს.

ჯეინმა ნივთი ხელში აათამაშა.

- რა საყვარელია!

- მაჩვენე! - შესძახა ელისმა.

- ეს პაწაწინა ბეჭედი კი რვა წლის ასაკში მეკეთა, - განაგრძო მისის ბენტლიმ, - ხედავთ, ახლა შიგ თითი აღარ ჩამდის. შიგ თუ გახედავთ, პიზის კოშკს დაინახავთ, თან იმასაც შეატყობთ, რომ სადაცაა უნდა წაიქცეს.

- აბა, როგორ იხრება? - გოგონებმა ერთიმეორეს გადასცეს ბეჭედი, ბოლოს ჯეინმა ის თითზე მოირგო.

- კარგად მაქვს! - აღფრთოვანებით წამოიძახა.

- თმის სამაგრი კი მე მაქვს კარგად! - გაოცდა ელისი.

მისის ბენტლიმ კი ამასობაში რამდენიმე მრგვალი კენჭი ამოაწყო, მერე კი ძირს დააბნია.

- აი, ამეებით კენჭობანას ვთამაშობდით.

კენჭები უცნაურ ფიგურად განლაგდნენ იატაკზე.

- ახლა ამასაც შეხედეთ! - მისის ბენტლიმ გამარჯვებულის იერით ააფრიალა თავისი კოზირი: ღია ბარათისხელა სურათი, რომელიც შვიდი წლის ასაკში გადაიღო - სურათზე პეპელასავით ყვითელი კაბა ეცვა, ოქროსფერი კულულები, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები და საყვარლად გაბუსხული ტუჩები ჰქონდა.

- ეს პატარა გოგონა ვინ არის? - შეეკითხა ჯეინი.

- ეს მე ვარ!

გოგონებმა ხელი სტაცეს სურათს.

- თქვენ რომ არ გგავთ? - გულუბრყვილოდ გაიკვირვა ჯეინმა, - ასეთ სურათს ხომ ყველა იშოვის, თუ მოინდომა.

ბავშვებმა ეჭვით შეხედეს მოხუც ქალს.

- სხვა სურათები არა გაქვთ, მისის ბენტლი? - არ ცხრებოდა ელისი, - უფრო გვიანდელი? თუ გაქვთ სურათები, რომელიც თხუთმეტი, ოცი, ორმოცი, ორმოცდაათი წლისამ გადაიღეთ?

გოგონებმა ჩაიფხუკუნეს.

- რა მოვალე ვარ, ყველაფერი გაჩვენოთ?! - გაცხარდა მისის ბენტლი.

- მაშინ არც ჩვენ ვართ მოვალე, დაგიჯეროთ, - უპასუხა ჯეინმა.

- კი მაგრამ, ეს სურათი ხომ ამტკიცებს, რომ მეც ვიყავი პატარა?!

- ეს ვიღაც სხვაა, ჩვენნაირი პატარა გოგონაა. თქვენ ეს სურათი ვიღაცას წაართვით.

- მე გათხოვილიც ვიყავი!

- თუ ასეა, მისტერ ბენტლი სად არის?

- დიდი ხანია, რაც აღარ არის. ახლა აქ რომ იყოს, გეტყოდათ, ოცდაორი წლისა რა ახალგაზრდა და მომხიბლავი ვიყავი.

- მაგრამ ის ხომ აქ არ არის და ვერაფერს გვეტყვის, ასე რომ, ეს ვერაფერს ამტკიცებს!

- ქორწინების მოწმობა მაქვს.

- იქნებ ისიც ვიღაცას გამოართვით? მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, რომ ოდესმე ახალგაზრდა იყავით, - ჯეინმა თვალები დახუჭა იმის ნიშნად, თუ რამდენად სწამდა საკუთარი სიტყვების, - თუკი ვინმე დამიდასტურებს, რომ ათი წლის ასაკში გნახათ.

- ათასობით ადამიანს ვუნახავვარ, პატარა შტერო, მაგრამ ახლა ყველა მკვდარია, ან მოხუცდნენ, დაუძლურდნენ ან სხვა ქალაქებში არიან,

ამიტომაც ვერ დამემოწმებიან. სულ რამდენიმე წელია, რაც აქ გადმოვედი, ასე რომ, არავის ვუნახავვარ პატარა.

- აი, ხომ ხედავთ! - ჯეინმა გამარჯვებული მზერა შეავლო მეგობრებს, - არავის უნახავს!

- მომისმინე! - მისის ბენტლი გოგონას მაჯაში სწვდა, - ასეთ რამეში სიტყვას უნდა ენდო. მოვა დრო და შენც დაბერდები და შენზეც იმავეს იტყვიან: „არა, ეს სვავი არასოდეს ყოფილა კოლიბრი! ეს ჭოტი მოლაღური როგორ იქნებოდა?! ამ თუთიყუშს რა საერთო აქვს ლურჯ ფრინველთან?!“ ერთ მშვენიერ დღეს მე დამემსგავსებით!

- არაფერიც, - თავი გააქნიეს გოგონებმა და ერთმანეთს გადახედეს, - ეს ხომ შეუძლებელია?

- მოიცადეთ და ნახავთ! - უთხრა მისის ბენტლიმ.

თავისთვის კი გაიფიქრა: ღმერთო ჩემო, ბავშვები ბავშვები არიან, მოხუცები კი - მოხუცები, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, რასაც ვერ ხედავენ, იმის წარმოდგენა არ შეუძლიათ.

- აი, ვთქვათ, დედაშენი, - მიმართა ჯეინს, - არ შეგინიშნავს, წლებთან ერთად როგორ იცვლება?

- არა, - უპასუხა ჯეინმა, - ის ყოველთვის ერთნაირია.

მართლაც ასე იყო. როდესაც ყოველდღიურად ხარ ადამიანის გვერდით, ვერაფერს ამჩნევ, რადგან ცვლილებები უცბად არ ხდება. მხოლოდ დიდი ხნით, წლობით წასულები უკან რომ ბრუნდებიან, მაშინღა გეცემა თვალში თავზარდამცემი ცვლილება.

ქალმა თავი ისე იგრძნო, თითქოს სამოცდათორმეტი წელი მოგუგუნე შავი მატარებლით სადღაც მიქროდა, ახლა კი უცბად ბაქანზე აღმოჩნდა, ყველა მას შემოეხვია და ეკითხება: „ეს შენ ხარ, ელენ ბენტლი?“

- მგონი, სჯობს, სახლში წავიდეთ, - თქვა ჯეინმა, - გმადლობთ ბეჭდისთვის, ზუსტად მომერგო.

- გმადლობთ თმის სამაგრისთვის. ძალიან ლამაზია.

- გმადლობთ პატარა გოგოს სურათისათვის.

- დაბრუნდით, ამ ნივთებს ვერ გაგატანთ! - შეჰყვირა მისის ბენტლიმ, მაგრამ გოგონები უკვე კიბეზე ჩარბოდნენ, - ეს ყველაფერი ჩემია!

- რას შვრებით? - გაეკიდა გოგონებს ტომი, - დაუბრუნეთ!

- არა, მან ეს ნივთები ვიღაც პატარა გოგოს მოჰპარა! ისინი სხვისია. დიდი მადლობა! - გასძახა ელენმა.

ყვირილს აზრი აღარ ჰქონდა, გოგონები ღამის ფარვანებივით გაუჩინარებულიყვნენ.

- ბოდიში, - ტომმა გაზონიდან ახედა პარმაღზე გაქვავებულ მისის ბენ-ტლის და ისიც სწრაფად გაუჩინარდა.

წაიღეს. ჩემი ბეჭედი, ჩემი თმის სამაგრი და ჩემი სურათი წამართვეს, ფიქრობდა აცახცახებული მოხუცი ქალი. ო, გამძარცვეს! ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო!

დიდხანს წრიალებდა უძილოდ სიბნელეში დახვავებულ თავის ჩემოდ-ნებსა და სკივრებს შორის. თვალი გადაავლო კოხტა დასტებად დაწყობილ ქსოვილებს, სათამაშოებსა და ბუმბულებს და ხმამაღლა წარმოთქვა:

- მართლაც მე მეკუთვნის ეს ყველაფერი?

ან იქნებ ეს მხოლოდ მარჯვე დედაბრული ხრიკი იყო საკუთარი თავის დასარწმუნებლად, აქაოდა, მეც მაქვსო წარსული? ბოლოს და ბოლოს, რაც ჩავლილია, ჩავლილია, მორჩა და გათავდა. ჩვენ მხოლოდ აწმყოში ვცხოვ-რობთ. შეიძლება, ოდესღაც იყო კიდეც პატარა, მაგრამ ახლა ხომ აღარ არის! ბავშვობა დასრულდა და მას ვეღარაფერი დააბრუნებდა!

ოთახში ღამის ნიავმა შემოუბერა, თეთრი ფარდა ააფრიალა და შავი ხელჯოხი წააქცია, სხვა ძველისძველ მოსაგონართა გვერდით წლების მან-ძილზე რომ ეყუდა კედელთან. ხელჯოხი რბილად გაგორდა ძირს, მისი ოქ-როს ბუნიკი მთვარის შუქის სხივზე გაბრწყინდა. ეს მეუღლის ოპერაში სა-სიარულო ხელჯოხი იყო. ქალს მოეჩვენა, თითქოს ის ახლაც ამ ჯოხით რა-ღაცას მიუთითებდა, როგორც უწინ, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც უთანხმოება მოსდიოდათ, და მეუღლე თავისი ლბილი, ნაღვლიანი, გაწო-ნასწორებული ხმით ესაუბრებოდა.

- ეს ბავშვები მართლები არიან, - ასე ეტყოდა, ალბათ, - მათ შენთვის არაფერი წაურთმევიათ, ძვირფასო. აქ, ამ წუთში, ეს ნივთები შენი აღარ არის. მას ეკუთვნის, შენს ყოფილ ორეულს, დიდი ხნის წინათ რომ ცხოვ-რობდა.

ოჰ, შეიცხადა მისის ბენტლიმ. მერე კი, თითქოს ძველისძველი ფირფიტა აშრიალდა პატეფონის ნემსის ქვეშ, ერთბაშად მოაგონდა ის საუბარი, ერ-თხელ რომ ჰქონდა მისტერ ბენტლისთან - ზრდილ, კოპწიად გამოწყობილ მისტერ ბენტლისთან, საღილეში ვარდისფერი მიხაკი რომ ჰქონდა გაყრი-ლი.

- ძვირფასო, შენ დროის დინებას ვერ ეგუები - მუდამ ცდილობ, ის იყო, რაც ოდესღაც იყავი, იმის ნაცვლად, რომ დღევანდელი დღე, აი, ეს საღამო გაითავისო. რისთვის ინახავ მაგ ბილეთების დასტებსა და თეატრის პროგ-რამებს? ისინი მხოლოდ გულს დაგწყვეტენ მომავალში. ჩემო კარგო, გადა-ყარე ეგ ყველაფერი.

მაგრამ მისის ბენტლი ჯიუტად განაგრძობდა ნივთების სახსოვრად შეგროვებას.

- აზრი არა აქვს, - განაგრძობდა საუბარს მისტერ ბენტლი ჩაის ფინჯნით ხელში, - რამდენსაც უნდა ეცადო, მაინც ვერ დარჩები იმად, რაც იყავი, მუდამ ის იქნები, რაც ამ წუთში ხარ. დრო მომნუსხველად მოქმედებს. როცა ცხრა წლის ხარ, ასე გგონია, სულ ცხრა წლის იყავი და სამუდამოდ ცხრა წლის დარჩები. როცა ოცდაათის ხარ, გგონია, სულ მუდამ შეინარჩუნებ წონასწორობას ცხოვრების ამ წყალგამყოფ ქიმზე. მერე კი, სამოცდაათი რომ შეგისრულდება, ესეც სამუდამოდ გეჩვენება. ჩვენ აწმყოში ვართ მომწყვდეულნი, სულერთია - ახალგაზრდობაში თუ სიბერეში, მაგრამ ჩვენი გადასახედიდან სხვა აწმყო არ ჩანს.

ეს მათი მშვიდი ქორწინების მცირერიცხოვან საკამათო თემებს შორის ერთ-ერთი იყო. მეუღლეს არასოდეს მოსწონდა მისი ეს კოლექციონერობა.

- რაც ხარ, ის იყავი, რაც აღარ ხარ, დამარხე და დაივიწყე, - ეტყოდახოლმე, - ბილეთების შენახვა იაფფასიანი ხრიკია, სარკეებიანი ფოკუსი - მეტი არაფერი.

დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ნეტავ რას ეტყოდა?

- სულ ტყუილად ინახავ ამ ჭიის პარკებს, - აი, რას ეტყოდა, - წარსული იმ კორსეტს ჰგავს, რომელშიც ვეღარასოდეს ჩაეტევი. მაშ, რაღად გინდა? ახალგაზრდა რომ იყავი, ამას ვეღარაფრით დაამტკიცებ. სურათებით? სურათებიც ხომ ტყუიან. შენ ახლა სხვა ხარ.

- საბუთები?

- არა, ჩემო კარგო, შენ არც თარიღი ხარ, არც მელანი, არც ქაღალდი. არც ხარახურითა და მტვრით სავსე ეს ჩემოდნები. მხოლოდ და მხოლოდ ის ხარ, რადაც ამ წუთში გხედავენ.

მისის ბენტლიმ თავი დაუქნია მოგონებას და შვებით ამოისუნთქა.

- ჰო, მესმის, ყველაფერს მივხვდი.

ოქროსბუნიკიანი ხელჯოხი ახლა უძრავად ესვენა მთვარით განათებულ ხალიჩაზე.

- ხვალ დილით, - მიმართა ქალმა, - ამ ყველაფერს ბოლოს მოვუღებ და გასულ წლებს ერთხელ და სამუდამოდ გამოვეთხოვები. დიახ, ასე მოვიქცევი...

და ჩაეძინა...

* * *

კაშკაშა, მწვანე დილა გათენდა. ბადიანი კარის წინ ორი გოგონა იდგა და ხმადაბლა აკაკუნებდა.

- კიდევ რამე ხომ არ გაქვთ ჩვენთვის, მისის ბენტლი? იმ პატარა გოგონას ნივთებიდან?

ქალი დერეფნის გავლით ბიბლიოთეკაში შეუძღვა.

- აი, ეს აიღე, - ჯეინს ის კაბა მისცა, რომლითაც თხუთმეტი წლისა მანდარინის ქალიშვილს განასახიერებდა, - აი, ესეც, ესეც, - კალეიდოსკოპი, არაჩვეულებრივი დურბინდი. რაც მოგეწონებათ, ყველაფერი წაიღეთ, - უთხრა ბავშვებს, - წიგნები, თოჯინები, გორგოლაჭები, ყველაფერი თქვენია.

- ჩვენია?

- დიახ, თქვენი. ახლა კი უნდა გთხოვოთ, ერთ საქმეში დამეხმაროთ. სახლის უკან, ეზოში, დიდი კოცონი უნდა დავანთო. ჩემოდნები უნდა დავცალო და ბევრი რამ მეძველმანეს გავატანო. ყოველივე ეს მე არ მეკუთვნის. საერთოდ, არც ერთი ნივთი არ არის ვინმეს საბოლოო საკუთრება.

- დაგეხმარებით, - უთხრეს გოგონებმა.

მისის ბენტლი ასანთის კოლოფით ხელში წინ გაუძღვა ეზოსკენ მიმავალ ხელებდახუნძლულ პროცესიას.

ზაფხულის მომდევნო დღეებში ხშირად ნახავდით ვერანდაზე მისის ბენტლის, ორ პატარა გოგონასა და ტომს, მავთულზე შემომსხდარნი ნარჩიტებივით რომ გატრუნულიყვნენ და ელოდნენ. როგორც კი შორიდან მოისმებოდა მენაყინის ვაგონის ჟღარუნი, შემოსასვლელი კარი გაიღებოდა და მისის ბენტლი გამორბოდა თავის ვერცხლისსაკეტიან საფულეში ხელჩაყოფილი. მერე კი პატარებიც და მოხუცი ქალიც ნახევარ საათს პარმაღზე ატარებდნენ, მშვიდად შეექცეოდნენ შოკოლადის ლოლოებს, შინაგან სითბოს სიცივით იზავებდნენ და ხალისობდნენ. საბოლოოდ, ძალიან დამეგობრდნენ.

- რამდენი წლის ხართ, მისის ბენტლი?

- სამოცდათორმეტის.

- ორმოცდაათი წლის წინ რამდენის იყავით?

- სამოცდათორმეტის.

- ხომ არასოდეს ყოფილხართ პატარა, არასოდეს გიტარებიათ ბაფთები და, აი, ასეთი კაბები?

- არა.

- სახელი გაქვთ?

- არა, მისის ბენტლი მქვია.

- და სულ მუდამ ამ სახლში ცხოვრობდით?

- სულ მუდამ.

- და ლამაზიც არასოდეს ყოფილხართ?

- არასოდეს.

- ხომ სულ ასეთი მოხუცი ხართ, უკვე მილიონ-ტრილიონი წელია? - ზაფხულის ნაშუადღევს უძრავ სიცხეში გოგონები მოხუცი ქალის სახეს გაფაციცებით აკვირდებოდნენ.

- ჰო, - ეტყოდა ხოლმე მისის ბენტლი, - უკვე მილიონ-ტრილიონი წელია.

* * *

- ყვითელი ბლოკნოტი მომარჯვებული გაქვს, დაგ?

- აბა, რა, - დაგმა ფანქრის წვერი კარგად დაასველა.

- ბოლოს რა ჩაინიშნე?

- მთელი რიტუალები.

- ოთხი ივლისი, ბაბუაწვერას ღვინის წურვა, პარმაღზე საქანელას გამოტანა და მსგავსი ხარახურა?

- აი, აქ მიწერია, რომ წელს პირველად ვჭამე ნაყინის ტორტი - 1928 წლის პირველ ივნისს.

- ეგ ზაფხულში კი არა, ჯერ კიდევ გაზაფხულზე მოხდა.

- მაინც „პირველი“ იყო, ამიტომაც სიაში შევიტანე. 25 ივნისს ახალი სპორტული ფეხსაცმელი ვიყიდე. 26 ივნისს ბალახზე ფეხშიშველამ გავირბინე. ძალიან, ძალიან ბევრი რამ მქონდა პირველად გასაკეთებელი! ამჯერად რა უნდა შემატყობინო? კიდევ რამე გაიმართა წელს პირველად, არდადეგებთან დაკავშირებული რაიმე ახალი ტრადიციული თამაში? ნაკადულში კიბორჩხალა დაიჭირე თუ წყლის მოხეტიალე ობობასთვის ხელის შევლება მოახერხე?

- არავის არასოდეს შეუვლია ხელი წყლის მოხეტიალე ობობასთვის. შენ იცნობ ასეთ ვინმეს?

- მოიცა, დავფიქრდე...

- ჰა?

- მართალი ხარ. ასეთს არავის ვიცნობ. მგონი, ამას ვერც ვერავინ შეძლებს. წყლის მოხეტიალე ობობა მეტისმეტად სწრაფია.

- სწრაფი კი არა, ის უბრალოდ არ არსებობს, - მოუჭრა ტომმა. წუთით დაფიქრდა და შემდეგ დაადასტურა, - ჰო, არც ოდესმე უარსებია.

წინ გადმოიხარა და ძმას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

დაგლასმა მისი ნათქვამი ჩაიწერა.

ორივემ შეხედა ნაწერს.

- ამის დედა ვატირე! - თქვა დაგლასმა, - ამაზე არასოდეს მიფიქრია. მაგარია! მართლაც ასეა. მოხუცები არასოდეს ყოფილან ბავშვები!

- და ეს რაღაცნაირად გულსატკენია, - დუმილის შემდეგ წარმოთქვა ტომმა, - მათ ვერაფერს ვუშველით.

* * *

- ასე მგონია, ქალაქი მანქანებითაა სავსე, - შუა სირბილში გადასძახა დაგლასმა მეგობარს, - მისტერ აუფმანი და მისი ბედნიერების მანქანა, მის ფერნი, მის რობერტა და მათი მწვანე მანქანა. შენ კი რას მთავაზობ ახლა, ჩარლი?

- დროის მანქანას! - წამოეწია ქოშინით ჩარლი ვუდმენი, - დედას გეფიცები, მზვერავის, ინდიელის პატიოსან სიტყვას გაძლევ, ასეა!

- მოგზაურობები წარსულსა და მომავალში? - იკითხა ჯონ ჰაფმა და ორივე მორბენალ ბიჭს გაასწრო.

- არა, მხოლოდ წარსულში. რას იზამ, ერთბაშად ყველაფერი სად არის! აი, მოვედით.

ჩარლი ვუდმენი მესერთან შეჩერდა. დაგლასმა მწვანე მესერს იქით მდგარ ძველ სახლს შეხედა.

- ეს ხომ პოლკოვნიკ ფრილაის სახლია. აქ დროის მანქანა როგორ იქნება: პოლკოვნიკი გამომგონებელი არ არის და რომც იყოს, დროის მანქანა ისეთი მნიშვნელოვანი რამაა, მის ამბავს წლების წინ გავიგებდით.

ჩარლიმ და ჯონმა პარმაღის კიბე ფეხაკრეფით აიარეს. დაგლასმა ჩაიფრუტუნა, თავი გააქნია და კიბის ძირას გაჩერდა.

- ჰო, კარგი, დაგლას, - მიუბრუნდა ჩარლი, - რას ჯიუტობ? რა თქმა უნდა, პოლკოვნიკ ფრილაის ეს მანქანა არ გამოუგონია, მაგრამ მისი მეწილეა. ეს მანქანა, რაც თავი გვახსოვს, სულ აქ იყო, უბრალოდ, ჩვენ ვიყავით დებილები და ვერ ვამჩნევდით! დაგლას სპოლდინგ, აბა, კარგაად!

ჩარლიმ ჯონს ისე გაუყარა ხელი, თითქოს ქალს მიაცილებდა. ბადიანი კარი შეაღო და სახლში შევიდა. კარის ბრახუნი არავის გაუგონია, რადგან დაგლასი წამოეწიათ, კარს ხელი წაავლო და უხმოდ გაჰყვა მათ შემინულ ვერანდაზე.

ჩარლიმ სწრაფად გადაკვეთა შუშაბანდი, შესასვლელ კარზე დააკაკუნა და შეაღო. გრძელი ჩაბნელებული დერეფნის ბოლოში ოკეანის გამოქვაბულივით მწვანე, მიმქრალი, მოციმციმე შუქით განათებული ოთახი მოჩანდა.

- პოლკოვნიკო ფრილაი!

დუმილი.

- ცუდად ესმის, - ჩურჩულით აუხსნა მეგობრებს ჩარლიმ, - მაგრამ მითხრა, პირდაპირ შემოდი და დაიყვირეო. პოლკოვნიკო!

პასუხად ზედა სართულზე ამავალი ხრახნული კიბიდან მტვერი ჩამოიფრქვა. შემდეგ რაღაც სულ ოდნავ შეინძრა დერეფნის ბოლოს, იმ წყალქვეშა ოთახში.

ფრთხილად გაიარეს დერეფანი და მიადგნენ ოთახს, სადაც მხოლოდ ორი საგანი დახვდათ - მოხუცი კაცი და სკამი. ეს ორი საგანი ერთიმეორეს საოცრად ჰგავდა: ორივე ისეთი თხელი იყო, ცხადად ეტყობოდათ, სახსარი - მყესთან, რიკული ძელთან როგორ ჰქონდათ აწყობილ-მიმაგრებული. მათ გარდა ოთახი შიშველ კედლებს, ჭერსა და უხეშ ფიცარნაგ იატაკს შორის მხოლოდ დუმილით გაჟღენთილ ჰაერს იტევდა.

- მიცვალებულს ჰგავს, - ჩურჩულით წარმოთქვა დაგლასმა.

- არა, უბრალოდ ახალ-ახალ ადგილებს იგონებს სამოგზაუროდ, - ძალიან მშვიდად და ამაყად განუმარტა ჩარლიმ, - პოლკოვნიკო!

მუქი ხის ორი საგნიდან ერთ-ერთი შეინძრა, ეს პოლკოვნიკი იყო. მიმოიხედა, თვალები მოჭუტა და სახე უკბილო ღიმილით გაებადრა.

- ჩარლი!

- პოლკოვნიკო, დაგი და ჯონი მოვიყვანე იმიტომ, რომ...

- შემოდით, ბიჭებო, დასხედით, დასხედით!

ბიჭები უხერხულად მოთავსდნენ იატაკზე.

- კი მაგრამ, სად... - დაიწყო დაგლასმა. ჩარლიმ სასწრაფოდ გაჰკრა იდაყვი ნეკნებში.

- რას გულისხმობ? - ვერ გაერკვა პოლკოვნიკი ფრილაი.

- სად შეგვიძლია ჩვენ რამის მოყოლაო, ეს უნდა ეთქვა, - ჩარლიმ დაგლასს დაუბღვირა, მერე ისევ ბერიკაცს გაუღიმა, - თქვენ უნდა გვიამბოთ რაიმე, პოლკოვნიკო.

- ფრთხილად იყავი, ჩარლი, მოხუცებს ერთი სული გვაქვს, ვინმემ გვთხოვოს, ისაუბრეო და მაშინ ვეღარაფერი შეგვაჩერებს: ბნელი მაღაროდან ამომავალი ჟანგიანი ლიფტივით მოვყვებით ჯაყჯაყს.

- გვითხარით, ჩინ ლინ-სუს[18] შესახებ რა გახსოვთ, - თითქოს გაკვრით ჩაურთო ჩარლიმ.

- რაო? - შეეკითხა პოლკოვნიკი.

- ბოსტონი? - უკარნახა ჩარლიმ, - 1910 წელი.

- ბოსტონი, 1910... - წარბები შეკრა პოლკოვნიკმა, - ჩინ ლინ-სუ, ოჰ, რა თქმა უნდა!

- დიახ, სერ.

- მოიცადეთ, მოიცადეთ... - პოლკოვნიკის ბუტბუტი თითქოს შორეული ტბის მუქ წყლებზე მოტივტივებდა, - მოიცადეთ...

ბიჭები გაინაბნენ.

პოლკოვნიკმა თვალები დახუჭა.

- 1910 წლის პირველი ოქტომბერი, შემოდგომის მშვიდი, გრილი საღამო. ბოსტონის ვარიეტეს თეატრი, ჰო, აი, სად მოხდა ეს. სავსე დარბაზი, ყველანი იცდიან. ორკესტრი, ფანფარები, ფარდა! სცენაზეა დიდებული აღმოსავლელი ჯადოქარი ჩინ ლინ-სუ! მე კი პირველი რიგის შუაში ვზივარ. „ტყვიის დაჭერა! - აცხადებს ჯადოქარი, - აბა, მოხალისეებო!“ სცენაზე ჩემ გვერდით მჯდომი კაცი ადის. „შეამოწმეთ თოფი! -ამბობს ჩინი, - მონიშნეთ ტყვია! ახლა კი მონიშნული ტყვიით დატენეთ თოფი და სახეში მესროლეთ, კარგად დამიმიზნეთ, მე კი სცენის ბოლოში ვიდგები და ტყვიას კბილებით დავიჭერ!“

პოლკოვნიკმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და დადუმდა.

დაგლასი გაოგნებითა და თან აღტაცებით შეჰყურებდა პოლკოვნიკს, ჩარლი და ჯონი ერთიანად მონუსხულნი ისხდნენ. მოხუცმა თხრობა განაგრძო, თავი და სხეული სრულიად გაქვავებოდა და მხოლოდ ტუჩები უმოძრავებდა.

- „მზადაა, დაუმიზნეთ, ცეცხლი!“ - ყვირის ჩინ ლინ-სუ. თოფი გავარდა! ჩინ ლინ-სუ კრთება, ტორტმანებს, ვარდება, სახე წითლად ეღებება. დარბაზში პანიკაა, ყველა ფეხზეა. თოფი გაუმართავი აღმოჩნდა. მკვდარიაო, ვიღაც ამბობს, და ასეც არის. მკვდარია. საშინელებაა... არასოდეს დამავიწყდება... სახე სისხლიან ნიღაბს მიუგავს, ფარდა სწრაფად ეშვება, დარბაზში ქალების ტირილი ისმის... 1910 წელი... ბოსტონი... ვარიეტეს თეატრი... საბრალო კაცი... საბრალო კაცი...

პოლკოვნიკმა ნელა გაახილა თვალი.

---

*[18] ჩინ ლინ-სუ (იგივე ელსვორთ რობინსონი - 1861-1918) - ამერიკელი ილუზიო-ნისტი, რომელიც ტრიუკის „ტყვიის დაჭერა“ შესრულებისას დაიღუპა.*

- რა მაგარი იყო, პოლკოვნიკო! - თქვა ჩარლიმ, - ახლა პოუნი ბილზე[19] გვიამბეთ!

- პოუნი ბილზე?..

- მაშინ სამოცდათხუთმეტ წელში, პრერიაში რომ იყავით...

- პოუნი ბილი... - პოლკოვნიკმა კვლავ შეცურა წყვდიადში, - ათას რვაას სამოცდათხუთმეტი წელი... ჰო, მე და პოუნი ბილი შუა პრერიაში პატარა შემაღლებაზე ჩავსაფრდით. „ჩუ! - მეუბნება პოუნი ბილი, - ყური დაუგდე“. პრერია უკიდეგანო სცენასავით გაფაციცებულა ავდრის მოლოდინში. მეხი გავარდა. ყრუდ, ლბილად. ისევ გავარდა, ახლა უფრო მჭექარედ. და აი, მთელი ჰორიზონტის გასწვრივ, სადაც კი თვალი შესწვდება, ვეება, შემზარავი, მღვრიე ყვითელი ღრუბელი გადაჭიმულა, შავი ელვარებით დასერილი, ძირს გართხმული, სიგრძე-სიგანეში ორმოცდაათ მილს სწვდება. ერთი მილის სიმაღლისაა და მხოლოდ ერთი დუიმით თუ იქნება მიწას აცდენილი. „ღმერთო! - შევყვირე ჩემი ბორცვიდან, - ღმერთო დიდებულო!“ მიწას დაზაფრული გულივით გაუდიოდა ბაგაბუგი. მეგონა, ძვლები დამემსხვრეოდა. მიწა იძვრის: დაგ-დაგ-დაგ, დაგ-დაგ-დაგ! გრგვინვა გაუდის. საოცარი სიტყვაა „გრგვინვა“! ო, როგორ დაიგრიალა ამ ქარიშხალმა ტრამალებსა და ბორცვებზე! მხოლოდ ჯანღი მოჩანდა, მის მიღმა კი - არაფერი! „ისინი არიან!“ - დაიყვირა ბილმა. ღრუბელი მტვრისა ყოფილა! არც ორთქლი იყო, არც წყალი, არამედ ხმელი ბალახით დაფარული ტრამალებიდან ატაცებული, ფქვილივით წმინდა მტვერი აბრჭყვიალდა, მზის სხივებში ყვავილის მტვერივით ამოფრქვეული, რადგან ღრუბლებიდან მზე გამობრწყინდა. გაოცებულმა ისევ შევყვირე! რატომ? იმიტომ, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი და ბუღი გაიფანტა და მე ისინი დავინახე, გეფიცებით, დავინახე! უძველესი დროის გოლიათი ლაშქარი: ბიზონები - პრერიის დევები!

პოლკოვნიკმა ზღუდედ აღმართა დუმილი და შემდეგ კვლავ ჩამოშალა.

- თავები ვეება ზანგების მუშტებს მიუგავდათ, ტანები - ლოკომოტივებს! ოცი, ორმოცდაათი, ორასი რეაქტიული ყუმბარა უგზო-უკვლოდ მიექანებოდა დასავლეთიდან მიწის დასალიერისკენ: მუგუზლებივით თვალებს აბრიალებდნენ და თან მტვრის კორიანტელი მოჰქონდათ!

დავინახე, ღრუბელმა წამით მაღლა რომ აიწია და ჩემ წინ კუზებისა და ყალყზე დამდგარი ბალნის შავი, აქოჩრილი ზვირთები აატორტმანა...

---

*[19] პოუნი ბილი (იგივე გორდონ უილიამ ლილი - 1860-1942) - ამერიკელი შოუ-მენი და „ველური დასავლეთის“ შოუების მონაწილე, ერთხანს ბაფალო ბილის საქმიანი პარტნიორი.*

„ესროლე! - მომძახის პოუნი ბილი, - ესროლე!“ - მიმეორებს. მე კი ვდგავარ გაქვავებული, ისე, თითქოს უფლის მარჯვენა ვიყო. გავყურებ ჩემ წინ დღისით-მზისით ჩავლილ შუაღამის ძალუმ ზმანებას, შავ, მგლოვიარე ჭირისუფალთა უსასრულო წყებად რომ მიჰყვება ვიღაცის კუბოს, და როგორ უნდა მესროლა ჭირისუფლებისთვის, მითხარით, ბიჭებო? მხოლოდ ის მსურდა, მტვრის ღრუბელი კვლავ ჩამოწოლილიყო და დაეფარა ბედისწრის ეს შავი ბელტები, მძიმე დარტყმებით, დამანგრეველი ბიძგებით რომ მიიწევდნენ წინ. და მტვერი მართლაც ჩამოეშვა, ბიჭებო! ღრუბელმა დაუფარათ ფეხები, გამუდმებით რომ სჭექდნენ და მტვრის ბუღს აყენებდნენ. მომესმა პოუნი ბილის წყევლა და მხარზე მისი დარტყმა ვიგრძენი, მიხაროდა, რომ დენთის ერთი მარცვლითაც კი არ შევხებივარ არც იმ ღრუბელს და არც მასში დავანებულ ძალას. მინდოდა, სულ ასე მეცქირა ჩემ წინაშე მგორავი დროის ვეებერთელა ბორბლისთვის, ბიზონების ჩლიქებით გამოხმობილი ავდარი რომ ფარავდა და მარადისობისაკენ მიაგელვებდა.

ერთი, სამი, ექვსი საათი დასჭირდა ამ გრიგალს, ვიდრე ჰორიზონტს გადაივლიდა ჩემზე უფრო უმოწყალო კაცებისაკენ. პოუნი ბილი წასულიყო, მე კი მუნჯივით, ელდანაცემივით ვიდექი. გაქვავებულმა გამოვიარე სამხრეთით, ასი მილის მოშორებით მდებარე ქალაქი, ქუჩებში ხალხის ხმა არ ისმოდა და ეს შვებას მგვრიდა. მინდოდა, ცოტა ხანს მაინც ის გრგვინვა მხსომებოდა. ახლაც ჩამესმის. აი, ასეთ ზაფხულის დღეებში, როცა წვიმა ეცემა ტბის ზედაპირს; საოცარი, შემზარავი ხმაა... ნეტავ თქვენც გაგეგონათ...

მქრქალმა სინათლემ გააშუქა პოლკოვნიკ ფრილაის გრძელი ცხვირი, ძალიან მკრთალი, ნელთბილი ფორთოხლის ჩაით სავსე თეთრი ფაიფურის ჭურჭელს რომ ჰგავდა.

- ჩაეძინა? - რამდენიმე ხნის შემდეგ იკითხა დაგლასმა.

- არა, - აუხსნა ჩარლიმ, - უბრალოდ, ელემენტები აქვს დაცლილი.

პოლკოვნიკი ფრილაი სწრაფად დამსუბუქად სუნთქავდა, თითქოს დიდხანს ერბინოს, ბოლოს, როგორც იქნა, გაახილა თვალები.

- სერ! - აღფრთოვანებით მიმართა ჩარლიმ.

- სალამი, ჩარლი, - პოლკოვნიკმა დაბნეულად გაუღიმა ბიჭს.

- ეს დაგი და ჯონი არიან, - გამოარკვია ჩარლიმ.

- გამარჯობა, ბიჭებო.

ბიჭებმა სალმით უპასუხეს.

- კი მაგრამ, - წამოიძახა დაგლასმა, - სად არის...

- ჩუ! შენ, მე მგონი, დებილი ხარ! - ჩარლიმ მუჯლუგუნი ჰკრა დაგლასს, შემდეგ პოლკოვნიკს მიუბრუნდა, - თქვენ რაღაცას გვიამბობდით, სერ!

- მართლა? - ამოილუღლუღა მოხუცმა.

- სამოქალაქო ომი, - ჩუმად შესთავაზა მეგობარს ჯონმა, - ნეტავ თუ ახსოვს?

- მახსოვსო? - წამსვე გამოეხმაურა პოლკოვნიკი, - მახსოვს, როგორ არ მახსოვს! - თვალები რომ მოხუჭა, ხმა ისევ აუკანკალდა, - სულ ყველაფერი! მხოლოდ... იმას ვერ ვიხსენებ... ვის მხარეზე ვიბრძოდი...

- თქვენი სამხედრო ფორმის ფერი ხომ გახსოვთ? - მიმართა ჩარლიმ.

- თვალს რომ მიაჩვევ, ფერები თითქოს გაგირბის, - ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი, - ბურუსში ვხედავ ჩემ გვერდით მსხდომ ჯარისკაცებს, მაგრამ, რა ხანია, მათი ქურთუკებისა და ქუდების ფერს ვეღარ ვამჩნევ. დავიბადე ილინოისში, გავიზარდე ვირჯინიაში, დავოჯახდი ნიუ-იორკში, სახლი ტენესიში ავიშენე და, ღმერთო ჩემო, საბოლოოდ, აქ, გრინთაუნში ვარ. ახლა ხომ ხვდებით, ფერები რატომ გამიმკრთალდა?

- ის მაინც ხომ გახსოვთ, მთების რომელ მხარეს იბრძოდით? - ჩუმი ხმით ჩაეკითხა ჩარლი, - მზე რომელი მხრიდან ამოდიოდა: მარჯვნიდან თუ მარცხნიდან? კანადისაკენ მიიწევდით თუ მექსიკისაკენ?

- მგონი, ზოგ დღეს მზე მარჯვენა მხრიდან ამოდიოდა, ზოგჯერ - მარცხნიდან. ჯარის სვლას რაც შეეხება, ყველა მიმართულებით გვიწევდა სვლა. მას შემდეგ სამოცდაათი წელი გავიდა. ამდენი ხნის მერე მზის ჩასვლა-ამოსვლას რა გაგახსენებს.

- გამარჯვებები ხომ გაგონდებათ? რომელიმე მოგებული ბრძოლა, სად მოხდა?

- არა, - ღრმა, მოგუდული ხმით წარმოთქვა მოხუცმა, - არ მახსოვს, ოდესმე ვინმეს მოეგოს ბრძოლა. ომში არავინ არის მოგებული, ჩარლი. სულ დამარცხებული ხარ და საბოლოოდ ვინც მარცხდება, იმას უყენებენ პირობებს. მხოლოდ დამარცხებები მაგონდება, ტკივილი, სევდა და არაფერი კეთილი, გარდა ომის დამთავრებისა. ომის დასასრული, ჩარლი, თავისთავად გამარჯვებაა, მაგრამ არა მგონია, ბიჭებო, ამგვარ გამარჯვებებზე მეკითხებოდეთ.

- ენტიეტამზე[20] ჰკითხე, - აჩურჩულდა ჯონ ჰაფი, - ენტიეტამზე.

- მეც იქ ვიყავი.

---

*[20] ენტიეტამი - ჯონ ჰაფი გულისხმობს 1862 წლის ბრძოლას ენტიეტამთან, აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს.*

ბიჭებს თვალები გაუნათდათ.

- ახლა ბულ-რანზე[21] ჰკითხე...

- იქაც ვიყავი, - გაისმა მშვიდი პასუხი.

- შაილოს[22] შესახებ რას გვეტყვით?

- მას შემდეგ ერთი წელიწადიც არ გასულა ისე, რომ არ მეფიქროს, რა ლამაზი სახელწოდებაა და რა დასანანია, რომ მხოლოდ ბრძოლასთან დაკავშირებით აგონდებათ-მეთქი.

- ეს შაილო, მაგრამ ფორტ-სამტერი?[23]

- დავინახე, ტყვია-წამლის კვამლმა ბოლქვებად რომ იწყო ცაში ასვლა, - პოლკოვნიკი ნელა, თითქოს ძილ-ბურანში ლაპარაკობდა, - იმდენი რამე მიბრუნდება, ოჰ, რამდენი რამე... მახსენდება სიმღერები. „პოტომაკის ნაპირებზე სიმშვიდეა, მებრძოლებსაც დაეუფლათ ძილი. მათ კარვებსა და გუშაგთა კოცონს ეფინება მთვარის თეთრი სხივი“... ჰო, მახსოვს, მახსოვს... „პოტომაკის ნაპირზე სიმშვიდეა; ხმა არ ისმის, მხოლოდ ჩქამი დინების; მკვდრებს სახეზე ნამის ცრემლი ეფინებათ - განისვენეთ სამუდამოდ, გმირებო!“... კაპიტულაციის შემდეგ მისტერ ლინკოლნმა თეთრი სახლის აივნიდან ორკესტრს უბრძანა, „დიქსი ლენდი“ დაეკრა... ერთმა ბოსტონელმა ქალბატონმა კი ერთ საღამოში ისეთი სიმღერა დაწერა, ათასი წლის შემდეგაც რომ ემახსოვრებათ: „ჩემმა თვალებმა იხილეს უფლის გამოცხადების მწველი დიდება; მან გადათელა ის ვენახები, რისხვის მტევნები სადაც მწიფდება“. გვიან ღამით ჩემი ტუჩები თავისით იმეორებდნენ იმდროინდელ სიმღერებს: „დიქსის ლაშქარო, შენ მედგრად იცავ სამხრეთის ნაპირს...“ „ბიჭები შინ რომ დაბრუნდებიან, გამარჯვებულებს შევამკობთ დაფნით...“ ძალიან, ძალიან ბევრ სიმღერას მღეროდნენ ფრონტის ორივე მხარეს, ღამის ნიავი მათ ხან სამხრეთიდან მოაქროლებდა, ხანაც ჩრდილოეთიდან. „მოვდივართ, მამა აბრაჰამ, ბევრნი ვართ: სამასი ათასნი...“ „იშლება კარვები, იშლება კარვები, ამაღამ იქ დავბანაკდებით...“ „ვაშა, ვაშა, დროშა მოგვაქვს, გამარჯვების საწინდარი!..“

მოხუცის ხმა თანდათან მინელდა და ჩაწყდა.

---

*[21] ბულ-რანი - ბიჭი გულისხმობს სახმელეთო ბრძოლას მდინარე ბულ-რანთან, აშშ-ში სამოქალაქო ომის პერიოდში, ბულ-რანთან ორჯერ გაიმართა ბრძოლა. პირველად 1861 წლის 21 ივლისს, მეორედ - 1862 წლის 28-30 აგვისტოს.*

*[22] შაილო - შაილოს ბრძოლა; აშშ-ის სამოქალაქო ომის ისტორიაში ყველაზე დიდი ბრძოლა ტენესის შტატის სამხრეთ-დასავლეთით, 1862 წლის 7 აპრილს.*

*[23] ფორტ-სატერი - ბრძოლა ფორტ-სამტერისთვის (1861 წლის 12-13 აპრილი), ქალაქ ჩარლსტონის (სამხრეთ კაროლინის შტატი) მახლობლად ფორტ-სამტე-რის ბლოკადა, დაბომბვა და აღება შეიქნა ფორმალური მიზეზი აშშ-ში სამო-ქალაქო ომის დაწყებისა.*

ბიჭები დიდხანს ისხდნენ უძრავად, მერე კი ჩარლი დაგლასს მიუბრუნდა:

- ჰა, რას იტყვი? არის თუ არ არის?

დაგლასმა ორჯერ ჩაისუნთქ-ამოისუნთქა და უპასუხა:

- უეჭველად არის.

პოლკოვნიკმა თვალები დააჭყიტა.

- რა ვარ უეჭველად?

- დროის მანქანა, - ამოილუღლუღა დაგლასმა, - დროის მანქანა.

პოლკოვნიკი ხუთი წამი თვალს არ აშორებდა ბიჭებს და რომ ალაპარაკდა, მის ხმაში მათივე გაოცება და მოწიწება ჟღერდა.

- მაშ, ეს სახელი შემარქვით, ბიჭებო?

- დიახ, პოლკოვნიკო.

- დიახ, სერ.

პოლკოვნიკმა ნელა მიაყრდნო თავი სკამის საზურგეს, გადახედა ბიჭებს, შემდეგ - საკუთარ ხელებსა და შემდეგ მათ ზურგს უკან ცარიელ კედელს მიაშტერდა.

ჩარლი წამოდგა.

- მგონი, დროა, წავიდეთ, ნახვამდის და გმადლობთ, პოლკოვნიკო!

- რაო? აჰ, ნახვამდის, ბიჭებო.

დაგლასი, ჯონი და ჩარლი ფეხაკრეფით გავიდნენ გარეთ. პოლკოვნიკს თვალწინ ჩაუარეს, მაგრამ მათი წასვლა აღარავის შეუნიშნავს.

უკვე ქუჩაში იყვნენ, პირველი სართულის ფანჯრიდან უეცარმა ძახილმა რომ შეაკრთოთ.

- ეჰეი!

ბიჭებმა ფანჯარას ახედეს.

- დიახ, გისმენთ, პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი ფანჯრის რაფას ჩამოყრდნობოდა და ხელს უქნევდა.

- დავფიქრდი იმაზე, რაც მითხარით, ბიჭებო!

- დიახ, სერ?

- და... მართალი ხართ! აქამდე როგორ არ მომაფიქრდა! დროის მანქანა ვარ, ღმერთმანი, დროის მანქანა!

- დიახ, სერ!

- კარგად, ბიჭებო! როცა კი გენდომებათ, მესტუმრეთ!

ქუჩის ბოლოში რომ გავიდნენ, კვლავ მოიხედეს უკან. პოლკოვნიკი კი ისევ ისე უქნევდა ბიჭებს ხელს. თვითონაც დაუქნიეს ხელი, სამივეს გულში სითბომ და ხალისმა დაისადგურა. მერე გზა განაგრძეს.

- ჩუქუ-ჩუქუ! - ახმაურდა ჯონი, - შემიძლია, ოცი წლის წინანდელ წარსულში გავემგზავრო. უააუ-ჩუქ-ჩუქ!

- ჰო, - ჩარლი პოლკოვნიკის მდუმარე სახლს გაჰყურებდა, - მაგრამ, აი, ასი წლით უკან კი ვერ დაბრუნდები.

- არა, - დაფიქრდა ჯონი, - ასი წლით - ვერა. ეს მართლაც დროში მოგზაურობა იქნებოდა. ამას ნამდვილად მანქანა დასჭირდება.

ერთ წუთს მდუმარედ მიაბიჯებდნენ და საკუთარ ტერფებს ათვალიერებდნენ. ვიღაცის ღობეს მიადგნენ.

- ამ ღობეს ვინც ბოლო გადაახტება, ის გოგოა, - გამოაცხადა დაგლასმა.

მთელ უკანა გზაზე, ვიდრე შინ მივიდოდნენ, ორივე მეგობარი დაგს „დორას“ ეძახდა.

* * *

გვიან ნაშუადღევს ტომს გაეღვიძა. დაგლასი ჯიბის ფარნის შუქზე რაღაცას გაშმაგებით იწერდა ყვითელ ბლოკნოტში.

- დაგ, რა ხდება?

- რა ხდებაო? რა და - ყველაფერი! ვითვლი, რამდენი ძვირფასი რამ მაქვს მომადლებული, ტომ! ბედნიერების მანქანამ ხომ არ გაამართლა, მაგრამ ეგ ვიღას ადარდებს! მთელი წლის განრიგი მაინც წინასწარ მაქვს შემუშავებული. თუკი მთავარი ქუჩების შემოვლა დამჭირდა, გრინთაუნის ტრამვაის შემოვახტები და სამყაროს მისი ფანჯრებიდან ვუთვალთვალებ. თუ მთავარი ქუჩების გარდა ქალაქის რომელიმე კუნჭულში დამჭირდა მისვლა, მის ფერნისა და მის რობერტას კარზე დავაკაკუნებ და ისიც თავიანთ ელექტრომრბოლელს ელემენტებს გამოუცვლიან და ტროტუარების გასწვრივ გამაქროლებენ. და თუ ხეივანში დამჭირდა გარბენ-გამორბენა და ღობეებზე გადახტომა, გრინთაუნის იმ ნაწილის შესასწავლად, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოინახულებ, მოულოდნელად თუ შემოტრიალდები ანდა უხმოდ მიეპარები, ასეთი შემთხვევებისათვის ჩემი ახალთახალი ბოტასები მაქვს. ბოტასები, ელექტრომანქანა, ტრამვაი! სრული აღჭურვილობა მაქვს! მაგრამ კიდევ უკეთესი, ტომ, კიდევ უკეთესი რამ მაქვს. ყური დამიგდე! თუკი მოვისურვებ, გავემგზავრო იქ, სადაც სხვა არავინ მიდის, იმიტომ, რომ ამის გასაფიქრებლადაც კი საკმარისი ჭკუა არ გააჩნიათ, თუკი მსურს დავბრუნდე 1890 წელს, მერე კი 1875-ში გადავინაცვლო, და მერე 1860-შიც ამოვყო თავი, ამისთვის საკმარისია, მოხუც პოლკოვნიკ ფრილაის ექსპრესში ავსკუპდე! აი, როგორ ვწერ აქ ამის შესახებ: „შესაძლოა, მოხუცები

არასოდეს ყოფილან ბავშვები, როგორც მისის ბენტლის შემთხვევაში ვვარაუდობთ, მაგრამ უეჭველია: ზოგიერთი მათგანი 1865 წლის ზაფხულში აპომატოქსის მახლობლად იყო დაბანაკებული. მათ ინდიელის თვალი აქვთ და ბევრად შორეულ წარსულს ხედავენ, ვიდრე ჩვენ ოდესმე დავინახავთ“.

- კარგად ჟღერს, დაგ. ამიხსენი, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

დაგლასმა წერა განაგრძო.

- იმას ნიშნავს, რომ მე და შენ ვერასოდეს გავხდებით მათნაირი მოგზაურები. თუ გაგვიმართლა, ორმოც, ორმოცდახუთ, ორმოცდაათ წელს მივაღწევთ, მაგრამ ნამდვილად შორი მოგზაურობისათვის ოთხმოცდაათამდე, ოთხმოცდათხუთმეტამდე, სულაც ასამდე უნდა გაქაჩო.

ჯიბის ფარანი ჩაქრა.

ბიჭები მთვარით განათებულ ოთახში იწვნენ.

- ტომ, - ჩასჩურჩულა ძმას დაგლასმა, - მთელი ამ გზების შემოვლა მინდა. რაც შეიძლება მეტი უნდა ვნახო. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, პოლკოვნიკ ფრილაის უნდა ვეწვიო კვირაში ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ის ყველა სხვა მანქანას სჯობს. ის საუბრობს, შენ კი უსმენ. რაც მეტს საუბრობს, მით უფრო დაკვირვებული ხდები და შენ გარშემო ბევრ რამეს ამჩნევ. თუკი მას დავუჯერებთ, ჩვენ ყოვლად განსაკუთრებულ მატარებელში ვსხედვართ, და ასეც არის. თვითონ მთელი გზა გამოიარა, ბოლო სადგურამდე და ამიტომაც იცის. და, აი, ახლა უკვე მე და შენ მივუყვებით ამავე მარშრუტს. ოღონდაც ბევრად უფრო უკან ვართ და იმდენი რამ გვხვდება სანახავი, დასაყნოსი თუ მოსასინჯი, რომ მართლაც გვჭირდება პოლკოვნიკის შეგონება, იფხიზლეთ, რათა თითოეული წამი დაიმახსოვროთო! ყველაფერი, რისი დამახსოვრებაცღირს! და მერე, თვითონაც რომ მოხუცდები და ბავშვები შემოგეხვევიან, მათთვის იმავეს გააკეთებ, რასაც პოლკოვნიკი აკეთებდა შენთვის. ასეა, ტომ, მასთან სტუმრობას ბევრი დრო უნდა შევწირო, რომ რაც შეიძლება ხშირად გავყვე უშორეს მოგზაურობაში.

ტომი დადუმდა, შემდეგ სიბნელეში მწოლიარე ძმას გადახედა.

- უშორესი მოგზაურობა. აზრზე ხარ, რას ნიშნავს?

- თან აზრზე ვარ, თან არა.

- უშორესი მოგზაურობა, - ჩურჩულით გაიმეორა ტომმა.

- ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ეს არის, - დაგლასმა თვალები მოხუჭა, - ეს დიიდ სიმარტოვეს უნდა ნიშნავდეს.

* * *

ბრახ!

კარი ხმაურით მიიკეტა. სხვენში დაწყობილ საწერ მაგიდებსა და წიგნის თაროებს მტვერი აუვიდა. ორი მოხუცი ქალი გამწარებით ეცა სხვენის კარს, ერთმანეთს მის დაკეტვას არ აცდიდნენ. მათ თავზე სახურავის სარკმელში ათასობით მტრედმა აიშხუილა. უცბად ორივე გაქვავდა, ბაგეები გაოცებამ მოურკალათ. მხოლოდ პანიკის მანიშნებელი ხმა ესმოდათ - საკუთარი გულის ბაგაბუგი საკუთარ მკერდში... შეეცადნენ, ეს ხმაური საკუთარი ხმებით გადაეფარათ.

- ეს რა ჩავიდინეთ! საბრალო მისტერ კუოტერმეინი!

- ალბათ, მოვკალით. და, მგონი, ვიღაცამ დაგვინახა და დაგვედევნა. ნახე...

მის ფერნმა და მის რობერტამ სხვენის აბლაბუდებჩამოფარებული ფანჯრიდან გადაიხედეს. ქვევით, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს, მუხები და თელები ისევ ისე იწევდნენ მზის მაცოცხლებელი სხივებისაკენ. ტროტუარზე ზლაზვნით გაიარა ვიღაც ბიჭმა, შემოტრიალდა, უკან დაბრუნდა და მათი ფანჯრისაკენ ამოიხედა.

სხვენში განაბული მოხუცი ქალები ისე მიშტერებოდნენ ერთურთს, თითქოს სწრაფად გამდინარე წყალში ცდილობდნენ ერთმანეთის სახეების გარჩევას.

- პოლიცია!

პირველი სართულის კარზე არავის დაუბრახუნებია, არც არავის დაუძახია, კანონის სახელით გააღეთო.

- ვინ არის ის ბიჭი, ქვევით რომ დგას?

- დაგლასია, დაგლას სპოლდინგი! ღმერთო დიდებულო, ალბათ, იმიტომ მოვიდა, რომ მანქანით გასეირნება გვთხოვოს. არაფერი იცის. ჩვენმა სიამაყემ დაგვღუპა. სიამაყემ და იმ წყეულმა ელექტრონულმა გამოგონებამ!

- ის ვიგინდარა გამპორტფოლზელი ვაჭრუკანა: სულ მისი ბრალია, მისი ლაყბობის!

მისი სიტყვები სმენას ისევე ფაქიზად სწვდებოდა, როგორც ზაფხულის შხაპუნა წვიმა ეცემა სახურავს.

უეცრად თვალწინ სულ სხვა შუადღე წარმოუდგათ. თავიანთ რიკულებიან ვერანდაზე ისხდნენ თეთრი მარაოებითა და ლაიმის ცივ ჟელეს შეექცეოდნენ.

და აი, მზის თვალისმომჭრელ ყვითელ ნათებაში გამოჩნდა ზღაპრული უფლისწულის ეტლივით მბზინავი...

მწვანე მანქანა!

ქუჩაზე რბილად შემოსრიალდა. ოკეანის ნიავივით ჩუმად შრიალებდა. ნეკერჩხლის ფოთლების ნაზი ჩურჩული, წყაროს რაკრაკი და კატის მეფური კრუტუნი შერეოდა ერთურთს ამ ჯადოსნურ ხმაში, მანქანაში კი ბრიოლინით გადასვლეპილ თავზე პანამაჩამოფარებული გამპორტფოლზელი კომივოიაჟორი იჯდა! რეზინისებრი რბილი და მოქნილი მოძრაობით მანქანა ქუჩის გასწვრივ გაასრიალა, ტროტუარის შეთეთრებულ ბორდიურს მილიმეტრებში ჩაუარა, ზედ პარმაღის პირველ საფეხურს მიადგა და გააჩერა. კომივოიაჟორი ქვაფენილზე გადმოხტა და თავისი პანამით მზეს აეფარა. ჩრდილის ამ პატარა მონაკვეთში მისმა ღიმილმა გაიბდღვრიალა.

- უილიამ ტერა გახლავართ! ეს კი... - ხელით მოუჭირა რეზინის ბურთულას და სიგნალის ხმა გაისმა, - ...ეს საყვირია! - შავი სატინის საზურგე ბალიშები გადასწია, - აქ სათადარიგო ელემენტებია! - გახურებულ ჰაერს ჭექა-ქუხილის სუნი შეერია, - მართვის ბერკეტი! ფეხების დასაყრდნობი! მზისგან დამჩრდილავი ტენტი! აი, ეს გახლავთ, in totto[24] მწვანე მანქანა!

სხვენის წყვდიადში ჩაცუცქულ თვალებდახუჭულ ქალბატონებს ამ მოგონებაზე გააჟრჟოლათ.

- ოჰ, ნეტავ იქვე განგვეგმირა საქსოვი ჩხირებით!

- ჩუ, უსმინე!

ვიღაც შემოსასვლელის კარზე აკაკუნებდა. შემდეგ კაკუნი მიწყდა და ფანჯრიდან ქალი დაინახეს, მათი ეზო გადაკვეთა და მეზობელ სახლში შევიდა.

- უბრალოდ, ლავინია ნებსია, ხელში ცარიელი ფინჯანი უჭირავს, ნამდვილად ცოტა შაქრის სასესხებლად იქნებოდა მოსული...

- მომეხვიე, მეშინია.

თვალები დახუჭეს. მეხსიერების თამაში განახლდა. გამპორტფოლზელი მამაკაცის დანახვისას ის ძველისძველი შალის ქუდიც კი გამოცოცხლდა, რკინით მოჭედილ სკივრზე რომ იდო.

- გმადლობთ, ცივ ჩაის მართლაც გეახლებით, - სრულ სიჩუმეში გაიგონებდით, გაგრილებული სასმელი მუცელში როგორ ჩასდიოდა. შემდეგ მზერა ისე მიმოავლო მოხუც ქალბატონებს, როგორც ექიმის ქუდზე

[24] *In totto – (ლათ) მთლიანობაში.*

დამაგრებული პატარა ფარანი აღწევს პაციენტის თვალებში, ნესტოებსა და პირის ღრუში.

- ქალბატონებო, ვხედავ, რომ ორივე ძალზე მხნედ და ყოჩაღად ბრძანდებით. გეტყობათ, რომ ასეა. ოთხმოცი წელი, - მან თითები გაატკაცუნა, - არაფერს ნიშნავს თქვენთვის! მაგრამ ხომ არის ისეთი წუთები, როდესაც გეჩქარებათ, როდესაც ნამდვილი მეგობრის თანადგომა გჭირდებათ, ჰოდა, სწორედ ასეთ მეგობრად მოგევლინებათ ორადგილიანი მწვანე მანქანა.

მელას ფიტულის თვალებივით ბრჭყვიალა მისი მწვანე შუშის თვალები ამ არაჩვეულებრივ გამოგონებას მიაშტერდნენ. მანქანა იდგა ჩასაჯდომად გამზადებული, სიახლის სუნი ასდიოდა, მზეზე ლაპლაპებდა და ბორბლებზე მყუდროდ შედგმულ სალონის სავარძელს ჰგავდა.

- გედის ბუმბულივით უხმოა, - ქალებს სახეზე მისი მსუბუქი სუნთქვა შეეხო, - ყური დაუგდეთ, - ისინი სმენად იქცნენ, - ელემენტები ბოლომდეა დატენილი და მზადაა! ყური დაუგდეთ! ოდნავი ხმაც კი არ ისმის, რადგან ელექტრულია, ქალბატონებო. ღამღამობით გარაჟში შეგეძლებათ მისი დატენა.

- ხომ არ... მოკლედ... - უმცროსმა დამ ცივი ჩაი გადაყლურწა, - შემთხვევით დენს ხომ არ დაგვარტყამს?

- დაივიწყეთ! გამორიცხულია!

კვლავ მანქანაში ჩახტა. კბილები ისე უქათქათებდა, დანტისტის კაბინეტში გამოფენილი გეგონებოდა, გვიან ღამით გვერდით რომ ჩაუვლი და განათებული ვიტრინიდან რომ შემოგცინებენ.

- წვეულებები! - მანქანას ვალსის რიტმში წრე შემოარტყმევინა, - ბრიჯის კლუბის შეხვედრები. საღამოები, კონცერტები. დაბადების დღეები! ამერიკის რევოლუციის ქალიშვილთა ასოციაციის საუზმეები, - ჩუმი კრუტუნით დაძრა მექანიზმი და თითქოს სამუდამოდ გაშორდა, მაგრამ იმწამსვე დაბრუნდა რეზინის შხუილით, - ოქროს ვარსკვლავის დედათა საზოგადოების ბანკეტები, - წელში გამართული იჯდა, ტანზე კორსეტად ადგა მის მიერვე მლიქვნელურად შექმნილი ქალის იდეალური პორტრეტი, - ადვილი სამართავია. უხმოდ, მოხდენილად მიგაბრძან-მოგაბრძანებთ. ლიცენზია არ სჭირდება. ცხელ დღეებში გაგაგრილებთ კიდეც. ოჰ!.. - პარმაღის წინ რომ ჩაისრიალა, თავი უკან გადახარა, ნეტარებისაგან თვალები მილულა, კოხტად გადავარცხნილი თმა ნიავმა აუფრიალა.

პარმაღის კიბე ქუდით ხელში დინჯად ამოიარა, საცდელი მოდელისაკენ ისეთი მოწიწებით შეტრიალდა, როგორც სასულიერო პირი საკურთხევლისაკენ.

- ქალბატონებო, - კვლავ ტკბილად მიმართა მოხუცებს, - ოცდახუთ დოლარს დაგიკლებთ. თვეში ათი დოლარი, ორი წლის განმავლობაში.

ფერნი პირველად ჩავიდა კიბეზე და მანქანის სავარძელში მოთავსდა. სკამი ფრთხილად მოსინჯა. ხელი მოუთმენლად უკრთოდა. როგორც იქნა, გაბედა საყვირისათვის ხელის მოჭერა.

გაისმა სელაპის ყეფის ხმა.

რობერტამ მხიარულად შეჰკივლა და პარმაღის მოაჯირიდან გადმოიზნიქა.

მათ სიხალისეს კომივოიაჟორიც შეუერთდა. მხიარული შეძახილებით ჩამოაცილა უფროსი და კიბეზე, თან საიდანღაც კალამი მოიმარჯვა და ქუდის სარჩულიდან რაღაც ქაღალდი ამოაძვრინა.

- აი, ასე ვიყიდეთ! - იხსენებდა სხვენში ჩაცუცქული, საკუთარი გამბედაობით თავზარდაცემული მის რობერტა, - ვინმეს უნდა გავეფრთხილებინეთ!.. მეგონა, ბაზრობის კარუსელის ვაგონივით მსუბუქი იქნებოდა!

- რას იზამ, - შეეცადა თავის მართლებას ფერნი, - უკვე რამდენი წელია, რაც თეძო მაწუხებს, შენც ხომ გღლის ფეხით სიარული. ისე კეთილშობილურად გამოიყურებოდა, ისე მეფურად. ძველ დროს მოგაგონებდა, როდესაც ქალები ფართო კაბებს ატარებდნენ და ქუჩაში ნავებივით დასრიალებდნენ! ჩვენი მწვანე მანქანაც ისე ნარნარად დასრიალებდა.

სასეირნო ნავივით ადვილად იმართებოდა, ერთადერთი ბერკეტის გადაწევ-გადმოწევით, აი, ასე.

ო, რა იყო ის დიდებული და დაუვიწყარი პირველი კვირა! ოქროს სხივებში მობანავე ჯადოსნური დღეები, როდესაც ქუჩების ჩრდილში მთვლემარე მარადიულ მდინარეს მიუყვებოდნენ სავარძლებში წელგამართულნი, უღიმოდნენ შემხვედრ ნაცნობებს, მოხვევისას ხელის დინჯი მოძრაობით ანიშნებდნენ მიმართულებას, შეფერხებისას შავი რეზინის საყვირს მჭახედ აწივლებდნენ, ხანდახან დაგლასსა და ტომს ან გზის პირას მოსეირნე სხვა ბიჭებსაც გაატარ-გამოატარებდნენ. მაქსიმალური სიჩქარე თხუთმეტი მდორე და სასიამოვნო მილი იყო საათში. ასე ბორბლებზე შემდგარი ძველისძველი ლანდებივით მიმოდიოდნენ, სახეზე ფოთლების შუქჩრდილები გადაჰფენოდათ.

- მერე კი, - ჩურჩულით წარმოთქვა ფერნმა, - დღევანდელი დღე! ო, დღევანდელი დღე!

- ეს უბედური შემთხვევა იყო.

- მაგრამ ჩვენ მივიმალეთ, ეს კი დანაშაულია!

შუადღე. მანქანაში ტყავის სავარძლების სუნი იდგა. განცხრომით მთვლემარე პატარა ქალაქის ქუჩებში დაქროდნენ.

ყველაფერი უცბად მოხდა. მანქანა რბილად მისრიალებდა გრილ ტროტუარზე, რადგანაც ქუჩა მზისგან ვარვარებდა და ჩრდილი მხოლოდ ეზოების გასწვრივ ხეივანსღა შერჩენოდა. მოსახვევს რომ მიუახლოვდნენ, ყოველი შემთხვევისთვის, საყვირი აახმიანეს. უეცრად ყუთიდან ამომხტარ ჭინკასავით მათ წინ მისტერ კუოტერმეინი გამოჩანჩალდა!

- ფრთხილად! - დაიწივლა მის ფერნმა.

- ფრთხილად! - დაიწივლა მის რობერტამ.

- ფრთხილად! - შეჰყვირა მისტერ კუოტერმეინმაც.

მოხუცი ქალები ბერკეტის მაგივრად ერთმანეთს ჩააფრინდნენ.

ძლიერი ყრუ დარტყმა იგრძნეს. მეორე წამში მწვანე მანქანამ სვლა განაგრძო წაბლებისა და დახუნძლული ვაშლის ხეების ჩრდილში. მოხუცმა ქალებმა მხოლოდ ერთხელ მიიხედეს უკან და თვალებზე შიშისგან ლიბრი გადაეკრათ.

მოხუცი კაცი ტროტუარზე უძრავად გაშოტილიყო.

- ახლა კი აქა ვართ! - ამოიკვნესა მის ფერნმა სხვენის ჩამოწოლილ სიბნელეში, - ო, რატომ არ გავჩერდით! რატომ გამოვიქეცით!

- ჩუ! - ორივენი სმენად იქცნენ.

პირველი სართულის კარზე კვლავ კაკუნი გაისმა.

სიჩუმე რომ ჩამოვარდა, საღამოს ბინდში კვლავ დაინახეს, თუ როგორ გადაკვეთა ბიჭმა მათი გაზონი.

- ისევ დაგლას სპოლდინგი იყო გასასეირნებლად მოსული, - ამოისუნთქა ორივემ.

დღე მიილია. ჩამობნელდა.

- მთელი ნაშუადღევი აქ გავატარეთ, - დაღლილი ხმით წარმოთქვა რობერტამ, - სამი კვირა ხომ ვერ დავიმალებით სხვენში, ვიდრე ეს ამბავი ყველას არ მიავიწყდება.

- შიმშილით დავიხოცებით.

- მაშ, რა ვქნათ? როგორ ფიქრობ, ვინმემ დაგვინახა და უკან გამოგვეკიდა? - ერთმანეთს გადახედეს.

- არა. არავის დავუნახავვართ.

ქალაქი დუმდა, კოხტა სახლებში სინათლეები აციმციმდა. ქვევიდან სველი ბალახისა და ნაირ-ნაირი კერძის სუნი ამოიფრქვა.

- დროა, ხორცი ღუმელში შევდგათ, - თქვა მის ფერნმა, - ფრენკი ათ წუთში შინ იქნება.

- ქვევით ჩასვლისა არ გეშინია?

- სახლი თუ ცარიელი დახვდა, ფრენკი პოლიციას დაურეკავს. ეს კიდევ უარესია.

მზე სწრაფად ჩავიდა. მოხუცი ქალები ახლა შმორიან სიბნელეში მოძრავ ორ უფორმო საგნად გადაიქცნენ.

- როგორ ფიქრობ, - იკითხა მის ფერნმა, - მკვდარია?

- მისტერ კუოტერმეინი?

- ჰო, - დუმილის შემდეგ გაისმა პასუხი.

რობერტა დაფიქრდა.

- საღამოს გაზეთი გადავამოწმოთ.

სხვენის კარი გააღეს და ფრთხილად ჩახედეს ქვევით ჩამავალ კიბეს.

- ოჰ, ფრენკმა რომ ეს გაიგოს, მწვანე მანქანას წაგვართმევს, არადა, ისეთი სიამოვნებაა, ქალაქის ქუჩებში რომ მისეირნობ და გრილი ნიავი გელამუნება.

- მოდი, არ ვუთხრათ.

- არ ვუთხრათ?

ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და სვენებ-სვენებით ჩაუყვნენ ჭრიალა კიბეს, თან ყოველ წუთს აყურადებდნენ... ჯერ სამზარეულოში, მერე საკუჭნაოში შეიჭყიტეს, შემდეგ გულისფანცქალით გაიხედეს ფანჯრებში, ბოლოს კი ქურას მიუბრუნდნენ და ჰამბურგერის შებრაწვას შეუდგნენ. ხუთ წუთს უხმოდ მუშაობდნენ და, როგორც იქნა, ფერნმა ნაღვლიანად გახედა რობერტას.

- იცი, რა ვიფიქრე? უკვე მოვხუცდით, ძალა გამოგველია, თუმცა, ამის აღიარება არ გვინდა. მაგრამ ჩვენ სახიფათონი ვართ. საზოგადოების წინაშე პასუხი უნდა ვაგოთ იმისათვის, რაც ჩავიდინეთ.

- და... რა? - ქურაზე მოშიშხინე კერძს დუმილი გადაეფარა, როდესაც დები, ხელებჩამოყრილნი და გაქვავებულნი, ერთმანეთს სახეში ჩააშტერდნენ.

- მე მგონია, - ფერნი კარგა ხანს აკვირდებოდა კედელს, - აღარასოდეს არ უნდა ვიაროთ მწვანე მანქანით.

რობერტამ თეფში აიღო და გამხდარი ხელით წინ გამოიწვდინა.

- აღარასოდეს?.. - იკითხა მერე.

- ჰო.

- მაგრამ, - ძლივს გაბედა რობერტამ, - მისი... მისი გაცემა ხომ არ მოგვიწევს? ხომ შეიძლება დავიტოვოთ?

ფერნი ამ ნათქვამს ჩაუფიქრდა.

- ჰო, მგონი, შეიძლება დავიტოვოთ.

- ეს უკვე კარგია. წავალ, ელემენტებს ამოვაცლი.

რობერტას კარში მათი უმცროსი ძმა, ორმოცდათექვსმეტი წლის ფრენკი შეეფეთა.

- სალამი, დებო! - შესძახა ღიმილით.

რობერტა უსიტყვოდ გაუსხლტა გვერდზე და ზაფხულის მწუხრს შეერია. ფრენკს გაზეთი ეკავა, რომელიც ფერნმა საჩქაროდ გამოაცალა ხელიდან. აკანკალებულმა თავიდან ბოლომდე დაფურცლა, შემდეგ კი შვებით ამოიოხრა და ისევ დაუბრუნა.

- ამ წუთს გარეთ დაგ სპოლდინგი შემხვდა. მთხოვა, თქვენთვის რაღაც გადმომეცა. ასე მითხრა, ნუ ინერვიულებენ, ყველაფერს შევესწარი და ყველაფერი კარგად არისო. ნეტავ რას გულისხმობდა?

- ნამდვილად არ ვიცი, - ფერნმა ზურგი შეაქცია და ცხვირსახოცის ძებნას შეუდგა.

- ოჰ, ეს ბავშვები, - ფრენკი თავის დის ბეჭებს კარგა ხანს შესცქეროდა, მერე მხრები აიჩეჩა, - ვახშამი თითქმის მზადაა, არა? - იკითხა ალერსიანად.

- ჰო, - მის ფერნმა სამზარეულოს მაგიდა გააწყო.

გარედან საყვირის ჭყივილი მოისმა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

- ეს რა არის? - ფრენკმა სამზარეულოს ფანჯრიდან საღამოს ბინდს გახედა, - რას შვრება რობერტა? შეხედე, მწვანე მანქანაში ზის და რეზინის საყვირს აწვება!

კიდევ ერთხელ ორჯერ გაისმა მწუხრის ჰაერში რაღაც მგლოვიარე ცხოველის ძახილივით მსუბუქი ჰანგი.

- რა მოუვიდა? - გაოცდა ფრენკი.

- თავი დაანებე! - შეჰკივლა მის ფერნმა.

ფრენკი კიდევ უფრო გაოგნდა.

წამიც და, მის რობერტა მშვიდად შემოვიდა, თვალებში არავის უყურებდა. სამივენი ასე მიუსხდნენ ვახშმის სუფრას.

* * *

რიჟრაჟის პირველმა სხივმა სახურავი გაანათა; ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. თითოეულ ხეს იმ უმცირესი სიოს მობერვაზეც კი შეღვიძების ნაზი მღელვარებით უთრთის ფოთლები, რასაც განთიადი უგზავნის. და უეცრად, შორიდან, ვერცხლისფერი ლიანდაგის მოსახვევში გამოჩნდება ოთხ პატარა, მოვერცხლისფრო-მოცისფრო ბორბალზე შემდგარი მანდარინისფერი

ტრამვაი. ბრინჯაოს მბზინვარე სარტყლები ეპოლეტებად ამშვენებს, ოქროსფერი მილები - სირმებად; როდესაც მოხუცი მემანქანე დანაოჭებული ფეხსაცმლის წვერით აწვება პედალს, ზარის ხმა ისმის. ტრამვაის წინ და გვერდებზე ლიმონისფერი ნომრები აქვს მიმაგრებული. შიგნით სავარძლებს გრილი, მწვანე, ბუსუსებიანი ხავსი ფარავს. ტრამვაის სახურავიდან ხოჭოს საცეცებისმაგვარი გამონაზარდები ამოუწვდია და მაღლა, გზისპირა ხეებში გაჭიმულ ობობას ქსელს ეხება, მისგან ისრუტავს საკვებს. ყველა ფანჯრიდან მაცოცხლებელი გუნდრუკის სურნელი აღწევს- ზაფხულის ავდრებისა და ელჭექთა ყოვლისგამჭოლი, მოლურჯო, იდუმალი სუნი.

ასე მოგორავს ტრამვაი თელების ჩრდილში, მემანქანის უასაკო, რუხხელთათმნიანი ხელი ფაქიზად ეხება ბერკეტებსა და ღილაკებს.

შუადღე იყო, მემანქანემ უბნის შუაგულში რომ გააჩერა ვაგონი და ფანჯარაში თავი გამოყო.

- ეჰეი!

დაგლასმა, ჩარლიმ, ტომმა და უბნის მთელმა გოგო-ბიჭებმა შენიშნეს მისი რუხი ხელთათმანი, ის ხელს უქნევდა ბავშვებს და ბავშვებიც ჩამოხტნენ ხეებიდან, მიატოვეს ბალახზე თეთრი გველებივით გადახლართული სახტუნაო რეზინები და მწვანე პლუშის სავარძლებში უფასოდ მოკალათდნენ. კონდუქტორს, მისტერ ტრიდენს, ხელთათმნიანი ხელი ბილეთების ავტომატისათვის პირზე აეფარებინა და ასე განაგრძობდა ჩრდილში ჩაფლული უბნის მოსახლეთა მოხმობას.

- საით მივდივართ? - იკითხა ჩარლიმ.

- ეს უკანასკნელი რეისია, - უპასუხა ელექტრომავთულისაკენ მზერააპყრობილმა მისტერ ტრიდენმა, - მორჩა, ტრამვაი მეტს აღარ ივლის. ხვალიდან ავტობუსი გამოვა სამუშაოდ. მეც პენსიაზე მიშვებენ, მაშ! ასე რომ, დღეს ყველას უფასოდ გაგატარებთ!

მან ფოლადის სახელური შემოატრიალა, ტრამვაიმ ამოიხვნეშა და უსასრულო მწვანე მოსახვევში შევიდა. სამყაროს მთელი დრო ერთბაშად შეყოვნდა, თითქოს ყველა და ყველაფერი გაშეშებულიყო და მხოლოდ ბავშვები და მისტერ ტრიდენი მიუყვებოდნენ მარადისობის ულევ მდინარეს.

- რაო, დღეს ბოლო დღეა? - იკითხა თავზარდაცემულმა დაგლასმა, - არა, შეუძლებელია! ის არ კმარა, რომ მწვანე მანქანა აღარ დადის, ყოველგვარი გამართლების გარეშე გარაჟშია გამომწყვდეული? ისიც მეყოფა, ახალი ტენისის ფეხსაცმელი რომ მიძველდება და სისწრაფეს კარგავს! როგორღა უნდა ვიმოძრაო? კი მაგრამ... კი მაგრამ... ტრამვაის ვერ წაგვართმევენ! რაც უნდა იყოს, ავტობუსი ვერ შეცვლის ტრამვაის. სულ სხვა ხმა აქვს. არც

ლიანდაგები აქვს, არც სადენები, არც ნაპერწკლებს ისვრის, არც ქვიშას აბნევს გზადაგზა, ასეთი ჭრელიც არ არის, არა აქვს ზარი და არც კიბეს უშვებს ტრამვაივით!

- ჰო, მართლა, - დაეთანხმა ჩარლი, - ყოველთვის მისწორდება, ტრამვაი როცა ჩერდება და აკორდეონივით ჩამოშლის საფეხურებს.

- აბა, რა, - თქვა დაგლასმა.

მარშრუტის დასასრულს მიადგნენ, რომლის იქითაც თვრამეტი წლის მანძილზე მიტოვებული ლიანდაგის ზოლი მწვანე ბორცვებს შორის მიიკლაკნებოდა. 1910 წელს ხალხი ნუგბარით დატვირთული კალათებით მიემგზავრებოდა ტრამვაით ჩესმენის პარკში და იქ პიკნიკებს აწყობდა. ძველი ლიანდაგი აღარავის აუყრია, ის თანდათან ჟანგდებოდა ბუნების წიაღში.

- აქ უკან დაბრუნება გვიწევს, - თქვა ჩარლიმ.

- აი, აქ კი ცდები! - მიუგო მისტერ ტრიდენმა და სათადარიგო გენერატორის ჩამრთველი გადაატრიალა, - წავიდა!

ტრამვაი ყრუ ბრახუნითა და ლაღი სინარნარით გასცდა ქალაქის საზღვარს, უკან მოიტოვა ქუჩები და სწრაფად დაეშვა დაღმართზე სურნელოვანი მზისა და შხამასოკოს სუნით გაჟღენთილი ჩრდილის შუალედებში. ლიანდაგს აქა-იქ ნაკადულები კვეთდა, მზის სინათლე კი ხის ფოთლებში ისე გამოსჭვიოდა, როგორც მწვანე მინაში. შხუილით ჩაუქროლეს ველური მზესუმზირების ტალღებით დაფარულ მდელოებს, მიტოვებულ ბაქნებს, მხოლოდ გადამფრენი ქარებით დასვრეტილი ქაღალდის ნაფლეთებით მოფენილს, და ტყის რუს ჩაუყვნენ ზაფხულის ჭალაში.

დაგლასი ისევ ალაპარაკდა:

- ტრამვაის განსაკუთრებული სურნელი აქვს. ჩიკაგოს ავტობუსში ვმჯდარვარ, რაღაც მაზალო სუნი ასდის.

- ტრამვაი მეტისმეტად ნელია, - თქვა მისტერ ტრიდენმა, - ახლა ყველგან ავტობუსებს შემოიღებენ. მოსახლეობისთვისაც და სკოლებისთვისაც.

ტრამვაი ჭრიალით გაჩერდა. მისტერ ტრიდენმა ზედა თაროებიდან პიკნიკის ვეებერთელა კალათები გადმოიღო. ბავშვებმა სიხარულისაგან შეჰყვირეს და კალათების გადმოტანაში დაეხმარნენ. ყველაფერი ნაკადულის პირას მიიტანეს, მშვიდ, პატარა ტბორში რომ ჩაედინებოდა, რომლის ნაპირზეც ძველისძველი საორკესტრო ესტრადა იდგა, ჭიანჭველების ლუკმად ქცეული და უკვე სანახევროდ ჩამოშლილი.

ყველანი ხორციან სენდვიჩებს, ქორფა მარწყვსა და ცვილისფერ ფორთოხლებს შეექცეოდნენ, მისტერ ტრიდენი კი ჰყვებოდა, თუ როგორ უკრავდა ამ სცენაზე ორკესტრი საღამო ხანს, ოცი წლის წინ, როგორ უბერავდნენ

მუსიკოსები სპილენძის საყვირებს, ტანსრული დირიჟორი როგორ იწმენდდა ოფლს, ბავშვები და ციცინათელები მაღალ ბალახში დანავარდობდნენ, გრძელ კაბებში გამოწყობილნი, მაღალი ვარცხნილობით მორთული ქალბატონები კისერში ჰალსტუხწაჭერილი მამაკაცების გვერდით დასეირნობდნენ ქსილოფონისებრ ფიცრულ ბილიკზე.

ბილიკი ახლაც შემორჩენილიყო, წლებს იგი ხის ბოჭკოების დონდლო მასად ექცია. ტბა მშვიდი, ლურჯი და კრიალა იყო, თევზები უშფოთველად არხევდნენ ლელის რტოებს. ტრამვაის ძრავა შეუჩერებლად ზუზუნებდა და ბავშვებს ეგონათ, თვითონაც სულ სხვა დროში გადასულიყვნენ, მისტერ ტრიდენიც სხვაგვარად, საოცრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თვალები მომცრო ნათურებივით ლურჯი ელექტროშუქით უბრწყინავდა. მსუბუქი, მოფარფატე დღე იყო, არავინ ჩქარობდა, ტყის კორომი თავზე მჭიდროდ გადაჰკვროდათ და მზეც ერთ ადგილას იდგა. მისტერ ტრიდენის ხმა ტალღასავით ირწეოდა და ჰაერში მოძრავი მკერავის ნემსი ცაზე ოქროსფერ, უხილავ არშიებს ქარგავდა. ყვავილზე მოზუზუნე ფუტკარი მოკალათებულიყო. ტრამვაი ჯადოსნურ საკრავს ჰგავდა და მზეზე გავარვარებული გვერდები უდუღდა. ტრამვაის სპილენძის სურნელს შეიგრძნობდნენ თავიანთ ხელებზე, როდესაც მწიფე ალუბლებს შეექცეოდნენ. ზაფხულის ნიავი სტაცებდა მათ ტანისამოსს ტრამვაის სურნელს.

თავზე კივილით გადაუფრინათ ბატასინმა.

ვიღაცას გააჟრჟოლა.

მისტერ ტრიდენმა ხელთათმანები წამოიცვა.

- აბა, წასვლის დროა. მშობლები იფიქრებენ, რომ სამუდამოდ მოგიტაცეთ.

ტრამვაიში, როგორც სანაყინეში, სიჩუმე და გრილი სიბნელე იდგა. ბავშვებმა უსიტყვოდ, ჩუმი შრიალით შეატრიალეს მწვანე სავარძლები, რათა ზურგი შეექციათ მდუმარე ტბისთვის, მიტოვებული ესტრადისა და ფიცრული ბილიკისათვის, რომელიც მასზე შემდგარ ადამიანს უცხო ქვეყნებისკენ თავისებური მუსიკით აცილებდა.

ბინგ! მელოდიურად ჩამორეკა ზარი მისტერ ტრიდენმა და ტრამვაიც, მზისაგან მიტოვებული, უცბად ჩამომჭკნარი მდელოებისა და ჭალების გავლით უკან, ქალაქისაკენ გააქროლა, სადაც მას აქეთ-იქიდან აგურის, ბეტონისა და ხის დამთრგუნველი კედლები შემოაწვა. მისტერ ტრიდენმა ძრავა გამორთო და ბავშვები კვლავ ხეივანში ჩამოსხა.

დაგლასი და ტომი სხვებზე დიდხანს შემორჩნენ ტრამვაის ელექტრული სუნთქვით მთრთოლავ დაფჩენილ ხახასთან, რომლიდანაც ენა და

დასაკეცი კიბე ჩამოშლილიყო. ისინი მართვის პულტზე შეჩერებულ მისტერ ტრიდენის ხელთათმანებს მისჩერებოდნენ.

დაგლასმა ხელი გადაუსვა სავარძლების მწვანე ხავსს, გადახედა ვერცხლისა და სპილენძის ბზინვარებასა და ღვინისფერ ჭერს.

- კიდევ ერთხელ გემშვიდობებით, მისტერ ტრიდენ.

- ნახვამდის, ბიჭებო.

- გინახულებთ ხოლმე, მისტერ ტრიდენ.

- მინახულეთ.

ჰაერში მსუბუქი ამოოხვრა გაისმა; გოფრირებული ენა აიკეცა და კარი რბილად დაიკეტა. ტრამვაი ნელა დაიძრა, ის მზეზე უფრო კაშკაშად ბრწყინავდა საღამოს ქალაქში, მანდარინისფრად, ოქროსფრად, ლიმონისფრად გაიელვა მოსახვევში და სამუდამოდ მიეფარა თვალს.

- სკოლის ავტობუსიო! - ჩარლი ტროტუარისკენ გაემართა, - აღარასოდეს მოგვიწევს სკოლაში დაგვიანება, პირდაპირ კართან მოგვადგება წასაყვანად, სიცოცხლეში ვეღარასოდეს დავაგვიანებთ. წარმოიდგინე, რა კოშმარია, დაგ, წარმოიდგინე!

მაგრამ დაგლასი იმაზე ფიქრობდა, როგორ მოვიდოდნენ ხვალ ადამიანები და ვერცხლის ლიანდაგებს გავარვარებულ გუდრონს გადაასხამდნენ, მალე ვეღარავინ გაიგებდა, რომ აქ ოდესღაც ტრამვაი დადიოდა. იცოდა, რომ თვითონ წარმოუდგენლად ბევრი წელიწადი დასჭირდებოდა, ვიდრე ამ ლიანდაგებს დაივიწყებდა. იცოდა, შემოდგომის, ზაფხულის ანდა ზამთრის დილით გაიღვიძებდა და თუ ფანჯარასთან არ მივიდოდა, თუ საწოლში დარჩებოდა რბილად ჩაღუნღულებული, მაშინ შორიდან მათ ხმას აუცილებლად გაიგონებდა.

და ქუჩის მოსახვევიდან, სიკომორების, თელებისა და ნეკერჩხლების ხეივნიდან, ჩვეული ცხოვრებისაგან გამიჯნულ დილის სიჩუმეში, ბიჭს ნაცნობი ხმები შემოესმებოდა - საათის ტიკტიკის, მგორავი ლითონის კასრების, ერთადერთი გიგანტური ნემსიყლაპიას ზუზუნის მსგავსი ხმა. ის კარუსელივით, ლურჯი ელვებით შემოსილი სულ ერთი ბეწო ელექტრული ქარიშხალივით მოვარდება, გაიჟღერებს და გაქროლდება. ტრამვაის მელოდია! მინერალური წყლების ონკანივით დაიშხუვლებს, კიბეს ჩამოშლის და კვლავ დაიძვრება ფერად ზმანებად, გასრიალდება თავის დამარხულ, მიმალულ ლიანდაგზე, რაღაც დამარხული, გადამალული მიზნისაკენ.

- ნავახშმევს კონსერვის ქილით ვიმატაოთ? - იკითხა ჩარლიმ.

- ვიმატაოთ, აბა, რა, - უპასუხა დაგლასმა.

* * *

თორმეტი წლის ჯონ ჰაფის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტები მარტივია და მათი ჩამოთვლა დიდ დროს არ ითხოვს. ჩოკტოს თუ ჩეროკის ტომის ნებისმიერ მზვერავზე უკეთ პოულობდა კვალს, სიმაღლიდან ხტომაში შიმპანზეს სჯობნიდა, წყალქვეშ ორი წუთით გაძლება შეეძლო და სადაც ჩაყვინთავდა, იმ წერტილიდან ორმოცდაათ იარდს მიცურავდა დინების გასწვრივ. პასს რომ გადააწვდიდი, ბეისბოლის ბურთით ვაშლის ხიდან ერთ ტონა მოსავალს ჩამოყრიდა. ბაღის ექვსფუტიან ღობეზე ხტებოდა, მეგობრებში ყველაზე მარჯვედ შეეძლო ტოტების ჩამოწევა და ყველაზე სწრაფად ბრუნდებოდა მოპარული ქლიავით დამძიმებული. სიცილით დარბოდა. ლაღად იჯდა. არავის ჩაგრავდა. კეთილი იყო. თმა მუქი და ხვეული ჰქონდა, კბილები კი - ათქვეფილი ნაღებივით თეთრი. ყველა კოვბოური სიმღერის ტექსტი ახსოვდა და თუ სთხოვდი, შენც გასწავლიდა. იცოდა ყველა მინდვრის ყვავილის სახელი, მთვარის ჩასვლა-ამოსვლისა და ზღვის მიმოქცევის ზუსტი დრო. სიმართლე თუ გინდათ, ის იყო მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე ილინიოსის შტატის ქალაქ გრინთაუნში მცხოვრები ერთადერთი ღვთაება, რომელსაც დაგლას სპოლდინგი იცნობდა.

და სწორედ ახლა, ერთ მშვენიერ, თბილ, მარმარილოს სფეროსავით დასრულებულ, სინათლის ალივით სრულყოფილ დღეს, ის და დაგლასი ქალაქის გაღმა დასეირნობდნენ, ლაჟვარდისფერი ბალახი აზვირთულიყო, მოსარკული ნაკადულები რძისფერი კენჭების გროვებს მარაოებად გადაჰფენოდნენ.

დაგლასი უდარდელად დასეირნობდა და დარწმუნებული იყო, ასე გაგრძელდებოდა საუკუნოდ. დღის ეს დასრულებული სიმრგვალე და ბალახის სურნელი სინათლის სიჩქარით მიიწევდა მომავლისაკენ. როდესაც საუკეთესო მეგობარი მოლაღურის ხმით უსტვენს შენ გვერდით და ჩოგბურთის ბურთს ურტყამს ხელს, შენ კი ამ დროს გასაღების ჟღარუნით მოქრიხარ მტვრის ბილიკზე, ეს ყველაფერი სრულყოფილი და ძალზე ხელშესახებია - თითოეული საგანი აქვეა, შენს ხელთ, და ყოველთვის ახლოს დარჩება.

აი, ასეთ კაშკაშა დღესუეცრად ღრუბელი გადაეფარა და აღარ გადასულა.

ჯონ ჰაფი რამდენიმე წუთს მშვიდად ლაპარაკობდა. დაგლასი ბილიკზე შეჩერდა და მისკენ მიიხედა.

- ჯონ, გაიმეორე, რაც თქვი.

- პირველადაც ხომ გაიგონე, დაგ.

- როგორ თქვი, სხვა ქალაქში გადადიხარ?

- მატარებლის ბილეთი, აგერ, ჯიბეში მაქვს. კუ-კუუ! ჩუქუ-ჩუქუ-ჩუქუ-ჩუუ-უუუ...

ხმა ჩაუწყდა.

ჯონმა საზეიმო იერით ამოაძვრინა ჯიბიდან მატარებლის ყვითელი ბილეთი და ორივე ბიჭი წამით მას შეაჩერდა.

- დღეს საღამოს? - ვერ იჯერებდა დაგლასი, - ღმერთო ჩემო! დღეს ხომ „წითელი, მწვანე, გაშეშდი“ უნდა გვეთამაშა! როგორ მოხდა, ასე უცებ რომ გადაწყვიტეთ? რაც თავი მახსოვს, გრინთაუნში ცხოვრობდი. როგორ შეიძლება, ასე უცბად აბარგდე და წახვიდე?

- მამაჩემის გამო, - თქვა ჯონმა, - სამსახური მისცეს მილუოკიში. დღემდე არ ვიცოდით დანამდვილებით...

- ფუ შენი! შემდეგ კვირას ბაპტისტურ პიკნიკს ვგეგმავდით, მერე შრომის დღეს - დიდ კარნავალს, მერე - ჰელოუინს... მამაშენს არ შეუძლია მანამდე მოიცადოს?

ჯონმა თავი გაიქნია.

- რა უბედურებაა! - შეჰყვირა დაგლასმა, - მოიცა, დავჯდე!

ბორცვის ძირას, ბებერი მუხის ჩრდილში ჩამოსხდნენ. ქალაქს გაჰყურებდნენ, მზე კი მათ გარშემო ჩრდილის ფართო, მოცახცახე წრეებს კრავდა. ხის ძირას ისე გრილოდა, როგორც გამოქვაბულში. გარეთ, მზისგულზე, ფანჯრებდაღებულ ქალაქს ოხშივარი ასდიოდა. დაგლასს იქით მოუნდა გაქცევა, სადაც ქალაქი სახლების სიმძიმით შემოაწვებოდათ და ჯონს გამგზავრების საშუალებას არ მისცემდა.

- კი მაგრამ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, - უმწეოდ წარმოთქვა დაგლასმა.

- ყოველთვის მეგობრებად დავრჩებით, - უპასუხა ჯონმა.

- კვირაში ერთხელ მაინც ჩამოხვალ ხოლმე ჩვენს სანახავად?

- მამა ამბობს, მხოლოდ წელიწადში ორჯერ-სამჯერო. მანძილი ოთხმოცი მილია.

- ოთხმოცი მილი შორი არ არის! - დაიღრიალა დაგლასმა.

- არა, შორი სულაც არ არის, - დაეთანხმა ჯონი.

- ბებიაჩემს ტელეფონი აქვს, დაგირეკავ ხოლმე, ან იქნებ ჩვენც გესტუმროთ. მაგარი იქნება!

ჯონი კარგა ხანს ხმას არ იღებდა.

- ჰო, კარგი, - თქვა ბოლოს დაგლასმა, - მოდი, რამეზე ვილაპარაკოთ.

- რაზე?

- როგორ თუ რაზე! თუკი მიდიხარ, მილიონი რამე გვაქვს სალაპარაკო! ყველაფერი, რაზეც ერთი თვის, ორი თვის შემდეგ ვილაპარაკებდით!

ჩოქელებზე, საჰაერო ბურთებზე, აკრობატებზე, ხანჯლების მყლაპავებზე! მიდი, განაგრძე, მაშინ რომ მიყვებოდი, კალიები როგორ იფურთხებიან!

- გაგეცინება, მაგრამ რატომღაც არ მინდა კალიებზე ლაპარაკი.

- ყოველთვის გინდოდა ხოლმე!

- ჰო, - ჯონი დიდხანს გაჰყურებდა ქალაქს, - მაგრამ ახლა, მგონი, ამის დრო არ არის.

- ჯონ, რა დაგემართა? უცნაური სახე გაქვს...

ჯონმა თვალები მაგრად მოხუჭა და სახე მოეჭმუხნა.

- დაგ, ტერლების სახლი ხომ გახსოვს?

- ჰო.

- მაღალ სართულზე პატარა, მრგვალ ფანჯრებს ყოველთვის ჰქონდა ფერადი რაფები?

- ჰო, აბა, რა.

- დარწმუნებული ხარ?

- ეგ ფანჯრები სანამ ჩვენ დავიბადებოდით, მანამდე იყო. რატომ მეკითხები?

- დღეს პირველად შევამჩნიე, - თქვა ჯონმა, - ქალაქში რომ დავსეირნობდით, უცებ ავიხედე და დავინახე. დაგ, რას ვაკეთებდი მთელი ეს წლები, რატომ ვერ ვამჩნევდი?

- სხვა რამეებით იყავი დაკავებული.

- ჰოო? - ჯონი მიუბრუნდა და შეშფოთებული ჩააკვირდა სახეში, - ღმერთო, დაგ, ამ წყეულმა ფანჯრებმა რატომღაც შემაშინა! რატომ? რა არის ამაში საშინელი? უბრალოდ... - ენა დაება, - უბრალოდ, თუკი დღემდე ეს ფანჯრები ვერ შევნიშნე, იქნებ სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც გამომრჩა? და რასაც ვხედავდი ამ ქალაქში ყოველდღიურად, იმის დამახსოვრებას თუ შევძლებ წასვლის მერე?

- რისი დამახსოვრებაც გინდა, ყველაფერი დაგამახსოვრდება. შარშანწინ, ზაფხულში, ბანაკში რომ გამიშვეს, იქ ყველაფერი მახსოვდა.

- არა, არ გახსოვდა! თვითონ მითხარი, ღამღამობით მეღვიძებოდა და დედაჩემის სახეს ვერ ვიხსენებდიო.

- არა!

- ზოგჯერ ღამით აქაც მომდის ასეთი რამ. გული მისკდება ხოლმე. მშობლების ოთახში შევდივარ და მათ სახეებს ვაკვირდები! მერე ჩემს ოთახში ვბრუნდები, ისევ მავიწყდება. ო, დაგ! - მკლავები მუხლებს შემოაჭდო, - მხოლოდ ერთ რამეს დამპირდი, დაგ. დამპირდი, რომ დამიმახსოვრებ, რომ ჩემი სახე და ყველაფერი გეხსომება. მპირდები?

- მაგას რა უნდა. თავში კინოკამერა მაქვს. ღამღამობით საწოლში რომ დავწვები, თავში ნათურას ავინთებ და კედელზე პროექტორივით გავუშვებ გამოსახულებას და შენც ჩემ წინ იქნები, შემომძახებ და ხელს დამიქნევ.

- აბა, თვალები დახუჭე, დაგ. ახლა მითხარი, რა ფერის თვალები მაქვს? ნუ იჭყიტები. რა ფერის თვალები მაქვს?

დაგლასს ოფლმა დაასხა. ქუთუთოები ნერვიულად აუცახცახდა.

- ჯონ, ასე არ შეიძლება.

- მითხარი!

- თაფლისფერი!

ჯონმა გვერდზე გაიხედა.

- არაფერიც.

- როგორ თუ არაფერიც?!

- ახლოსაც კი არა ხარ! - ჯონმა თვალები დახუჭა.

- აქეთ მოტრიალდი, - უთხრა დაგლასმა, - გაახილე, მაჩვენე.

- რა აზრი აქვს? - უთხრა ჯონმა, - უკვე დაგავიწყდა, ასეც ვიცოდი.

- მოტრიალდი! - დაგლასი თმაში სწვდა და ნელა შემოატრიალა.

- ჰო, კარგი, დაგ.

ჯონმა გაახილა თვალები.

- მწვანე, - დაგლასს უღონოდ ჩამოუცვივდა ხელები, - მწვანე თვალები გქონია... ჰმ, ახლოსაა თაფლისფერთან, თითქმის წაბლისფერია.

- დაგ, რას მატყუებ.

- ჰო, კარგი, - ჩუმად თქვა დაგმა, - აღარ მოგატყუებ.

ისხდნენ და აღმართში მათკენ ყვირილითა და ქოშინით ამომავალ სხვა ბიჭებს გაჰყურებდნენ.

* * *

ლიანდაგების გასწვრივ დაქროდნენ, მერე ხემსი ამოიღეს და ღრმად შეიყნოსეს კალკის ქაღალდში გახვეული სენდვიჩის შეკაზმული ლორისა და ფერად-ფერადი მწნილის სურნელი. მერე ისევ შეუჩერებლად დაქროდნენ. დაგლასი მიწაზე გაწვა, ყური ლიანდაგის ცხელ ფოლადს დაადო და უშორესი მატარებლების ხმები მოესმა, იმდენად შორი, რომ სხვა ქვეყნებიდან მასთან, ამ მომაკვდინებელი მზის ქვეშ მწოლიარე ბიჭთან მოღწეულ მორზეს გზავნილებს ჰგავდა. დაგლასი გაბრუებული წამოდგა ფეხზე.

- ჯონ!

ჯონი დარბოდა. ეს ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან, როცა დარბიხარ, დროც გარბის. ყვირი, ღრიალებ, მალაყს გადადიხარ, კოტრიალობ და უცებ ამჩნევ, რომ მზე ჩასულა, გესმის საყვირის ხმა და სხვა გზა აღარ გაქვს: შინ უნდა წალასლასდე, რომ ვახშამს მიუსწრო. როდესაც თვალს არ ადევნებ, მზე შენს ზურგს უკან უსწრაფესად მიიპარება! მოვლენათა შენელების ერთადერთი საშუალებაა, ყველაფერს თვალი ადევნო და თავად არაფერი აკეთო. ასე, თვალის დევნებით შეიძლება დღე სამი დღის სიგრძეზე გაწელო!

- ჯონ!

შეუძლებელი იყო, რაიმე ხრიკის გარეშე ახლა მისი გადმობირება.

- ჯონ, გავექცეთ, სხვებს გავექცეთ!

ჯონი და დაგლასი ყიჟინით დაეშვნენ დაღმართზე. მიზიდულობის ძალა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, მდელოებს გადაუფრინეს, ბეღლებს შორის გაძვრნენ-გამოძვრნენ, ვიდრე მდევრების ხმები უკან არ მოიტოვეს.

ჯონი და დაგლასი თივის ზვინში შეძვრნენ, მათი სხეულების ქვეშ ვეება კოცონივით რომ ტკაცუნობდა.

- მოდი, არაფერი ვაკეთოთ, - თქვა ჯონმა.

- ზუსტად ამის თქმას ვაპირებდი ახლა, - გაუხარდა დაგლასს.

უძრავად ისხდნენ და თანდათან მოითქვეს სული.

თივაში მწერის წრიპინივით ოდნავ შესამჩნევი ხმა ისმოდა.

ეს ხმა ორივეს ესმოდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. დაგლასმა ხელი გაანძრია და ხმამ ზვინის სხვა ნაწილში გადაინაცვლა. ხელი კალთაში ჩაიდო და მწერი მის მუხლთან აწიკწიკდა. წამის მეასედით დახარა მზერა. მისი მაჯის საათი სამ საათს აჩვენებდა.

დაგლასმა მოწიკწიკე მწერისკენ ქურდულად გააპარა მარჯვენა ხელი და საათის მოსამართი ღილაკი გამოსწია. ისრები უკან დააბრუნა.

ახლა უსასრულოდ ბევრი დრო ექნებოდათ, რათა გულდასმით ეთვალიერებინათ სამყარო და მზის ცეცხლოვანი ქარის სუნთქვა შეეგრძნოთ.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჯონმა, როგორც ჩანს, სხეულით იგრძნო, უსხეულო ჩრდილები მიწაზე როგორ გადაიხარნენ. სიჩუმე დაარღვია.

- დაგ, რომელი საათია?

- სამის ნახევარია.

ჯონმა ცას ახედა.

ო, არა! გაიფიქრა დაგლასმა.

- სამის ნახევარი იქნება, ოთხიც, - თქვა ჯონმა, - ასეთი რამეები ბოისკაუტების ბანაკში ვისწავლე.

დაგლასმა ამოიხვნეშა და ჩუმად გაასწორა საათი.

როცა ამას აკეთებდა, ჯონი უხმოდ ადევნებდა თვალს. დაგლასმა ახედა, ჯონმა მხარზე მუშტი მიარტყა, მსუბუქად, სულ არ სტკენია.

მატარებელი მძლავრ ტალღასავით უცბად მოვარდა და სწრაფად ჩაიარა. ბიჭები გზიდან გაეცალნენ, ყვირილითა და მუშტების ქნევით გააცილეს. დაგლასი და ჯონიც მათ შორის იყვნენ. მატარებელი ღრიალით გაუყვა ლიანდაგს და თან ორასი მგზავრი წაიყოლა. მტვრის ღრუბელი ერთხანს სამხრეთისკენ მიჰყვა, შემდეგ მშვიდად მოეფინა ოქროსფერ მიდამოს.

ბიჭები შინისაკენ მიაბიჯებდნენ.

- ჩვიდმეტი წლის რომ გავხდები, ცინცინატიში წავალ და რკინიგზაზე ვიმუშავებ ცეცხლფარეშად, - გამოაცხადა ჩარლი ვუდმენმა.

- მე ბიძა მყავს ნიუ-იორკში, - თქვა ჯიმმა, - მეც წავალ და ასოთამწყობი გავხდები.

დაგს სხვებისთვის აღარაფერი უკითხავს. უკვე ჩაესმოდა მატარებლების მრავალხმიანობა და ხედავდა მათ სახეებს ბოლო ვაგონის პლატფორმებზე თუ კუპეს ფანჯრებს მიღმა. ყველანი გაეფანტნენ. მერე დაინახა ცარიელი გზა, ზაფხულის ცა და საკუთარი თავი კიდევ ერთი მიმართულებით მიმსწრაფ მატარებელში. დაგლასს მოეჩვენა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება, ბიჭების ჩრდილები ბალახიდან წამოიწევს და ჰაერს ბინდით აავსებს.

ყელში მობჯენილი გორგალი გადაყლაპა, ყურისწამღები ყიჟინა დასცა და მძლავრი მოქნევით მთელი ძალით აისროლა ბურთი ცაში.

- ბოლო ვინც მიირბენს, ის მარტორქის უკანალია!

სიცილით მოედვნენ ბილიკებს, ხელ-ფეხის ქნევით აიკლეს გარემო. ჯონ ჰაფი ისე მიქროდა, მიწას ფეხით არც კი ეხებოდა. დაგლასი უკან მისდევდა და წუთითაც კი არ ასცილებია მიწის ზედაპირს.

* * *

შვიდი საათისათვის ყველამ ივახშმა. ბიჭები თანდათან ისევ შეგროვდნენ ქუჩაში, ხან ერთი სახლიდან, ხან მეორიდან ისმოდა კარის ბრახუნი და მშობლების ხმა, უკან რომ მისძახოდნენ, კარს ნუ აბრახუნებო. დაგლასი, ტომი, ჩარლი და ჯონი ექვსიოდე სხვა ბიჭთან ერთად იდგნენ გარეთ. დახუჭობანას და გაშეშობანას დრო იყო.

- ერთი თამაშიც და მორჩა, - თქვა ჯონმა, - მერე წასასვლელი ვარ. მატარებელი ცხრა საათზე გადის. ვინ აცხადებს?

- მე, - დაიყვირა დაგლასმა.

- პირველად ვხედავ, ვიღაც თავისი ნებით აცხადებდეს, - გაიკვირვა ტომმა.

დაგლასმა ჯიქურ შეხედა ჯონს და მიაყვირა:

- გაიქეცით!

ბიჭები ყვირილით მიმოიფანტნენ. ჯონმა ნელა დაიხია უკან, მერე შეტრიალდა და გაიქცა. დაგლასმა აუჩქარებლად დაიწყო თვლა. დააცადა, სანამ ყველანი შორს წავიდოდნენ, გაიშლებოდნენ და თითოეული თავ-თავის მიკროსამყაროში მოექცეოდა. როცა სწრაფად გაირბინეს გზა და უკვე სადაც იყო, თვალს მიეფარებოდნენ, ღრმად ჩაისუნთქა.

- გაშეშდით!

ყველა გაქვავდა.

დაგლასი ძალიან ნელა გაემართა გაზონის მეორე ბოლოსკენ, სადაც ჯონ ჰაფი სპილენძისგან ჩამოსხმული ირემივით გაშეშებულიყო.

შორს სხვა ბიჭებს აღემართათ ცისკენ მკლავები და დამანჭული სახეები და ციყვების ფიტულებს ჰგავდნენ.

ჯონი კი მარტოდმარტო და უძრავად იდგა, ირგვლივ არავინ დაძრწოდა და ვერანაირი ხმაური ვერ გაუფუჭებდა გუნებას.

დაგლასმა აქეთ-იქით შემოუარა გაშეშებულ ქანდაკებას. ქანდაკება არ შერხეულა. ხმა არ ამოუღია. ჰორიზონტს გაჰყურებდა და ბაგეზე ოდნავი ღიმილი უკრთოდა.

გაახსენდა, დიდი ხნის წინათ ჩიკაგოში, ერთ უზარმაზარ შენობაში, თეთრი მარმარილოს ქანდაკებებს გარშემო როგორ უვლიდა და სიჩუმეში ყველა მხრიდან ათვალიერებდა. მის წინ ახლა ჯონ ჰაფი იდგა, მუხლებსა და საჯდომზე ბალახისაგან გამწვანებული შარვლით, ნაიარევი თითებით, გადაყვლეფილი იდაყვებით. უძრავი ფეხები სპორტულ ფეხსაცმელებში, როგორც ქარქაშში, ისე ეწყო. აი, მისი პირი, ამ ზაფხულს უკვე უამრავი გარგარის ნამცხვარი რომ შეუსანსლავს და ბევრი მშვიდი სიტყვა უთქვამს ცხოვრებასა და გარე სამყაროზე. აი, მისი თვალები, ქანდაკებების თვალებივით უსინათლო კი არა, - დამდნარი, მომწვანო ოქროთი სავსე. მუქი თმა ხან ჩრდილოეთისკენ აუფრიალდება, ხან - სამხრეთისკენ, ხანაც სხვა მიმართულებით აჰყვება ნიავს. და აი, ხელებიც, მთელი ქალაქი ზედ რომ აჰკვრია: ქუჩის მტვერი, ხის მერქნის ნაფოტები; თითებს ნაირ-ნაირი სუნი ასდის - კანაფისა და ყურძნის, მწვანე ვაშლის, ძველი მონეტების და მწნილისფერი ბაყაყებისა. აგერ მისი ატმისფერი, მზით გამჭვირვალებული ყურებიც და ჰაერში უხილავად გამოფრქვეული, პიტნის კევით გაჯერებული სუნთქვა.

- ახლა კი, ჯონ, - მიმართა დაგლასმა, - წამწამიც არ შეარხიო. კატეგორიულად გიბრძანებ, ადგილზე დარჩე და არ გაინძრე სამი საათის განმავლობაში!

- და...

ჯონმა ტუჩები აამოძრავა.

- გაშეშდი! - უბრძანა დაგლასმა.

ჯონმა კვლავ ცას მიაპყრო მზერა, მაგრამ აღარ იღიმებოდა.

- უნდა წავიდე, - დაიჩურჩულა.

- კუნთიც არ აამოძრაო, ასეთია თამაშის წესი!

- აუცილებლად უნდა წავიდე შინ, - თქვა ჯონმა.

ქანდაკება ამოძრავდა, მკლავები დაუშვა და დაგლასს მიუბრუნდა. იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. სხვა ბავშვებმაც ხელები ჩამოუშვეს და აიშალნენ.

- ერთიც ვითამაშოთ, - თქვა ჯონმა, - ეს არ ითვლება. მე ვაცხადებ. გაიქეცით!

ბიჭები გაიქცნენ.

- გაშეშდით!

ყველა ადგილზე გაიყინა და, მათთან ერთად, დაგლასიც.

- არც ერთი კუნთი, თმის არც ერთი ღერი არ გაარხიოთ! - დაიყვირა ჯონმა.

დაგლასისკენ წავიდა და მიუახლოვდა.

- უჰ, სხვანაირად ამას ვერ მოვახერხებდი, - ჩაილაპარაკა.

დაგლასი მწუხრის ცას გაჰყურებდა.

- მომდევნო სამი წუთის განმავლობაში ყველანი ქანდაკებები ხართ, გაიგეთ? - გამოაცხადა ჯონმა.

დაგლასმა იგრძნო, ჯონმა როგორ შემოუარა გარშემო ზუსტად ისევე, როგორც წეღან თვითონ. მხარზე ჯონის მსუბუქი დარტყმა იგრძნო და მისი ჩუმი ხმა გაიგონა:

- კარგად.

მერე აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა და მიხვდა, რომ ზურგს უკან აღარავინ ედგა.

შორს მატარებლის საყვირმა დაიწივლა.

დაგლასი მთელ წუთს იდგა ასე და ელოდა, როდის მიწყდებოდა ფეხის ხმა, მაგრამ ის არ შეწყვეტილა. ის გარბის, მაგრამ მისი ფეხის ხმა აღარ მშორდება, გაიფიქრა დაგლასმა. რატომ აღარ ჩერდება?

და უცბად მიხვდა, რომ ეს მისივეგულისცემა იყო.

გაჩერდი! ხელი მკერდზე იტაცა! შეწყვიტე ცემა! ეს ხმა მაღიზიანებს!

უცბად გაიაზრა, რომ გაზონზე მიაბიჯებს სხვა ქანდაკებებს შორის, მაგრამ არ იცის, ისინიც მასავით თუ გაცოცხლდნენ. ეჩვენებოდა, თითქოს სულ არ იძვროდნენ. თვითონაც მხოლოდ მუხლებს ქვევით მოძრაობდა. დანარჩენი სხეული ცივ ლოდად ექცა და საშინლად დამძიმებოდა.

თავისი სახლის პარმაღზე ავიდა და ერთბაშად უკან შეტრიალდა.

გაზონი ცარიელი იყო.

სროლის ჯერი გაისმა. მზის ჩასვლის აღსანიშნავი ბათქის მსგავსად, მთელ ქუჩაზე ერთიმეორის მიყოლებით კარები მიჯახუნდა.

ქანდაკებები კარგი რამაა, გაიფიქრა ბიჭმა. გაზონზე დგანან, არ ინძრევიან, მაგრამ ერთხელ თუ მიეცი მოძრაობის საშუალება, მორჩა, უკვე ვეღარასოდეს შეაჩერებ.

უეცრად მისმა სხეულმა მისთვისვე მოულოდნელად დგუშივით გამოისროლა მუშტი და მოუღერა გაზონს, ქუჩებსა და ჩამოწოლილ სიბნელეს. სახე სისხლისფრად აელეწა, თვალები ლამის გადმოსცვენოდა.

- ჯონ! - ბრაზისაგან მოგუდული ხმით შეჰყვირა დაგლასმა, - გესმის, ჯონ? დღეიდან ჩემი მტერი ხარ, გაიგე?! ჩვენ მეგობრები აღარ ვართ! წაეთრიე! მტრები ვართ, გესმის?! ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, ნაგავი ხარ, ჯონ, არარაობა ხარ! გესმის ჩემი, ჯონ?!

კიდევ უფრო ჩამობნელდა, თითქოს ქალაქის მიღმა ვეებერთელა ნავთის ლამპას ჩაუწიეს პატრუქი. პირდაღებული იდგა პარმაღზე და ყბებს უხმოდ ამოძრავებდა. მუშტი ისევ გამოწვდილი ჰქონდა და მოპირდაპირე სახლს უღერებდა. მუშტზე რომ დაიხედა, ისიც და მის უკან მთელი მიდამოც უცებ თითქოს წყალში გაიდღაბნა.

კიბეს აუყვა სიბნელეში, სადაც ვერაფერს ხედავდა, ვერც საკუთარ მუშტებს, მხოლოდ საკუთარ სახეს შეიგრძნობდა. გულში გაუთავებლად იმეორებდა: „განრისხებული ვარ, გამწარებული, მძულს, ვერ ვიტან!“

ათი წუთის შემდეგ ძლივძლივობით მიაღწია ჩაბნელებულ ზედა სართულს...

* * *

- ტომ, - თქვა დაგლასმა, - ერთ რამეს დამპირდი, კაი?

- გპირდები. რას?

- მართალია, ჩემი ძმა ხარ და ზოგჯერ ვერ გიტან, მაგრამ ერთად ვიყოთ, კარგი?

- ესე იგი, დიდ ბიჭებთან ერთად სასეირნოდ წამიყვან ხოლმე?

- ჰმ... ჰო... კარგი, ეგრე იყოს. ამის თქმა მინდოდა. არსად წახვიდე, რა! მანქანამ არ გადაგიაროს და კლდიდან არ გადავარდე.

- არა, გაგიჟდი?! შენ ვინ გგონივარ?

- იმიტომ რომ, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, ორივენი ძალიან რომ დავბერდებით, - ასე, ორმოცის ან ორმოცდათხუთმეტის რომ გავხდებით - მაინც ყოველთვის შეგვეძლება დასავლეთში ოქროს საბადო შევისყიდოთ, იქ ვისხდეთ, სიგარები მოვწიოთ და წვერები მოვუშვათ.

- წვერები მოვუშვათ! მაგარია!

- როგორც გითხარი, ჩემ გვერდით იყავი და ნურაფერი მოგივა.

- ჩემი იმედი გქონდეს, - დაარწმუნა ტომმა.

- შენ გამო კი არ ვღელავ, - უთხრა დაგლასმა, - ის მაფიქრებს, ღმერთი როგორ მართავს ამ სამყაროს.

ტომი ამ სიტყვებმა ერთხანს ჩააფიქრა.

- ღმერთი კაი ტიპია, დაგ, - საბოლოოდ დაასკვნა ტომმა, - ცდილობს.

* * *

სააბაზანოდან გამოსულმა თითზე იოდი წაისვა. ეს-ეს არის, კინაღამ ძვლამდე ჩაითალა, როდესაც ქოქოსის ნამცხვარი ჩამოიჭრა. სწორედ ამ წუთში პარმაღის კიბეზე ფოსტალიონმა ამოიარა, კარი გააღო და შემოვიდა. კარი ბრაგვანით მიიკეტა. ელმირა ბრაუნი შეხტა.

- სემ! - იოდწასმული თითი ჰაერში გაიქნია გასაგრილებლად, - ვერა და ვერ მივეჩვიე იმას, რომ ქმარი ფოსტალიონი მყავს. ყოველ შემოსვლაზე გულს მიხეთქავ ხოლმე!

სანახევროდ სავსე საფოსტო ჩანთაგადაკიდებული სემ ბრაუნი კართან ატუზულიყო და კეფას იფხანდა. უკან ისე მიიხედა, თითქოს ზაფხულის ამ მშვიდ, საამო დილით კარში შემოსულს ბურუსი შემოჰყვა.

- სემ, ადრე დაბრუნებულხარ, - უთხრა ქალმა.

- ვერ დავრჩები, - დაბნეული ხმით უპასუხა ქმარმა.

- ამოღერღე, რა მოხდა? - ქალი მიუახლოვდა და სახეში ჩახედა.

- შეიძლება, არც არაფერი, შეიძლება, ძალიანაც ცუდი რამ. ეს-ესაა ქუჩის დასაწყისში კლარა გუდუოტერს შევუტანე ამანათი...

- კლარა გუდუოტერს!

- ჰო, კარგი ახლა, ნუ გაცხარდები. წიგნები იყო. ვისკონსინის ქალაქ რასინის ჯონსონ-სმიტის კომპანიიდან. სათაური... მოიცადე, გავიხსენო, - სახის

კუნთები დაჭიმა და შემდეგ ისევ მოადუნა, - ალბერტუს მაგნუსი[25], აი, რა იყო. „გადამოწმებული, დახარისხებული ეგვიპტური საიდუმლოებანი, ანუ... - ჭერს მიაშტერდა, თითქოს იქ ცდილობდა უცხო ნიშნების ამოკითხვას, - თეთრი და შავი ხელოვნება კაცთა და მხეცთათვის, რომელიც გაგიმხელთ უძველესი დროის ფილოსოფოსთა აკრძალულ სიბრძნესა და მისტერიებს“!

- მაშ, კლარა გუდუოტერს მიუტანე?

- გზად ყდების დასათვალიერებლად საკმაო დრო მქონდა, ამით ხომ არაფერი დაშავდებოდა. „სიცოცხლის დაფარული საიდუმლოებანი, გამხელილი გამოჩენილი მეცნიერის, ფილოსოფოსის, ალქიმიკოსის, ბუნების მეცნიერის, ასტროლოგის, მეტალურგის, ნათელმხილველის მიერ, ვინაც განმარტა გრძნეულთა და ჯადოქართა სიბრძნე და მრავალი იდუმალი მეცნიერება“. უჰ, როგორ მხსომებია! თავი ისე მაქვს გასივებული, როგორც სათამაშო ყუთიდან ამომხტარ ჭინკას. მნიშვნელობა კი არ მესმის, მაგრამ მთავარია, სიტყვები დავიმახსოვრე.

ელმირა ისე დაშტერებოდა საკუთარ იოდწასმულ თითს, თითქოს სრულიად უცხო საგანი ყოფილიყოს და ეს-ეს არის, ვიღაცას მისთვის ეჩვენებინა.

- კლარა გუდუოტერი, - ჩურჩულებდა ქალი.

- წიგნები რომ გადავეცი, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა: „კუდიანი უნდა გავხდე, ჯადოქრობის ნამდვილი ოსტატი. დღეს-ხვალ დიპლომს მომანიჭებენ. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია... და მერე კი ყველას ერთად და სათითაოდ მოვაჯადოებ, დიდებსა და პატარებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს“. მერე რაღაცნაირად ჩაიცინა, ცხვირი წიგნში ჩარგო და სახლში შებრუნდა.

ელმირა ახლა თავის დალურჯებულ მკლავს შეაჩერდა, მერე ენით ფრთხილად მოისინჯა მოყანყალებული კბილი.

კარი გაიღო და დაიკეტა. ელმირა ბრაუნის სახლის წინ მოლზე ჩამუხლულმა ტომ სპოლდინგმა თავი ასწია. მეზობლების ეზოებში დასეირნობდა, აქა-იქ ჭიანჭველების საქმიანობას აკვირდებოდა და ერთი განსაკუთრებულად კარგი ბორცვი იპოვა, დიდი ხვრელით, რომელშიც ალისფერი დიდი ჭიანჭველები შეშლილი სისწრაფით შედიოდნენ და გამოდიოდნენ და

---

[25] *ალბერტუს მაგნუსი (ლათ. Albertus Magnus; იგივე ალბერტ დიდი, ანუ წმი-ნდა ალბერტი, ალბერტ კიოლნელი, ალბერტ ფონ ბოლშტედტი - 1200-1280) - შუა საუკუნეების გერმანელი ფილოსოფოსი, ტეოლოგი, მეცნიერი; შუა საუკუ-ნეების სქოლასტიკის ტვაალსაჩინო წარმომადგენელი, დომინიკელი ბერი, კა-თოლიკური ეკლესია ეკლესიის დიდ მასწავლებლად აღიარებ, თომა აკვინელის მოძღვარი.*

მკვდარი კალიისა თუ ჩიტის ნაკუწებს მიწის სიღრმეში ეზიდებოდნენ. ახლა კი მის წინაშე სულ სხვა ობიექტი გამოჩნდა: მისის ბრაუნი თავისი პარმაღიდან ისე გადმოყუდებულიყო, გეგონებოდა, ეს წუთია აღმოაჩინა, რომ დედამიწა წამში ტრილიონი კილომეტრის სიჩქარით კოსმოსურ უფსკრულში ვარდებაო. მის ზურგს უკან მოჩანდა მისტერ ბრაუნი, რომელმაც არაფერი იცოდა კილომეტრების შესახებ და, ალბათ, რომც სცოდნოდა, სრულებითაც არ იდარდებდა.

- მისმინე, ტომ! - გასძახა მისის ბრაუნმა, - მორალური მხარდაჭერა მესაჭიროება და კიდევ ღვთიური კრავის სისხლის ეკვივალენტი. წამომყევი!

სწრაფი ნაბიჯით მოსწყდა ადგილს, გადაკვეთა მოლი და ეზოს ბილიკები, გასრისა ჭიანჭველები და ქუსლებით მიწაზე წვეტიანი ხვრელები დატოვა.

ტომი წუთით კიდევ ჩამუხლული აკვირდებოდა ქუჩაზე მიმავალი მისის ბრაუნის ბეჭებსა და ხერხემალს, რომელთა მოძრაობაშიც მელოდრამა და თავგადასავალი ამოიკითხა. ეს მოვლენები მის წარმოსახვაში ჩვეულებრივ ქალებს ნაკლებად უკავშირდებოდა, თუმცა, მისის ბრაუნს სახეზე მეკობრის ულვაშის მსგავსი ღინღლი ემჩნეოდა. წუთიც და, ტომი მის მოკავშირედ იქცა.

- მისის ბრაუნ, ძალიან გაბრაზებული ჩანხართ!

- შენ ჩემი გაბრაზება ჯერ არ გინახავს, შვილო!

- ფრთხილად! - დაიძახა ტომმა.

მისის ელმირა ბრაუნმა ფეხი წამოჰკრა თავის წინ მძინარე ძაღლის ქანდაკებას და ბალახზე გაიშხლართა.

- მისის ბრაუნ!

- აი, ხედავ? - მისის ბრაუნი წამოჯდა, - ესეც კლარა გუდუოტერმა მიქნა! ჯადოქრობაა!

- ჯადოქრობა?

- ეგ არაფერი, შვილო, აგერ მისი კიბე. შენ პირველი ადი და გზად თუ უხილავი თოკებია გაჭიმული, ფეხით გაწყვიტე. ზარს ხელი მიაჭირე, ოღონდ სულ ერთი წამით, თორემ ზედ წასმული შხამი ფერფლად გაქცევს.

ტომი ზარს არ მიჰკარებია.

- კლარა გუდუოტერ! - მისის ბრაუნმა ზარის ღილაკს იოდწასმული თითი მიარტყა.

სადღაც შორს, ვეება ძველისძველი სახლის დიდი და ცარიელი ოთახების ბინდში, ჩუმი წკრიალი გაისმა.

ტომი სმენად იქცა. კიდევ უფრო შორიდან თაგვის ფაჩუნივით სწრაფი ფეხის ხმა გაიგონა. შორეულ დარბაზში რაღაც ჩრდილი გაკრთა, შეიძლება, ფარდა აფრიალდა.

- გამარჯობა, - გაისმა მშვიდი ხმა.

მისის გუდუოტერი ერთბაშად გაჩნდა ბადიანი კარის იქით, პიტნის კარამელივით ცივი და მხნე იერი ჰქონდა.

- ოჰ, გამარჯობა, ტომ, ელმირა. რა ამბავია...

- ერთი დამაცადე! იმიტომ მოვედი, გავიგე, პროფესიონალი კუდიანის საქმიანობას იწყებსო!

- შენი მეუღლე მხოლოდ ფოსტალიონი კი არა, კანონის უერთგულესი დამცველიცაა, - გაეღიმა მისის გუდუოტერს, - ყველაფერში თავის გრძელ ცხვირს ყოფს!

- მას არავის ფოსტაში არ ჩაუხედავს.

- რაო? სახლებს შორის ათ-ათ წუთს ჩერდება, ღია ბარათებს დახითხითებს და შეკვეთით მისატან ფეხსაცმელებს იზომავს ხოლმე.

- საქმე ის კი არ არის, თუ რა ნახა ჩემმა ქმარმა, საქმე ის არის, შენ თვითონ რა უთხარი მიღებულ წიგნებზე.

- ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. კუდიანი უნდა გავხდე-მეთქი, ვთქვი თუ არა და - ბრახ! სემი ისე გავარდა, თითქოს ცეცხლი მოუკიდესო. დარწმუნებული ვარ, ამ კაცის ტვინს ერთი ხვეულიც კი არ ექნება.

- შენი ჯადოქრობის შესახებ გუშინ სხვებთანაც გილაპარაკია...

- შენ, ალბათ, სენდვიჩის კლუბის შეხვედრას გულისხმობ...

- ...რომელზედაც მე ხაზგასმით არ დამპატიჟეს.

- ქალბატონო, ჩვენ როგორც ვიცოდით, ამ დღეს ყოველთვის ბებიასთან ატარებ ხოლმე.

- ბებიას მონახულება ნებისმიერ სხვა დღესაც შემიძლია, თუკი შეხვედრებზე დამპატიჟებენ.

- ერთადერთი ღირსშესანიშნავი რამ, რაც სენდვიჩის კლუბში მოხდა, იყო ის, რომ ხორციანი და მწნილიანი სენდვიჩით ხელში ყველას გასაგონად განვაცხადე:როგორც იქნა, კუდიანის დიპლომს მაძლევენ, უკვე რამდენიმე წელია, რაც მაგიას ვასწავლი-მეთქი.

- ჰოდა, სწორედ ეს მაცნობეს ტელეფონით!

- მაინც რა შესანიშნავია ეს თანამედროვე გამოგონებანი! - აღფრთოვანდა მისის გუდუოტერი.

- რაკიღა ლამის სამოქალაქო ომის დროიდან ბრძანდები ჩვენი ქალაქის ქალთა საკრებულოს პრეზიდენტი, პირდაპირ პირში მოგახლი: ამ წლების

მანძილზე შენი ჯადოქრობით ხიბლავდი ქალებს და ასე იმარჯვებდი არჩევნებში, ხომ?

- ეჭვი გეპარება ამაში, ჩემო კარგო?

- ხვალ ისევ არჩევნებია და მხოლოდ ეს მაინტერესებს: კიდევ ერთი ვადით აპირებ დარჩენას და არ გრცხვენია?

- პირველ კითხვაზე პასუხია „დიახ“, მეორეზე - „არა“. ჩემო კარგო, მისმინე, ეს წიგნები ჩემს ნათესავ ბიჭს, რაულს, ვუყიდე. მხოლოდ ათი წლისაა და მთელი გულით ცდილობს, ქუდიდან კურდღელი ამოაძვრინოს. მე დავარწმუნე, რომ ქუდებში კურდღლებს ისევე არაფერი ესაქმებათ, როგორც ტვინს ზოგ-ზოგიერთის თავში - სახელს და გვარს არ გეტყვით, - მაგრამ თავისას მაინც არ იშლის, ჰოდა, მეც ეს საჩუქრები შევიძინე მისთვის.

- ათას ბიბლიაზეც რომ დაიფიცო, მაინც არ დაგიჯერებ.

- როგორც გენებოს, სრული სიმართლე კია. მიყვარს ჩემს კუდიანობაზე ხუმრობა. გუშინ ჩემი შავბნელი ძალების შესახებ რომ განვაცხადე, ქალებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს, ისეთი ამბავი იყო, ნეტავ გენახა.

- ხვალ ვნახავ, რას მოიმოქმედებ, როდესაც შენს დასამარცხებლად მოვალ ოქროს ჯვრითა და ყველა კეთილი ძალით აღჭურვილი, რის მოკრებასაც კი მოვახერხებ, - უპასუხა ელმირამ, - ახლა ის მითხარი, კიდევ რა ჯადოებს ინახავ სახლში?

მისის გუდუოტერმა კართან პატარა მაგიდაზე მიანიშნა.

- ყველანაირ მაგიურ ბალახბულახს ვყიდულობ. უცნაური სუნი აქვთ და თანაც ამით რაულს ვახარებ. აი, ამ პატარა ტოპრაკში ბალახია, რომელსაც სურნელოვანი ტეგანი ჰქვია, ეს საბისის ფესვია, ეს კი - ეკალღიჭი. აგერ, აქ შავი გოგირდი მაქვს, ამაში კი დაფქული ძვლები მიყრია.

- დაფქული ძვლები! - შემკრთალმა ელმირამ უკან დაიხია და ტომს კოჭში მიარტყა ქუსლი. ტომმა დაიწკმუტუნა.

- კიდევ აბზინდა და გვიმრის ფოთლები მაქვს, რათა ტყვია არ მომეკაროს და სიზმარში ღამურასავით შევძლო ფრენა, როგორც ამ პატარა წიგნის მეათე თავში წერია. ჩემი აზრით, მშვენიერია, როდესაც მოზარდი ამგვარ რამეებზე ფიქრობს. ისეთი სახით მიყურებ, ვატყობ, რაულის არსებობაში ეჭვი გეპარება. მაშ, კარგი, მის მისამართს მოგცემ სპრინგფილდში.

- რასაკვირველია, - არ დაიბნა ელმირა, - და როგორც კი მივწერ, სპრინგფილდის ავტობუსს შეახტები, ფოსტაში მიხვალ, ჩემს წერილს აიღებ და ბიჭის ხელწერით მომწერ პასუხს. კარგად გიცნობ!

- მისის ბრაუნ, გამოტყდი, ქალთა საკრებულოს პრეზიდენტობაზე ოცნებობ, ასე არ არის? უკვე ათი წელია, ყოველწლიურად აყენებ შენს

კანდიდატურას და ყოველწლიურად ერთადერთ ხმას იღებ - შენს საკუთარს. ელმირა, ქალებს რომ შენ უნდოდე პრეზიდენტად, უკვე კარგა ხანია აგირჩევდნენ. მაგრამ ჩემი სიმაღლიდან კარგად ვხედავ, რომ შენს ღრმულში ერთ ბურთულაზე მეტი არ ჩაგორდება. იცი, რას გეტყვი? მოდი, ხვალ მე თვითონ წარვადგენ შენს კანდიდატურას და ხმასაც მოგცემ, თანახმა ხარ?

- მაშინ ჩემი საქმე წასულია, - თქვა ელმირამ, - შარშან ზუსტად არჩევნების დღეებში საშინელი გრიპი დამემართა; სააგიტაციოდ გამოსვლა ვეღარ შევძელი, შარშანწინ კი ამავე დროს ფეხი მოვიტეხე. ეს ყველაფერი უცნაურად არ გეჩვენება? - ელმირამ ბადის იქით მდგომ ქალს მრისხანედ დაუბღვირა, - ეს კიდევ ყველაფერი არ არის. გასულ თვეში ექვსჯერ გავიჭერი თითი, ათჯერ მივარტყი მუხლი, ორჯერ გადმოვვარდი პარმაღიდან, ორჯერ - გესმის?! გარდა ამისა, ჩამემსხვრა ფანჯარა, გამიტყდა ოთხი თეფში, ერთი ლარნაკი, ბიქსბის მაღაზიაში დოლარი და ორმოცდაცხრა ცენტი რომ ღირს, ჰოდა, იცოდე, დღეიდან ჩემს სახლსა და მის მიდამოებში ყოველი გატეხილი ჭურჭლის საფასურს შენ გაზღვევინებ!

- მაშ, შობამდე გავკოტრებულვარ! - თქვა მისის გუდუოტერმა, მოულოდნელად გარეთ გამოვიდა და კარი მიაჯახუნა, - ელმირა ბრაუნ, რამდენი წლის ხარ?

- იქნებ რომელიმე შენს შავ წიგნს ჩახედო ამის გასაგებად? ოცდათხუთმეტის.

- ჰმ, შენი ცხოვრების მაგ ოცდათხუთმეტ წელიწადზე რომ ვფიქრობ... - მისის გუდუოტერმა პირი მომუწა და თვალები მოწკურა, თითქოს ანგარიშობსო, - გამოდის სადღაც თორმეტი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი ინციდენტი, თუკი დღეში მხოლოდ სამით შემოვიფარგლებით, ანუ, თორმეტი ათასზე მეტი უბედური შემთხვევა და თორმეტი ათასზე მეტი ტრავმა. მომილოცავს, ელმირა ბრაუნ, თავგადასავლებით მდიდარ ცხოვრებას ეწევი! - ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

- მომცილდი! - ხელი აუქნია ელმირამ.

- შენ, ქალბატონო, ქალაქში მეორე ადგილი გიკავია მოუქნელობასა და სიფეთხუმეში. სკამზე ისე ვერ ჯდები, რომ გარმონივითარ ააჭრიალო. წამოდგომისას აუცილებლად რამეს უნდა წამოჰკრა ფეხი. ტრიალ მინდორზე გავლისას იმდენს მოახერხებ, რომ ორმოში ჩავარდები. მთელი შენი ცხოვრება ერთი დიდი მარცხია, რატომ არ გინდა ამის აღიარება?

- ჩემი უბედურებები მოუქნელობის ბრალი არ ყოფილა: როცა ლობიოს ქვაბი ხელიდან გამივარდა და თითი შტეფსელში გამეჭედა, ამ დროს შენ ჩემი სახლიდან ერთი მილის მანძილზე იმყოფებოდი.

- ჩემო კარგო, ასეთ პატარა ქალაქში დღეში ერთხელ მაინც ყველას უწევს ერთმანეთთან ერთი მილით მიახლოება.

- აჰა, ესე იგი, აღიარებ, რომ ამ დროს ჩემს სიახლოვეს იყავი?

- დიახ, ვაღიარებ, რომ აქ დავიბადე, მაგრამ ამ წუთში ყველაფერს გავცემდი, ოღონდაც კენოშაში ან ზაიონში დავბადებულიყავი. ელმირა, გირჩევნია კბილის ექიმთან მიხვიდე, ეგებ მაგ შენს გესლიან ენას რამე მოუხერხოს.

- ოჰ! - ადუღდა ელმირა, - რაო? ეს რა მითხარი?

- შენ თვითონ მიბიძგე და, თუმცა აქამდე მაგია სრულებით არ მაინტერესებდა, ახლა გადავწყვიტე, ეს საქმე მართლაც შევისწავლო. იცი, რას გეტყვი? ამ წუთიდან უხილავი ხარ! სანამ აქ იდექი, მოგაჯადოე, მთლიანად გაგაქრე!

- არა!

- სწორედ ასეა! - დაარწმუნა კუდიანმა, - თუმცა, ისედაც ვერასოდეს გამჩნევდი.

ელმირამ ჯიბის სარკე ამოიღო.

- აგერ არ ვარ?!

საკუთარ ანარეკლს ჩააშტერდა და უცებ შეიცხადა. ხელი ისე მოიკიდა თავზე, თითქოს არფის სიმებს შეეხო, თმის ერთი ღერი ამოიძრო და პათეტიკურად ასწია.

- სიცოცხლეში თეთრი თმა არ მქონია, ამ წუთამდე!

კუდიანი ტკბილად გაიბადრა.

- მტკნარი წყლით სავსე ქილაში ჩადე და ხვალ დილისთვის ჭიაყელად გადაიქცევა. ელმირა, ბოლოს და ბოლოს, შეხედე შენს თავს! შენი ჩორთა ფეხებისა და აცაბაცა მოძრაობების გამო ამდენი წელია, სხვებს ადანაშაულებ. ოდესმე შექსპირი თუ წაგიკითხავს? ხშირად აქვს ასეთი სასცენო რემარკა: „ხმაური და ალიაქოთი“. აი, სწორედ ეგ ხარ: ხმაური და ალიაქოთი! ახლა გამასწარი, სანამ თავი არ გაგისივე და ღამით ავი სულები არ გამოგიგზავნე! აქშა!

ხელები ისე აიქნია ჰაერში, თითქოს ელმირა აბეზარი მწერების გუნდი ყოფილიყოს და ვითომდა თავისთვის, ჩაილაპარაკა:

- ამ ზაფხულს რაღაც ძალიან მსხვილი ბუზები გაჩნდნენ.

მერე შინ შევიდა და კარი გადაკეტა.

- შენი ბედი შენსავე ხელთაა, მისის გუდუოტერ, - ელმირამ ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა, - ერთ უკანასკნელ შანსსაც გაძლევ: უარი თქვი არჩევნებში მონაწილეობაზე ანდა პირისპირ შემხვდი ხვალ, როცა ჩემს

კანდიდატურას წამოვაყენებ და პატიოსან ბრძოლაში დაგამარცხებ. აგერ, ტომსაც თან წამოვიყვან. უცოდველი, კეთილი ბიჭია,ხოლო უმწიკვლობა და სიკეთე საბოლოოდ მაინც იმარჯვებს.

- იცით, მისის ბრაუნ, ჩემი უცოდველობის იმედი მაინცდამაინც ნუ გექნებათ, - ჩაერთო ტომი, - დედაჩემი ამბობს...

- ენა ჩაიგდე, ტომ! სიკეთე, სიკეთეა! შენ ჩემი მარჯვენა ხელი იქნები.

- დიახ, მისის ბრაუნ, - დაემორჩილა ტომი.

- რა თქმა უნდა, - განაგრძო ელმირამ, - თუ ამაღამ ცოცხალი გადავრჩი ამ ქალბატონის ხელში: დარწმუნებული ვარ, ჩემს ცვილის ფიგურას გააკეთებს და გულ-რბილში ჟანგიან მახათებს გაურჭობს. ტომ, თუ ხვალ გამთენიისას ჩემს საწოლში უზარმაზარი დაჩამიჩებული ლეღვი იპოვეს, შენ მაინც ხომ გეცოდინება, ეს ნაყოფი ვისი მოწყვეტილიცაა. მაშინ კი ნახეთ, მისის გუდუოტერი ასი წლის ასაკამდე პრეზიდენტად რომ დარჩება.

- რას ბრძანებ, ჭკუის კოლოფო, - გამოსძახა გუდუოტერმა, - სამასი წლისა ახლა ვარ. ძველად „უხსენებელს“ მიწოდებდნენ, - თითებგაფარჩხული ხელები მაღლა ასწია, - აბრაკა-დაბრა-ზიმიტი-ზამ! ეგეც შენ!

ელმირა ელდანაკრავივით ჩაქანდა კიბეზე.

- იცოდე, ხვალ!.. - დაიყვირა გაქცეულმა.

- ხვალამდე, ჩემო კეთილო! - დაადევნა მისის გუდუოტერმა.

ტომი ელმირას მიჰყვებოდა, ყოველ წუთს განზე უხტებოდა და ტროტუარზე მოფუთფუთე ჭიანჭველებს აფრთხობდა.

ელმირამ სამანქანო ზოლზე რომ გადაირბინა, უცებ საშინელი წივილი გაისმა.

- მისის ბრაუნ! - შეჰყვირა ტომმა.

გარაჟიდან უკანა სვლით გამოსულმა მანქანამ ქალს ზედ მარჯვენა ფეხის ცერზე გადაუარა.

* * *

მისის ელმირა ბრაუნს ღამით საშინლად სტკიოდა ფეხის თითი, ამიტომ ადგა, სამზარეულოში ჩავიდა, ცივი ქათმის ხორცი მიირთვა და თან მოწესრიგებული, ზედმიწევნით ზუსტი სია შეადგინა. თავიდან - შარშანდელ წელიწადს გადატანილი ავადმყოფობები: სამი გაცივება, კუჭ-ნაწლავის ოთხი მსუბუქი აშლილობა, შებერილობის ერთი შეტევა, ართრიტი, ჭვალი, კიდევ რაღაც სენი, რაც თვითონ ნიკრისის ქარად მიიჩნია, მძიმე ბრონქული ხვე-

ლება, ასთმის ნიშნები, დალურჯებული მკლავები, ამას დავუმატოთ სასუნთქი არხის შეშუპება, ზურგისა და თავის ტკივილი და თავბრუსხვევა. წამლების საერთო ღირებულება: ოთხმოცდარვა დოლარი და სამოცდათვრამეტი ცენტი.

მეორე პუნქტად - უკანასკნელი თორმეტი თვის მანძილზე მის სახლში დამტვრეულ-გაფუჭებული ნივთები: ორი მაგიდის ნათურა, ექვსი ლარნაკი, ათი თეფში, ერთი საწვნე, ორი ფანჯრის მინა, ერთი სკამი, ერთი ტახტის ბალიში, ექვსი ჭიქა და ერთი ბროლის ჭაღი. მთლიანი ღირებულება: თორმეტი დოლარი და ათი ცენტი.

მესამე პუნქტად - დღევანდელი ტკივილები. ფეხის ცერათითი საშინლად სტკიოდა. კუჭი აეშალა. ზურგი გაუშეშდა, ფეხები ნერვულად უკანკალებდა. თვალები ისე ეწვოდა, თითქოს ქუთუთოების მაგივრად ზედ ცეცხლმოკიდებული ბამბის ქულები ეფარა. ენაზე მტვრის ტილოს გემო ჰქონდა. ყურებში ზარები უგუგუნებდა. ამ ყველაფრის ღირებულება? საწოლში რომ ბრუნდებოდა, კარგა ხანს ჭოჭმანობდა.

ათი ათასი დოლარი მორალური ზარალისათვის.

- ვეცდები სასამართლოს გარეშე გადავახდევინო! - ჩუმი ხმით ლაპარაკობდა.

- რაო? - შეიღვიძა ქმარმა.

ქალი საწოლში ჩაწვა.

- არასდიდებით არ მოვკვდები!

- ბატონო? - ვერ გაიგო კაცმა.

- სიკვდილს არ ვაპირებ-მეთქი! - გაიმეორა ჭერს მიშტერებულმა ქალმა.

- მეც ყოველთვის მაგას არ ვამბობდი? - თქვა ქმარმა, გვერდი შეიცვალა და ხვრინვა ამოუშვა.

მეორე დილით მისის ელმირა ადრიანად ადგა. ბიბლიოთეკაში წავიდა, შემდეგ - აფთიაქში და შინ მობრუნებული, ათასნაირი ქიმიური ნივთიერების ერთმანეთში არევით იყო დაკავებული, როდესაც შუადღისას მისი ქმარი, სემი, ცარიელი ჩანთით შემოვიდა სახლში.

- სამხარი მაცივარშია, - ელმირამ მაღალ ჭიქაში მომწვანო მასა შეანჯღრია.

- ღმერთო დიდებულო, ეს რაღაა? - იკითხა ქმარმა, - ორმოცი წლის განმავლობაში მზისგულზე ნადგამ რძის კოქტეილს ჰგავს. თითქოს სოკო აქვსო მოდებული.

- ჯადოქრობა ჯადოქრობითვე უნდა დაამარცხო.

- არ მითხრა, ეს უნდა დავლიოო!

- დიახ, ვიდრე ქალთა საკრებულოში გმირული საქმეების ჩასადენად წავიდოდე.

სემუელ ბრაუნმა მწვანე ნარევი დაყნოსა.

- გირჩევ, ჯერ საკრებულოს დარბაზის კიბეზე ახვიდე და მერე დალიო, რისგანაა?

- ანგელოზის ფრთებიდან ჩამონაფერფლი თოვლია, თუმცა, სინამდვილეში, მენთოლია, ჯოჯოხეთის ცეცხლის გასაგრილებლადო, ასე წერია იმ წიგნში, ბიბლიოთეკაში რომ მოვძებნე. ახალმოწყვეტილი ყურძნის წვენი, რათა შავბნელი ზმანებების პირისპირ ტკბილი და ცხადი აზრები დაგებადოთო; აგრეთვე, წითელი რევანდი, ღვინის ქვის ნადუღი ქაფი, თეთრი შაქარი, კვერცხის ცილა, წყაროს წყალი და ნაკურთხ მიწაში გაზრდილი სამყურას კვირტები. ო, ყველაფერს ვერ ჩამოგითვლი. აგერ, სია: ყველანაირი სიკეთე ყველანაირი ბოროტების შესამუსრად. შეუძლებელია, დავმარცხდე!

- აუცილებლად გაიმარჯვებ, - გაამხნევა ქმარმა, - მაგრამ შენ თვითონ თუ მოესწრები ამ გამარჯვებას?

- კარგზე იფიქრე. ტომი თან მიმყავს ავგაროზად.

- საბრალო ბიჭი, - თქვა კაცმა, - ასეთი უცოდველი, ნუთუ ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთენ ამ ამაოების ბაზარზე?

- არაფერი მოუვა, - გადაჭრით მიუგო ელმირამ, ათუხთუხებული ბანგი შესაწირისათვის განკუთვნილ ყუთში ჩადო და თავსახურავი დაახურა. სახლიდან ისე გავიდა, რომ არც კაბით გამოსდებია რაიმეს და არც ახალთახალი ოთხმოცდათვრამეტცენტიანი წინდა გახევია. ეს რომ გაიაზრა, სულმთლად ფრთაშესხმულმა გაიარა გზა ტომის სახლამდე, სადაც ბიჭი უკვე ელოდა თავის საკვირაო თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, როგორც წინასწარ ჰქონდა ნაბრძანები.

- ფუუ! - დაიყვირა ტომმა, - ამ ყუთში რა გაქვთ?

- ბედისწერა, - გამოუცხადა ელმირამ.

- დიდი იმედი მაქვს, რომ მართლაც ასეა, - ჩაილაპარაკა ტომმა და ეცადა, სიარულში მისთვის ორი ნაბიჯით მაინც გაესწრო.

* * *

ქალთა საკრებულო უკვე სავსე იყო ქალებით, რომლებიც ერთმანეთის სარკეებში იცქირებოდნენ, ქვედაკაბებს ისწორებდნენ და ერთიმეორეს ეკითხებოდნენ, კაბა ხომ არ მილანდავსო.

ზუსტად პირველ საათზე მისის ელმირა ბრაუნმა თეთრკოსტიუმიან ბიჭუნასთან ერთად აიარა დარბაზის კიბე. ბიჭს ხელი ცხვირზე ჰქონდა წაჭერილი, ცალი თვალი კი მოჭუტული ჰქონდა, ამიტომ მხოლოდ სანახევროდ ხედავდა, სად მიდიოდა. მისის ბრაუნმა ხალხს თვალი შეავლო, თავი მოხადა შესაწირის ყუთს, შიგ ჩაიხედა, სუნთქვა შეეკრა და სწრაფად დააფარა თავზე ისე, რომ სითხისთვის პირი არ დაუკარებია. დარბაზში შეაბიჯა თუ არა, მის ზურგს უკან შრიალივით გაისმა ქალების ჩურჩული.

უკანა რიგში დაჯდა ტომთან ერთად, რომელსაც ამ წუთში ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, როგორც არასოდეს. ბიჭმა ერთადერთი გახელილი თვალი ქალებით სავსე დარბაზს შეავლო და ისიც დიდი ხნით მოხუჭა. ელმირამ ბანგით სავსე ჭურჭელი ამოიღო და ნელა გამოცალა.

ორის ნახევარზე პრეზიდენტმა, მისის გუდუოტერმა, ქალების ყაყანი პატარა ჩაქუჩის დარტყმით წამიერად გააჩუმა.

- ქალბატონებო, - მიმართა მან საზაფხულო აბრეშუმისა და მაქმანების ტალღებით მოფენილ ზღვას, რომლის ზედაპირზეც აქა-იქ თეთრი ან რუხი ქუდი ტივტივებდა, - დღეს არჩევნების დღეა, მაგრამ, ვიდრე დავიწყებდეთ, როგორც ვიცი, მისის ელმირა ბრაუნს, ჩვენი პატივცემული გრაფოლოგის მეუღლეს...

დარბაზს ხითხითის ნიავქარმა გადაუქროლა.

- რას ნიშნავს გრაფოლოგი? - ელმირამ ორჯერ გაჰკრა იდაყვი ტომს.

- არ ვიცი, - სიმწრით გადაუჩურჩულა თვალებმოჭუტულმა ბიჭმა, რომელსაც ეს დარტყმები სრულიად მოულოდნელად წყვდიადიდან დააცხრა თავს.

- ...როგორც მოგახსენეთ, - განაგრძო მისის გუდუოტერმა, - ამერიკის შეერთებული შტატების კავშირგაბმულობის სამსახურში მოღვაწე ჩვენი პატივცემული ხელწერის ექსპერტის... (ხმამაღალი სიცილი)... სამუელ ბრაუნის მეუღლეს, მისის ბრაუნს, სურს, თავისი აზრი გაგვიზიაროს. გთხოვთ, მისის ბრაუნ!

ელმირა წამოდგა. მის უკან სკამი დათვის ხაფანგივით ბრაგვანით აიკეცა. ქალი დუიმის სიმაღლეზე შეხტა და ისეთი ჭრიალით შეტორტმანდა, თითქოს მისი მაღალი ქუსლები, სადაც იყო, ქვიშასავით ჩაიფშვნებოდა.

- სათქმელი ძალზე ბევრი მაქვს, - განაცხადა, ცალი ხელით შესაწირის ცარიელი ყუთი და ბიბლია ჩაბღუჯა, მეორე ტომს ჩაავლო ქეჩოში და ტრიბუნისკენ გასწია, გზად რამდენიმე ქალს გაჰკრა იდაყვი და დაუსისინა:

- ფრთხილად! შეხედეთ, რას სჩადიხართ!

როგორც იქნა, მიზანს მიაღწია, აუდიტორიისაკენ შეტრიალდა და წყლით სავსე ჭიქა წააქცია. ამის გამო მისის გუდუოტერს მრისხანე მზერა

ესროლა და შეიცადა, ვიდრე ის მაგიდას პატარა ცხვირსახოცით გადაწმენდდა. შემდეგ, ფარული ტრიუმფის გამომეტყველებით, მისის გუდუოტერის ცხვირწინ ასწია ცარიელი ჭურჭელი და ჩასჩურჩულა:

- იცი, ამაში რა ესხა? ახლა ის ჩემშია. ასე რომ, ჩემო კარგო, მოჯადოებული წრით ვარ საიმედოდ გარშემორტყმული. მას ვერც დანა გაჭრის, ვერც ნაჯახი გაარღვევს.

ქალები ყაყანებდნენ და ყურს არ უგდებდნენ.

მისის გუდუოტერმა თავი დაუქნია, შემდეგ ხელები მაღლა ასწია და დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

ელმირას ტომისთვის მაგრად ჩაეჭიდა ხელი. ბიჭს თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა და სიმწრისგან იმანჭებოდა.

- ქალბატონებო, - დაიწყო ელმირამ, - მე თქვენ თანაგიგრძნობთ. ვიცი, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რაც გადაიტანეთ. ვიცი, რატომ აძლევდით ხმას მისის გუდუოტერს. თქვენ ხომ ვაჟები, ქალიშვილები და ქმრები გყავთ გამოსაკვები! ოჯახები გყავთ მისახედი! ვერ დაუშვებდით, რომ რძე დაგმჟავებოდათ, პური ჩაგცომებოდათ, ნამცხვრები კი ველოსიპედის ბორბლებივით ჩაგვარდნოდათ! არ გსურდათ, თქვენს შვილებს სამი კვირის შუალედში ყბაყურა, ქუნთრუშა და ყივანახველა შეჰყროდა! რომ თქვენი ქმრებისთვის მანქანას გადაევლო ანდა ქალაქგარეთ მაღალი ძაბვის სადენებთან მუშაობისას დენს დაერტყა! მაგრამ დღეიდან ეს ყველაფერი დასრულდა, სიმართლის თქმას ნუღარ შეუშინდებით! აღარც დამწვრობა გემუქრებათ, აღარც ხერხემლის ტკივილი, რადგან მე აქ კეთილი სიტყვით მოვედი, რათა ყველამ ერთად გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან ეს კუდიანი!

ყველამ აქეთ-იქით ყურება დაიწყო, მაგრამ კუდიანი არსად ჩანდა.

- თქვენი პრეზიდენტი მყავს მხედველობაში!

- ანუ მე! - დარბაზს ხელი დაუქნია მისის გუდუოტერმა.

- დღეს, - ქოშინით განაგრძო ელმირამ და ორივე ხელით მძიმედ ჩამოეყრდნო კათედრას, - დღეს ბიბლიოთეკაში ვიყავი. მოვიძიე ყველანაირი საშუალება კუდიანის გასაძევებლად, ისეთი პიროვნების თავიდან მოსაცილებლად, სხვათა უსუსურობით ბოროტად რომ სარგებლობს. და მოვნახე გამოსავალი, როგორ დავიცვა თითოეული ჩვენგანის უფლებები. უკვე ვგრძნობ, ჩემში ძალა როგორ მატულობს. ყველანაირი კეთილი ძალის მქონე მცენარისა და ქიმიური ნივთიერებების ნაზავი დავლიე. ერთმანეთში ავურიე... - წამით შეჩერდა და წაბარბაცდა, თვალები დაახამხამა, - შევურიე ღვინის ქვის ქაფი და თეთრი ხარნუყა, მთვარის შუქზე დამჟავებული რძე და... - უცებ დადუმდა და გაფაციცდა. პირი მაგრად მოკუმა, მაგრამ მისი

სხეულის წიაღიდან ამოსულმა სულ ერთი ბეწო ხმამ მაინც გამოაღწია ტუჩის კუთხეებიდან. თვალები მოწკურა და ძალა მოიკრიბა:

- მისის ბრაუნ, თავს ხომ კარგად გრძნობთ? - შეეკითხა მისის გუდუოტერი.

- მშვენივრად! - შენელებული კილოთი უპასუხა მისის ბრაუნმა, - სტაფილოს ფხვნილიც ვუქენი და წვრილად დაკეპილი ოხრახუშის ფესვიც; ღვია...

ხმა ისევ ჩაუწყდა, თითქოს იდუმალმა ხმამ უბრძანა, გაჩერდიო. სათითაოდ ყველა ქალს გადახედა.

შეამჩნია, დარბაზმა რხევა როგორ დაიწყო, მარჯვნიდან - მარცხნივ, მარცხნიდან - მარჯვნივ.

- როზმარინის ფესვები და ბაიის ყვავილი... - ყრუ ხმით განაგრძო ქალმა. ტომის მკლავს ხელი გაუშვა, ბიჭმა ცალი თვალი გაახილა და შეხედა.

- დაფნის ფოთოლი, დედოფლის ყვავილის ფურცლები... - განაგრძობდა ელმირა.

- იქნებ სჯობს, დაჯდეთ, - უთხრა მისის გუდუოტერმა.

განაპირას მჯდომი ქალი წამოდგა და ფანჯარა გამოაღო.

- ბეტელის ხმელი მარცვალი, ლავანდა და სამოთხის ვაშლის კურკა, - მისის ბრაუნმა, როგორც იქნა, დაასრულა ჩამონათვალი, - ახლა კი სწრაფად დავიწყოთ არჩევნები. ჩემს კანდიდატურას ვაყენებ. უნდა გავიმარჯვო.

- რა სასწრაფოა, ელმირა? - დაამშვიდა მისის გუდუოტერმა.

- სწორედაც რომ სასწრაფოა, - ელმირამ ღრმად, სლუკუნით ჩაისუნთქა, - გახსოვდეთ,ქალბატონებო, ნუღარაფრის შეგეშინდებათ! ისე მოიქეცით, როგორც მუდამ გსურდათ! მე ამირჩიეთ და... - დარბაზი ისევ ზღვასავით მიიქც-მოიქცა, - მთავარი გამჭვირვალობაა! ყველამ, ვინც მხარს უჭერს მისის გუდუოტერის საპრეზიდენტო კანდიდატურას, თქვით „დიახ“!

- დიახ! - ერთხმად იხუვლა დარბაზმა.

- ახლა კი ყველამ, ვინც მხარს უჭერს მისის ელმირა ბრაუნს?.. - სუსტი ხმით წარმოთქვა ელმირამ და ნერწყვი გადაყლაპა. წუთის შემდეგ მარტომ დაიკნავლა:

- დიახ.

თავზარდაცემული იდგა ტრიბუნასთან.

დარბაზი დუმდა. ამ დუმილში მისის ელმირა ბრაუნმა ყვავის ყრანტალის მსგავსი ხმა ამოუშვა და ყელზე იტაცა ხელი. მიბრუნდა და პირქუშად შეხედა მისის გუდუოტერს, რომელმაც სწორედ ამწუთას, თითქოსდა სრულიად შემთხვევით, ხელჩანთიდან პატარა ცვილის თოჯინა ამოიღო, რომელშიც რამდენიმე ჟანგიანი ქინძისთავი ერჭო.

- ტომ, - მიუბრუნდა ბიჭს ელმირა, - საპირფარეშომდე მიმაცილე.

- ახლავე.

სიარულში ფეხი ააჩქარეს და ბოლოს, სირბილზე გადავიდნენ. ელმირა წინ გაიქცა, რიგებს შორის გასასვლელში გზას მიიკვლევდა... კარში გააღწია და მარცხნივ გაუხვია.

- არა, ელმირა, მარჯვნივ, მარჯვნივ! - გასძახა მისის გუდუოტერმა.

ელმირა თვალს მოეფარა.

მაღაროში ჩაყრილი ქვანახშირის ხმა გაისმა.

- ელმირა!

ქალები გოგონების საკალათბურთო გუნდივით ერთმანეთში აირ-დაირივნენ და კარისკენ გაიქცნენ. მისის გუდუოტერმა პირველმა მოახერხა დაუბრკოლებლად დერეფანში გაღწევა.

კიბის თავზე მოაჯირს მიყრდნობილი ტომი დაინახა, რომელიც ქვევით იყურებოდა.

- ორმოცი საფეხური! - ამოიგმინა ბიჭმა, - ორმოცი საფეხური სულ ნეკნებით დაითვალა!

მოგვიანებით ხალხი თვეებისა და წლების მანძილზე უამბობდა ერთმანეთს, თუ როგორ ჩაგორდა ელმირა ბრაუნი კიბეზე მთვრალივით ისე, რომ არც ერთი საფეხური არ გამოუტოვებია. უმრავლესობის ვარაუდით, ვარდნა რომ დაიწყო, უკვე ისე ცუდად იყო, რომ გონება დაკარგა და ამიტომაც მის ჩონჩხს წინააღმდეგობა კი არ გაუწევია, არამედ რბილად ჩაჰყვა საფეხურებს. კიბის ძირას რომ დაეშვა, თვალებს უაზროდ ახამხამებდა, მაგრამ აშკარა შვებას გრძნობდა, რადგან ყველაფერი, რაც მანამდე აწუხებდა, გზადაგზა დატოვა. მართალია, ისე იყო დალილავებული, რომ ტატუირებულს ჰგავდა, მაგრამ არც მაჯა ამოვარდნია, არც კოჭი უღრძვია. ამის შემდეგ სამ დღეს თავი უცნაურად ეჭირა, მზერას თვალის უპეებიდან აპარებდა. მაგრამ მთავარი მოვლენა გახლდათ კიბის ძირას დაჩოქილი მისის გუდუოტერი - ელმირას თავი კალთაში რომ დაესვენებინა და ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი, მათ აფორიაქებული ქალების გუნდი ეხვია თავს.

- ელმირა, სიტყვას გაძლევ, ელმირა, გეფიცები, ოღონდაც გადარჩი, არ მოკვდე და დღეიდან, გესმის, ელმირა, დღეიდან ჩემს ჯადოებს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთისათვის გამოვიყენებ! შავს აღარ გავეკარები, მხოლოდ თეთრ მაგიას მივმართავ! დღეიდან შენს ცხოვრებას სამოთხედ ვაქცევ, ელმირა! აღარც ფეხი დაგიცდება, აღარც თითი გაგეჭრება, აღარც კიბიდან გადავარდები! ამას გპირდები! ოღონდაც იცოცხლე! შეხედე, ცვილის ფიგურას ქინძისთავები გამოვაცალე! ელმირა, ხმა ამოიღე! წამოდექი! წამოდი

დარბაზში, არჩევნები ხელმეორედ ჩავატაროთ! პირობას გაძლევ, ერთხმად აგირჩევთ ქალთა საკრებულოს პრეზიდენტად, ხომ ასეა, ქალბატონებო?

პასუხად ქალები ისე ცხარედ აქვითინდნენ, რომ ერთმანეთზე ჩამოყრდნობა დასჭირდათ.

ზევიდან მომზირალ ტომს კი ეგონა, ეს დაზარალებულის სიკვდილის გამო ხდებოდა.

კიბის შუამდე ჩამოსული ზევით ამომავალ ქალებს შეეფეთა. ყველას ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის, ყუმბარის აფეთქებას გადაურჩნენო.

- გზიდან ჩამოგვეცალე, შვილო!

წინ მისის გუდუოტერი მოაბიჯებდა, იცინოდა და თან ტიროდა.

მის გვერდით, ასევე ტირილითა და სიცილით, მისის ელმირა ბრაუნი მოდიოდა.

უკან საკრებულოს ას ოცდასამივე წევრი მოჰყვებოდა, თვითონაც მთლად ვერ გარკვეულიყვნენ, დაკრძალვიდან ბრუნდებოდნენ თუ მეჯლისზე მიდიოდნენ.

ბიჭმა თვალი გააყოლა და, როდესაც მაღლა აიარეს, თავი გააქნია:

- ახლა სულ აღარ ვჭირდები.

ვიდრე ძებნას დაუწყებდნენ, ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა კიბეზე ისე, რომ მოაჯირისთვის ხელი არ გაუშვია.

* * *

- მოკლედ რომ გითხრა, - ჰყვებოდა ტომი, - ქალები საშინლად განერვიულდნენ. წარმოიდგინე: ყველანი დგანან და ცხვირებს იხოცავენ. ელმირა ბრაუნი კიბის ძირას წამომჯდარა, სულ არაფერი დაშავებია, მგონი, ძვლების მაგივრად ჟელე უნდა ჰქონდეს, მის მკერდზე მიყრდნობილი კუდიანი სლუკუნებს. მერე უცებ ყველანი იცინიან და მაღლა ადიან. ჰოდა, მეც დროზე გავეცალე იქაურობას!

ტომმა პერანგის საყელო შეიხსნა და ჰალსტუხი მოიხსნა.

- მაშ, შენ ამბობ, ჯადოქრობაო? - შეეკითხა დაგლასი.

- ჯადოქრობაა, წყალი არ გაუვა.

- გჯერა ამ ყველაფრის?

- თან მჯერა და თან არა.

- ბიჭოო, რამდენი რამე ხდება ამ ქალაქში! - დაგლასი ჰორიზონტს მიაშტერდა, სადაც ღრუბლებს ცა უძველესი დროის ღვთაებათა და მეომართა

ფიგურებით აევსო, - ჯადოები, ცვილის თოჯინები, ქინძისთავები და ბანგებიო?

- ჯადოსნური ბანგის როლში დიდად ვერ ივარგა, აი, გულის ასარევ საშუალებად კი გამოდგა. ბე! - ტომმა ხელი მუცელზე მიიჭირა და ენა გამოყო.

- კუდიანები... - ჩაილაპარაკა დაგლასმა და თვალები იდუმლად, სიზმარეულად მოჭუტა.

* * *

მერე კი უცბად დგება დღე, როდესაც შენ გარშემო ყველა მხრიდან ვაშლების ცვენა ისმის, სათითაოდ, აქა-იქ რომ სწყდებიან ტოტებს, მერე - სამსამი, ოთხ-ოთხი, ცხრა-ცხრა, თორმეტ-თორმეტი, ვიდრე თავსხმა წვიმასავით არ მოზღვავდება, ცხენის ფლოქვებივით რბილად ეცემა ბნელ ბალახს და შენ უკანასკნელი ვაშლი ხარ, კიდევ რომ შერჩენია ხეს. ქარს ელოდები, რომ ნება-ნება დაგარწიოს, შენს ზეციურ სამყოფელს მოგწყვიტოს და ძირს ჩამოგაგდოს. ვიდრე ბალახში ჩაგორდები, უკვე დიდი ხნის დავიწყებული გექნება, ოდესმე თუ არსებობდა ხე, სხვა ვაშლები, ზაფხული და შენ ქვევით მომლოდინე ბალახი. სიბნელეში ჩავარდები...

- არა!

პოლკოვნიკმა ფრილაიმ უცბად გაახილა თვალები და თავის ბორბლებიან სავარძელში წამოიმართა. ცივი ხელი ტელეფონისკენ გაიშვირა. ტელეფონი ისევ თავის ადგილას იდგა! მკერდზე მიიკრა და წამით თვალი გაუშტერდა.

- ეს სიზმარი არ მომწონს, - უთხრა თავის ცარიელ ოთახს.

ბოლოს და ბოლოს, მოცახცახე ხელით ასწია ყურმილი, საქალაქთაშორისო კავშირების ოპერატორი გამოიძახა და ნომერი დაუსახელა, შემდეგ ელოდა საძინებლის კარს გაფაციცებით მიჩერებული, თითქოს იქიდან შემოცვენილი შვილების, შვილიშვილების, ექთანებისა და ექიმების ჯარი ყოველწამს შეიძლებოდა ღვთის რისხვასავით დასტეხოდა თავს და მისი ხელიდან ეს უკანასკნელი ფუფუნება გამოეგლიჯა, რის უფლებასაც კიდევ აძლევდა თავის მომაკვდავ გრძნობებს, მრავალი დღის თუ იქნებ წლის წინათ, როდესაც გულმა ხორცსა და ნეკნებს შორის ჩასობილ დაშნად გაუელვა.

პირველი სართულიდან ბიჭების ხმა მოესმა... რა ერქვათ ნეტავ? ჩარლზი, ჩარლი, ჩაკი. ჰო, რა თქმა უნდა! დაგლასი! და ტომი! დერეფნის ბოლოდან ეძახდნენ, მაგრამ კარი ცხვირწინ მიუხურეს და ბიჭებიც უკან გაბრუნდნენ. თქვენი აღელვება არ შეიძლებაო, ექიმმა უთხრა. არავითარი

სტუმრები, არავითარი სტუმრები. ქუჩიდან ამოესმა ბიჭების ხმა, გადახედა, ხელი დაუქნია. მათაც დაუქნიეს.

- პოლკოვნიკო!.. პოლკოვნიკო!..

ჰოდა, ახლა მარტო იჯდა სავარძელში და გული პატარა რუხ გომბეშოსავით სუსტად უხტოდა მკერდის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

- პოლკოვნიკო ფრილაი, - მიმართა ოპერატორმა, - თქვენს ზარს უპასუხეს. მექსიკო, ერიკსონ 3899.

შემდეგ კი ყურმილში შორიდან, მაგრამ უსასრულოდ მკაფიოდ გაისმა:

- Bueno.

- ხორხე! - გამოეხმაურა მოხუცი.

- სენიორ ფრილაი! ისევ?! ეს ხომ ძალიან ძვირი ჯდება.

- არა უშავს! ხომ იცი, რაც მინდა.

- Si, ფანჯარა, ხომ?

- ფანჯარა, ხორხე, ძალიან თუ არ შეწუხდები.

- ახლავე, - უპასუხეს ხაზის ბოლოდან.

და ათასი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთული ქვეყნის რომელიღაც დაწესებულების შენობაში ნაბიჯების ხმა გაისმა, თანდათან რომ შორდებოდა ტელეფონს. მოხუცი წინ წამოიწია და მაგრად მიიბჯინა ყურმილი დანაოჭებულ ყურზე, ახალი ხმის მოლოდინში რომ გაფაციცებულიყო.

ფანჯრის რაფის აწევა.

მოხუცს ოხვრა აღმოხდა.

ქალაქ მექსიკოს ცხელი ყვითელი შუადღის ხმაურმა ღია ფანჯრიდან მომლოდინე ტელეფონში შეაღწია. თვალწინ ედგა ფანჯრის რაფას მიყრდნობილი ხორხე, ყურმილი გარეთ, კაშკაშა დღის სივრცეში რომ გაეწვდინა.

- სენიორ...

- არა, არა. გთხოვ, მომასმენინე.

იჯდა და უგდებდა ყურს ლითონის უთვალავი საყვირის ღრიალს, მუხრუჭების წივილს, ალისფერი ბანანებითა და ტროპიკული ფორთოხლებით მოვაჭრეთა შეძახილებს. პოლკოვნიკმა მგორავი სავარძლიდან ჩამოშვებული ფეხები ისე აამოძრავა, როგორც სიარულისას. თვალები მაგრად მოხუჭა, რამდენჯერმე ჰაერი ძალუმად შეიყნოსა, თითქოს უნდოდა, მზისგულზე რკინის კაუჭებზე ჩამოკიდებული ხორცის ნაჭრების სუნი ეგრძნო. ამ ხორცის ნაჭრებს ბუზები ისე შესეოდა, გეგონებოდა, ქიშმიშის ფენა ადევსო. ისრუტავდა დილის შხაპუნა წვიმით დანამული ხეივნების ქვის ფილების სუნს. გაუპარსავი ღაწვების ბუსუსებით შეიგრძნობდა მზის

სიმხურვალეს, კვლავაც ოცდახუთი წლის იყო და დადიოდა, დადიოდა შეუჩერებლად, აქეთ-იქით იცქირებოდა, იღიმებოდა, სიცოცხლე უხაროდა, უკიდურესად ფხიზელი, მოწყურებულივით ნთქავდა ფერებსა და სურნელებას.

კარზე დააკაკუნეს. მოხუცმა სწრაფად მიაფარა ტელეფონს პლედი.

შემოვიდა ექთანი.

- გამარჯობა, - მიმართა მოხუცს, - ხომ კარგად იქცეოდით?

- დიახ, - მექანიკურად უპასუხა კაცმა. თითქოს ვერაფერს ხედავდა.

კარზე უბრალო კაკუნმა ისე შეძრა მთელი მისი არსება, რომ ამ არსების დიდი ნაწილი ჯერაც სხვა ქალაქში იმყოფებოდა. გონების შინ დაბრუნებას დაელოდა - ნორმალური, ზრდილობიანი ურთიერთობისათვის.

- თქვენი მაჯისცემის მოსასმენად მოვედი.

- ახლა არა! - შესძახა კაცმა.

- რატომ, სადმე ხომ არ მიბრძანდებით? - გაეღიმა ექთანს.

მოხუცი ქალს დაჟინებით შეაცქერდა. უკვე ათი წელი იყო, ფეხი არსად გაედგა.

- მომეცით მაჯა.

მიკრომეტრის მარწუხებივით მკვრივმა და ზუსტმა თითებმა წამში მიაგნეს მის მაჯაში მტოკავ სისუსტეს.

- რას აკეთებდით, ასე რამ აგაღელვათ? - შეეკითხა შეშფოთებული.

- არაფერს.

ქალის მზერამ ოთახში დაიწყო რაღაცის ძებნა და ბოლოს, ტელეფონის ცარიელ მაგიდაზე შეჩერდა. იმავე წამს ათასი კილომეტრის იქით სუსტად გაიჟღერა მანქანის საყვირმა. ექთანმა ყურმილი პლედის ქვეშიდან ამოაძვრინა და მოხუცს სახეზე ააფარა.

- რატომ აკეთებთ ამას? ხომ დამპირდით, ასე აღარ მოვიქცევიო? ხომ იცით, რომ ყველაზე მეტად სწორედ ეს გაყენებთ ზიანს: აღელვება, ბევრი ლაპარაკი. ეს ბიჭები რომ ამოვიდნენ, მთელ ოთახში დახტოდნენ...

- არა, ჩუმად ისხდნენ და მისმენდნენ, - უპასუხა პოლკოვნიკმა, - ისეთ რამეებს ვუამბობდი, არასოდეს რომ არ სმენიათ. ბიზონებზე ვუამბე, ღმერთმანი, ღირდა აღელვებად. რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, გრძნობები მიდუღდა და ცოცხალი ვიყავი. თუკი სიცოცხლის შეგრძნება ადამიანს კლავს, ჯანდაბას, მოკლას, ეს ციებ-ცხელება ყველაფერს ჯობია. ახლა კი დამიბრუნეთ ტელეფონი. თუკი ბიჭებს არ უშვებთ, რომ ამოვიდნენ და წყნარად ჩამომისხდნენ, მაშინ ვინმეს მაინც დაველაპარაკები, ვინც ოთახის გარეთაა.

- ვწუხვარ, პოლკოვნიკო. ეს თქვენს შვილიშვილს უნდა ვაცნობო. წინა კვირას ტელეფონის მოხსნა დავუშალე, ახლა კი, მგონი, იძულებული ვიქნები, დავუთმო.

- კი მაგრამ, ეს ჩემი სახლია, ჩემი ტელეფონია. მე გიხდით ხელფასს! - გააპროტესტა მოხუცმა.

- რათა მოგიაროთ და აღელვების საშუალება არ მოგცეთ, - ექთანმა სავარძელი ოთახში გააგორა, - აბა, საწოლში, ყმაწვილო!

ახლა საწოლიდან გაჰყურებდა ტელეფონს, წამითაც არ აცილებდა თვალს.

- ერთი-ორი წუთით მაღაზიაში გავდივარ, - უთხრა ექთანმა, - დარწმუნებული რომ ვიყო, ტელეფონით აღარ დარეკავთ, თქვენს სავარძელს დერეფანში გავდგამ.

ცარიელი სავარძელი კარში გააგორა. პოლკოვნიკმა გაიგონა, პირველი სართულის დერეფანში როგორ შეჩერდა და ტელეფონით საქალაქთაშორისო კავშირის განყოფილება გამოიძახა.

ნუთუ მექსიკაში რეკავს? საკუთარ თავს შეეკითხა მოხუცი. არა, ამას ვერ გაბედავს!

სახლის კარი მიიხურა.

მოხუცმა გაიხსენა, როგორ გაატარა ბოლო კვირა ამ ოთახში სრულიად მარტომ და ზმანებებში ჩაესმოდა სრუტის გადაღმა, სხვა კონტინენტიდან შორი მოძახილები, ტროპიკული ტყის გაუვალი ტევრები, ლურჯი ორქიდეებით გაბადრული პლატოები, ტბები და ბორცვები ეჩურჩულებოდნენ... ეძახდნენ... ლიმაში... ბუენოს-აირესში... რიო-დე-ჟანეიროში...

მოხუცი წამოჯდა ცივ საწოლში. ხვალიდან ტელეფონს წამართმევენ! რა ხარბი და სულელი ვიყავი! საშინლად მსხვრევადი სპილოს ძვლის ფეხები საწოლიდან ჩამოუშვა. გაუკვირდა, რამდენად გამომშრალიყო. თითქოს ერთ ღამეს, სანამ ეძინა, ვიღაცამ ეს უცნაური საგნები მიამაგრა, მისი ახალგაზრდა ფეხები კი წაიღო და საკუჭნაოს ღუმელში დაწვა. წლიდან წლამდე ამ ვიღაცამ მთელი კიდურები მოსტაცა და გაანადგურა - ხელის მტევნები, მკლავები, ფეხები, სანაცვლოდ კი ეს ჭადრაკის ფიგურებივით მყიფე და უსარგებლო პროთეზები დაუტოვა. ახლა კი ბევრად მოუხელთებელი რამის - მოგონებების - წართმევასაც უპირებდა; წარსულის რომელიღაც წელიწადთან მაკავშირებელი სადენის გადაჭრას ცდილობდა.

ბორძიკით გადაირბინა ოთახის ბოლოდან მეორემდე. ტელეფონს ხელი დასტაცა და მასთან ერთად კედლის გასწვრივ ძირს ჩაცურდა. სა-

ქალაქთაშორისო კავშირის ოპერატორი გამოიძახა, გული ლამის გასკდომოდა, სულ უფრო სწრაფად ფეთქავდა, თვალწინ წყვდიადი ამოჰფარებოდა.

- სწრაფად, იჩქარეთ!

დაელოდა.

- Bueno?

- ხორხე, კავშირი გაითიშა.

- მეტს ნუ დარეკავთ, სენიორ, - გაიგონა შორი ხმა, - თქვენი ექთანი მესაუბრა. მითხრა, რომ ძალიან ავად ხართ. უნდა დავკიდო.

- არა, ხორხე! გთხოვ! - შეევედრა მოხუცი, - ეს ბოლო დარეკვაა, მომისმინე, ხვალ ტელეფონს წამართმევენ და ვეღარასოდეს დაგირეკავ.

ხორხე დუმდა.

მოხუცმა განაგრძო:

- ღვთის გულისათვის, ხორხე! ჩვენს მეგობრობას, ერთად გატარებულ დღეებს გაფიცებ! შენ არ იცი, ეს რას ნიშნავს. ჩემი თანატოლი ხარ, მაგრამ გადაადგილება შეგიძლია! მე კი, აი, უკვე ათი წელია, ვეღარ ვმოძრაობ.

ტელეფონი ჩაუვარდა და ძლივძლივობით აიღო, გული ტკივილისაგან გასივებოდა.

- ხორხე, ხომ ისევ მანდ ხარ?

- ეს უკანასკნელი იქნება? - იკითხა ხორხემ.

- გპირდები!

ყურმილი ათასკილომეტრიანი მანძილის მეორე ბოლოში მაგიდაზე დადეს. ისევ ისე მკაფიოდ გაისმა ნაცნობი ნაბიჯის ხმა, შემდეგ პაუზა და, საბოლოოდ, ფანჯრის გაღების ხმა გაჟღერდა.

- უსმინე, - ჩასჩურჩულა მოხუცმა საკუთარ თავს.

და კვლავაც გაიგონა ერთდროულად ათასი ადამიანის გნიასი და ქუჩის არღნის შორეული ჟრიალა ხმა: „La marimba“ - ო, რა მომხიბლავი საცეკვაო მელოდიაა!

თვალებმოწკურულმა მოხუცმა ისე ასწია ხელი, თითქოს უნდოდა, ძველისძველი ტაძრისთვის გადაეღო სურათი, მისი სხეული ქორფა, ჯანსაღი ხორცით შეივსო, ხოლო ტერფებით ცხელ ქვაფენილს შეიგრძნობდა.

უნდოდა, წამოეძახა: „ხომ კიდევ იქ ხართ ყველანი, ქალაქის მცხოვრებნო, ისევ ადრიანი სიესტის დროა და ლატარიის ბილეთების გამყიდველი ბიჭები ქუჩებში გაიძახიან: Loteria nacional para hoy![26] რა თქმა უნდა, კიდევ

[26] *Loteria nacional para hoy (ესპ) – „დღეს ნაციონალური ლატარიის გათამაშებაა!“*

არსებობთ, იქ, იმ ქალაქში. აღარც კი მჯერა, ოდესმე მეც თქვენ შორის რომ ვერიე, როდესაც ქალაქს ტოვებ, ის ფანტაზიის სფეროში ინაცვლებს. ნებისმიერ ქალაქს, ნიუ-იორკი იქნება თუ ჩიკაგო, მანძილი სრულიად არარეალურს, დაუჯერებელს ხდის. ზუსტად ისევე, როგორც მათთვის მე ვარ დაუჯერებელი, ილინოისის ამ ერთ ციცქნა ქალაქში, პატარა ტბის პირას რომ ვიმყოფები. ყველანი ერთიმეორისთვის მიუწვდომელნი ვართ, რადგან ერთურთის გვერდით არა ვართ. ამიტომაც საამოა ამ ხმაურის სმენა, რადგან ვრწმუნდები, რომ მექსიკო თავისი მოფუსფუსე, სიცოცხლით სავსე ხალხით, მართლაც არსებობს...“

იატაკზე იჯდა, ყურმილი მაგრად მიებჯინა ყურზე.

საბოლოოდ კი ყველაზე მკვეთრი და ყველაზე დაუჯერებელი ხმა გაისმა - მწვანე ტრამვაიმ კუთხეს შემოუხვია - შავტუხა, ლამაზი, უცხო იერის ხალხით დახუნძლულმა ტრამვაიმ, მერე კი სხვა ხალხის ხმებიც მოისმა, მათი, ვინც გამარჯვებულის შეძახილებით შეახტნენ ტრამვაის საფეხურს და მასთან ერთად მოსახვევში გაუჩინარდა, ვინც რელსებმა ღრჭიალით აიტაცა მზით გავარვარებული სიშორისკენ. მერე ხმები მიწყდა, დარჩა მხოლოდ ბაზრის ქურებზე tortillas[27] შიშხინი, ან იქნებ მხოლოდ ორი ათას კილომეტრზე გაჭიმული სპილენძის სადენის გაბმული და თანაც მერყევი ზუზუნი...

მოხუცი უძრავად იჯდა იატაკზე.

დრო გადიოდა.

პირველ სართულზე ნელა გაიღო კარი. მსუბუქი ნაბიჯები მოახლოვდა, შეყოვნდა, მერე კი საფეხურებს ამოუყვა. რამდენიმე ხმის გადაჩურჩულება გაისმა.

- ჩვენი აქ ყოფნა არ შეიძლება!

- გეუბნები, დამირეკა. ძალიან სჭირდება ვინმესთან საუბარი. იმედს ხომ ვერ გავუცრუებთ.

- ავად რომ არის!

- ეგრეა, ჰო! მაგრამ მითხრა, ექთანი სადმე რომ გავა, მაშინ მოდითო. სულ ერთი წამით დავრჩებით, მოვიკითხავთ და...

საძინებლის კარი ფრთხილად გაიღო. სამი ბიჭი კედელთან იატაკზე მჯდომარე მოხუცს მიაჩერდა.

- პოლკოვნიკო ფრილაი! - ხმადაბლა დაუძახა დაგლასმა.

მოხუცის დუმილი რაღაც ისეთს ასხივებდა, რამაც სამივეს ენა მუცელში ჩააგდებინა.

---

[27] *Tortillas (ესპ) - პურს ან სიმინდის ფქვილისგან გამომცხვარი თხელი კვერი.*

ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ.

დაგლასი დაიხარა და ტელეფონი მოხუცის სულმთლად გაცივებულ თითებს გამოაცალა. ყურმილი ყურთან მიიტანა და სმენად იქცა, ზუზუნის ფონზე უცხო, შორი, უკანასკნელი ხმა გაიგონა.

ორი ათასი კილომეტრის იქით ფანჯარა დაიხურა.

* * *

- ბუმ! - გაიძახოდა ტომი, - ბუმ! ბუმ! ბუმ!

ის სასამართლოს შენობის წინ, სკვერში, სამამულო ომის დროინდელ ზარბაზანზე ამხედრებულიყო. მიზანში ამოღებულმა დაგლასმა გულზე იტაცა ხელი და ბალახზე გაიშხლართა, მაგრამ აღარ ამდგარა; იწვა და ფიქრიანი სახით ცას აჰყურებდა.

- ისეთი სახე გაქვს, თითქოს საცაა ფანქარს მოიმარჯვებ, - თქვა ტომმა.

- ფიქრი მაცალე! - დაგლასი ზარბაზანს მიაჩერდა, მერე გადაბრუნდა და თავზევით ცასა და ხეებს ახედა, - ახლა მივხვდი, ტომ!

- რას?

- გუშინ ჩინ ლინ-სუ მოკვდა. გუშინ სწორედ აქ, ამ ქალაქში სამუდამოდ დასრულდა სამამულო ომი. გუშინ მისტერ ლინკოლნი მოკვდა, მასთან ერთად გენერალი ლი[28], გენერალი გრანტი[29] და ასი ათასი მებრძოლი, ზოგი ჩრდილოეთს რომ უტევდა, ზოგი კი სამხრეთს. და კიდევ, გუშინ პოლკოვნიკ ფრილაის სახლში მთელი გრინთაუნისხელა ბიზონების ჯოგი კლდიდან გადაიჩეხა და არყოფნის უფსკრულში ჩაინთქა. გუშინ მტვრის უშველებელი კორიანტელი სამუდამოდ ჩადგა და დაილექა. თავის დროზე სათანადოდ ვერ დავაფასე ეს ყველაფერი. რა საშინელებაა, ტომ, რა საშინელება! რა გვეშველება მთელი ამ ჯარისკაცების, გენერალ ლის, გრანტისა და მართალი ეიბის[30] გარეშე, ჩინ ლინ-სუს გარეშე? რას წარმოვიდგენდი, ამდენი ხალხი ერთბაშად თუ დაიხოცებოდა, მაგრამ დაიხოცა. ჰო, დაიხოცა!

ტომი, ისევ ზარბაზანზე ამხედრებული, დაგლასს ჩამოჰყურებდა და მის მღელვარე ხმას უსმენდა.

---

*[28] გენერალი ლი - რობერტ ედვარდ ლი (1807-1870), აშშ-ის კონფედერაციული შტა-ტების არმიის გენერალი, სამოქალაქო ომში მეთაურობდა ჩრდილოეთ ვირჯინიის არმიას, იყო კონფედერატთა არმიის მთავარსარდალი.*

*[29] გრანტი - ულის სიმპსონ გრანტი (1822-1885), ამერიკელი სამხედრო და პოლიტი-კური მოღვაწე; ჩრდილოელთა მთავარსარდალი აშშ-ის სამოქალაქო ომში, არმიის გენერალი, 1869 წლის 4 მარტიდან 1877 წლამდე აშშ-ის მე-18 პრეზიდენტი.*

*[30] მართალი ეიბი - აშშ-ის მე-16 პრეზიდენტის (1861-1865), აბრაამ ლინკოლნის (1809 -1865) მეტსახელი.*

- ბლოკნოტი აქ გაქვს?

დაგლასმა თავი გააქნია.

- მაშინ სჯობს, შინ წახვიდე და ეს ყველაფერი ჩამოწერო, ვიდრე არ დაგავიწყდა. ყოველდღე ხომ არ ხდება, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი ერთბაშად რომ ამოწყდეს.

დაგლასი წამოჯდა, მერე კი ფეხზე წამოხტა. ნელა გადაკვეთა გაზონი სასამართლოს შენობის წინ, თან ქვედა ტუჩი კბილებშორის მოიქცია.

- ბუმ! - მშვიდად წარმოთქვა ტომმა, - ბუმ! ბუმ!

მერე ხმას აუწია:

- დაგ! ვიდრე მოლს გადაივლიდი, სამჯერ მოგკალი! დაგ, გესმის ჩემი? ეი, დაგ! ჰო, კარგი. არ ითვლება, გაგაცოცხლე, - ზარბაზანზე გაწვა და განიერ, აქერცლილ ლულას გასწვრივ გახედა, ცალი თვალი მოჭუტა, - ბუმ! - ჩურჩულით მიმართა ფიგურას, რომელიც სულ უფრო პატარავდებოდა, - ბუმ!

* * *

- ჰა!

- ოცდაცხრა!

- ჰა, ესეც!

- ოცდაათი!

- ეს ერთიც!

- ოცდათერთმეტი!

ბერკეტი დაბლა დაეშვა. სავსე ბოთლების ყელზე ჩამოცმული კალის ხუფებიყვითლად ლაპლაპებდა. პაპამ უკანასკნელი ბოთლი გაუწოდა დაგლასს.

- ზაფხულის მეორე მოსავალი. ივნისი უკვე თაროზეა. აგერ, ივლისიც. აგვისტოღა რჩება.

დაგლასმა ბაბუაწვერას თბილი ღვინით სავსე ბოთლი მაღლა ასწია, მაგრამ თაროზე არ შემოუდგამს. გახედა სხვა დანომრილ ბოთლებს, ზუსტად რომ ჰგავდნენ ერთიმეორეს, სულ არაფრით განსხვავდებოდნენ, ყველა კრიალა, თავაღერილი და თვითკმაყოფილი თავ-თავის დროს ელოდა.

„აი, ის დღე, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ცოცხალი ვარ, - გაიფიქრა მან, - რატომ არაა სხვებზე კრიალა?“

ეს კი ის დღეა, ჯონ ჰაფი სამყაროს პირიდან რომ გადავარდა და არსებობა შეწყვიტა; ეს რატომ არ არის დანარჩენებზე მღვრიე?

სად, სად არიან ზაფხულში, ქარში მოლივლივე ხორბლის ტალღებში დელფინებივით მონავარდე ძაღლები? სადაა ელვის სურნელი, რომელსაც მწვანე მანქანა და ტრამვაი აფრქვევდა? განა ღვინოს ახსოვდა ეს ყველაფერი? არა, არ ახსოვდა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი ემჩნეოდა.

რომელიღაც წიგნში ეწერა, რომ ოდესმე წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ოდესმე ნამღერი ყველა სიმღერა სადღაც გროვდება, უშორეს სივრცეში გაიბნევა, და შორეულ ცენტავრზე რომ გაფრინდე, იქ გაიგონებ ძილში მოლაპარაკე ჯორჯ ვაშინგტონის ბუტბუტს, ანდა ზურგში ხანჯალგაყრილი კეისრის გაოგნებულ შეძახილს. ეს - რაც ბგერებს შეეხება. და სინათლეს რაღა მოსდის? ოდესღაც დანახული ყველა საგანი არ კვდება, უბრალოდ, შეუძლებელია უკვალოდ გაქრეს. თუკი მთელ სამყაროს გაჩხრეკ, სადმე, პირამდე სავსე მრავალუჯრიან ფიჭაში, სადაც ყვავილის მტვრისაგან მუგუზალივით მოშიშხინე ფუტკრებს სინათლის ქარვისფერი ხსენი დაუგროვებიათ, ანდა შუადღის ნემსიყლაპიას ოქრომკედით ნაქარგი თვალების ოცდაათი ათას წახნაგში - მსოფლიოს ნებისმიერი წელიწადის ყველა ფერსა და სურათს აღმოაჩენ. ანდა, აი, ამ ბაბუაწვერას ღვინის ერთი წვეთი მიკროსკოპის მინის ქვეშ რომ მოათავსო, ვინ იცის, იქნებ ოთხი ივლისის მთელი დიდებული სამყარო შენ თვალწინ ამოიფრქვეს ვეზუვის ფეიერვერკად. ამის დაუჯერებლობა არ შეიძლებოდა.

და მაინც... დაგლასი იმ ბოთლს გაჰყურებდა, რომელიც, ეტიკეტზე აღნიშნული თარიღის მიხედვით, იმ დღეს ემთხვეოდა, როდესაც პოლკოვნიკი ფრილაი შეტორტმანდა და ექვსი ფუტის სიღრმეზე მიწაში ჩაინთქა, მაგრამ ბიჭმა მის ფსკერზე ერთი გრამი ბნელი ნალექიც კი ვერ აღმოაჩინა; ბიზონებისგან აგორებული მტვრის ზვირთების ერთი ნამცეციც, შაილოს თოფების დენთის ერთი მარცვალიც არ ერია კრიალა სითხეს.

* * *

- აგვისტო კიდევ წინ გვაქვს, - ჩაილაპარაკა დაგლასმა, - ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ, თუკი ასე გაგრძელდა, საბოლოო მოსავლისათვის აღარც მანქანები შემორჩება, აღარც მეგობრები და ბაბუაწვერებიც ძალიან ცოტა თუ მოიძებნება.

- ბოომ. ბოომ. რა სასაფლაოს ზარივით რეკავ? - აღშფოთდა პაპა, - ასეთი ლაპარაკი უწმაწურობაზე უარესიც კია, მაგრამ პირის საპნით გამოსუფთავებას არ გიპირებ. აი, ბაბუაწვერას ღვინის ეს პაწია ჭიქა გამოწერილი გაქვს. აბა, გადაუშვი! როგორი გემო აქვს?

- ცეცხლის მყლაპავი ვარ! აუუუშ!

- ახლა აბრძანდი მაღლა, უბანს სამჯერ შემოურბინე, ხუთჯერ გადადი ყირაზე, მკლავებზე ექვსჯერ აიწიე, ხეზე აძვერი და ჭირისუფლის მაგივრად კონცერტმაისტერად გადაიქცევი. მიდი!

დაგლასი მირბოდა და თან ფიქრობდა: ექვსი აწევ-დაწევა, ერთი ხე და ორი ყირაც მეყოფა!

* * *

აგვისტოს პირველი დღის შუაგულში თავის მანქანაში უკვე სანახევროდ ჩამჯდარმა ბილ ფორესტერმა გამოიხედა და დაიძახა, განსაკუთრებული ნაყინის საყიდლად მივდივარ შუა ქალაქში და ვინმე ხომ არ წამომყვებაო. და ხუთი წუთის წინ შეხურებულმა და გუნებაგამოკეთებულმა დაგლასმაც გავარვარებული ქვაფენილიდან ერთბაშად გაზიანი წყლის სიგრილითა და ვანილის სუსხით გაჯერებულ მღვიმეში ამოყო თავი.

ის და ბილ ფორესტერი სანაყინის თოვლისფერი მარმარილოს მაგიდას მიუსხდნენ და მიმტანს სთხოვეს, ყველაზე უფრო უჩვეულო ნაყინების დასახელებები ჩამოეთვალა. როგორც კი გაიგონეს „ლაიმისა და ვანილის კლასიკური ნაყინი“, მაშინვე შეაწყვეტინეს:

- ეს გვინდა!

- დიახ, სერ! სწორედ ის არის, რაც გვინდა!

ვიდრე შეკვეთას ელოდნენ, მბრუნავ სავარძლებში ნელა ტრიალებდნენ. მოძრავი მზერის წინ ჩაუქროლათ ვერცხლისფერმა ონკანებმა, ბდღვრიალა სარკეებმა, ჭერზე ჩამოკიდებულმა გატრუნულმა ვენტილატორებმა, ვიწრო ფანჯრებში შემოსულმა მწვანე ჩრდილებმა და არფის ფორმის მავთულის სკამებმა. უეცრად შეწყვიტეს ტრიალი. მათი მზერა ოთხმოცდათხუთმეტი წლის ქალბატონის, ელენ ლუმისის, სახესა და ფიგურაზე შეჩერდა, რომელიც მეზობელ მაგიდასთან კოვზით ხელში ნაყინს აგემოვნებდა.

- ახალგაზრდა, - მიმართა მან ბილ ფორესტერს, - თქვენ დახვეწილი გემოვნებისა და ფანტაზიის პატრონი ბრძანდებით, გარდა ამისა, გაათმაგებული გამბედაობა უნდა გქონდეთ. ასე რომ არ იყოს, ასე ხელაღებით ვერ იტყოდით უარს მენიუში ჩამოთვლილ ყველა ტრადიციულ გემოზე და ასე უყოყმანოდ არ შეუკვეთდით ისეთ გაუგონარ რამეს, როგორიც ლაიმის ნაყინია.

ახალგაზრდა კაცმა პასუხად საზეიმოდ დაუკრა თავი.

- მოდით, ორივენი გადმოსხედით, - განაგრძო ქალმა, - ვისაუბროთ უჩვეულო ნაყინებსა დაისეთ რამეებზე, რაც ძალიან მოგვწონს და გვიყვარს. დარდი ნუ გაქვთ, მე გადავიხდი.

მათ ღიმილით გადაიტანეს თავიანთი ჭურჭელი მეზობელ მაგიდაზე და ქალს გვერდით მიუსხდნენ.

- შენ სპოლდინგი უნდა იყო, - მიმართა ქალმა ბიჭს, - თავის მოყვანილობით პაპას ჰგავხარ. თქვენ კი, თქვენ უილიამ ფორესტერი ბრძანდებით. „ქრონიკის“ ერთ-ერთი საკმაოდ კარგი რუბრიკა მიგყავთ. თქვენ შესახებ იმდენი მსმენია, რომ ყველაფერს ვერ გაგანდობთ.

- მეც გიცნობთ, - უპასუხა ბილ ფორესტერმა, - ელენ ლუმისი გქვიათ, - წუთით შეყოყმანდა, მერე განაგრძო, - ერთ დროს მიყვარდით კიდეც, - ამოთქვა ბილმა.

- აი, საუბრის ასეთი დასაწყისი მომწონს, - ქალმა აუღელვებლად გამოთხარა კოვზით ნაყინი, - ეს შემდგომი შეხვედრის საწინდარია. არა, ნუ მიამბობთ, სად, როდის ან როგორ გიყვარდით. ეს სამერმისოდ შემოვინახოთ. თქვენი ლაპარაკით მადა დამაკარგვინეთ. იცით, რა? ახლა მაინც წასასვლელი ვარ და რაკიღა რეპორტიორი ბრძანდებით, მეწვიეთ ხვალ ჩაიზე სამიდან ოთხ საათამდე; თუკი შევძელი, იქნებ ქალაქის ისტორიაც გიამბოთ, ასე რომ, ორივენი დავიკმაყოფილებთ ცნობისმოყვარეობას, მისტერ ფორესტერ. იცით, იმ ჯენტლმენს მაგონებთ, ვისაც სამოცდაათი, ჰო, სამოცდაათი წლის წინათ ვხვდებოდი.

ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს მოცახცახე, გზააბნეულ რუხფრთიან ფარვანას ესაუბრებოდნენ. ბგერები ამ რუხი, გაცრეცილი გარსის სიღრმიდან ამოდიოდა, დაპრესილი ყვავილებისა და ბებერი პეპლების ფერფლში რომ გახვეულიყო.

- მაშ, რას იტყვით? - ქალი წამოდგა, - შემომივლით ხვალ?

- აუცილებლად, - უპასუხა ბილ ფორესტერმა.

ქალი თავის საქმეებზე გაეშურა, ბიჭმა და ახალგაზრდა კაცმა კი თვალი გააყოლეს და შემდეგ თავ-თავიანთ ნაყინს მიუბრუნდნენ.

უილიამ ფორესტერმა მეორე დილა გაზეთისათვის საჭირო ადგილობრივი სიახლეების შესწავლაში გაატარა, ნასამხრევს ქალაქგარეთ ცოტა ხნით სათევზაოდაც კი მოიცალა, მხოლოდ ორიოდე ციცქნა თევზი დაიჭირა, რომლებიც გულდამშვიდებულმა კვლავ წყალში გადაისროლა, შემდეგ კი, წინასწარი შემზადების გარეშე, - ყოველ შემთხვევაში, ისე, რომ თვითონაც არ შეუმჩნევია, - თავისი მანქანა ერთი განსაკუთრებული ქუჩის მიმართულებით წაიყვანა. ინტერესით აკვირდებოდა საკუთარ ხელებს, როდესაც

საჭე დაატრიალა, უზარმაზარ წრიულ ხეივანს შემოუარა და სუროშემოხვეული ჭიშკრის წინ გაჩერდა. გადმოსვლისას გაიფიქრა, ჩემი მანქანა ჩემი ჩიბუხივით ძველი და დაღეჭილია და ამ ვეება მწვანე ბაღისა და ახალშეთეთრებული სამსართულიანი ვიქტორიანული სახლის გვერდით მოუვლელი ჩანსო. ბაღის ბოლოში ლანდივით რაღაც ამოძრავდა, ქარის შრიალივით მოესმა ძახილი და დროისა და სივრცის მიღმიერ განზომილებაში მის ლუმისი დაინახა: მის წინ ვერცხლის ჩაის სერვიზი მკრთალად ბზინავდა, ის მარტო იჯდა და მას ელოდა.

- ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქალი მელოდება, - მიუახლოვდა სტუმარი, - მაგრამ, გამოგიტყდებით, ასევე პირველი შემთხვევაა, როდესაც პაემანზე დროულად მოვედი.

- რატომ მოხდა ასე? - იკითხა დაწნულ სავარძელში ჩასვენებულმა ქალმა.

- არ ვიცი, - გულწრფელად გამოუტყდა კაცი.

- კარგი, - ქალი ჩაის დასხმას შეუდგა, - დასაწყისისთვის, რა აზრის ხართ ამ სამყაროზე?

- ვერაფერს გეტყვით, არაფერი ვიცი.

- როგორც ამბობენ, ეს სიბრძნის დასაწყისია. როცა ჩვიდმეტი წლის ხარ, მაშინ ყველაფერი იცი. და თუკი ოცდაშვიდი წლის ასაკშიც ყველაფერი იცი, ესე იგი, ისევ ჩვიდმეტი წლისა დარჩი.

- წლებმა უეჭველად ბევრი რამ გასწავლათ.

- მოხუცების პრივილეგია სწორედ ის არის, რომ ყოვლისმცოდნეობის შთაბეჭდილებას ქმნიან, მაგრამ ესეც ისეთივე თამაშია, როგორიც ნებისმიერი სხვა როლი, რომელსაც ვთამაშობთ; ანდა ნიღაბი, რომელსაც ვირგებთ, ერთმანეთს კი ღიმილით ვუკრავთ ხოლმე თვალს მოხუცები, თითქოს ვეკითხებით: „როგორ მოგწონს ჩემი ნიღაბი, ხომ კარგად ვთამაშობ ჩემს როლს? ხომ დამაჯერებელი ვარ? განა ცხოვრება პიესა არ არის? რას იტყვით, ხომ კარგად ვთამაშობ?“

ორივემ ხალისიანად გაიცინა. კაცი შვებით ეყრდნობოდა სკამის საზურგეს და მრავალი თვის მანძილზე პირველად სრულიად ბუნებრივად და გულით იცინოდა. როგორც იქნა, დამშვიდდნენ, ქალმა ფინჯანს ორივე ხელის თითები შემოხვია და შიგნით ჩაიხედა.

- იცით, გაგვიმართლა, რომ ერთმანეთს ასე გვიან შევხვდით. არ ვისურვებდი, ოცდაერთი წლისა რომ გაგეცნეთ, როდესაც თავში ქარი მიქროდა.

- ოცდაერთი წლის ლამაზი ქალიშვილებისათვის განსაკუთრებული კანონები მოქმედებს.

- მაშ, თქვენი აზრით, ლამაზი ვიყავი?

კაცმა თბილი მზერით დაუკრა თავი.

- კი მაგრამ, საიდან იცით? - ჩაეკითხა ქალი, - როცა ურჩხულს ხედავთ, ეს-ეს არის, გედი რომ გადაყლაპა, გედის სილამაზეზე ურჩხულის პირზე მიკრული ორიოდ ბუმბულის მიხედვით მსჯელობთ? თქვენ წინაშე სწორედ ეს არის - ღარებითა და ნაოჭებით დაფარული ეს სხეული სწორედ ურჩხულია, თეთრი გედი რომ გადასანსლა. რამდენი წელია, ის აღარ მინახავს. აღარც კი მახსოვს, როგორ გამოიყურებოდა. თუმცა, მას მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ. ის ცოცხალია, არსად წასულა: ისევ შიგნითაა და ერთი ბუმბულიც კი არ შესცვლია. იცით, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ახლაც კი თენდება ზოგჯერ ისეთი დილა, როდესაც ვიღვიძებ და ვფიქრობ, ახლავე წამოვხტები, მინდვრებს გადავირბენ და ტყეში მარწყვს დავკრეფ! ანდა ტბაში შევცურავ, ანდა მთელ ღამეს ვიცეკვებ გათენებამდე-მეთქი! მერე კი უცბად ვამჩნევ, რომ კვლავ ამ ბებერი, დაფლეთილი ურჩხულის ქერქში ვარ მომწყვდეული და გულზე ვსკდები. ჩამოქცეული კოშკის პატიმარი მზეთუნახავი ვარ და ჩემს მხსნელ მშვენიერ უფლისწულს ველი.

- თქვენ, წესით, წიგნები უნდა გეწერათ.

- ჩემო ბიჭო, ვწერდი კიდეც. აბა, ჩემნაირ შინაბერას სხვა რა დარჩენოდა? ვიდრე ოცდაათი წელი შემისრულდებოდა, ახირებული არსება ვიყავი, თავი საკარნავალო ზიზილ-პიპილებით მქონდა გავსებული და, ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი მამაკაცი, ვინც ნამდვილად მიყვარდა, ლოდინით დაიღალა და სხვაზე დაქორწინდა. ასე რომ, საკუთარი თავისაგან გაწბილებულმა საკუთარი თავის ჯიბრზე განვაცხადე, ახია ჩემზე, გათხოვების საუკეთესო შანსი რომ არ გამოვიყენე-მეთქი.

დავიწყე მოგზაურობა. ჩემი ჩემოდნები მთლიანად სამოგზაურო

ეტიკეტების თოვლმა დაფარა. მარტოდმარტო ვესტუმრე პარიზს, ასევე მარტომ მოვიარე ვენა, ლონდონი და, იცით, საბოლოოდ, ეს მოგზაურობანი ზედმიწევნით ჰგავს გრინთაუნში მარტო ცხოვრებას. სიმარტოვე ყველგან სიმარტოვედ რჩება. უამრავი დრო გაქვს დასაფიქრებლად, მანერებისა და საუბრის დასახვეწად. მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, რა ადვილად გავცვლიდი ამა თუ იმ ზმნის უღლებას ანდა მოხდენილ რევერანსს ისეთ ვინმეზე, კომპანიას რომ გამიწევდა და ოცდაათწლიან არდადეგებს ჩემთან ერთად გაატარებდა-მეთქი.

ერთხანს მდუმარედ სვამდნენ ჩაის.

- საკუთარი თავის სიბრალული მომეძალა, - ისევ მხნედ და გულთბილად წამოიწყო ქალმა, - ახლა თქვენ შესახებ. ოცდათერთმეტი წლის ბრძანდებით და ჯერაც უცოლო?

- აჯობებს, თუ ვიტყვი, - მიუგო კაცმა, - ისეთი ქალი, თქვენსავით რომ იქცეოდეს, აზროვნებდეს და მეტყველებდეს, ჯერ არ შემხვედრია.

- ღმერთო დიდებულო, - გულწრფელად შეიცხადა ქალმა, - ახალგაზრდა ქალებს ჩემნაირი მეტყველება სულაც არ მოეთხოვება. ეს მოგვიანებით მოდის. ჯერ ერთი, საამისოდ გამოცდილება აკლიათ. მეორე ის, რომ საშუალო, ჩვეულებრივი მამაკაცი ქალში ჭკუის ნასახს თუ აღმოაჩენს, მაშინვე თავგზა ებნევა. შესაძლოა, რამდენიმე ჭკვიან ქალს მაინც გადაჰყრიხართ, მაგრამ მათ თავიანთი ჭკუის დამალვა მოახერხეს. ამ იშვიათი სახეობის მოსახელთებლად ცოტაოდენი დაკვირვება დაგჭირდებათ.

ისევ გულიანად იცინეს.

- ამ წუნიაობაში, ალბათ, არასდროს მოვიყვან ცოლს, - დაასკვნა კაცმა.

- არა, არა, ამას ნუ იზამთ. ეს შეცდომა იქნება. დღეს რომ აქ მოხვედით, ესეც კი დიდი შეცდომაა. ეს გზა მხოლოდ ეგვიპტურ პირამიდასთან თუ მიგიყვანთ. პირამიდები მშვენიერია, მაგრამ მუმიები მეგობრად არ გამოდგებიან. გულზე ხელი დაიდეთ, სად ისურვებდით გამგზავრებას, რის გაკეთებას ნატრობთ სიცოცხლეში ყველაზე მეტად?

- მინდა ვნახო სტამბოლი, პორტ-საიდი, ნაირობი, ბუდაპეშტი, დავწერო წიგნი, მოვწიო ბევრი სიგარეტი, კლდიდან გადავიჩეხო, მაგრამ შუა ვარდნისას ტოტებმა შემაჩეროს. მინდა მაროკოს უკუნ ღამეში რომელიმე ვიწრო შუკაში ვიღაცამ ერთი-ორჯერ მესროლოს ტყვია, მინდა მშვენიერი ქალი მიყვარდეს.

- ჰმ, არა მგონია, ყველა ამ ნატვრის ასრულება შევძლო, - უთხრა ქალმა, - მაგრამ ბევრი ვიმოგზაურე და ამ ადგილთა უმრავლესობის შესახებ შემიძლია გიამბოთ. თუკი თავს შეიწუხებთ და ამ საღამოს ასე, თერთმეტი საათისათვის, ჩემს მოლზე გადაირბენთ, და თუ მეღვიძება, სამოქალაქო ომის დროინდელ დამბაჩას დაგახლით, იმედია, ეს თავგადასავლების მამაკაცურ სწრაფვას დაგიოკებთ?

- სწორედაც რომ არაჩვეულებრივი იქნება.

- პირველად საით ისურვებდით გამგზავრებას? ხომ იცით, მართლა შემიძლია, სადაც გსურთ, იქ გადაგიყვანოთ. ჯადოქრობა შემიძლია. დამისახელეთ: ლონდონი? კაიროს ხსენებაზე სახე გაგინათდათ. მაშ, კაიროში გავემგზავროთ. ახლა კი მოდუნდით. აი, ამ მშვენიერი თუთუნით დატენეთ ყალიონი და მყუდროდ მოეწყვეთ.

კაცი საზურგეზე გადაწვა, ყალიონს მოუკიდა, გამტკნარებული, დუნე ღიმილით სმენად იქცა. და ქალმა დაიწყო.

- კაირო... - წარმოთქვა ნელა.

მთელი საათი სავსე იყო ძვირფასი თვლების ბდღვრიალით, აღმოსავლური ქუჩაბანდებითა და ეგვიპტის უდაბნოდან მონაქროლი ქარით. მზე ოქროს ასხივებდა, ნილოსი ამღვრეულიყო იქ, სადაც მისი წყლები დელტაში იღვრებოდა, და ვიღაც სულმთლად ნორჩი და ძალზე სწრაფი პირამიდის მწვერვალიდან სიცილით ჩამოსძახოდა კაცს, ხელს უქნევდა, ანიშნებდა, ჩრდილიანი ფერდობიდან მზეში ამომძვრალიყო და, აი, უკვე მიძვრებოდა კიდეც, ის კი, გოგონა, ბოლო საფეხურზე ამოსასვლელად ზევიდან ხელს უწვდიდა; მერე კი ორივენი იცინოდნენ აქლემის ზურგზე, უდაბნოს ზღურბლზე გაწოლილი ვეება სფინქსისაკენ როცა მიირწეოდნენ; გვიან ღამით მდაბიოთა საცხოვრებელი უბნიდან ნაზად ისმოდა ბრინჯაოსა და ხელოსანთა ვერცხლზე ერთი ბეწო ჩაქუჩების კაკუნი და რომელიღაც სიმებიანი საკრავის შორეული ჰანგები.

უილიამ ფორესტერმა თვალები გაახილა. მის ელენ ლუმისმა თავგადასავალი დაასრულა და ისევ შინ აღმოჩნდნენ, ისევ იმ ბაღში, სადაც ვერცხლის ჩაიდანში ჩაი შეცივებულიყო, ნამცხვრები კი ნაშუადღევის მზეზე ხმებოდა. მათ შორის სრული ურთიერთგაგება და განსაკუთრებული სიახლოვე იგრძნობოდა. სტუმარმა ნეტარებით ამოიოხრა, გაიჭიმა და ისევ ამოიოხრა.

- ასე კარგად ჯერ არასდროს მიგრძნია თავი.

- არც მე.

- ბევრი დრო წაგართვით. წესით, ერთი საათის წინ უნდა წავსულიყავი.

- ხომ იცით, რომ თქვენი სტუმრობის ყოველი წუთი სიამოვნებით მავსებს. აი, თქვენ კი რა ნახეთ ჭკუიდან გადასულ მოხუც ქალში?..

კაცი კვლავ საზურგეს მიეყრდნო, თვალები სანახევროდ მოხუჭა და ისე გახედა ქალს. ისე მოჭუტა თვალები, რომ ქუთუთოებს შორის სინათლის თხელი ძაფიღა ატანდა. თავი ოდნავ გადასწია ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს.

- რას აკეთებთ? - ჰკითხა გაოცებულმა ქალმა.

კაცს პასუხი არ გაუცია, ისევ ისე უყურებდა.

- სწორად თუ გააკეთე, - ჩაიბურტყუნა, - შეგიძლია ჩაასწორო, დაარეგულირო... - თავისთვის კი გაიფიქრა, - შეგიძლია ნაოჭები ამოშალო, დროთა ფაქტორი შესაბამისობაში მოიყვანო და წლები უკან დაატრიალო.

უეცრად შეკრთა.

- რაშია საქმე? - შეცბა ქალი.

მაგრამ ხილვა იმწამსვე გაქრა. კაცმა მის მოსახელთებლად თვალები გაახილა, ეს კი შეცდომა იყო. ისევ ისე მოდუნებული უნდა მჯდარიყო, უნდა განეგრძო ქუთუთოებს შორის ფოკუსირება და ჩასწორება.

- სულ ერთი წამით დავინახე, - წარმოთქვა ბოლოს.

- რა დაინახეთ?

- გედი, რა თქმა უნდა, - გულში თქვა კაცმა, მაგრამ მისმა ბაგემ, როგორც ჩანს, ეს სიტყვები უხმოდ გაიმეორა.

იმავე წამს ქალი ძალიან გამართული წამოჯდა სავარძელში. ხელები მკაცრად და უძრავად ეწყო კალთაში. კაცი უმწეოდ აკვირდებოდა, როგორ მოუწყლიანდა მას ორივე თვალი.

- მაპატიეთ, საშინლად ვწუხვარ.

- არაფერია, ნუ იდარდებთ, - ქალი ისევ გაქვავებული იჯდა, არც სახეზე, არც თვალებზე არ იკარებდა ხელებს, მტევნები ისევ ერთიმეორეზე ჰქონდა დაწყობილი, - ახლა სჯობს, წახვიდეთ. დიახ, ხვალ შეგიძლიათ ისევ მობრძანდეთ, მაგრამ ახლა დამტოვეთ, გთხოვთ, და ნუღარაფერს იტყვით.

კაცმა ის მაგიდასთან დატოვა და ბაღის ბილიკს გაუყვა. უკან მიხედვა ვეღარ გაბედა.

გავიდა ოთხი, რვა, თორმეტი დღე და ქალი მას გამუდმებით ეპატიჟებოდა ჩაიზე, ვახშამზე, სამხარზე. ზაფხულის გრძელ დღეებს საუბარში ატარებდნენ - ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, ცხოვრებაზე, საზოგადოებასა და პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ, თან ნაყინს, ნასუქ მტრედებსა და საუკეთესო ღვინოებს აჭაშნიკებდნენ.

- სულ არ მაღელვებს, რას იტყვის ხალხი, - უთხრა ერთხელ ქალმა, - არადა, ჩვენზე ლაპარაკობენ, ხომ ასეა?

კაცი უხერხულად შეიშმუშნა.

- ასეც ვიცოდი. ქალი არასოდესაა დაზღვეული ჭორებისაგან, თუნდაც ოთხმოცდათხუთმეტი წლის იყოს.

- მაშინ აღარ მოვალ.

- ოჰ, არა! - შეჰყვირა ქალმა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და უფრო მშვიდი კილოთი განაგრძო, - თვითონაც იცი, რომ ამას ვერ შეძლებ. ისიც იცი, რომ სინამდვილეში მათ ლაპარაკს არაფრად აგდებ, ხომ ასეა? ჩვენ ორმა ხომ ვიცით, რომ ყველაფერი კარგადაა?

- ასეა, არაფრად ვაგდებ, - დაეთანხმა კაცი.

- ახლა კი, - ქალი სავარძელში მოთავსდა, - ჩვენი თამაში ვითამაშოთ. ამჯერად საით გავემგზავროთ? პარიზში? ჰო, იყოს პარიზი.

- პარიზი, - მშვიდად დაუკრა თავი კაცმაც.

- მაშ, ასე, - დაიწყო ქალმა, - 1885 წელია და ნიუ-იორკის პორტში გემზე ავდივართ. ეს ჩვენი ბარგია, აგერ - ჩვენი ბილეთებიც. ლაინერი ოკეანეში გადის. მივცურავთ... აი, უკვე მარსელს ვუახლოვდებით...

ქალი ხიდიდან ჩაჰყურებდა სენის კამკამა წყალსა და წამის შემდეგ კაციც მის გვერდით აღმოჩნდა. ორივენი თვალს ადევნებდნენ ზაფხულის სწრაფ-მავალ ტალღებს. მეორე წუთში ქალი კაფეს მაგიდასთან იჯდა, ხელში აპერიტივით სავსე ჭიქა ეჭირა და კაციც იმწამსვე მასთან გაჩნდა, რათა ჭიქა მიეჭახუნებინა. მისმა სახემ გაიელვა ვერსალის მოსარკულ დარბაზებში, სტოკჰოლმში, შვედური მაგიდის ოხშივარში, ვენეციის არხების გასწვრივ კი ერთად ითვლიდნენ სადალაქოების ფირნიშებს. ყოველივეს, რაც ქალმა სიმარტოვეში განიცადა, ახლა ერთად იმეორებდნენ.

შუა აგვისტოს ერთ გვიან ნაშუადღევს ისხდნენ და მზერას არ აცილებდნენ ერთმანეთს.

- თუ ატყობ, - ჰკითხა კაცმა, - რომ ამ ორ-ნახევარი კვირის მანძილზე თითქმის ყოველდღე ვხვდებით?

- შეუძლებელია!

- ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა.

- კი, მაგრამ გარშემო ამდენი გოგონაა...

- შენში ყოველივე ის გაერთიანდა, რაც მათ არ გააჩნიათ: სიკეთე, სიბრძნე, მჭევრმეტყველება.

- სისულელეა. სიკეთე დასიბრძნე სიბერის უპირატესობაა. უმოწყალობა და ქარაფშუტობა ოცი წლის ასაკში უფრო გართობს, ვიდრე მოგვიანებით, - პაუზის შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა, - ახლა უხერხული შეკითხვა უნდა დაგისვა: გახსოვს ის პირველი დღე, როდესაც ერთმანეთს სანაყინეში შევხვდით? მაშინ თქვი, რომ ოდესღაც ჩემდამი ერთგვარ... ასე ვთქვათ, სიმპათიას განიცდიდი. მერე კი აშკარად აარიდე თავი ახსნა-განმარტებას, იმიტომ, რომ ამ თემას მეტად აღარ დაბრუნებიხარ. ახლა იძულებული ვარ, გთხოვო, ეს საჩოთირო ამბავი გამანდო.

კაცს ეტყობოდა, არ იცოდა, რა ეთქვა.

- მართლაც უხერხული შეკითხვა იყო, - შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას.

- მითხარი ყველაფერი!

- ერთხელ, წლების წინ, შენი სურათი ვნახე!

- სურათებს არასოდეს ვიღებ.

- ძველი სურათი იყო, ოცი წლის ასაკში გადაღებული.

- აჰ, ის! ძალიან სასაცილოა. ყოველთვის, როცა საქველმოქმედო შეწირულობას ვაკეთებ ანდა მეჯლისს ვმართავ, პრესა ამ სურათს ამოქექავს და ბეჭდავს ხოლმე. მთელი ქალაქი სიცილით იხოცება, ჩემი ჩათვლით.

- გაზეთები უტაქტოდ იქცევიან.

- არა, მე თვითონ ვუთხარი, თუ ჩემი სურათი გჭირდებათ, ძველი, 1853 წელს გადაღებული ფოტო იკმარეთ. დაე, ყველას ასეთად დავამახსოვრდე და ღვთის გულისათვის, დაკრძალვის ცერემონიაზე კუბოს თავსახური დააფარეთ-მეთქი.

- ყველაფერს მოგიყვები, - ბილ ფორესტერმა თითები ერთმანეთს გადაჭდო, თავი დახარა და ერთხანს დადუმდა. იმ სურათს იხსენებდა და ერთბაშად ძალიან მკაფიოდ წარმოუდგა თვალწინ. ამ ბაღში მართლაც მოიძებნებოდა საკმარისი დრო, რათა იმ ფოტოსურათის თითოეული ნაკვთი აღედგინა და იმაზე ეფიქრა, თუ როგორ იდგა სულმთლად ნორჩი ელენ ლუმისი მარტოდმარტო, სურათის გადასაღებად გამზადებული, მშვენიერი, მორცხვად მოღიმარი.

ეს სახე გაზაფხულს ნიშნავდა, ეს ზაფხულის სახე იყო, სამყურას თბილი სუნთქვის მონაქროლი. მის ბაგეზე ბროწეული ღუოდა, თვალებიდან კი შუადღის ლაჟვარდი გამოკრთოდა. ამ სახეს რომ შეეხო, იგივე მარად ახალი განცდა დაგეუფლება, როგორც დეკემბრის ერთ მშვენიერ დილით, როდესაც ფანჯარას აღებ და ხელით პირველ, ქათქათა თოვლს ეხები, ღამით ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე რომ ჩამოფერფლილა. ეს მონაბერი სითბო და ბუმბულის სილბო ფოტოგრაფიული ქიმიის სასწაულს სამუდამოდ შეენარჩუნებინა, დროის ქარები მას ერთი საათით, ერთი წუთითაც კი ვერ დააბერებდნენ; ეს უზენაესი პირველი თოვლი ათას ზაფხულს გაუძლებდა და არასდროს დადნებოდა.

აი, რა იყო ის ფოტოსურათი; აი, როგორ შეხვდა ამ ქალს პირველად. მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი გაიხსენა, გადახარშა და წარმოიდგინა, ისევ განაგრძო ლაპარაკი:

- როდესაც პირველად ვნახე ეს სურათი, - უბრალო, გულწრფელი პორტრეტი სადა ვარცხნილობით - არ ვიცოდი, ამდენი ხნის წინათ რომ იყო გადაღებული. გაზეთი იმ საღამოს ელენ ლუმისის მიერ გამართული მეჯლისის შესახებ იუწყებოდა. სურათი გაზეთიდან ამოვხიე და მთელი დღე თან დავატარებდი. იმ მეჯლისზე ვაპირებდი წასვლას. მერე კი, გვიან ნაშუადღევს, ვიღაცამ შენიშნა, სურათს როგორ ვაკვირდებოდი და ყველაფერი მიამბო. მითხრა, რომ ამ მშვენიერი გოგონას სურათი დიდი ხნის წინ არის გადაღებული და მას მერე გაზეთები სულ ამ სურათს იყენებენ. ისიც მირჩია,

სურათით ხელში ქალაქის მეჯლისზე არ წავსულიყავი და შენი მოძებნა არ მეცადა.

კარგა ხანს მდუმარედ ისხდნენ ბაღში. სტუმარი ქალის სახეს ჩააცქერდა. ის ბაღის შორეულ კედელს გაჰყურებდა, რომელსაც ვარდები შემოხვეოდა. ვერაფრით მიხვდა, ამ წუთში რას ფიქრობდა - მის სახეზე არაფერი აღბეჭდილა. ერთხანს კიდევ იქანავა თავისი სავარძლით, შემდეგ კი ხმადაბლა წარმოთქვა:

- ჩაი კიდევ ხომ არ დაგველია? აგერ, გამომართვი.

ისხდნენ და ჩაის წრუპავდნენ. ქალი გადასწვდა და კაცს მკლავზე გადაუსვა ხელი.

- გმადლობ.

- რისთვის?

- მეჯლისზე ჩემი მოძებნა რომ გინდოდა, ჩემი სურათი რომ ამოჭერი, ყველაფრისთვის დიდი მადლობა.

ბაღის ბილიკზე მისეირნობდნენ.

- ახლა კი, - უთხრა ქალმა, - ჩემი ჯერია. თუ გახსოვს, ერთი ახალგაზრდა კაცი ვახსენე, სამოცდაათი წლის წინ რომ მეარშიყებოდა. ო, ორმოცდაათი წელიწადი მაინც იქნება, რაც გარდაიცვალა, მაგრამ როდესაც ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი იყო, შეეძლო მთელი დღე არ ჩამოსულიყო ცხენიდან, ზოგჯერ ზაფხულის ღამითაც ქალაქის გარშემო მინდვრებში დაჯირითობდა. ჯანსაღი, ველური სახე ჰქონდა, მუდამ გარუჯული, ხელებზე ჭრილობები არასოდეს ურჩებოდა, ღუმლის საკვამურივით აბოლებდა და ისე დადიოდა, გეგონებოდა, ხელ-ფეხი უნდა ჩამოიძროს და აქეთ-იქით გაისროლოსო. არც ერთ სამუშაოზე დიდხანს არ ჩერდებოდა, როცა კი მოეხასიათებოდა, მაშინ ტოვებდა სამსახურს, ერთ მშვენიერ დღეს კი ცხენს შეახტა და მიმატოვა, რადგან მასზე უფრო თავზე ხელაღებული ვიყავი და მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას არაფრად ვაგდებდი. ეს იყო და ეს. ვერ წარმომედგინა, იმ დღეს თუ მოვესწრებოდი, როცა ცოცხალი დამიბრუნდებოდა. მაგრამ ძალიანაც ცოცხალი ხარ, ზუსტად მასავით ფანტავ შენ გარშემო თუთუნის ფერფლს, შენც ათავსებ უგერგილობას მოხდენილობასთან, ვიდრე რამეს გააკეთებდე, შენი ყოველი ნაბიჯი წინასწარ ვიცი, მაგრამ შენი ყოველი ქმედება მაინც მაოცებს. რეინკარნაციისა დიდად არ მჯერა, მაგრამ ამას წინათ გავიფიქრე, უეცრად ქუჩაში რომ დავუძახო, „რობერტ, რობერტ!“, ნეტავ უილიამ ფორესტერი თუ მოტრიალდება-მეთქი?

- არ ვიცი, - უპასუხა კაცმა.

- არც მე ვიცი, სწორედ ამით არის ცხოვრება ასე საინტერესო.

* * *

აგვისტო თითქმის მიიწურა. შემოდგომის პირველმა სიგრილემ დაუარა ქალაქს და ყოველი ხის ფოთლებს მოედო პირველი ცეცხლის მსუბუქი ალი. ბორცვების სიმწვანეც ოდნავ შეიფაკლა, ყანები კი ლომისფრად შეიღება. დღეების ქარგა ნაცნობ და მრავალნაცად ხვეულებს იმეორებდა, დღითი დღე კალიგრაფივით თანაბრად გამოჰყავდა ერთი და იგივე კოხტა ასოები: „ლ“, „წ“ და „შ“.

აგვისტოს ერთ დილას უილიამ ფორესტერმა ბაღის სიღრმეში შეაბიჯა. ჩაის მაგიდასთან ელენ ლუმისი დახვდა, მთელი გულისყურით წერდა რაღაცას.

დაინახა თუ არა, სამელნე და კალამი გვერდზე გადადო.

- წერილს გწერდი.

- რაკიღა მოვედი, თავის შეწუხება აღარ მოგიწევს.

- არა, ეს განსაკუთრებული წერილია. დააკვირდი, - ქალმა ცისფერი კონვერტი უჩვენა, იქვე დალუქა და ხელი გადაუსვა, - დაიმახსოვრე, როგორ გამოიყურება. როდესაც მას ფოსტით მიიღებ, იცოდე, რომ მკვდარი ვარ.

- ასე ლაპარაკი არ ღირს.

- დაჯექი და მომისმინე.

კაცი დაჯდა.

- უილიამ, ჩემო კარგო, - ქალს სახეზე ქოლგის ჩრდილი ეფინებოდა, - რამდენიმე დღეში ცოცხალი აღარ ვიქნები. არა, - ხელით გააჩუმა, - ახლა ნურაფერს მეტყვი. სულაც არ მეშინია. ჩემს ასაკს რომ მიატან, ამ შიშსაც დაკარგავ. არასოდეს მყვარებია ასთაკვი, უფრო იმიტომ, რომ გასინჯული არ მქონდა. ოთხმოცი წელი რომ შემისრულდა, მაშინ გავსინჯე, ჩემს დაბადების დღეს. ვერ ვიტყვი, რომ მას მერე ასთაკვისთვის ჭკუას ვკარგავ, მაგრამ ახლა მის გემოს ვიცნობ და უკვე აღარ მაშინებს. მე ვიტყოდი, სიკვდილიც რაღაც ასთაკვის მსგავსი იქნება და, ვფიქრობ, მასთან საერთო ენის გამონახვას შევძლებ, - ხელები აიქნია, - მაგრამ ამაზე მოვრჩეთ. მნიშვნელოვანი ის არის, რომ შენ ვეღარ გნახავ, ჩაის სერვიზების დროც დამთავრდება. მე მგონია, როდესაც ქალი ამ უკანასკნელ ზღურბლს გადააბიჯებს, მას საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ქალს, რომელიც ღამით მოსასვენებლად საძინებელში განმარტოვდა.

- როგორ შეიძლება წინასწარ განსაზღვრო სიკვდილის წუთი? - ჰკითხა თავზარდაცემულმა კაცმა.

- უკვე ორმოცდაათი წელიწადია, თვალს ვადევნებ ჩემს ჰოლში ძველებურ საათს. როცა ვქოქავ, წუთებში შემიძლია გამოვთვალო, როდის გაჩერდება. მოხუცი ადამიანებიც ზუსტად ასევე არიან მოწყობილნი. გრძნობენ, მექანიზმი თანდათან როგორ ირღვევა. ოჰ, ასე ნუ მიყურებ, გთხოვ, არ გინდა.

- არ შემიძლია, - უმწეოდ გამოეხმაურა კაცი.

- ერთად ხომ მშვენიერი დრო გავატარეთ, ასე არ არის? ეს ყოველდღიური საუბრები არაჩვეულებრივი იყო. სწორედ ასეთ მოვლენას განსაზღვრავს ზომაზე მეტად დამძიმებული და გაცვეთილი ფრაზა „სულიერი კავშირი“, - ცისფერი კონვერტი ხელში შეათამაშა და განაგრძო, - მუდამ ვიცოდი, რომ სწორედ სულია სიყვარულის საზომი, თუმცა, სხეული მას ძალზე ხშირად არ ცნობს. სხეული თავისთავად არსებობს. მხოლოდ იმით ცოცხლობს, რომ იკვებოს და ღამეს ელოდეს. მისი არსებობა, ძირითადად, ღამისეულია. მაგრამ რა ვუყოთ მზისგან ნაშობ სულს, უილიამ, რომელსაც ათასობით საათის სიფხიზლე და სიცხადე სწყურია? განა სხეულმა, ღამის ამ უბადრუკმა, ხარბმა ნაშიერმა, შეიძლება გადაწონოს მზითა და გონებით გაცისკროვნებული უგრძესი სიცოცხლე? არ ვიცი, არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენი სულები ერთად იყვნენ და ერთად გატარებული ამ დღეების მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი განმიცდია. კიდევ ბევრი გვაქვს სალაპარაკო, მაგრამ რას იზამ, სხვა დროისათვის უნდა შევინახოთ!

- ჩანს, ბევრი დრო აღარ დაგვრჩენია.

- არა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ოდესმე სხვა დრო დაგვიდგეს. დრო უცნაური რამაა, სიცოცხლე კი - კიდევ უფრო გამოუცნობი. ბორბლებს ერთი ან მეტი კბილანა თუ დააკლდა, ტრიალს აუჩქარებენ ანდა, პირიქით, შეანელებენ და ამის გამო ადამიანთა ბედისწერა ერთურთს ნაადრევად ან დაგვიანებით ჩაექსოვება. მეტისმეტად დიდხანს რომ ვიცოცხლე, ეს უეჭველია. შენ კი ან მეტისმეტად ადრე დაიბადე, ან მეტისმეტად გვიან. დრო საშინლად აირია. ან იქნებ, უბრალოდ, ჩემი ახალგაზრდული ქარაფშუტობის გამო დავისაჯე. ასეა თუ ისე, შემდეგ შემობრუნებაზე ბორბლები შეიძლება ერთიმეორეს სწორად მოერგოს. ამასობაში კი ვინმე სათნო გოგონა უნდა მოძებნო, დაოჯახდე და ბედნიერი იყო, მაგრამ ერთ რამეს დამპირდი.

- ნებისმიერ რამეს, რაც კი გსურს.

- დამპირდი, რომ ძალიან დიდხანს არ იცოცხლებ, უილიამ. თუ მოგიხერხდა, უმჯობესია, მოკვდე, ვიდრე ორმოცდაათი წელი შეგისრულდება. თუმცა კი ამას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ამას მხოლოდ იმიტომ გირჩევ, რომ არავინ იცის, კიდევ ერთი ელენ ლუმისი როდის მოევლინება ამ

ქვეყანას. ხომ საზარელი იქნებოდა, ღრმა სიბერემდე რომ გეცოცხლა და 1999 წლის ერთ მშვენიერ დღეს მთავარ ქუჩაზე ჩავლილს უეცრად დაგენახე ოცდაერთი წლის ქალიშვილი და ყველაფერი ისევ ყირამალა დატრიალებულიყო? არა მგონია, კიდევ ერთხელ გავუძლოთ აი, ასეთ დღეებს, მიუხედავად იმისა, რომ ასე სასიამოვნო იყო. რას იტყვი? ათასი ლიტრი ჩაი და ხუთასი ნამცხვარი ხომ საკმარისია ერთი მეგობრობისთვის? ასე რომ, სადღაც ოც წელიწადში შეიძლება ფილტვების ანთების მძიმე შეტევა დაგემართოს. იმიტომ, რომ არ ვიცი, იქ, მეორე მხარეს, რამდენ ხანს შეგაყოვნებენ. შესაძლოა, მაშინვე უკან გამოგგზავნონ. მაგრამ რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ, უილიამ, ვეცდები, სიტყვას გაძლევ. და, იცი, რა მოხდება, როდესაც ყველაფერი აეწყობა?

- რა, მითხარი?

- 1985 ან 1990 წლის მშვენიერ დღეს ახალგაზრდა კაცი, სახელად ტომ სმიტი, ჯონ გრინი ან რაღაც მსგავსი, ქალაქის ცენტრში სეირნობისას სანაყინეში შეივლის და რაიმე უჩვეულო სახეობის ნაყინს შეუკვეთს. მეზობელ მაგიდასთან მჯდომი მისი თანატოლი გოგონა ყურს მოჰკრავს ნაყინის დასახელებას და იმავე წამს რაღაც მოხდება. ვერ გეტყვი, რა და როგორ. ყოველ შემთხვევაში, არც გოგონას, არც ახალგაზრდა კაცს ეს ნამდვილად არ ეცოდინებათ. უბრალოდ, აღმოჩნდება, რომ ორივეს მოსწონს ამ ნაყინის სახელწოდება. მათ შორის საუბარი გაიბმება, მოგვიანებით კი ერთმანეთს გაიცნობენ და სანაყინედან ერთად გამოვლენ.

ქალმა თანამოსაუბრეს გაუღიმა.

- მეტისმეტად შელამაზებულია, არა? რას იზამ, უნდა მიუტევო მოხუც ქალს, რომელიც ყველაფერს კოხტად შეფუთულს გაწვდის. ნება მიბოძე, ეს სულელური და ყოვლად გამოუსადეგარი სამშვენისი მაინც დაგიტოვო სახსოვრად. ახლა კი, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მაინც რა იყო ეს? დედამიწის ზურგზე თუ დარჩა ისეთი ადგილი, ჩვენ რომ ერთად არ შემოგვევლოს? სტოკჰოლმში ვყოფილვართ?

- ჰო, მშვენიერი ქალაქია.

- გლაზგოში? ჰო? მაშ, საით გავწიოთ?

- რატომაც არ მოვინახულოთ ილინოისის შტატის ქალაქი გრინთაუნი? - იკითხა კაცმა, - ანუ აქაურობა. ჩვენს ქალაქს ერთად ჯერ არასოდეს ვწვევივართ.

ორივენი სავარძლებში მყუდროდ მოკალათდნენ და ქალმა დაიწყო:

- მაშ, კარგი. გიამბობ, თუ როგორი იყო ეს ქალაქი დიდი ხნის წინათ, როდესაც მხოლოდ ცხრამეტი წლის ვიყავი...

ზამთრის საღამო იყო, ელენი მსუბუქად მისრიალებდა ციგურებით მთვარით გადაპენტილი ტბორის ყინულზე და მისი ანარეკლიც ჩუმი შხუილით მიჰყვებოდა; ზაფხულის გვიან ღამით ამ ქალაქის ჰაერში ცეცხლის სიმხურვალე იდგა, ქალაქს ლოყებიც ცეცხლივით უხურდა და გულშიც იგივე ცეცხლი უგიზგიზებდა, თვალები ციცინათელების ფოსფორული ციმციმით ევსებოდა; იდუმალი შრიალითა და ჩურჩულით სავსე ოქტომბრის საღამოს ელენმა სამზარეულოში ღიღინით ჩამოიღო თაროდან შინ გამომცხვარი ქერის შაქარლამა. და, აი, უკვე მდინარის ხავსიან ნაპირზე მირბოდა გაზაფხულის წყვდიადში, მერე კი ქალაქგარეთ, გრანიტის აუზის ლბილ, თბილ წყლებში ცურავდა. აგერ ოთხმა ივლისმაც მოაღწია ცის შემაზანზარებელი რაკეტებით და ყოველი პარმაღი სიბნელეში ნაირფრად განათებული სახეებით გაივსო, მათ შორის გაიელვა ელენის სახემაც, ვიდრე უკანასკნელი რაკეტა წყვდიადში დაინთქა.

- ხედავ ყველაფერ ამას? - იკითხა ელენ ლუმისმა, - მხედავ, როგორ ვაკეთებ ამ ყოველივეს, როგორ ვტრიალებ ამ მოვლენებს შორის?

- ჰო, - გამოეხმაურა უილიამ ფორესტერი, - გხედავ.

- მერე კი... - განაგრძო ქალმა, - მერე...

მისი ხმის ჰანგები კვლავაც იღვრებოდა ბაღის მუქ სიმწვანეში, სწრაფად ჩამოწოლილი მწუხრი მას ვერ ფარავდა და ქუჩაზე გამვლელი დაბურული ტევრიდან გაიგონებდით ამ შორეულ, ფარვანასავით მოწრიალე, მილეულ ხმას...

ორი დღის შემდეგ უილიამ ფორესტერი თავის ოთახში საწერ მაგიდას უჯდა, როდესაც მის სახელზე წერილი მოვიდა. დაგლასმა ამოიტანა კონვერტი მეორე სართულზე, ბილს მიაწოდა და ისე შეხედა, თითქოს იცოდა, რა იყო მასში.

უილიამ ფორესტერმა ცისფერი კონვერტი იცნო, მაგრამ არ გაუხსნია. უბრალოდ, უბის ჯიბეში ჩაიდო, წუთით შეხედა ბიჭს და შემდეგ უთხრა:

- წამოდი, დაგპატიჟებ.

ფეხით ჩავიდნენ ქალაქის ცენტრში, თითქმის მთელი გზა დუმდნენ. დაგლასი გრძნობდა, რომ სიჩუმე აუცილებელი იყო. შემოდგომას, ერთხანს რომ იმუქრებოდა, ახლა ისევ უკან დაეხია. ზაფხული ისევ ძალაში შესულიყო, ღრუბლები დუღილით დაეშრო და ლითონისფერი ცა გადაეკრიალებინა. კაფეში შევიდნენ და მარმარილოს მაგიდას მიუსხდნენ. უილიამ ფორესტერმა წერილი ამოიღო, წინ დაიდო, მაგრამ არ გაუხსნია.

მზის ყვითელი შუქით მოფენილ ბეტონის კედელს, მწვანე ტილოს ჩარდახებსა და კარს გვერდით მიმაგრებულ ოქროსფერ წარწერას გახედა,

შემდეგ კი კედლის კალენდარს მიუბრუნდა. 1928 წლის 27 აგვისტო. დააკვირდა თავის მაჯის საათს და გულისცემის შენელება იგრძნო. წამების ისარი ძალიან ნელა მოძრაობდა, თითქმის უძრავად იყო, კალენდარიც ერთადერთ დღეზე გაყინულიყო და ეს დღე მარადისობას უდრიდა, მზე თითქოს ცაზე მიელურსმათ: სრულებით არ მიდიოდა დაისისკენ. თავზევით მოტრიალე ვენტილატორები თბილ ჰაერს აფრქვევდნენ. რამდენიმე ქალი სიცილით შეჩერდა კარში და მისი მზერის წინ ჩაიარა, მათ მიღმა, ქალაქისა და სასამართლოს მაღალი შენობის საათისთვის რომ მიეპყრო. კაცმა წერილი გახსნა და კითხვას შეუდგა.

ნელა დატრიალდა მბრუნავ სკამზე. რამდენჯერმე უხმოდ დააგემოვნა სიტყვები, ბოლოს კი ხმამაღლა გაიმეორა:

- ერთი ლაიმისა და ვანილის ნაყინი, - და ისევ გაიმეორა, - ერთი ლაიმისა და ვანილის ნაყინი.

* * *

დაგლასი, ტომი და ჩარლი ქოშინით მიუყვებოდნენ მზისგულზე გავარვარებულ ქუჩას.

- ტომ, გულახდილად მიპასუხე.

- რა გიპასუხო?

- რა იქნა ყველა ბედნიერი დასასრული?

- შაბათ დილის კინოსეანსზე ნახავ.

- ეგ ჰო, მაგრამ ცხოვრებაში?

- მხოლოდ ის ვიცი, რომ საღამოობით როცა ვწვები, კარგად ვარ, დაგ. აი, უკვე ყოველდღიური ჰეფი-ენდი. მეორე დილით ვდგები და შეიძლება საქმე ცუდადაც დატრიალდეს, მაგრამ საკმარისია, გავიხსენო, რომ იმ საღამოს საწოლში მყუდროდ ჩავღუღუნდები და ყველაფერი მავიწყდება.

- მე მისტერ ფორესტერსა და მოხუც მის ლუმისზე გელაპარაკები.

- ამ ამბავს ჩვენ ვერაფერს მოვუხერხებთ. ის მოკვდა.

- ვიცი, მაგრამ არ გეჩვენება, რომ იქ, ზევით, ვიღაცას რაღაც შეეშალა?

- იმას გულისხმობ, რომ ფორესტერს ეგონა, ქალი თავისი ფოტოსურათის ასაკისაა, ის კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მილიარდი წლისა იყო? არა, მე ვფიქრობ, ეს კარგია!

- კარგი როგორ არის, ბიჭო?

- ბოლო დღეებში მისტერ ფორესტერმა ცოტა-ცოტა მიამბო მის შესახებ და მთლიანობაში რომ წარმოვიდგინე ეს ამბავი, ბიჭოო, რამდენი

ვიღრიალე! თვითონაც არ ვიცი, რა მატირებდა. ჩემი ნება რომ იყოს, მაინც არაფერს შევცვლიდი. ყველაფერი სხვანაირად რომ მომხდარიყო, რაღა გვექნებოდა სალაპარაკო? არც არაფერი.

- ახლა გასაგებია.

- უბრალოდ, არ გინდა აღიარო, რომ შენც ხანდახან სიამოვნებით ტირი. ცოტას იტირებ და ყველაფერი ისევ კარგად არის. ესეც შენი კეთილი ბოლო. ისევ შეგიძლია გარეთ გახვიდე და ხალხს ელაპარაკო. და ამით დაიწყება რაღაც სრულიად ახალი: ღმერთმა იცის, რა! აწი მისტერ ფორესტერს ეს ყველაფერი დროდადრო რომ მოაგონდება, ისევ მიხვდება, რომ ეს ამბავი სხვანაირად ვერ მოხდებოდა, მერე ერთს კარგად წაუტირებს, გარშემო მიმოიხედავს და ნახავს, რომ ისევ გათენებულა, თუნდაც ამ დროს დღის ხუთი საათი იყოს.

- მერე ეგ რა ბედნიერი დასასრულია?

- კარგი გამოძინება ან ათწუთიანი ტირილი, ან ერთი კილოგრამი შოკოლადის ნაყინი, ანდა სამივე ერთად - მართლაც ყველაფრის წამალია, დაუჯერე ექიმ ტომ სპოლდინგს.

- მოკეტეთ, ბიჭებო, - შეაწყვეტინა ჩარლიმ, - თითქმის მივედით.

მოსახვევში შეუხვიეს.

შუა ზამთარში ყველგან ზაფხულის ნაკუწებსა და ნამცეცებს დაეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც საქვაბეებში ანდა საციგურაო მოედნის გვერდით საღამოობით დანთებულ კოცონში. ახლა კი, ზაფხულში, ბიჭები მივიწყებული ზამთრის რაიმე ნიშანწყლის, თუნდაც ციცქნა ნაგლეჯის საძებნელად გამოსულიყვნენ.

კუთხეს შემოუხვიეს თუ არა, აგურის მაღალმა შენობამ სამივე თითქოს გაბმული შხაპუნა წვიმით გააგრილაო, ეს მაშინ იგრძნეს, როდესაც წაიკითხეს წარწერა, ისედაც ზეპირად რომ იცოდნენ და სწორედ იმას რომ ნიშნავდა, რასაც ეძებდნენ:

ზაფხულის ყინულის სახლი.

ზაფხულის ყინულის სახლი აგვისტოს ცხელ დღეს! სიცილით წარმოთქვეს ეს სიტყვები და შეიხედეს ამ გამაგრილებელ მღვიმეში, სადაც იანვრის გარდასულ, მაგრამ არდავიწყებულ თოვლს ამიაკისებრ კვამლში გახვეულ ორმოცდაათ, ას და ორასგირვანქიან ლოდებად, მყინვარებად, აისბერგებად ეძინა ანდა კრისტალურ ცრემლებად იღვენთებოდა.

- გრძნობთ, რა მაგარია? - ამოიკვნესა ჩარლიმ, - ამაზე მეტი რაღა უნდა ინატრო?

მართლაც, კაშკაშა დღის შუაგულში იდგნენ და სახეზე კვლავაც და კვლავაც ზამთრის სუნთქვა ეფრქვეოდათ, იდგნენ და ისრუტავდნენ ხის სველი იატაკის სუნს, რომლის თავზეც გამყინავი მექანიზმიდან შეუჩერებლად იღვრებოდა ცისარტყელას ფერადი, მოციმციმე ნისლი.

ყინულის ლოლუებს აკნატუნებდნენ. ისე გაეთოშათ თითები, რომ ლოლუები ცხვირსახოცებში გაახვიეს.

- რა კვამლია, რა ბურუსი, - ჩურჩულებდა ტომი, - თოვლის დედოფალი. გახსოვთ ეს ზღაპარი? ახლა თოვლის დედოფლებისა და ასეთი რამეების აღარავის სჯერა, ჰოდა, არ გაგიკვირდეთ, თუ აღმოჩნდა, რომ სწორედ აქ დაიმალა, იმიტომ, რომ მისი არსებობა აღარავის სწამს.

ბიჭებმა შიგნით შეიხედეს და დაინახეს, როგორ ამოდიოდა და მოირწეოდა ჰაერში ცივი კვამლის გრძელი,თეთრი ლანდები.

- არა, - თქვა ჩარლიმ, - იცით, აქ ვინ ცხოვრობს? - ერთადერთი ვინმე. ის, ვის ხსენებაზეც კი გბურძგლავს და ტანში ცივი ჟრუანტელი გივლის, - ჩარლიმ ხმას დაუწია, - მარტოხელა მკვლელი.

- მარტოხელა მკვლელი?

- აი, ვინ დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს კიდეც აქ! ამ ზამთარში, ტომ, ამ ყინვაში, დაგ! აბა, მეტი საიდან უნდა გაჩენილიყო ის, ვისი წყალობითაც ყველაზე ცხელ ღამეებშიც კი გვაკანკალებს? დაყნოსეთ, სწორედ მისი სუნი არ ტრიალებს? თქვენც კარგად იცით, რომ ასეა. მარტოხელა მკვლელი... მარტოხელა მკვლელი...

სიბნელეში რძისფერი კვამლი იკლაკნებოდა.

ტომმა შეჰკივლა.

- არაფერია, დაგ, - ჩაიცინა ჩარლიმ, - უბრალოდ, ტომს კისერში ყინულის პაწაწინა ნატეხი ჩავუგდე. ეს არის და ეს.

* * *

სასამართლოს შენობიდან შვიდჯერ გაისმა საათის მელოდია და მისი ექო თანდათან შეწყდა.

ზაფხულის თბილი ბინდი ჩამოწვა ზემო ილინოისის ამ პატარა, მიყრუებულ ქალაქზე, სამყაროსგან ოთხივე მხრიდან მდინარით, ტყით, მინდვრებითა და ტბით რომ იყო იზოლირებული. მისი ტროტუარები პაპანაქება სიცხეს დაეხეთქა. მაღაზიები თანდათან დაიკეტა და ქუჩებიც დაბნელდა. ქალაქს ორი მთვარე დაჰნათოდა; პირველი, საათი-მთვარე, ოთხ მხარეს უშვერდა თავის ოთხ ციფერბლატ-სახეს სასამართლოს სოლიდური შავი

შენობის თავზე, ხოლო მეორე, ნამდვილი მთვარე, ვანილის ქათქათა სამოსში გახვეული, აღმოსავლეთის წყვდიადიდან ამოდიოდა.

სანაყინეს მაღალ ჭერქვეშ ვენტილატორი ზუზუნებდა. როკოკოს ჩუქურთმებით დამშვენებული პარმაღების ჩრდილში აქა-იქ სახლის უჩინარი ბინადარი იჯდა. მხოლოდ სიგარეტის ვარდისფერი ნაპერწკალი თუ გაიელვებდა ხანდახან. მინის შემოსასვლელი კარი მჭახე ხმით დასტიროდა თავის გარდასულ გაზაფხულებს და ბრაგვანით იხურებოდა. ზაფხულის მწუხრში გახვეულ, მეწამული აგურით მოკირწყლულ ქუჩებში დაგლას სპოლდინგი გარბოდა. უკან ძაღლები და ბიჭები მისდევდნენ.

- გამარჯობა, მის ლავინია!

ბიჭებმა ჩაიქროლეს. ლავინია ნებსმა უშფოთველად დაუქნია ხელი. მარტოდმარტო იჯდა და ქათქათა ხელში ლითონის მაღალი, გრილი ჭიქა ეჭირა, რომელიც ნელა მიჰქონდა ტუჩებთან, ცოტ-ცოტას წრუპავდა და იცდიდა.

- აი, მეც მოვედი, ლავინია.

ძახილზე მიბრუნებულმა კიბის ძირას ფრენსინი დაინახა, თოვლივით თეთრ კაბაში... სურნელში გახვეული.

ლავინია ნებსმა სახლის კარი გადაკეტა, ლიმონათის სანახევროდ დაცლილი ჭიქა პარმაღზე დატოვა და კიბეს ჩაუყვა.

- მშვენიერი საღამოა კინოში წასასვლელად.

ორივენი ქუჩას გაუყვნენ.

- საით მისეირნობთ, გოგონებო? - ქუჩის მეორე მხრიდან, თავიანთი პარმაღიდან გამოსძახეს მის ფერნმა და მის რობერტამ.

ლავინია სიბნელის ხავერდოვანი ოკეანის წიაღიდან გამოეხმაურა.

- „ელიტ-თეატრში“, ჩარლი ჩაპლინის სანახავად.

- ასეთ საღამოს გარეთ რა გამიყვანს, - ავიშვიშდა მის ფერნი, - მარტოხელა მკვლელი ისევ ქალებს უსაფრდება და ახრჩობს. ლამის თოფი დავტენოთ და საკუჭნაოში შევიკეტოთ.

- რა სისულელეა! - ლავინიამ გაიგონა, როგორ მიაბრახუნეს და ჩარაზეს კარი მოხუცმა ქალებმა, თვითონ კი ისევ განაგრძო გზა.

ზაფხულის ქურაში გამომდნარი ქვაფენილი სიცხეს ასხივებდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ახალგამომცხვარი თბილ-თბილი პურის ხრაშუნა ქერქზე დააბიჯებდა. გავარვარებული ჰაერი მისი კიბის ქვეშ, ფეხების გასწვრივ პულსირებდა, თითქოს ფარულად, მაგრამ ჯიუტად ეპარებოდა, რაც უსიამოვნო სულაც არ იყო.

- ლავინია, ხომ არ გჯერა იმის, რასაც მარტოხელა მკვლელზე ამბობენ?

- ამ ქალებს ოღონდაც საბაბი მიეცი და ენას საერთოდ არ გააჩერებენ.

- ჰო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჰეტი მაკდოლისი ორი თვის წინ მოკლეს, რობერტა ფერი - გასულ თვეში, ახლა კი ელიზაბეთ რემსელიც გაქრა.

- ჰეტი მაკდოლისი თავქარიანი ქალი იყო, დარწმუნებული ვარ, მოგზაურ კომერსანტთან ერთად გაიპარა.

- სხვებს რაღას უშვრები? ყველანი დამხრჩვალი იპოვეს. ამბობენ, ყველას ენა ჰქონდა პირიდან გადმოგდებულიო.

იმ ხევის პირას იდგნენ, ქალაქს ორად რომ ყოფდა. ზურგს უკან განათებული სახლები და მუსიკა მოიტოვეს, წინ სიღრმე, სინოტივე, ციცინათელები და წყვდიადი ელოდათ.

- იქნებ ამაღამ არ ღირდეს კინოსეანსზე წასვლა? - გაუბედავად წარმოთქვა ფრენსინმა, - ხომ შეიძლება, მარტოხელა მკვლელი გამოგვეკიდოს და დაგვხოცოს? ეს ხევი მაშინებს. შეხედე, როგორია!

ლავინიამაც შეხედა და აღიარა, რომ ხევი დღედაღამ შეუჩერებლად მომუშავე ძრავას ჰგავდა; მასში გამუდმებით იძვროდა და ყრუდ გუგუნებდა ცხოველთა, მწერთა და მცენარეთა ურიცხვი სიცოცხლე. მისი სიღრმიდან სათბურის სუნი ამოდიოდა: მიწის უხილავი ოხშივრისა და ნაკადულების წყლებით გადანარეცხი ისტორიამდელი ქვიშის სურნელი. შავი ძრავა უწყვეტად გუგუნებდა და დროდადრო ციცინათელების ნაპერწკლებს ისროდა ჰაერში.

- მე კი არ მომიწევს ამაღამ, გვიან ღამით, ამ ხევზე გადასვლა; არა, ლავინია, ეს შენ უნდა ჩაიარო საფეხურებზე, ხიდზე, სადაც ვინ იცის, შეიძლება მარტოხელა მკვლელიც იყოს ჩასაფრებული.

- სისულელეა! - თავი გააქნია ლავინია ნებსმა.

- დაფიქრდი, შენ მოგიწევს ბილიკზე მარტოდმარტო გავლა და საკუთარი ნაბიჯებისთვის მიყურადება. მარტო მოგიწევს შინ დაბრუნება. ლავინია, როგორ ცხოვრობ მაგ სახლში სულ მარტო?

- შინაბერა ქალები ვერავის ეგუებიან, - ლავინიამ თითი იმ ბილიკისაკენ გაიშვირა, რომელიც ცხელ წყვდიადში იკარგებოდა, - მოდი, მოკლეზე მოვჭრათ.

- მეშინია!

- ჯერ ხომ ადრეა. მარტოხელა მხოლოდ გვიან ღამით გამოდის, - ლავინიამ მეგობარს ხელკავი გაუკეთა და მასთან ერთად ჩაუყვა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს, ბაყაყების ყიყინითა და კალიების უფაქიზესი ზრიალით სავსე სიჩუმეში. მშრალი ბალახი ფეხებზე ედებოდათ, შიშველ კოჭებზე ეკლების ჩხვლეტას გრძნობდნენ.

- მოდი, გავიქცეთ! - შეჰკივლა ფრენსინმა.

- არა!

ბილიკმა მოულოდნელად მოუხვია და... იქ დახვდათ.

ამ მრავალმხრივ უძირო ღამეში, თბილი ხეების ჩრდილში, თითქოს ამ ლბილ ვარსკვლავებქვეშ წამოწვა და ნაზი ნიავით ტკბებაო, მსუბუქი ხომალდის ნიჩბებივით გაშლილი მკლავებით იწვა ელიზაბეთ რემსელი!

ფრენსინმა დაიკივლა.

- ნუ ყვირი! - ლავინიამ ხელები ფრენსინისკენ გაიშვირა. ფრენსინს ქვითინი ახრჩობდა, - ნუ! ნუ!

ქალი ისე იწვა, თითქოს წყლის ზედაპირზე ტივტივებსო, სახეზე მთვარის შუქი ეფინებოდა, თვალები ფართოდ გახელილი და თითქოს კაჟისა ჰქონდა. ენა პირიდან გადმოვარდნოდა.

- მკვდარია! - ქვითინებდა ფრენსინი, - ოო, მკვდარია! მკვდარი!

ლავინია მილიარდობით თბილი ჩრდილის გარემოცვაში, კალიებისა და ბაყაყების ყაყანში გაქვავებულიყო.

- პოლიციას უნდა შევატყობინოთ! - როგორც იქნა, გამოერკვა ლავინია.

* * *

- მომეხვიე, ლავინია, გთხოვ, მომეხვიე, მაჟრჟოლებს. ოჰ, ასეთი სიცივე ცხოვრებაში არ მიგრძნია!

ლავინიამ ფრენსინი გულში ჩაიკრა, პოლიციელები ხრაშუნა ბალახს ჩხრეკდნენ, პროჟექტორები სერავდნენ ღამეს და ხმები ერთმანეთში ირეოდა. ცხრის ნახევარი გამხდარიყო.

- გეგონება, დეკემბერიაო. ნეტავ ახლა სვიტრი მეცვას, - თვალდახუჭული ჩურჩულებდა ფრენსინი და უფრო მაგრად ეკვროდა ლავინიას.

პოლიციელმა უთხრა:

- ვფიქრობ, ახლა შეგიძლიათ წაბრძანდეთ, ქალბატონებო. ხვალ, თუ არ შეწუხდებით, განყოფილებაში შემოიარეთ, კიდევ რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ.

ლავინია და ფრენსინი ბარბაცით გაშორდნენ პოლიციელებსა და ტილოგადაფარებულ იმ ფაქიზ საგანს, ხევის ბალახზე რომ ესვენა.

ლავინიას საკუთარი სხეულის შიგნით ყურისწამღები გულისცემა ესმოდა და თვითონაც თებერვლის ყინვისაგან ითოშებოდა; მთელ სხეულზე თითქოს თოვლის ფანტელები ეფრქვეოდა, თლილი თითები მთვარის შუქზე კიდევ უფრო უქათქათებდა. მოაგონდა, რომ პოლიციელთა შეკითხვებს სულ

თვითონ პასუხობდა, ფრენსინი კი მხოლოდ მის მკერდს ეკვროდა და ქვითინებდა.

შორიდან გამოსძახეს:

- ხომ არ გაგაცილოთ, ქალბატონებო?

- არა, გმადლობთ, - უპასუხა ლავინიამ ამ უსხეულო ხმას და ორივემ გზა განაგრძო. ჩურჩულითა და სისინით, შრიალითა და ტკაცანით სავსე ხევში მიაბიჯებდნენ და მათ ზურგს უკან მიტოვებული გამოძიების სამყარო თანდათან სულ უფრო უსუსური ჩანდა, მისი ხმები და სინათლეები წყვდიადის ოკეანეში სულ უფრო ილეოდა.

- მიცვალებული აქამდე არასოდეს მინახავს, - თქვა ფრენსინმა.

ლავინიამ ისე დახედა თავის მაჯის საათს, თითქოს ის უსასრულოდ შორს, ვიღაც უცხოს მაჯაზე შებმული უცხო საგანი ყოფილიყო.

- ჯერ მხოლოდ ცხრის ნახევარია. შეგვიძლია ელენს გავუაროთ და კინოსეანსსაც მივუსწროთ.

- კინოსეანსს?! - ფრენსინმა მისი მკლავებიდან გაითავისუფლა თავი.

- ახლა სწორედ ეს გვჭირდება გულის გადასაყოლებლად. ასეთი რამ უნდა დაივიწყო. ახლა შინ რომ წავიდეთ, სამუდამოდ დაგვამახსოვრდება. კინოში უნდა წავიდეთ, ვითომ არც არაფერი მომხდარა.

- ლავინია, ამას სერიოზულად ამბობ?

- ასე სერიოზული არასდროს ვყოფილვარ. ახლა სიცილი და თავდავიწყება გვჭირდება.

- კი მაგრამ, ელიზაბეთი აქ წევს... შენი და ჩემი მეგობარი...

- მას ვეღარაფერს ვუშველით. მხოლოდ საკუთარ თავს შეიძლება ვუშველოთ. წამოდი.

ქალები ხევის გასწვრივ ქვით მოპირკეთებულ ბილიკს გაუყვნენ. მოულოდნელად წინ ვიღაც დახვდათ: დაგლას სპოლდინგი სრულიად უძრავად იდგა, მათ ვერ ამჩნევდა, რადგან თვალს ვერ სწყვეტდა ქვევით მოფუსფუსე სინათლეებსა და ზეწარგადაფარებულ ცხედარს და პოლიციის თანამშრომლების ხმებს უსმენდა.

ბიჭი მთვარის შუქზე სოკოსავით ფითრისფერი ჩანდა, მკლავები ჩამოეშვა და მონუსხული ჩაჰყურებდა ხევს.

- შინ წადი! - დაუყვირა ფრენსინმა.

ბიჭმა ვერ გაიგონა.

- ეი, შენ! - არ ცხრებოდა ფრენსინი, - წადი შინ, ამ ადგილს გაეცალე, გესმის, ბიჭო? წადი სახლში!

დაგლასი შეკრთა, თავი მათკენ მიაბრუნა და ისე გამოხედა, თითქოს მათ მიღმა სიცარიელეს აშტერდებოდა. ტუჩები აამოძრავა და კიკინისმაგვარი ბგერები ამოუშვა. შემდეგ უხმოდ შეტრიალდა და გაიქცა. ხმის ამოუღებლად აირბინა აღმართი და თბილ წყვდიადში გაუჩინარდა.

ფრენსინს კვლავ ქვითინი აუვარდა, ტიროდა და თან ლავინია ნებსთან ერთად გზას განაგრძობდა.

* * *

- სად ხართ ამდენ ხანს, ქალბატონებო? უკვე აღარ მეგონა, თუ მოხვიდოდით! - ელენ გრიერი უკმაყოფილოდ აბაკუნებდა ფეხებს თავისი კიბის თავზე, - მხოლოდ ერთი საათით დაიგვიანეთ, სულ ეს არის. რამე მოხდა?

- ჩვენ... - დაიწყო ფრენსინმა.

ლავინიამ მკლავზე მაგრად მოუჭირა ხელი.

- გზაზე დიდი აურზაური იყო, ვიღაცას ხევში ელიზაბეთ რემსელი უპოვია.

- მკვდარი? მ...მ...ოკლეს?

- ვინ იპოვა?

ლავინია ფრენსინის მაჯას ჩააფრინდა.

- არ ვიცით.

სამი ქალი ზაფხულის ღამეში იდგა და ერთურთს მისჩერებოდა.

- ყველაზე მეტად ახლა შინ შესვლა და კარის ყველა საკეტით ჩარაზვა მინდა, - როგორც იქნა, ამოთქვა ელენმა.

მაგრამ, საბოლოოდ, მაინც შებრუნდა შინ ჟაკეტისათვის, რადგან, სიცხის მიუხედავად, მანაც ერთბაშად ზამთრის ღამის სუსხი შეიგრძნო. ვიდრე გამოვიდოდა, ფრენსინმა შეშლილი სახით ჩასჩურჩულა მეგობარს:

- რატომ არ უთხარი?

- ტყუილად რისთვის ავაფორიაქოთ? - უპასუხა ლავინიამ, - ხვალ ვეტყვით. ხვალ ხომ უამრავი დრო გვექნება.

ქალები ქუჩაში გამოვიდნენ და ბნელ ხეივანში, უეცრად ჩარაზული სახლების გასწვრივ ჩაიარეს. ახალ ამბავს ხევიდან ელვისებურად ამოუღწევია და სახლიდან სახლში, პარმაღიდან პარმაღზე, ტელეფონის ერთი ხაზიდან მეორეზე გავრცელებულა. სამი მეგობარი გრძნობდა ფარდაჩამოშვებული ფანჯრებიდან მათკენ მომართულ იჭვნეულ მზერებს და საკეტების ტკაცანიც ესმოდა. რა გამაოგნებლად იცვალა სახე ვანილისა და „ესკიმოს“ ცივი სიტკბოთი გაჟღენთილმა, ბავშვების ჟრიამულით სავსე ღამემ, როდესაც

ყველა ბავშვი ერთბაშად შინ შეყარეს და ხისა და მინის მიღმა გამოამწყვდიეს; მხოლოდ ნაყინი შემორჩენილიყო მარწყვისა და ლაიმის მდნარ გროვებად, აქა-იქ, სადაც ბავშვებს თამაში შეაწყვეტინეს. ჭეშმარიტად უცნაური იყო ბრინჯაოს ურდულებსა და საკეტებს მიღმა დახშული ოთახები, სადაც ოფლში გაწურული ადამიანები იგუდებოდნენ. ფეხით გაუთელავ მოლზე ბეისბოლის ბიტები და ბურთები ეყარა. ცარცით სანახევროდ დახაზულ და მიტოვებულ კლასობანას უჯრედებს მდუღარე ქვაფენილზე ორთქლი ასდიოდა.

- ნამდვილად გავგიჟდით, ასეთ ღამეში გარეთ რომ გავდივართ, - თქვა ელენმა.

- მარტოხელა მკვლელი სამ ქალს არ გაეკარება, - მიუგო ლავინიამ, - ჩვენი უსაფრთხოება ჩვენს სიმრავლეშია, თანაც, ასე სწრაფად თავს აღარავის დაესხმება. მკვლელობები მუდამ ერთი თვის შუალედით ხდება.

მათ შეშინებულ სახეებს ვიღაცის ჩრდილი გადაეფარა. ხის უკან ბუნდოვანი ფიგურა დალანდეს. თითქოს ვიღაცამ უხეშად ჩასცხო მუშტი ორგანის კლავიშებსო, ისე დაიკივლა სამივე ქალმა სხვადასხვა ხმაზე.

- ჩემს ხელთა ხართ! - დაიღრიალა უცნობმა მამაკაცმა და მკლავები მათკენ გამოიწვდინა. სინათლის არეში რომ მოექცა, სიცილი დაიწყო. ზურგით ხეს მიეყრდნო, ქალებისკენ თითი გაიშვირა და კვლავ გაიცინა.

- სალამი! მარტოხელა მკვლელი ვარ! - ეს ფრენკ დილონი იყო.

- ფრენკ დილონ!

- ფრენკ!

- ფრენკ, - მიმართა ლავინიამ, - ასეთი ბავშვური გამოხდომისთვის ღირსი ხარ, რევოლვერის მთელი მჭიდი დაგაცალონ!

- ეს რა ხუმრობაა!

ფრენსინმა ისტერიკული ტირილი მორთო.

ფრენკ დილონს ღიმილი სახეზე შეეყინა.

- კარგი, კარგი, ბოდიშს ვიხდი.

- მოგვცილდი! - უთხრა ლავინიამ, - არ გაგიგია, ელიზაბეთ რემსელი ხევში მკვდარი რომ იპოვეს? შენ კიდევ დარბიხარ და ქალებს გულს უხეთქავ! ხმა აღარ გაგვცე!

- ოჰ, მართლა, მე არ...

ქალებმა გზა განაგრძეს. ფრენკი უკან გაედევნა.

- სჯობს აქვე დარჩე, მისტერ მარტოხელა მკვლელო, და საკუთარი თავი შეაშინე. წადი, ელიზაბეთ რემსელის სახეს შეხედე და ნახე, როგორი სასაცილოა. ღამე მშვიდობისა! - ლავინიამ მეგობრებს ხელი ჩასჭიდა და

ვარსკვლავებით განათებულ ხეივანს გაუყვა. ფრენსინი მაგრად იკრავდა თვალებზე ცხვირსახოცს.

- ფრენსინ, ეს უბრალოდ ხუმრობა იყო, - ელენი ლავინიას მიუბრუნდა, - ასე რატომ ტირის?

- გეტყვით, როცა ქალაქის ცენტრში ვიქნებით. რაც უნდა მოხდეს, სეანსს უნდა მივუსწროთ! კმარა. აბა, ფული მოამზადეთ, თითქმის მივედით!

* * *

სანაყინე ბლანტი ჰაერის ტბორად გადაქცეულიყო, რომელსაც უზარმაზარი ხის ვენტილატორები ამღვრევდნენ და ტონიკის, არნიკის, სოდიანი ვისკის სურნელით გაჟღენთილ ნაკადებად უშვებდნენ ქუჩის ქვაფენილზე.

- ხუთი ცენტის პიტნის მწვანე კანფეტი მომეცით, - მიმართა ლავინიამ კაფეს მეპატრონეს. ამ კაცის სახე ისეთივე გაქვავებული და ფერმკრთალი ეჩვენა, როგორიც ყველასი, ვინც კი ამ საღამოს დაცარიელებულ ქალაქში შემოხვდათ, - კინოსეანსის დროს მივირთვათ, - შენიშნა ლავინიამ, ვიდრე კაცი ვერცხლისფერი ნიჩბით სასწორზე ხუთი ცენტის კანფეტს დაყრიდა.

- ამ საღამოს ძალიან კოხტად გამოიყურებით, ქალბატონებო. მის ლავინია, დღეს შოკოლადის კოქტეილისათვის რომ შემოიარეთ, ისეთი მომხიბლავი ბრძანდებოდით, ისეთი წარმტაცი, რომ ერთმა ადამიანმა თქვენ შესახებ გამომკითხა კიდეც.

- მართლა?

- ბართან ერთი ბატონი იჯდა, რომ გაბრძანდით, თვალი გაგაყოლათ, მერე კი მკითხა, ეს ვინ არისო. როგორ თუ ვინ, მის ლავინია ნებსი, ჩვენი ქალაქის ყველაზე მომხიბლავი გასათხოვარი ქალბატონი-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც მშვენიერიაო, ასე მითხრა და მკითხა, სად ცხოვრობსო, - ამის შემდეგ კაფეს მეპატრონე უხერხულად დადუმდა.

- მერე, - აღელდა ფრენსინი, - იმედია, უცნობისათვის მისი მისამართი არ გითქვამთ? ხომ არ გითქვამთ?

- იცით, იმწუთას არაფერზე დავფიქრებულვარ, სხვათა შორის შევნიშნე, პარკ-სტრიტზე, ხევის გაყოლებაზე-მეთქი, მაგრამ ახლა, წუთის წინ რომ გავიგე, თურმე გვამი უპოვიათ, გავიფიქრე, ეს რა ჩავიდინე-მეთქი, - კაცმა ლავინიას მოსალოდნელზე უფრო მძიმე შეკრულა მიაწოდა.

- თქვე სულელო! - შეჰყვირა ფრენსინმა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

- ვწუხვარ, თუმცა, იქნებ სანერვიულო არაფერია.

ლავინია სამი ადამიანის დაჟინებული მზერის შუაგულში იდგა და სრულებით არაფერს გრძნობდა, მღელვარებისაგან ყელში სულ ოდნავი ჩხვლეტის გარდა. კაცს მექანიკურად გაუწოდა ხურდა ფული.

- ამ კანფეტის საფასურს არ გამოგართმევთ, - უპასუხა გამყიდველმა და შესაფუთი ქაღალდის დასტას მიუბრუნდა.

- ახლა მე ვიცი, რასაც გავაკეთებ! - ელენი სწრაფი ნაბიჯით გავიდა სანაყინედან, - ამ წუთსავე ვიძახებ ტაქსის და ყველანი შინ ვბრუნდებით! არ ვაპირებ, შენს მდევარს ხელი შევუწყო. ლავინია, არა მგონია, იმ კაცს, შენ რომ გიკითხა, კეთილი ზრახვა ამოძრავებდეს. ხომ არ გსურს, შემდეგში შენ გიპოვონ ხევში მკვდარი?

- ჩვეულებრივი კაცი იქნებოდა, - ლავინია ნელა შემობრუნდა ქუსლებზე და ქალაქს გახედა.

- ჰო, ფრენკ დილონიც ჩვეულებრივი კაცია, მაგრამ ვინ დაიფიცებს, რომ სწორედ ის არ არის მარტოხელა მკვლელი?

ახლაღა შენიშნეს, რომ ფრენსინი არ გამოჰყოლიათ, შებრუნდნენ და პირისპირ შეეჩეხნენ მას.

- გამყიდველს იმ კაცის გარეგნობა აღვაწერინე. აქაური არ ყოფილა, ვიღაც უცხოა, - მოახსენა ფრენსინმა მეგობრებს, - მუქი კოსტიუმი ეცვა, ფერმკრთალი და გამხდარი იყოო.

- ყველანი აღელვებულები ვართ, - თქვა ლავინიამ, - ტაქსის რომ გამოვუძახოთ, მე მაინც არ ჩავჯდები. თუკი მაინცდამაინც მე უნდა გავხდე შემდეგი მსხვერპლი, დაე, ასე იყოს. ცხოვრება მეტისმეტად მოსაწყენია, განსაკუთრებით ოცდაცამეტი წლის შინაბერასათვის, და ნუ გამიწყრებით, თუკი ამ მღელვარების სრულად დაგემოვნებას ვცდილობ. რაც უნდა იყოს, ყველაფერი სისულელეა, მე არა ვარ ლამაზი.

- როგორ არა ხარ, ლავინია! ქალაქში ულამაზესი ხარ, მას შემდეგ, რაც ელიზაბეთი... - ფრენსინს ხმა ჩაუწყდა, - მამაკაცებთან თავი ასე მკაცრად რომ არ გეჭიროს, დიდი ხანია, გათხოვილი იქნებოდი!

- მორჩი თვალთმაქცობას, ფრენსინ! აგერ, კინოთეატრის სალაროც, მე ვიხდი ორმოცდაერთ ცენტს, რათა ჩარლი ჩაპლინი ვნახო, თქვენ კი, ქალბატონებო, თუკი ტაქსი გჭირდებათ, კარგად ბრძანდებოდეთ. კინოშიც მარტო ვივლი და შინაც მარტო დავბრუნდები.

- ლავინია, ხომ არ გაგიჟებულხარ? ამის უფლებას ვერ მოგცემთ!

სამივენი კინოთეატრში შევიდნენ.

პირველი ნაწილი უკვე დასრულებულიყო, შესვენებას მიუსწრეს. მქრქალად განათებული დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ქალები შუა რიგში

დასხდნენ და ძველისძველი, გაპრიალებული სპილენძის სუნი შეიყნოსეს. კინოთეატრის დირექტორმა გაცრეცილი წითელი ხავერდის ფარდა გადასწია და განცხადების გასაკეთებლად სცენაზე გადმოაბიჯა.

- პოლიციამ მიგვითითა, ამაღამ ადრე დავასრულოთ სეანსი, რათა ყველამ შეძლოს შინ გვიანობამდე დაბრუნება. ამიტომაც მოკლე კინოფირებს აღარ გიჩვენებთ და დაუყოვნებლივ გადავალთ მთავარ ჩვენებაზე. სეანსი თერთმეტ საათზე დასრულდება. ყველას გთხოვთ, პირდაპირ შინ დაბრუნდეთ და ქუჩებში არ შეყოვნდეთ.

- ეს უპირველესად ჩვენ გვეხება, ლავინია! - გადაულაპარაკა ფრენსინმა მეგობარს.

სინათლე ჩაქრა და ეკრანი გაცოცხლდა.

- ლავინია, - აჩურჩულდა ელენი.

- რა მოხდა?

- როდესაც აქ შემოვდიოდით, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარი მუქ-კოსტიუმიანი მამაკაცი ფეხდაფეხ გამოგვყვა, შემოვიდა და ახლა ჩვენ უკანა რიგში ზის.

- ოჰ, კარგი, ელენ!

- რაო, ჩვენ უკან?

სამივე ქალი რიგრიგობით შეტრიალდა.

ცისფერი ეკრანის მოციმციმე უკეთური შუქით განათებული ფერმკრთალი სახე დაინახეს, ნებისმიერი მამაკაცის წყვდიადში გამკრთალ სახეს რომ წააგავდა.

- ახლავე დირექტორს დავუძახებ! - ელენი უკვე რიგებს შორის გასასვლელში გარბოდა, - შეაჩერეთ ფილმი! შუქი აანთეთ!

- ელენ, დაბრუნდი! - დაუძახა ფეხზე წამომდგარმა ლავინიამ.

გაზიანი წყლის ცარიელი ჭიქები მაგიდაზე წკრიალით დადგეს. სამივეს ზედა ტუჩს ვანილის ნაყინის თეთრი ულვაში უმშვენებდა, რომელსაც სიცილით ილოკავდნენ.

- ხედავ, რა სისულელე გამოდგა? - თქვა ლავინიამ, - სულ ტყუილუბრალოდ ატეხე ალიაქოთი. რა უხერხულია.

- ძალიან ვწუხვარ, - თქვა ძლივს გასაგონად ელენმა.

საათი თორმეტის ნახევარს აჩვენებდა. საჩქაროდ გამოვიდნენ ჩაბნელებული კინოთეატრიდან, ხალხის ჩოჩქოლს გაერიდნენ. ყველანიშინ მიიჩქაროდნენ, თან გზადაგზა ელენს დასცინოდნენ. ახლა თვითონაც ცდილობდა საკუთარი საქციელის მასხრად აგდებას.

- ელენ, რიგებს შორის რომ ირბინე და შუქი აანთეთო, დაიძახე, მეგონა, სირცხვილით მოვკვდებოდი! საბრალო კაცი!

- კინოთეატრის დირექტორის რასინელი ძმა არ ყოფილა?!

- ბოდიში ხომ მოვუხადე, - ჩაილაპარაკა ელენმა და ჭერქვეშ შეუჩერებლად მოტრიალე ვენტილატორებს ახედა, კვლავაც და კვლავაც რომ აზავებდა ღამის თბილ ჰაერს ვანილის, პიტნის, ჟოლოსა და ლიზოლის[31] სურნელით.

- ამ მინერალური წლის დასალევად სულ ტყუილად შევყოვნდით, პოლიციამ ხომ გაგვაფრთხილა...

- ოჰ, პოლიცია, - გაეცინა ლავინიას, - მე არაფრის არ მეშინია. მარტოხელა მკვლელი ახლა მილიონი კილომეტრის მოშორებითაა. აქ რამდენიმე კვირას აღარ დაბრუნდება, მერე კი პოლიცია აუცილებლად დაიჭერს, აი, ნახავთ, თუ არა! ხომ მშვენიერი ფილმი იყო?

- კაფე იკეტება, ქალბატონებო, - თქვა მეპატრონემ და თეთრი ფილებით მოპირკეთებულ გრილ სიჩუმეში შუქი ჩააქრო.

ქუჩები ერთიანად მოსუფთავებული დახვდათ: არც ადამიანები ჩანდნენ, არც მანქანები, არც ურიკები.

მაღაზიების პატარა ვიტრინებში კაშკაშა სინათლეები ენთო და ცვილის მანეკენებს ცისფრად და თეთრად მობდღვრიალე ბრილიანტისბეჭდებიანი ხელები აეწიათ, ანდა მაღალი წინდების გამოსაჩენად გადაპრანჭულად გამოეშვირათ ნარინჯისფერი ცვილის ფეხები. ცისფერ შუშის თვალებს აყოლებდნენ ცარიელ ქუჩაში გამოსულ ქალებს, რომელთა ანარეკლებიც ვიტრინებში სწრაფი ნაკადის მოცახცახე ყვავილებივით ლივლივებდა.

- როგორ ფიქრობთ, რომ დავიყვიროთ, რამეს მოიმოქმედებენ?

- ვინ?

- მანეკენები, ვიტრინის ადამიანები.

- კარგი რა, ფრენსინ.

- ჰო, კარგი.

ვიტრინებში ათასობით ადამიანი იდგა მდუმარედ, გაშეშებული, და მხოლოდ სამი ადამიანი მიდიოდა ქუჩაში, გავარვარებულ ქვაფენილზე მათი ქუსლების ბაკუნი მოპირდაპირე მხარის კედლებიდან გასროლის ხმის მსგავს ექოს გამოსცემდა.

წითელი ნეონის წარწერა მქრქალად ციმციმებდა და ახლოს რომ ჩაუარეს, მომაკვდავი მწერის ბზუილით გააცილა სამივე.

---

[31] *ლიზოლი - სადეზინფექციო საშუალება.*

მათ წინ სიცხისაგან დამწვარი თეთრი ხეივნები გადაშლილიყო. ვეება ხეები, ქარი მხოლოდ მაღალ კენწეროებს რომ უმოძრავებდა, ორი მხრიდან შრიალით დასდგომოდნენ თავს სამ პატარა ქალს. სასამართლოს სახურავიდან რომ გამოგეხედათ, ნარშავას სამ ყვავილს მოგაგონებდნენ.

- ჯერ შენ უნდა მიგაცილოთ, ფრენსინ.

- არა, პირიქით, მე გაგაცილებთ.

- გონს მოდი. შენ ხომ იმსიშორეზე, ელექტრიკ-პარკის[32] გვერდით ცხოვრობ. მე რომ მიმაცილო, ხევის გავლით სულ მარტოს მოგიწევს შინ დაბრუნება და ზედ ფოთოლიც რომ დაგეცეს, შიშისაგან გული გაგისკდება.

ფრენსინი არ დაიბნა:

- ამაღამ შენთან დავრჩები. ჩვენ შორის ყველაზე ლამაზი ხომ შენ ხარ!

ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე განაგრძეს სვლა, სამი ზრდილი, მედიდური ლანდივით მიცურავდნენ ბალახისა და ცემენტის ამ ოკეანეში; ლავინია თვალს აყოლებდა ორივე მხარეს ჩამწკრივებულ შავ ხეებს, ყურს უგდებდა მეგობრების ჩურჩულსა და ნაძალადევ სიცილს. ღამემ თითქოს მსვლელობას დაუჩქარაო: თუმცა, ნელა მიაბიჯებდნენ, მაინც ეჩვენებოდა, რომ გარბოდნენ, ყველაფერი დაჩქარებულიყო და ყველაფერს ცხელი თოვლის ფერი ედო.

- მოდი, ვიმღეროთ, - შესთავაზა მეგობრებს ლავინიამ.

სამივენი ამღერდნენ:

- „ანათე, ანათე, თიბათვის მთვარევ...“

სიმღერა ტკბილი და მშვიდი იყო, მკლავები ერთურთს გადახვიეს და უკანმოუხედავად მიაბიჯებდნენ. გრძნობდნენ, მათ ფეხქვეშ ცხელი ტროტუარი თანდათან როგორ გრილდებოდა და წინ, წინ მიიწევდნენ.

- ყური დაუგდეთ! - შეჩერდა ლავინია.

ზაფხულის ღამეს მიაყურადეს. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და სასამართლოს შენობის საათის შორეულმა ხმამ ამცნოთ, რომ თორმეტს ხუთი წუთი აკლდა.

- ყური დაუგდეთ!

ლავინიამ მიაყურადა. სიბნელეში საქანელამ დაიჭრიალა და ქალებმა შენიშნეს მისტერ ტერლი, უხმოდ, განმარტოებით რომ იჯდა თავის პარმაღზე, ყურადღებას არავის აქცევდა და ძილის წინ უკანასკნელ სიგარას აბოლებდა. დაინახეს, ვარდისფერი ფერფლი აქეთ-იქით როგორ იფრქვეოდა.

---

[32] *ელექტრიკ-პარკი - გასართობი ადგილი, პავილიონი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გაკეთდა ტროლებუსების პარკებში და ენერგეტიკულ და ტრამვა-ების კომპანიებს ეკუთვნოდა.*

გარშემო თანდათან, თანდათან ქრებოდა სინათლეები. ყველა სახლის, ყველა ოთახის ჭაღი, ყველა ღამის ლამპა, ეზოს ყველა მწვანე ფარანი, ყველა სანთელი, ნავთის ლამპა, პარმაღის განათება სიბნელემ შთანთქა, ყველაფერი ცხრაკლიტულშია ჩარაზული, რკინის, ფოლადის, მძიმე ფარდების მიღმა მომწყვდეული, დაჩრდილული, გაიფიქრა ლავინიამ. წარმოიდგინა ადამიანები თავიანთ მთვარით განათებულ საწოლებში. რა მშვიდად, უშფოთველად სუნთქავდნენ თბილ ოთახებში ერთურთის გვერდით. „ჩვენი ნაბიჯების ხმა კი ცხელ ქუჩას ექოდ ეხლება, ლამპიონები ეულად დაგვნათიან და ჩვენს ჩრდილებს მთვრალებივით აბარბაცებენ“.

- აი, შენი სახლიც, ფრენსინ, ღამე მშვიდობისა.

- ლავინია, ელენ, ამაღამ აქ დარჩით. უკვე გვიანია, თითქმის შუაღამეა. შეგიძლიათ სასტუმრო ოთახში დაიძინოთ. ცხელ შოკოლადს მოვადუღებ. კარგად გავერთობით! - ფრენსინი ორივეს გულში იკრავდა.

- არა, გმადლობ, - უპასუხა ლავინიამ.

ფრენსინი ატირდა.

- ოჰ, ისევ ტირი, ფრენსინ? - შეარცხვინა ლავინიამ.

- არ მინდა, რომ მოკვდე, - ქვითინებდა ფრენსინი, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე, - ისეთი კარგი ხარ, ისეთი მშვენიერი, მინდა, რომ იცოცხლო! გთხოვთ, ო, გთხოვთ!

- ფრენსინ, არ მეგონა, ეს ამბავი ასე თუ აგაღელვებდა. გპირდები, როგორც კი შინ მივალ, მაშინვე დაგირეკავ.

- ოჰ, მართლა?

- აბა რა, და გეტყვი, რომ შინ მშვიდობით მივაღწიე. ხვალ კი ელექტრიკ-პარკში პიკნიკი მოვაწყოთ. მე თვითონ მოვამზადებ ლორის სენდვიჩებს, რას იტყვი? მე არასოდეს მოვკვდები, აი, ნახავ!

- ესე იგი, დამირეკავ?

- ხომ დაგპირდი!

- კარგად! ღამე მშვიდობისა! - ფრენსინმა კიბეზე აირბინა და კარს მიეფარა, კარი თავისით მიჯახუნდა და შიგნიდან იმწამსვე ურდულის ხმა გაისმა.

- ახლა კი, - მიუბრუნდა ლავინია ელენს, - შენ მიგაცილებ.

* * *

სასამართლოს შენობის საათმა შუაღამის მაუწყებლად ჩამორეკა. მისი ხმა ტალღებად გადაევლო ცარიელ ქალაქს: ასეთი დაცარიელებული ჯერ

არასოდეს ყოფილა. ხმა თანდათან მიწყდა უკაცრიელი ქუჩების, უდაბური ეზოების, დაცლილი გაზონების მიღმა.

- ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი, - ითვლიდა ლავინია და თან ელენის გვერდით მიაბიჯებდა.

- თავს უცნაურად არ გრძნობ? - ჰკითხა ელენმა.

- რას გულისხმობ?

- ჩვენ აქ ხეივანში დავდივართ, სხვას ყველას კი ჩარაზულ კარს მიღმა მშვიდად სძინავს. პრაქტიკულად, ათასი კილომეტრის რადიუსზე ჩვენ გარდა გარეთ აღარავინაა.

ბნელ, უძირო, თბილ ხევთან დიდხანს უმზერდნენ ერთურთს თვალებში. ღამის ნიავმა ჩაიქროლა და მოთიბული ბალახის სურნელი დააფრქვია. ჩამავალ მთვარეს ღრუბლები ეპარებოდნენ.

- მგონი, აზრი არა აქვს თხოვნას, რომ ჩემთან დარჩე, ასეა, ლავინია?

- არა, წავალ.

- ზოგჯერ...

- რა - ზოგჯერ?

- ზოგჯერ მგონია, ადამიანები თავად ირჩევენ სიკვდილს. მთელი საღამო უცნაურად იქცეოდი.

- უბრალოდ, არ მეშინია, - უპასუხა ლავინიამ, - თანაც, მგონი, ცნობისმოყვარეობაც მძალავს. გარდა ამისა, ვცდილობ, ლოგიკურად ვიმსჯელო. მარტოხელა მკვლელი ახლოს ვერ იქნება: პოლიცია გაფრთხილებულია და ყველა ფხიზლად არის.

- მთელი პოლიცია ახლა სახლებშია შეყუჟული, ყველას ყურებამდე სწვდება საბნები.

- მოდი, ასე ვთქვათ: აზარტში ვარ შესული, თუმცა, ზღვარს არ გადავდივარ. ჩემს სიცოცხლეს მართლაც საფრთხე რომ ემუქრებოდეს, მერწმუნე, შენთან დავრჩებოდი.

- შესაძლოა, შენი არსების რაღაც ნაწილს სიცოცხლე აღარ სურს.

- შენ და ფრენსინი გამაგიჟებთ!

- სინდისი მქენჯნის. იმ წუთში, როდესაც ხევის ძირში, ხიდზე იქნები, მე ცხელი კაკაოს სმით ვიქნები დაკავებული.

- ერთი ჭიქა ჩემ მაგივრადაც დალიე. ღამე მშვიდობისა.

ლავინია ნებსი მარტოდმარტო გაუყვა ზაფხულის სიჩუმეში ჩაფლულ შუაღამის ქუჩას. თვალი შეავლო ჩაბნელებულფანჯრებიან სახლებს, შორიდან ძაღლის ყეფა გაიგონა. ხუთ წუთში შინ ვიქნები, გაიფიქრა. ხუთ წუთში დავურეკავ ჩერჩეტ ფრენსინს, ხუთ წუთში.

უცებ მამაკაცის ხმა მოესმა.

შორს, ხეების ძირში, ვიღაც მღეროდა.

- „ო, ივნისის ღამე, მთვარე და შენ...“

ლავინიამ სვლას ოდნავ აუჩქარა.

- „შენს მკლავებში. სულზე უტკბესო...“ - გრძელდებოდა სიმღერა...

ქუჩის ბოლოში, მთვარის მკრთალ შუქზე, ვიღაც კაცი ნელა და თითქოს უდარდელად მოსეირნობდა.

თუ დამჭირდა, ამ სახლებიდან რომელიღაც კარზე დავაბრახუნებ, გაუელვა თავში ლავინიას.

- „ო, ივნისის ღამე...“ - მღეროდა კაცი. ხელში გრძელი ჯოხი ეკავა, - „მთვარე და შენ...“ ოჰ, ვის ვხედავ! ასე გვიან გარეთ რამ გამოგიყვანათ, მის ლავინია!

- ოფიცერო კენედი!

მართლაც ის იყო.

- სჯობს, შინ მიგაცილოთ.

- გმადლობთ, არ არის საჭირო.

- მაგრამ თქვენ ხომ ხევის გადაღმა ცხოვრობთ...

ასეა, გაიფიქრა ქალმა, მაგრამ არაფრისდიდებით არ ჩავალ ხევში მამაკაცთან ერთად, თუნდაც ის ოფიცერი იყოს. რა ვიცი, ვინ არის სინამდვილეში მარტოხელა მკვლელი?

- არა, - უპასუხა, - სწრაფად გადავალ.

- აქ მოვიცდი, - უთხრა კაცმა, - დახმარება თუ დაგჭირდათ, დაიყვირეთ. აქ ხმა შორ მანძილზე ისმის, მაშინვე თქვენთან გავჩნდები!

- დიდი მადლობა.

გზა განაგრძო, ჩუმად მოღიღინე კაცი ქუჩის ლამპიონის ქვეშ დატოვა.

ესეც ასე, გაიფიქრა.

აი, ხევიც.

ნაპირზე იდგა და გადაჰყურებდა ციცაბო კლდეში ჩატანებულ ასცამეტსაფეხურიან კიბეს, რომლის გაყოლებაზე სამოცდაათი მეტრი სიგრძის ხიდი იყო გასავლელი, შემდეგ ისევ მაღლა, პარკ-სტრიტისკენ უნდა ასულიყო. და ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი ლამპიონი ანათებდა. სამ წუთში გასაღებს ამოვიღებ და ჩემს კარს გავაღებ, გაიფიქრა. მხოლოდ ას ოთხმოც წამში ისეთი რა უნდა მოხდეს?

გრძელ, მუქმწვანე საფეხურზე გადააბიჯა და ხევში ჩასვლას შეუდგა.

- ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცრა, ათი საფეხური, - ითვლიდა ჩურჩულით.

ეჩვენებოდა, მივრბივარო, მაგრამ სინამდვილეში არ მირბოდა.

- თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი საფეხური, - წამით სული მოითქვა და საკუთარ თავს მოახსენა, - გზის ერთი მეოთხედი გამოვლილია!

ხევი უძირო ჩანდა და შავი, ისეთი შავი! მსოფლიო ზურგს უკან დარჩა და სამუდამოდ გაქრა: საწოლებში მომყუდროებული ადამიანები, ჩარაზული კარი, ქალაქი, კაფე, კინოთეატრი, ლამპიონები, - ყველაფერი გამქრალიყო. ერთადერთი, რაც კიდევ არსებობდა და მის გარშემო თავისი გოლიათური, ბნელი სიცოცხლით ცოცხლობდა, ეს ხევი იყო.

- ხომ არაფერი მომხდარა? სულ არაფერი. ხომ არავინაა აქ? არავინ. ოცდაოთხი, ოცდახუთი საფეხური. გახსოვს ის საშინელი ამბავი, ერთმანეთს ბავშვობაში რომ ვუყვებოდით?

საფეხურებზე საკუთარი ქუსლების ხმას მიაყურადა.

- ვყვებოდით, შავი კაცი როგორ შემოდის შენს სახლში, შენ კი ამ დროს მეორე სართულზე საწოლში წევხარ. ახლა ის პირველ საფეხურზეა და შენი ოთახისაკენ ამოდის. ახლა მეორე საფეხურზეა, ახლა მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხურზეა! ოჰ, როგორ იცინოდა და კიოდა ამ ამბის მოსმენისას! აი, საშინელი კაცი უკვე მეთორმეტე საფეხურზე დგას, აი, შენი ოთახის კარს აღებს, აი, უკვე შენს საწოლთან დგას. დაგიჭირე!

ლავინიამ დაიკივლა. ასეთი კივილი ჯერ არასოდეს გაუგონია. ასე ხმამაღლა სიცოცხლეში არასოდეს უყვირია. შეჩერდა, გაშეშდა, ხის მოაჯირს მიეკრა. გული ლამის გასკდომოდა. შეშლილ გულისცემას მთელი სამყარო აევსო.

- აგერ, აგერ! - დაიკივლა, - კიბის ძირში, ლამპიონის ქვეშ კაცი დგას! არა, აღარ დგას! მე მელოდებოდა!

იყუჩა და ყური დაუგდო.

სიჩუმე.

ხიდი ცარიელი იყო.

არაფერია, უთხრა საკუთარ თავს და ხელი გულზე მიიჭირა. შე სულელო! რამ მომაყოლინა თვითონვე ეს ამბავი? რა სისულელე იყო! ახლა რა ვქნა?

გულისცემა დაუცხრა.

ოფიცერს ხომ არ დავუძახო, ნეტავი ჩემი კივილი თუ გაიგონა?

ისევ ყური დაუგდო. არაფერი. არანაირი ხმა.

გზას გავაგრძელებ. ამ სულელური ამბის ბრალია.

ისევ განაგრძო საფეხურების თვლა.

- ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი, ფრთხილად, არ დაგორდე. ო, რა სულელი ვარ! ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი, ოცდაცხრამეტი და ორმოცი, კიდევ ორი - ორმოცდაორი და თითქმის შუაში ვარ.

კვლავ ადგილზე გაიყინა.

მოიცადე, უთხრა საკუთარ თავს.

ნაბიჯი გადადგა, ექო გაისმა.

კიდევ ერთი ნაბიჯი.

კვლავ ექო: წამის მეათასედში გამეორებული მისივე ფეხის ხმა.

- ვიღაც მომდევს, - წასჩურჩულა ქალმა ხევს, ბნელეთის ჭრიჭინებს, ჭაობისფერ ბაყაყებსა და შავ ნაკადს, - ვიღაც ფეხდაფეხ მომდევს. უკან მოხედვას ვერ გავბედავ.

კიდევ ერთ ნაბიჯს კიდევ ერთი ექოს ხმა გამოეხმაურა.

- ჯერ ნაბიჯს გადავდგამ, ისიც დგამს ნაბიჯს.

ნაბიჯი - ექო.

- ოფიცერო კენედი, თქვენ ხართ? - სუსტი ხმით ჰკითხა ხევს.

ჭრიჭინები დუმდნენ.

ჭრიჭინები ყურს უგდებდნენ. ღამეც ქალის ფეხის ხმასა და სიტყვებს აყურადებდა. შორეულ მდელოებსა და ახლო მდგომ ხეებს სუნთქვა შეეკრათ; ყველა ფოთოლს, ბუჩქს, ვარსკვლავს, ბალახის ღერს ჩვეული რიტმი დაერღვია და ლავინია ნებსის გულისცემას აყურადებდა. და ვინ იცის, იქნებ ამ წუთში შორს, მატარებლისათვის ამაოდ მომლოდინე ველებს შორის ჩაკარგულ ცარიელ ბაქანზე, შიშველი ნათურის მქრქალ შუქზე გაზეთზე თავჩაქინდრულ ეულ მოგზაურსაც თავი აეწია და სმენად ქცეულიყო. ნეტავ რა არისო, გაიფიქრებდა, ალბათ, და მაშინვე გადაწყვეტდა: მხოლოდ ზაზუნა ურტყამსო თათებს ფუტურო მორზე. არადა, ლავინია ნებსი იყო, ნამდვილად და უეჭველად მისი გულისძგერა იყო.

სიჩუმე. ზაფხულის ღამის სიჩუმე, ათასობით კილომეტრზე რომ გაწოლილა, თეთრ შუქჩრდილებთან ზღვასავით რომ ფარავს მიწის ზედაპირს.

ჩქარა, ჩქარა! ქალმა კიბეზე ჩასვლა განაგრძო.

გაიქეცი!

უეცრად მუსიკა მოესმა. რაღაც გიჟური, სულელური ახირებით თავზე მუსიკის ვეებერთელა ტალღა გადაევლო და როდესაც ძრწოლითა და პანიკით ატანილი გარბოდა, გაიაზრა, რომ გონების რაღაც ნაწილით მოვლენებს გარეშე მაყურებელივით დრამატულად განიცდიდა, რომელიღაც მღელვარე მიუზიკლიდან ნასესხებ პირად დრამად აქცევდა, მუსიკა მძვინვარებდა და

სულ უფრო სწრაფად მიაქროლებდა, სულ უფრო ქვევით, ხევის ფსკერისაკენ მიაქანებდა.

სულ ცოტაც დარჩა, გაიფიქრა მუდარით. ას რვა, ას ცხრა, ას ათი! მორჩა! ახლა სწრაფად! ხიდი!

უბრძანა ფეხებს, რა უნდა გაეკეთებინათ, მკლავებს, მთელ სხეულს, მთელ შიშს; თავისი არსების სათითაოდ ყოველი ნაწილი დაარიგა, როგორ მოქცეულიყო ამ საზარელ თეთრ მომენტში; ღელეში ღრიალით მოთქრიალე ნაკადის თავზე დაკიდებულ ამ მყიფე, დგაფდგაფა, თითქმის ცოცხალი, დრეკადი ფიცრების ხიდზე; უკან ისევ ის შეშლილი ფეხის ხმა მოსდევდა და კიდევ მუსიკა - ისევ ის მღელვარე, მორაკრაკე მუსიკა.

მოგდევს, არ შეტრიალდე,არ მიიხედო, თუ შეხედავ, ისე შეგეშინდება, რომ განძრევას ვეღარ შეძლებ. ოღონდაც გაიქეცი, გაიქეცი!

ხიდზე გადაირბინა.

ო, ღმერთო, ამ აღმართზე ამიყვანე! მაღლა, ბილიკზე, ამ ბორცვებს შორის, ო ღმერთო, როგორ ბნელა, რა შორსაა ყველაფერი! ახლა რომც დავიყვირო, ვერავინ მიშველის; მაგრამ სულერთია, მაინც ვერ დავიყვირებ. აი, აღმართიც დასრულდა და ქუჩაც გამოჩნდა. ო, ღმერთო, გადამარჩინე. თუ შინ ცოცხალმა მივაღწიე, არსად აღარ წავალ მარტო; სულელი ვიყავი, უნდა ვაღიარო, სულელი ვიყავი, შიში რას ნიშნავს, არ ვიცოდი, მაგრამ ამ საშინელებას თუ გადამარჩენ, ელენის ან ფრენსინის გარეშე აღარასოდეს გადავდგამ ფეხს! აი, ჩემი ქუჩაც.

ქუჩაზე გადაირბინა და ტროტუარი გადაკვეთა.

ო, ღმერთო, ჩემი პარმაღი! ჩემი სახლი! ო, ღმერთო, გთხოვ, შინ შესვლა და კარის ჩაკეტვა მაცალე და აღარაფერი მიჭირს!

და უცბად - რა დროს ეგ იყო, მაგრამ რატომღაც მაინც შენიშნა - პარმაღის მოაჯირზე ლიმონათის სანახევროდ დაცლილმა ჭიქამ გაიელვა, მან რომ დატოვა დიდი ხნის, წელიწადის თუ უფრო ნაკლები ხნის წინ! ლიმონათის ჭიქა მშვიდად და უდრტვინველად იდგა მოაჯირზე... და...

გაიგონა პარმაღზე თავისი მოუქნელი ნაბიჯების ხმა, გრძნობდა, ხელი როგორ აჩხარუნებდა და ატრიალებდა საკეტში გასაღებს. ესმოდა თავისი გულისცემა. ესმოდა საკუთარი შინაგანი კივილი.

გასაღები გადატრიალდა.

სწრაფად, სწრაფად, კარი გააღე!

კარი გაიღო.

ახლა შედი. დახურე!

მთელი ძალით მიაბრახუნა კარი.

- ახლა გადაკეტე, ჩარაზე! - მტკივნეულად ამოიოხრა.

- მაგრად, მაგრად გადაკეტე!

კარი საკეტითა და ურდულით იყო ჩაკეტილი.

მუსიკა შეწყდა. ისევ დაუგდო ყური საკუთარ გულს: მისმა ხმამ იკლო და ბოლოს სიჩუმეში განზავდა.

შინ ვარ! ღმერთო, შინ უვნებელმა მოვაღწიე! უვნებელმა, უვნებელმა! უღონოდ მიეყრდნო კარს. ყველაფერი კარგადაა. უსმინე. ჩამიჩუმი არ ისმის. გმადლობ, ღმერთო, რომ გადამარჩინე. ღამით აღარასოდეს გავალ გარეთ. შინ დავრჩები. ხევზე აღარასოდეს გადავალ. ო, რა კარგია, რა კარგია შინ ყოფნა! აქ ვერავინ მომაგნებს, კარი დაკეტილია. მოიცადე.

ფანჯრიდან გაიხედე.

გაიხედე.

ხედავ, არავინაა! სულ არავინ. არც არავინ მომდევდა. სული მოითქვა და თითქმის გადაიხარხარა. ამას დიდი ფიქრი რად უნდა! მართლაც რომ გამომკიდებოდა ვინმე კაცი, დამეწეოდა კიდეც! მაინცდამაინც კარგად ვერ დავრბივარ... არც პარმაღზე, არც ეზოში არავინაა. სულელი ვარ, რისთვის ვირბინე? ხევი ისეთივე უსაფრთხოა, როგორიც ნებისმიერი სხვა ადგილი. რაც უნდა იყოს, მთავარია, შინ ვარ. შინ ყოფნას მართლა არაფერი სჯობს.

ხელი სინათლის გადასართველისკენ გაიშვირა, მაგრამ გაშეშდა.

- რა არის? - იკითხა, - რა არის, რა?

სასტუმრო ოთახში მის ზურგს უკან ვიღაცამ ყელი ჩაიწმინდა.

* * *

- რა უბედურებაა, ყველაფერს გვიფუჭებენ!

- კარგი, ასე ნუ განიცდი, ჩარლი!

- აბა, აწი რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? რა აზრი აქვს მარტოხელა მკვლელზე ლაპარაკს, თუ ცოცხალი აღარ არის? ვიღას შეეშინდება?

- შენი არ ვიცი, ჩარლი, - თქვა ტომმა, - მე კი ზაფხულის ყინულის სახლთან მივალ, კართან დავჯდები და წარმოვიდგენ, რომ ის ცოცხალია და ზურგზე ცივი ჟრუანტელი დამივლის.

- ეს თავის მოტყუება იქნება.

- რას იზამ, ვისაც როგორ შეუძლია, ისე გრილდება, ჩარლი.

დაგლასი ტომსა და ჩარლის ყურს არ უგდებდა. ლავინია ნებსის სახლს უყურებდა და თითქმის თავისთვის ლაპარაკობდა.

- წუხელ ხევში ვიყავი და დავინახე. ყველაფერი დავინახე. უკანა გზაზე ამ ადგილას გადმოვედი. პარმაღის მოაჯირზე ჭიქა დავინახე, შიგ ნახევრამდე ლიმონათი ესხა. მისი დალევა მომინდა. ვიფიქრე, ავალ და დავლევ-მეთქი. ხევშიც და აქაც, ყველაფერს შევესწარი.

თავის მხრივ, არც ტომი და ჩარლი უგდებდნენ ყურს დაგლასს.

- ამიტომაც, - განაცხადა ტომმა, - არა მგონია, მარტოხელა მართლაც მკვდარი იყოს.

- ამ დილას აქ არ იყავი, სასწრაფო დახმარების მანქანა რომ მოვიდა და ის კაცი გარეთ საკაცით რომ გამოასვენეს?

- აბა, რა, - დაუდასტურა ტომმა.

- ჰოდა, ეგ იყო მარტოხელა მკვლელი, შტერო! წაიკითხე გაზეთები! ათი წელიწადი ემალებოდა პოლიციას და უცებ ლავინია ნებსი ადგა და მუცელში სამკერვალო მაკრატელი გაუყარა. ამას სჯობდა, თავისი საქმისათვის მიეხედა!

- გინდოდა, მორჩილად გაწოლილიყო, ვიდრე მკვლელი დაახრჩობდა?

- არა, მაგრამ ხომ შეეძლო უბრალოდ სახლიდან გამოვარდნილიყო და იმდენ ხანს ეკივლა: „მარტოხელა მკვლელი! მარტოხელა მკვლელი! მარტოხელა მკვლელი!“, სანამ ის გაქცევას არ მოასწრებდა. ჩვენს ქალაქს ერთი კარგი რამ კიდევ ჰქონდა შერჩენილი წუხანდელი ღამის თორმეტ საათამდე, დღეიდან კი ნაგვის გროვად ვიქეცით.

- უკანასკნელად გეუბნები, ჩარლი: მარტოხელა მკვლელი არ მომკვდარა. იმ კაცის სახე ხომ ნახე? მეც ვნახე, დაგმაც ნახა, ნახე ხომ, დაგ?

- რაა? ჰო, მგონი, ჰო.

- მთელმა ქალაქმა ნახა. ჰოდა, ახლა ერთი რამ მიპასუხე: შენი აზრით, ჰგავდა ის კაცი მარტოხელა მკვლელს?

- მე... - დაგლასმა დაიწყო და შეჩერდა.

ხუთიოდე წამის მანძილზე მზე ფუტკარივით აზუზუნდა ცაში.

- უჰ, შენი... - როგორც იქნა, ნელა დაიჩურჩულა ჩარლიმ.

ტომი ღიმილით აკვირდებოდა მის რეაქციას.

- არ ჰგავდა! - გაოცებით შეიცხადა ჩარლიმ, - ეს არ იყო მარტოხელას სახე: ჩვეულებრივი ადამიანის სახე იყო.

- დიახ, ბატონო, ჩვეულებრივი უღიმღამო ადამიანის სახე ჰქონდა, ბუზსაც რომ არ ააფრენს, ჩარლი, გესმის, ბუზსაც! ყველაზე ცოტა, რაც მარტოხელამ უნდა გააკეთოს, თუკი ის მართლა მარტოხელა მკვლელია, ეს არის: ის უნდა გამოიყურებოდეს მარტოხელა მკვლელივით, ხომ მართალი ვარ?

ეს კი „ელიტთეატრის“ შესასვლელში მდგომ კანფეტების გამყიდველს ჰგავდა.

- როგორ ფიქრობ, ვინ იყო? ჩვენს ქალაქში შემოხეტებული მაწანწალა, რომელმაც იფიქრა, მიტოვებულ სახლში შევიპარეო და ამ დროს ლავინია ნებსი შინ დაბრუნდა და მოკლა, ხომ ასეა?

- აბა, რა!

- მაგრამ მოიცა, ხომ არავინ იცის, მარტოხელა მკვლელი როგორ გამოიყურება? მისი სურათი არ არსებობს. ვინც კი ნახა, ყველა მკვდარია.

- შენც, დაგმაც და მეც ხომ კარგად ვიცით, როგორ გამოიყურება. ის უნდა იყოს მაღალი, ასე არ არის?

- ჰოო...

- და ფერმკრთალი, ასეა?

- ფერმკრთალი, მართალია.

- და ჩონჩხივით გამხდარი... და გრძელი შავი თმა უნდა ჰქონდეს, არა?

- ჰო, მეც ყოველთვის ამას არ ვამბობდი?

- და დიდი გადმოკარკლული თვალები, კატისნაირი მწვანე თვალები.

- ეგ არის, ზუსტად!

- აი, ხომ ხედავ, - ჩაიცინა ტომმა, - ხომ ნახე, ის საცოდავი ტიპი, რამდენიმე საათის წინ ნებსის სახლიდან რომ გამოათრიეს, როგორი იყო?

- დაბალი, წითელსახიანი, მოსქელო, თმა თითქმის არ აბადია და რაც აქვს, ის ქერაა. ტომ, ათიანში გაარტყი! მიდი, დაუძახე ბიჭებს! მათაც ისევე უნდა განუმარტო, როგორც მე! მარტოხელა მკვლელი არ მომკვდარა და ამაღამ ისევ გამოვა სათარეშოდ.

- ჰოო, - ტომი მოულოდნელად გაყუჩდა და ჩაფიქრდა.

- ტომ, ძმა ხარ, ბიჭო, რა ტვინი გაქვს! ამას შენ გარდა ვერავინ მოახერხებდა: შენ დღევანდელი დღეც გადაარჩინე და ზაფხულის მთელი დარჩენილი დღეებიც. დროულად ჩაერიე საქმეში ისე, რომ აგვისტო მთლად დაკარგულად აღარ ჩაითვლება. ჰეი, ბიჭებო!

ჩარლი ყვირილითა და ხელების ქნევით გავარდა.

ტომი ლავინია ნებსის სახლის წინ ტროტუარზე გაშეშებულიყო, სახეზე ფერი აღარ ედო.

- ღმერთო! - ჩურჩულით წარმოთქვა ბიჭმა, - ამ წუთში საშინელი რაღაც ჩავიდინე!

დაგლასს მიუბრუნდა.

- გესმის, დაგ? რაღაც საშინელი ჩავიდინე.

დაგლასი კვლავაც სახლს მიშტერებოდა. ტუჩებს ნელა ამოძრავებდა.

- წუხელ აქ ვიყავი, ხევში. ელიზაბეთ რემსელი ვნახე. შინ რომ ვბრუნდებოდი, ამ სახლს ჩავუარე. მოაჯირის თავზე ლიმონათიანი ჭიქა დავინახე. ეს მხოლოდ გუშინ მოხდა. ვიფიქრე, ავალ და დავლევ-მეთქი... ავალ და დავლევ...

* * *

იმ ქალებს მიეკუთვნებოდა, ხელში მუდამ ცოცხი და აქანდაზი, ჭურჭლის სახეხი ღრუბელი ანდა მიქსერი რომ უჭირავთ. დილაობით ნახავდით, ღიღინით როგორ ჭრიდა ნამცხვრის ფირფიტებს, ანდა შუადღისას შეეფეთებოდი გასაგრილებლად გამოტანილი ხრაშუნა კექსებიანი სინით ხელში, ანდა საღამოს უკვე გაგრილებულ ნამცხვრებს კარადაში რომ ინახავდა. მის ხელში ფაიფურის ჭიქები შვეიცარიული საათივით წკრიალებდნენ და თავთავიანთ ადგილას კოხტად ეწყობოდნენ. სახლის დერეფნებში მტვერსასრუტივით მსუბუქად და საიმედოდ მიირწეოდა, გზადაგზა ყველაფერს აწესრიგებდა და ასუფთავებდა. ყოველ ფანჯარას მზის სხივის დამჭერ სარკედ აქცევდა. საკმარისი იყო, ნებისმიერი ბაღი სარწყავით ხელში სულ ორადორჯერ შემოევლო, რომ ყვავილები მის სადიდებლად ცეცხლის ალებივით ცისკენ აწვერილიყვნენ. ღამით მშვიდად ეძინა და მხოლოდ სამჯერ თუ შეიცვლიდა გვერდს, თეთრი ხელთათმანივით მოდუნებული იწვა, რომელსაც რიჟრაჟთან ერთად მარჯვე ხელი უნდა დაბრუნებოდა. გაღვიძებისთანავე, ადამიანებს, როგორც სურათებს, ისე შეახებდა ხელს, თითქოს ჩარჩოებს უსწორებსო.

მაგრამ ახლა?

- ბებო! - გაიძახოდა ყველა, - დიდი ბებო!

ახლა, როგორც ჩანს, რაღაც დიდი არითმეტიკული რიცხვი საბოლოოდ თავის დასასრულს მიახლოებოდა. ვინ მოთვლიდა, რამდენი ინდაური, ქათამი, მტრედი ჰყავდა დაჩურთული, რამდენი მამაკაცი და ბიჭი - დაპურებული! მთელი ცხოვრება ასუფთავებდა, რეცხავდა, ბანდა: ჭერებს, კედლებს, მწოლიარე ავადმყოფებსა და ჩვილ ბავშვებს. აგებდა ლინოლეუმს, აკეთებდა ველოსიპედებს, ქოქავდა საათებს, ანთებდა ბუხრებს; სულ ცოტა ათი ათას საშინელ ჭრილობაზე ექნებოდა წასმული იოდი. მისი ხელები ყველგან დაქროდნენ, დაფარფატებდნენ, ხან ვის ამშვიდებდნენ, ხან რას ეზიდებოდნენ; ბეისბოლის ბურთებით პასებს აწვდიდნენ, კროკეტის ფერად-ფერად ჯოხებს იქნევდნენ, დაბარულ მიწაში თესლებს ყრიდნენ; გუფთასა და რაგუს ხუფებს აფარებდნენ, აქეთ-იქით მიყრილ, ძილმორეულ ბავშვებს კი

- საბნებს. ფარდების ჩამოფარებით, სანთლების ჩაქრობითა და ჩამრთველებზე თითის მიჭერით დაკავებული თანდათანობით ბერდებოდა. ახლა ოცდაათი ათასი მილიარდი დაწყებული და ბოლომდე მიყვანილი საქმის გადასახედიდან სრული რიცხვი შეაჯამა და დაამრგვალა; უკანასკნელი მეათედი მისთვის განკუთვნილ ადგილას ჩასვა და დამაგვირგვინებელი ნულიც შემოხაზა. და, აი ახლა ცარცით ხელში უკან დაიხია და ერთი საათი მდუმარედ აკვირდებოდა, ვიდრე მთელი ამ ფორმულების წასაშლელად ჩვარს მოიმარჯვებდა.

- აბა, ერთი, ვნახოთ, - ამბობდა დიდი ბებო, - ვნახოთ, რა გამოვიდა...

ყოველგვარი აურზაურისა თუ ფუსფუსის გარეშე მთელ სახლს ჩამოუარა, ყველაფერი გადაამოწმა და შეაფასა, ბოლოს კი, როგორც იქნა, შიდა კიბეს მიაღწია, თავის ოთახამდე სამი სართული აიარა. უხმოდ, რაიმე საგანგებო განცხადების გარეშე, ნამარხი ფრინველის ანაბეჭდივით გაწვა გრილი თოვლისფერი ზეწრის ქვეშ და გარდაცვალებას შეუდგა.

ხმები აშრიალდა:

- ბებო! დიდი ბებო!

მისი ამგვარი საქციელის ამბავი ლოდივით ჩაეშვა კიბის ორმოში, ძირს დაენარცხა, ტალღებად გავრცელდა ოთახებში, ეზოში, თელების ხეივანში და მწვანე ხევის ნაპირსაც მიაწყდა.

- აქეთ, ყველა აქეთ!

ოჯახი მის საწოლს გარს შემოეხვია.

- მაცალეთ წოლა, - წასჩურჩულა ყველას.

მისი სნეულება არც ერთ მიკროსკოპში არ გამოჩნდებოდა: სხვა არაფერი იყო, თუ არა მსუბუქი, მაგრამ მზარდი დაქანცულობა, მის ბეღურისებრ სხეულს ბუნდოვან ტვირთად რომ დააწვა; თვალებზე რული ეფინებოდა, ძილი ერეოდა, უკვე ეძინა.

მის შვილებსა და შვილიშვილებს კი ვერაფრით გაეგოთ, ასეთ უბრალო და უვნებელ ქმედებას რატომ უნდა გამოეწვია ყველას შეშფოთება.

- დიდო ბებო, მოიცადე: რასაც შენ აკეთებ, შეთანხმების დარღვევას უდრის. ეს სახლი უშენოდ დაიქცევა. ასეთი რამ, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე უნდა შეგვატყობინო.

დიდმა ბებომ ცალი თვალი გაახილა. ამწამს ოთხმოცდაათი წელიწადი მშვიდად ამოჰყურებდა თავის მკურნალებს, როგორც მაღალ თაღოვან ფანჯარაში ჩამჯდარი აჩრდილი გაჰყურებს ხოლმე სახლს, რომელიც მისი შიშით ცარიელდება.

- ტომ...

ბიჭი მარტოდმარტო მიავლინეს შრიალითა და ჩურჩულით აღვსილ საწოლთან.

- ტომ, - წარმოთქვა ბებომ სუსტი, თითქოს შორიდან მოსული ხმით, - სამხრეთის ოკეანის კუნძულზე ასე სწამთ: ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დღე, როდესაც ის ხელს ართმევს მეგობრებს, ემშვიდობება და ზღვაში გადის: ეს ბუნებრივია, რადგან მისი დრო მოვიდა. დღესაც სწორედ ეს ამბავი ხდება. იცი, მეც შენსავით ვარ, შაბათ დილის კინოსეანსზე საღამოს ცხრა საათამდე რომ შემორჩები ხოლმე, როცა შენს შინ წამოსაყვანად მამას ვგზავნით. გამიგე, ტომ: როდესაც ატყობ, რომ ერთი და იგივე კოვბოი ერთსა და იმავე ინდიელს სულ ერთსა და იმავე კლდის თავზე კლავს, ესე იგი, დროა, სკამი აკეცო და კარისკენ გასწიო, ყოველგვარი სინანულისა და რიგებს შორის უკან-უკან სვლის გარეშე. ჰოდა, მეც მაშინ მივდივარ, ვიდრე ჯერ კიდევ ბედნიერი და კმაყოფილი ვარ.

ახლა მასთან გამოცხადების ჯერი დაგლასს დაუდგა.

- ბებო, გაისად გაზაფხულზე სახურავი ვინ უნდა შეაკეთოს?

მას შემდეგ, რაც კალენდრები შეიქმნა, ყოველწლიურად, აპრილში, გეგონებოდათ, სახლის სახურავს კოდალები შეესივნენო; სინამდვილეში ეს დიდი ბებია გახლდათ, რაღაც ძალას მაღლა ცაში რომ აეყვანა: გაფუჭებულ ყავარს ცვლიდა და სიმღერით აჭედებდა ლურსმნებს!

- დაგლას, - გაისმა პასუხად ჩურჩული, - არავის დააძალო სახურავის შეკეთება, თუკი არ ეხალისება.

- კარგი.

- აპრილი რომ მოახლოვდება, გარშემო მიმოიხედე და ისე, სხვათა შორის, ჩაილაპარაკე: „ვის უნდა სახურავის შეკეთება?“ და ვისაც სახე სიხარულით გაუნათდება, დაგლას, სწორედ ის ადამიანი გჭირდება. იმიტომ, რომ სახურავიდან შეგიძლია დაინახო მთელი ქალაქი, რომელიც სოფლის ლანდშაფტში გადადის, დაინახო, როგორ აღწევს ეს მიდამო მიწის დასალიერს, როგორ ლიკლიკებს მდინარე, რა სუფთაა დილით ტბის კამკამა წყალი და როგორ სხედან შენ ქვემოთ, ხის ტოტებზე, ჩიტები. ყველაზე სუფთა და ლაღი ნიავი სწორედ იქ, ზევით ქრის. ამ მიზეზთაგან ერთიც კი კმარა საიმისოდ, რომ გაზაფხულის ერთ სისხამ დილით კაცმა ფლიუგერზე აძრომა გაბედო. ეს მართლაც უმძლავრესი წამია, მთავარია, მიენდო მას.

მისი ხმა ოდნავ შესამჩნევ თრთოლამდე ჩაწყდა.

დაგლასი ტიროდა.

დიდმა ბებიამ თავს ძალა დაატანა და გამოფხიზლდა.

- რატომ ტირი?

- იმიტომ, - უპასუხა ბიჭმა, - რომ ხვალ აქ აღარ იქნები.

ბებომ ხელში პატარა სარკე აათამაშა და მერე ბიჭს გაუწოდა. დაგლასმა შეხედა მის სახეს და საკუთარანარეკლს, ბოლოს კი კვლავ ბებოზე გადაიტანა მზერა. მან უთხრა:

- ხვალ დილით შვიდზე ავდგები და ყურებს გულდაგულ დავიბან; ჩარლი ვუდმენთან ერთად ეკლესიაში გადავირბენ; გავმართავ პიკნიკს ელექტრიკ-პარკში; ვიცურავებ, ვირბენ ფეხშიშველა, ხეებიდან ჩამოვვარდები, პიტნის კევს დავღეჭავ... დაგლას, დაგლას, როგორ არ გრცხვენია? ფრჩხილებს ხომ იჭრი?

- ჰო, ბებო.

- ხომ არ ღრიალებ ხოლმე იმის გამო, რომ შენი სხეული ყოველწლიურად იზრდება, ძველი უჯრედები კვდება, ახალი კი შენს თითებსა და გულს ემატება? ეს არ განერვიულებს, ხომ ასეა?

- ასეა.

- ჰოდა, დაფიქრდი, შვილო. ის, ვინც დაქნილ ფრჩხილებს ინახავს, სულელია. ოდესმე გინახავს, გველი თავის გამოცვლილ კანს უფრთხილდებოდეს? ჰოდა, რასაც დღეს ამ საწოლში ხედავ, დაქნილი ფრჩხილები და გველის პერანგია. ერთი კარგად რომ შემიბერო სული, ფერფლად ვიქცევი. აქ მწოლიარე „მე“-ზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ის „მე“-ა, ახლა საწოლის კიდეზე რომ ჩამომჯდარა და თვალებში მიყურებს, ისიც, ქვედა სართულზე ვახშამს რომ ამზადებს, გარაჟში მანქანის ქვეშ რომ გაწოლილა ანდა ბიბლიოთეკაში წიგნს რომ ჩაჰკირკიტებს. ჩემი ახალი ნაწილები - აი, რას აქვს ნამდვილი ფასი. სინამდვილეში მე დღეს არ ვკვდები. ვისაც ოჯახი ჰყავს, ის არასოდეს კვდება. კიდევ დიდხანს ვიქნები ამქვეყნად. ათასი წლის შემდეგ მთელი ქალაქი ჩემი შთამომავლობით აივსება, ყველანი გამვუდის[33] ჩრდილში დასხდებიან და მწვანე ვაშლებით გაისველებენ პირს. აი, ჩემი პასუხი ყველას, ვინც ბრძნულ კითხვებს სვამს! ახლა კი, სწრაფად, დანარჩენები ამოგზავნე!

ბოლოს და ბოლოს, მთელი ოჯახი ისე ჩამწკრივდა ოთახში, თითქოს სადგურში ახლობელს მატარებელზე აცილებენო.

- მაშ, ასე, ჩემო კარგებო, - მიმართა ყველას დიდმა ბებომ, - მეტისმეტი თვინიერებით არასოდეს გამოვირჩეოდი, ამიტომ ძალიანაც მსიამოვნებს, ყველანი ჩემს საწოლთან რომ შეკრებილხართ. აბა, თქვენ იცით! შემდეგ

---

*[33] გამვუდი (ლათ. Commidendrum robustum) - ხე მირტისებრთა ოჯახისა, ლამაზი თე-თრი ყვავილებით, ხარობს აშშ-სა და წმინდა ელენეს კუნძულზე.*

კვირას ბაღია მისახედი, საკუჭნაო - დასალაგებელი და ბავშვებისთვის - ახალი ტანისამოსი საყიდელი. და, რადგანაც ჩემი ის ნაწილი, სიმარჯვისთვის დიდ ბებოს რომ ეძახიან, ამ საქმეების გასაკეთებლად აქ არ იქნება, ისინი ჩემმა იმ ნაწილმა უნდა იკისროს, რომლებსაც ძია ბერტი, ლეო, ტომი, დაგლასი და სხვა დანარჩენი სახელები ჰქვიათ, ყველამ თავ-თავისი საქმე უნდა გამოძებნოს.

- კარგი, დიდო ბებო.

- იცოდეთ, არანაირი ჰელოუინის სუფრა ხვალ აქ არ დავინახო. არ არის საჭირო კეთილი სიტყვებით ჩემი ხსენება; თავის დროზე ყველაფერი თვითონვე ვთქვი, როგორც ჩემს სიამაყეს შეეფერებოდა. ყველანაირი კერძი გავსინჯე და ყველა ცეკვა ვიცეკვე; ერთადერთი ნამცხვარიღა დარჩა, რისთვისაც გემო არ გამისინჯავს, ერთადერთი მელოდია, ჯერაც რომ არ დამისტვენია, მაგრამ არც მისი მეშინია. გულწრფელად მაინტერესებს, როგორია. მერწმუნეთ, სიკვდილის ერთ ლუკმასაც არ გამოვტოვებ ისე, რომ არ დავაგემოვნო. ასე რომ, ჩემზე არ იდარდოთ. ახლა კი ყველანი წადით და ძილი მაცალეთ...

სადღაც ფრთხილად მიიხურა კარი.

- აი, ასე სჯობს, - მარტო რომ დარჩა, ნეტარებით გაიზმორა ტილოსა და შალის, ზეწრისა და საბნის თბილ ნამქერში; ნაჭრების დალიანდაგებული საბანიც ისეთი ჭრელი იყო, როგორიც ძველი დროის ცირკის დროშები. საწოლში ჩაღუნღულებული, ისეთივე პატარა და შეუმჩნეველი იყო, როგორც ოთხმოცზე მეტი წლის წინათ, როცა დილაობით იღვიძებდა და ფაქიზ ძვლებს საბნის ქვეშ ითბობდა.

ფიქრობდა: დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ვხედავდი სიზმარს, ისეთ ტკბილ სიზმარს, მერე კი ვიღაცამ გამაღვიძა და ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც დავიბადე. ახლა კი? ახლა... აბა, გავიხსენო... მოგონებებში ჩაიხედა. სად ვიყავი ეს ოთხმოცდაათი წელიწადი? როგორღა აღვიდგინო იმ გაწყვეტილი სიზმრის ძაფი? ჩია ხელი გაიშვირა. აქ არის... ჰო, მართლაც აქ იყო. გაიღიმა. უფრო ღრმად ჩაეფლო თბილ თოვლში და ბალიშზე თავი შეატრიალა. აი, ასე. ახლა უკვე შინაგანი მზერით ხედავდა, თითქოს გამჭვირვალე ზღვის წყალში იკვეთებოდა იმ სიზმრის ფორმები, ზღვა კი ხან მიიქცეოდა, ხან მოიქცეოდა უსასრულო, მარად განახლებულ ნაპირზე. ძველმა სიზმარმა აიტაცა თოვლის საწოლიდან, რომელიც უკვე აღარც ახსოვდა, და მშვიდი რწევით თან გაიყოლა. გაიფიქრა, ქვედა სართულზე ვერცხლის დანა-ჩანგალს აპრიალებენ, სარდაფს ალაგებენ და დერეფნებს წმენდენო. ესმოდა, მთელი სახლი ჩვეული წესით რომ ცხოვრობდა.

- კარგია, - ჩურჩულით წარმოთქვა სიზმრის ზვირთებზე მოტივტივე დიდმა ბებომ, - ესეც ისევე კარგია, როგორც ყველაფერი ამ ცხოვრებაში.

და ზღვის მიქცევამ ნელა წაიყოლა.

* * *

- მოჩვენება! - შესძახა ტომმა.

- არა, - მოესმა ნაცნობი ხმა, - მე ვარ.

ბუნდოვანი სინათლე ვაშლის სურნელით სავსე საძინებელში შემოცურდა. ნახევარკილოგრამიან შუშის ქილაში, რომელიც ჰაერის გარდა, არაფერს ეყრდნობოდა, უამრავი მწუხრისფერინაპერწკალი ბჟუტავდა, ქრებოდა და ინთებოდა. იმ მქრქალ განათებაში დაგლასის თვალებიც მკრთალი და საზეიმო შუქით ბრწყინავდა. სახე და მკლავები ისეთი გარუჯული ჰქონდა, რომ წყვდიადში განზავებულიყო, და მისი საღამური პერანგი უსხეულო ლანდს ჰგავდა.

- აუ, ბიჭო! - შეიცხადა ტომმა, - ოცდაათი, ორმოცი ციცინათელა!

- ჩუ! ნუ ყვირი!

- რად გინდა?

- ხომ დაგვადგნენ თავზე ღამით საბნების ქვეშ ჯიბის ნათურის შუქზე რომ ვკითხულობდით, ჰოდა, ძველ ქილაში შეკრებილი ციცინათელები არავის დააეჭვებს. იფიქრებენ, ღამის მუზეუმიაო ან რამე ეგეთი.

- დაგ, გენიოსი ხარ!

მაგრამ დაგლასს პასუხი არ გაუცია. ძალიან სერიოზულად დადგა შიგადაშიგ მოციმციმე პატარა შუქურა ღამის მაგიდაზე, ფანქარი მოიმარჯვა და მსხვილი ასოებით შეუდგა ბლოკნოტში წერას. ციცინათელები ინთებოდნენ და ქრებოდნენ, ინთებოდნენ და იხოცებოდნენ, ბიჭის თვალებშიც ორმოციოდე მოცახცახე მწვანე ნაპერწკალი ენთო, ის კი ბეჭდური ასოებით წერდა და აჯამებდა, ამწკრივებდა და აჯგუფებდა ფაქტებს, რომლებიც წლევანდელ ზაფხულს თავბრუდამხვევი სისწრაფით შეაგროვა. ტომი მონუსხული შეჰყურებდა ქილაში მოფუსფუსე კოცონს და ერთბაშად ჩაძინებული, ლოყის ქვეშ ამოდებული მუშტით გაშეშდა, ვიდრე დაგლასი კვლავაც წერდა და წერდა. უკანასკნელ გვერდზე ყველაფერი შეაჯამა:

**საგნებს ვერ ენდობი, რადგან...**

...სხვადასხვა სახის მანქანების მსგავსად, ისინი ნაწილებად იშლება, ჟანგდება, ფუჭდება, ანდა მათი გამართვა ვერა და ვერ ხერხდება... ისინი შეიძლება სამუდამოდ გაუქმდნენ და გარაჟში ჩარჩნენ...

...როგორც მაშინ, როცა სპორტული ფეხსაცმელი გაცვია, სირბილის დროს მხოლოდ გარკვეულ სიმაღლესა და სიჩქარეს აღწევ, მერე კი მიწა ისევ გიხელთებს...

როგორც ტრამვაი: ტრამვაი, მართალია, დიდია, მაგრამ ლიანდაგი, ბოლოს და ბოლოს, მუდამ მთავრდება და ტრამვაიც ჩერდება...

**ადამიანებს ვერ ენდობი, რადგან...**

...ისინი გტოვებენ.

...უცხო ადამიანები კვდებიან.

...ისეთი ადამიანები, ვისაც კარგად იცნობ, კვდებიან.

...მეგობრები კვდებიან.

...ადამიანები ერთმანეთს კლავენ, როგორც წიგნებში.

...შენი საკუთარი ოჯახის წევრიც კი შეიძლება მოკვდეს.

ამიტომაც...

ათიოდე წამით ფილტვებში შეიჩერა ჰაერი, ნელი სისინით გამოუშვა, ისევ შეისუნთქა და კბილებს შორის შრიალით გამოატარა.

ამიტომაც... უზარმაზარი, მძიმე ბეჭდური ასოებით დაასკვნა:

**ამიტომაც, თუკი ტრამვაები, მანქანები, მეგობრები და ახლო მეგობრები შეიძლება წავიდნენ დროებით ან სამუდამოდ, ან დაჟანგდნენ, დაიშალონ, მოკვდნენ, თუკი ადამიანი შეიძლება მოკლა, და თუკი დიდი ბებოს მსგავსი ვინმეც კი, წესით, უსასრულოდ რომ უნდა ეცოცხლა, შეიძლება მოკვდეს... თუკი ეს ყველაფერი მართალია... ესე იგი... მე, დაგლას სპოლდინგი, ოდესმე... უნდა...**

მაგრამ ციცინათელები თითქოს დაგლასის მძიმე ფიქრებმა დააფრთხესო, მოულოდნელად რბილად ჩაქრნენ.

მაინც ვეღარ ვწერ, იფიქრა დაგლასმა, და აღარც დავწერ. არა, ამაღამ აღარ დავასრულებ ამ ნაწერს.

გადახედა იდაყვზე ჩამოყრდნობილ მძინარე ტომს, მაჯაზე შეეხო და ტომმა მაშინვე ამოიოხრა და საწოლზე დაეშვა.

დაგლასმა ხელში აიღო ჩამქრალი ცივი კოშტებით სავსე ქილა და მკრთალი სინათლეები ისევ აკიაფდნენ, თითქოს ბიჭის ხელის სითბომ გააცოცხლაო. ქილა ისე ასწია მაღლა, რომ მისი დასკვნა განათებულიყო. საბოლოო სიტყვები დასრულებას ითხოვდა, მაგრამ ბიჭი ამის მაგივრად ფანჯარასთან მივიდა და ორივე საგდული გადასწია. ქილას ხუფი მოხადა და ციცინათელები მქრქალი ნაპერწკლების ნიაღვრად გადაუშვა ღამის უძრავ ჰაერში. ისინი წამსვე გამოერკვნენ, ფრთები აამოძრავეს და გაფრინდნენ.

დაგლასმა მათ თვალი გააყოლა, - უკანასკნელი დაისის ნაგლეჯებივით დაეშვნენ იავარქმნილი სამყაროს ისტორიის ფსკერზე. თბილი იმედის ბოლო ნაკუწებივით გაუსხლტნენ ხელიდან. ბიჭის სახე, ტანი და ამ ტანში არსებული სივრცე წყვდიადს დაუტოვეს. ახლა იმ შუშის ქილასავით ცარიელი იყო, რომელიც სრულიად გაუცნობიერებლად შერჩენოდა მკლავებში, როდესაც საწოლში ჩაწვა და შეეცადა, დაეძინა...

* * *

არავინ იცის, უკვე რამდენი ღამე იყო, რაც ასე იჯდა თავის შუშის კუბოში, ზაფხულის კარნავალი თავისი სიმხურვალით ცვილის სხეულს უდნობდა, ზამთრის ქარები აჩრდილებივით გარს შემოეჯარებოდნენ ხოლმე და ყინულად აქცევდნენ. იჯდა და ელოდა, ნამგლისებრი ღიმილითა და კეხიანი კაუჭა ცხვირით, მკრთალ ვარდისფერ, დანაოჭებულ ხელებში სამუდამოდ ჩაებღუჯა მარაოდ გაშლილი ძველისძველი ბანქოს ქაღალდი. კუდიანი ტარო! რა ნეტარება იყო ამ სახელის წარმოთქმა! კუდიანი ტარო! ვერცხლისფერ ჭრილში ხურდას ჩააგდებდი და სადღაც ქვევით, უკან, სიღრმეში მექანიზმი აკვნესდებოდა, კბილანები ერთურთს მოეჭიდებოდნენ, ბერკეტები დაიძვრებოდნენ, ბორბლები დატრიალდებოდნენ და კუდიანიც თავის ყუთში გაბრწყინებულ სახეს მოგიშვერდა და თვალების ვიწრო ჭრილიდან ერთადერთი გამჭოლი მზერით დაგაბრმავებდა. შეუვალ მარცხენა ხელს დაბლა დაუშვებდა და ტაროს ქაღალდებზე გამოსახულ იდუმალ თავის ქალებს, ეშმაკებს, სახრჩობელებს, განდეგილებს, კარდინალებსა და ჯამბაზებს გადაგიშლიდა, თან შენკენ თავდახრილი შენში საიდუმლოს თუ მკვლელობას, იმედს თუ სიმართლეს ჭვრეტდა, ყოველ დილით შენს ახალ დაბადებასა და ყოველ ღამით შენს კვდომას შეისწავლიდა. ამის შემდეგ რომელიმე ქაღალდის უკანა მხარეს ფანქრით რაღაცას წააწერდა და მეორე ჭრილიდან ხელში ჩაგიგდებდა. შემდეგ თვალებს უკანასკნელად, შეფარვით შემოგანათებდა და, თავის გარსში გამომწყვდეული, კვლავაც მრავალი კვირით, თვით თუ წლით გაირინდებოდა მორიგი მომენტის მოლოდინში, რომელსაც უნდა გაეცოცხლებინა. ახლაც, ცვილის სიკვდილით მოჯადოებული, უძრავად შეეგება ორი ბიჭის მოახლოებას.

დაგლასმა თითი შუშაზე მიაკაკუნა.

- აი, ეს არის.

- უბრალო ცვილის ფიგურაა, - შენიშნა ტომმა, - რატომ მაჩვენებ?

- „რატომ, რატომ?“ სულ ამას მეკითხები! - დაუღრიალა დაგლასმა, - რატომ და იმიტომ!

იმიტომ, რომ თაღებქვეშ ჭაღების სინათლე თითქოს განელდა...

ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ ცოცხალი ხარ.

აფეთქება! მიწისძვრა! ფეიერვერკი! სიხარული!

იცინი, ყირაზე გადადიხარ, ყვირი.

მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ მზის სინათლე ქრება. შუა აგვისტოში თოვა იწყება, თუმცა, ამას შენ გარდა ვერავინ ხედავს.

გასულ შაბათს დილის კინოსეანსზე თეთრად გავარვარებულ ეკრანზე მკვდარი კოვბოი ძირს დაეცა. დაგლასმა დაიკივლა. წლების მანძილზე მის თვალწინ რამდენი კოვბოი ჩამოუხრჩვიათ, დაუცხრილავთ, დაუწვიათ, გაუნადგურებიათ, მაგრამ ახლა, მაინცდამაინც, ამ კაცის სიკვდილი...

ეს კაცი ვეღარასოდეს ივლის, ირბენს, იცინებს, იტირებს, ვეღარაფერს გააკეთებს, ფიქრობდა დაგლასი. აი, ამწუთას სხეული უცივდება. დაგლასს კბილები აუკანკალდა, გულში საზარელი ნალექი დაუგუბდა, თვალები მოხუჭა და უღონოდ დაჰყვა კრუნჩხვის შემოტევას.

მასა და სხვა ბიჭებს შორის უეცარი კედელი აღიმართა, რადგან ისინი სიკვდილზე არ ფიქრობდნენ და დაცემული კაცის შემხედვარე ისე იცინოდნენ და ყვიროდნენ, თითქოს ის ჯერაც ცოცხალი ყოფილიყოს. დაგლასი მკვდარ კოვბოისთან ერთად იჯდა ნავში და შორდებოდა განათებულ ნაპირს, სადაც დანარჩენები დარბოდნენ, დახტოდნენ, გნიასებდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ მკვდარ კაცსა და დაგლასს უკვე შეეცურათ წყვდიადში. ბიჭი ტირილით გაიქცა ლიმონის სურნელით გაჟღენთილ საპირფარეშოში და იქ გული აერია: მოეჩვენა, თითქოს ყელიდან ცეცხლოვანი ჩანჩქერი ამოეფრქვა.

ელოდა, გულისრევა როდის გაუვლიდა და თან ფიქრობდა: ჩემ გარშემო რამდენი ადამიანი გარდაიცვალაო ამ ზაფხულს! პოლკოვნიკი ფრილაი გარდაიცვალა! მაშინ ამაზე არ მიფიქრია: რატომ? დიდი ბებო გარდაიცვალა. მართლა. და ამით საქმე არ დასრულდება... წუთით შეყოვნდა. მე! არა. მე ვერ მომკლავენ! როგორ ვერა, საიდანღაც მოესმა ხმა, ნებისმიერ დროს, როცა კი მოესურვებათ, გინდ იყვირე, გინდ ფეხები იქნიე, მაინც ვეება ხელს დაგაფარებენ და თითსაც ვეღარ გაატოკებ... არ მინდა სიკვდილი! უხმოდ დაიყვირა დაგლასმა. მაინც გამოეხმაურა იგივე ხმა, მაინც მოგიწევს...

კინოთეატრის გარეთ მზე თვალისმომჭრელად ანათებდა მოჩვენებით ქუჩას, მოჩვენებით შენობებსა და ადამიანებს, ძალიან ნელა რომ მიმოდიოდნენ, და დაგლასს მოეჩვენა, თითქოს ეს ყველაფერი აალებული გაზის

კაშკაშა, მძიმე ოკეანის ქვეშ იყო მოქცეული. იცოდა, ახლა შინ უნდა წასულიყო და თავის ბლოკნოტში დამაგვირგვინებელი ფრაზა ჩაეწერა:

**ოდესმე მე, დაგლას სპოლდინგი, უნდა მოვკვდე!**

მთელი ათი წუთი დასჭირდა ქუჩაზე გადასასვლელად და, აი, სწორედ ამ დროს მოუწია თაღებიან გალერეასთან გავლამ და იქ, მის მუდმივ მტვრიან სამალავში, ბიჭმა თვალი მოჰკრა ცვილის კუდიანს - მას, ვის ფრჩხილებქვეშ ბედისწერის ქალღმერთები და ფერიები ჩასაფრებულან. ჩავლილმა მანქანამ გალერეას შუქი მიანათა, ჩრდილები აათამაშა და დაგლასს მოეჩვენა, რომ ცვილის ქალბატონი თავის დაკვრით ეპატიჟებოდა.

ბიჭიც დაჰყვა კუდიანის მოხმობას და გალერეაში შეაბიჯა, ხუთი წუთის შემდეგ კი გამოვიდა, გადარჩენის რწმენით აღვსილი. ახლა ის ტომისთვის უნდა ეჩვენებინა...

- თითქმის ცოცხალს ჰგავს, - თქვა ტომმა.

- ცოცხალია. ახლავე გაჩვენებ.

ჭრილში ხურდა ჩაუშვა.

არაფერი მომხდარა.

დაგლასმა გადასძახა დერეფნის ბოლოში გაზიანი სასმელების გადაპირქვავებულ ყუთზე მჯდომ მეპატრონეს, მისტერ ბლეკს, რომელსაც სწორედ იმ წუთში საცობი მოეხსნა უკვე თითქმის დაცლილი ბოთლისათვის და მოყვითალო-მოყავისფრო სითხის საკმაოდ დიდი ყლუპი მოესვა.

- უი, კუდიანს რაღაც დაემართა!

მისტერ ბლეკი ტაატით მიუახლოვდა, თვალები მინაბული ჰქონდა, პირიდან მძაფრი სუნი ამოსდიოდა.

- ჩინურ ბილიარდსაც რაღაც დაემართა, კინესკოპსაც და ელექტრომანქანასაც, - შუშის ყუთს ხელი მიარტყა, - ჰეი, შენ! გაცოცხლდი! - კუდიანი კვლავაც უდრტვინველად გაქვავებულიყო, - ყოველთვიურად მისი შეკეთება მის მიერ შემოტანილ მოგებაზე ბევრად მეტი მიჯდება, - მისტერ ბლეკმა ყუთის უკან ხელი ჩააცურა და ამოათრია აბრა წარწერით: „გაფუჭებულია“ და კუდიანს სახეზე ააფარა, - ეეჰ, მხოლოდ ეს რომ იყოს გაფუჭებული, კიდევ რა უჭირს! მე, თქვენ, ეს ქალაქი, ეს ქვეყანა, მთელი მსოფლიო გაფუჭებულია! ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! - უეცრად დედაბერს მუშტი მოუღერა, - ნაგვის გროვა ხარ, გესმის?! ნაგვის გროვა! - ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა და გადაპირქვავებულ ყუთზე დაეზღერთა, თან წელზე შემორტყმულ წინსაფარში ისე მოისინჯა ხურდა ფული,თითქოს მტკივან მუცელს ისრესსო.

- შეუძლებელია, უბრალოდ, შეუძლებელია, გაფუჭებულიყო, - იმეორებდა თავზარდაცემული დაგლასი.

- ძალიან ძველია, - ამშვიდებდა ტომი, - პაპა ამბობს, პატარა ბიჭი რომ ვიყავი, მაშინაც აქ იდგა და მანამდეცო. ადრე თუ გვიან, ხომ უნდა მოშლილიყო...

- მიდი, - ჩურჩულებდა დაგლასი, - გთხოვ, ო, გთხოვ, დაწერე რამე, უჩვენე ტომს, რომ ცოცხალი ხარ!

მალულად ჩაუშვა მანქანაში კიდევ ერთი მონეტა.

- გეხვეწები...

ბიჭები მინას მიეკვრნენ და მათმა სუნთქვამ მის ზედაპირზე ღრუბლის ქულები დახატა.

მერე კი ყუთის სიღრმიდან შრიალი და ტკაცანი მოესმათ.

და კუდიანმა ნელა, ძალიან ნელა ასწია თავი და მის მზერაში იყო რაღაც ისეთი, ბიჭები ერთბაშად რომ მონუსხა. ის შეშლილივით გაშმაგებით დასწვდა ბანქოს, შლიდა, შეშდებოდა და კვლავ ელვისებურად ამოძრავებდა ხელებს. მერე სახე დახარა, ცალი ხელი გაუჩერდა... მანქანას რაღაც გიჟური ციებ-ცხელებით აცახცახებდა, ვიდრე მეორე ხელი წერდა, ჩერდებოდა, ისევ წერდა და საბოლოოდ ისეთი მოულოდნელი ზანზარით გაქვავდა, რომ მინას ჩარჩოში ზრიალი გაადენინა. კუდიანს მექანიკური უსუსურობით თავი მკერდზე ჩამოუვარდა, სახე ერთბაშად მუჭისოდენად შეეჭმუხნა. მექანიზმმა დაიხუვლა და ერთადერთი კბილანის შემობრუნებით დაგლასის გამოშვერილ ხელისგულზე ციცქნა ბანქოს ქაღალდი დაეშვა.

- ცოცხალია! ისევ ამუშავდა!

- ბარათზე რა წერია, დაგ?

- იგივე, რაც გასულ შაბათს მე დამიწერა! მისმინე...

დაგლასმა წაიკითხა:

*ჰეი, ნონი ნო!*
*სულელია, ვინც სიკვდილს ელის!*
*სჯობს უდარდელად მღერა და ცეკვა!*
*როს ისმის სიკვდილის ზარების რეკვა!*
*ღვინის სმა სჯობს და ფერხული*
*და სიმღერა მხიარული:*
*ჰეი, ნონი ნო!*
*ნუ გაშინებს ნურც ქარი*
*და ნურც მორევი ამღვრეული!*
*ჰეი, ნონი ნო!*

- სულ ეს არის? - იკითხა ტომმა.

- ქვევით კიდევ მინაწერია: „წინასწარმეტყველება: დღეგრძელი და მრავალფეროვანი ცხოვრება“.

- აი, ეს უფრო გასაგებია! ახლა ერთიც ჩემთვის.

ტომმა ფული ჭრილში ჩააგდო. კუდიანი ცახცახით გაცოცხლდა. ხელში ქაღალდი ჩაუვარდა.

- აქედან ვინც ბოლო გავა, კუდიანის უკანალია, - მშვიდად განაცხადა ტომმა.

ისეთი სისწრაფით გაცვივდნენ, რომ მეპატრონე შეკრთა და ორმოცდახუთი სპილენძისცენტიანი ცალი ხელით ჩაბღუჯა, ოცდათექვსმეტი - მეორით.

გარეთ, ლამპიონების ბუნდოვან შუქში, დაგლასსა და ტომს შემაშფოთებელი აღმოჩენა ელოდათ.

ტაროს ბარათი ცარიელი იყო, ზედ არავითარი წინასწარმეტყველება არ ეწერა.

- შეუძლებელია!

- არ ინერვიულო, დაგ. უბრალოდ, კარტია, მხოლოდ ერთი პენი დავკარგეთ.

- ეს უბრალო კარტი არაა და ერთ პენიზე ბევრად მეტს ნიშნავს: სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია.

ლამპიონების ფარვანების ფრთხიალით აცეკვებულ შუქზე დაგლასის სახე რძისფრად მოჩანდა. ბარათს დაშტერებოდა და მასზე სიტყვების ამოკითხვას ცდილობდა.

- მელანი გაუთავდებოდა.

- მას მელანი არასოდეს უთავდება!

გახედა ისევ თავის ადგილას მჯდომ მისტერ ბლეკს, ბოთლი რომ მოიყუდა და მერე წყევლა-კრულვით მოითქვა სული: მას თავშიც არ მოსდიოდა, როგორ გაუმართლა, თაღებიან გალერეაში რომ ბინადრობდა. გთხოვ, ფიქრით შეევედრა ბიჭი, ამ გალერეას მაინც ნუ ჩამოაქცევ. დარდად ისიც გაგვყვება, რომ რეალურ სამყაროში მეგობრები ქრებიან, ადამიანებს ხოცავენ და მიწაში მარხავენ; მინდა, ეს გალერეა მაინც დარჩეს სამუდამოდ ისეთად, როგორიც ახლაა, გთხოვ, გთხოვ, გთხოვ...

დაგლასი ახლაღა მიხვდა, რატომ იზიდავდა მას გალერეა მთელი ამ კვირის მანძილზეც და ამ საღამოსაც. ეს ხომ სრულყოფილი, მოწესრიგებული, წინასწარ საიმედოდ დაგეგმილი სამყარო გახლდათ, ხურდა ფულისათვის გამზადებული ვერცხლისფერი ბრჭყვიალა ჭრილებით, საზარელი გორილათი, რომელსაც შუშის მიღმა სამარადისოდ და უცვლელად კლავს ცვილის გმირი, ცვილისავე მზეთუნახავის გადასარჩენად; აქვე, შიშველი

ნათურის სხივებში, ინდიელისთავიანი მონეტის[34] მიერ დატრიალებულ კოჭებზე, რაკრაკითა და ჟღურტულით იცვლებოდა ფოტოფირი კისტოუნელი პოლიციელების[35] შტერი სახეებით. პოლიციელები გამუდმებით ეჯახებოდნენ (ანდა ლამის ეჯახებოდნენ) მატარებელს, სატვირთო ან მსუბუქ მანქანას, ცვიოდნენ ზღვაში, მაგრამ არ იხრჩობოდნენ, რადგან კვლავ მატარებლის, სატვირთო თუ მსუბუქი მანქანის კატასტროფისაკენ მიიჩქაროდნენ, კვლავ ზღვაში ყვინთავდნენ ლამაზი, საოცრად ნაცნობი სანაპიროდან. სამყაროები სამყაროების შიგნით, ერთგროშიანი სლაიდების შოუ, რომელსაც ბეჯითად ატრიალებდი ძველისძველი რიტუალებისა და ფორმულების გასაცოცხლებლად. იქ, თუკი მოისურვებდი, ძმები რაიტები კვლავაც კიტი-ჰოკის[36] ქვიშიან ქარში აფრინდებოდნენ, ტედი რუზველტიც[37] ბდღვრიალა კბილებს გამოაჩენდა და სან-ფრანცისკოც უსასრულოდ აშენდებოდა და დაიწვებოდა, აშენდებოდა და კვლავაც დაიწვებოდა, ვიდრე ოფლისგან სველი ხურდებით გაუმაძღარ მანქანებს დააპურებდი.

დაგლასმა გახედა ღამის ქალაქს, სადაც სწორედ ამ წუთში, ანდა მომდევნო წუთში ნებისმიერი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩვენს სამყაროში, გინდ დღისით, გინდ ღამით, ძალზე ცოტა ვერცხლისფერ ჭრილს თუ იპოვიდი ფულის ჩასაგდებად, კიდევ უფრო ცოტა ბარათს გიგდებდნენ ხელში წასაკითხად, ხოლო წაკითხულიდან ათასში ერთი გზავნილი თუ გამოდგებოდა აზრიანი. აქ, ადამიანთა სამყაროში, დროს, ფულსა და ლოცვებს, როგორც წესი, ძალზე მცირე საფასურის სანაცვლოდ ან სულაც უქმად ვხარჯავთ.

აქ კი, გალერეაში, საკმარისი იყო, იმ მანქანის ყვითელ ბერკეტს ჩასჭიდებოდი და ჩამოგეწია, რომლის სახელწოდებაცაა „რამდენს გაუძლებთ?“ და ხელში ელვები აგიცეკვდებოდა, დენი კრაზანასავით ჩაგესობოდა მოფართხალე თითებში, დაგფუფქავდა და დაგჩხვლეტდა. სპეციალურ ტომსიკას ხელს რომ მოუჭერდი, მაშინვე გამცნობდა, თუ რამდენგირვანქიან ძალას ფლობდა შენი მუშტი სამყაროს შესამუსრად, თუკი მისი შემუსვრა საჭირო გახდებოდა. რობოტს ხელს თუ გადაუწევდი და ამით შენს ბრაზსა და ბოღმას ინდიელივით დაამარცხებდი, დანომრილ სკალაზე ნახევრამდე

---

*[34] ინდიელისთავიანი მონეტა (indian-head penny) – 1859-1909 წლებში აშშ-ში გამო-შვებული ერთცენტიანი მონეტა, რომელზედაც ინდიელის პროფილია გამოსახული.*

*[35] „კისტოუნელი პოლიციელები“ - XX საუკუნის დასაწყისსი გადაღებული კომედიური ჟანრის ამერიკული მუნჯური კინოსერიალი*

*[36] კიტი-ჰოკი - ქალაქი ჩრდილოეთ კაროლინაში, დეირის ოლქში.*

*[37] ტედი რუზველტი - თეოდორ რუზველტი (1858-1919) - ამერიკელი პოლიტიკოსი, აშშ-ის 26-ე პრეზიდენტი (1901-1909) და 25-ე ვიცე პრეზიდენტი (1901) რესპუბლიკუ-რი პარტიიდან.*

აინთებოდა ნათურები, ხოლო სულ მაღლა ამოფრქვეული ფეიერვერკი შენს ძალას აღიარებდა.

მოკლედ, გალერეაში შენს ამა თუ იმ მოქმედებას მუდამ შედეგი მოსდევდა და გარეთ ისეთი დამშვიდებული გამოდიოდი, თითქოს მანამდე უცნობი ეკლესია მოგელოცოს.

ახლა კი? ახლა?

კუდიანი მოძრაობს, მაგრამ დადუმდა და ვინ იცის, დღეს-ხვალ შეიძლება სულაც მოკვდეს თავის ბროლის კუბოში. დაგლასმა უსაქმოდ ჩამომჯდარ მისტერ ბლეკს გახედა, ყველა სამყაროს, მათ შორის საკუთარსაც, დაუნდობელ ბრძოლას რომ უცხადებდა. ერთ მშვენიერ დღეს მთელი მექანიზმები სიყვარულისა და ზრუნვის ნაკლებობისაგან დაჟანგდება და ჩამოიფშვნება, კისტოუნელი პოლიციელები წყალში გადაცვენის მომენტში სამუდამოდ გაქვავდებიან, დარჩებიან ლოკომოტივის ქვეშ სანახევროდ მოყოლილები; ძმები რაიტები ვეღარასოდეს მოსწყვეტენ მიწას თავიანთ საფრენ აპარატს...

- ტომ, - თქვა დაგლასმა, - ბიბლიოთეკაში უნდა დავსხდეთ და ამის შესახებ მოვილაპარაკოთ.

ქუჩას გაუყვნენ, თან წაუწერელ თეთრ ბარათს ხელიდან ხელში გადასცემდნენ.

კარგა ხანს ისხდნენ ბიბლიოთეკის მწვანეაბაჟურიანი ნათურის ქვეშ, შემდეგ - გარეთ, ქვისგან ამოკვეთილ ლომზე, და მჭმუნვარე იერით ფეხებს ქანდაკების ზურგზე აბარტყუნებდნენ.

- ის ბებერი ბლეკი სულ უყვირის და მოკვლით ემუქრება.

- რაც ცოცხალი არ არის, იმას ვერც მოკლავ, დაგ.

- ისე ექცევა კუდიანს, თითქოს ცოცხალი იყოს, ან ოდესმე ცოცხალი ყოფილიყოს, ან რაღაც ამდაგვარი, იმდენს უყვირის, რომ ვინ იცის, იქნებ კუდიანიც, ბოლოს და ბოლოს, შეშინდა. ან ეგებ სულაც არ შეშინებია, უბრალოდ, ჩვენს გასაფრთხილებლად საიდუმლო ხერხი გამონახა და გვატყობინებს, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. იქნებ ეს უხილავი მელანია ან ლიმონის წვენი! აქ რაღაც ისეთი წერია, რაც მისტერ ბლეკს არ უნდა ენახა: ხომ შეიძლებოდა, ბარათისთვის დაეხედა, ვიდრე მის გალერეაში ვიყავით. შენ დაიჭირე! აგერ მაქვს ასანთი.

- მაინცდამაინც ჩვენთვის რატომ უნდა მოეწერა კუდიანს, დაგ?

- დაიჭირე ბარათი! ასე! - დაგლასმა ასანთს მოუკიდა და ქაღალდს ქვევიდან მოუტარა.

- აუ, სიტყვები თითებზე კი არ მაწერია, დაგ! გასწიე ასანთი!

- აი! - ისტერიკულად დაიყვირა დაგლასმა. მართლაც გამოჩნდა გაკრული ხელით ნაწერი, ობობას ქსელის მსგავსი ასოები, ასანთის ალმა მუქად რომ გამოაშუქა... ერთი, ორი, სამი სიტყვა...

- ბარათი იწვის! - შეჰყვირა ტომმა და ბარათი ხელიდან გააგდო.

- დააბიჯე!

მაგრამ, ვიდრე წამოხტებოდნენ და ბებერი ლომის ზურგს ფეხებს დაუშენდნენ, ბარათი უკვე ფერფლის შავ ლაქად ქცეულიყო.

- დაგ, ახლა ვეღარასოდეს გავიგებთ, ზედ რა ეწერა!

დაგლასმა თბილი ფერფლის ფანტელები ხელისგულზე მოაგროვა.

- არა, დავინახე, რაც ეწერა. მახსოვს სიტყვები.

ფერფლი თითებს შორის შრიალით გაეფანტა.

- გახსოვს, გაზაფხულზე ჩარლი ჩეიზის კომედიას რომ ვუყურებდით: ფრანგი რომ იხრჩობოდა და რაღაცას ყვიროდა, ჩარლი ჩეიზი კი ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა. Secours, Secours![38] მერე ვიღაცამ აუხსნა, ეს რას ნიშნავდა და ჩარლი წყალში გადახტა და ის კაცი გადაარჩინა. ჰოდა, ამ ბარათზე ჩემი თვალით ვნახე, როგორ ეწერა: Secours!

- ფრანგულად რატომ მოგვწერა?

- მისტერ ბლეკს რომ ვერ გაეგო, ტუტუცო!

- დაგ, უბრალოდ წყლის ნიშანი იყო. ბარათი რომ გაახურე, იმიტომ გამოჩნდა... - დაგლასის სახის გამომეტყველების დანახვაზე ტომი დადუმდა, - ჰო, კარგი, კარგი, ნუ გადაირევი. იყოს „სეკუ“ თუ რაღაც ჯანდაბა, მაგრამ მაგის გარდა სხვა სიტყვებიც ეწერა...

- კიდევ ეწერა: მადამ ტარო. ტომ, ყველაფერს მივხვდი! მადამ ტარო მართლაც ცხოვრობდა დიდი ხნის წინ, მკითხავი და ნათელმხილველი იყო. ერთხელ ენციკლოპედიაში მისი სურათი ვნახე. ხალხი მთელი ევროპიდან ჩამოდიოდა მასთან. ჰოდა, დანარჩენს თვითონ უნდა მიხვდე, ტომ, დაფიქრდი!

ტომი ლომის ზურგს მიეყრდნო და ქუჩის ბოლოში მოციმციმე შუქებს გახედა.

- არ მითხრა ახლა, ეგ არისო ნამდვილი მადამ ტარო!

- ამ შუშის ყუთში, მთელი ამ წითელი და ლურჯი ატლასისა და ძველისძველი, ჩამომდნარი ცვილის ქვეშ: ჰო, აბა, რა! იქნებ დიდი ხნის წინ ვიღაცას მისი შეშურდა ან რაღაცის გამო შეიძულა იგი და ცვილი გადაასხა, მას მერე ბოროტმოქმედი სამუდამო ტყვეობაშია, ხელიდან ხელში გადადის, ბოლოს

[38] *Secours (ფრანგ.) - მიშველეთ.*

კი, საუკუნეების შემდეგ, ილინოისის შტატის გრინთაუნში ამოყო თავი. აქ ინდიელისთავიანი ხურდების ფასად მუშაობს, იმის მაგივრად, რომ ევროპის მონარქთა გამოსახულებიანი ოქროს ფულები მიიღოს!

- ვინ ბოროტმოქმედები? მისტერ ბლეკი?

- სახელადაც ბლეკი ჰქვია და პერანგიც შავი აქვს, შარვალი და ჰალსტუხიც შავი აქვს. კინოში ბოროტები ხომ ყოველთვის შავები არიან?

- მაგრამ რატომ არ დაუძახა ვინმეს თუნდაც შარშან ან შარშანწინ?

- ვინ იცის, იქნებ უკვე ასი წელია, ყოველ საღამოს, ყოველ ბარათზე ლიმონის წვეთით წერს, მაგრამ ყველა მხოლოდ ჩვეულებრივ წარწერებს კითხულობს. ჩვენსავით არავის მოსვლია აზრად ბარათის ცეცხლში გატარება და ნამდვილი წერილის გამომჟღავნება. კიდევ კარგი, ვიცი, Secours რასაც ნიშნავს.

- კარგი, ეგრე იყოს: მიშველეთო, მოგვწერა. აწი რაღა უნდა ვქნათ?

- უნდა გადავარჩინოთ.

- მისტერ ბლეკის ცხვირწინ მოვიტაცოთ თუ რა? ჩვენც რომ ცვილგადავლებულ კუდიანებად გვაქციოს და ასე, ათი ათასი წლით შუშის ყუთში გამოგვამწყვდიოს, მერე?

- ტომ, ბიბლიოთეკა აქვეა. მისტერ ბლეკთან შესაბრძოლებლად ჯადოებითა და ავგაროზებით უნდა აღვიჭურვოთ.

- მისტერ ბლეკთან ერთადერთი ჯადო თუ გაჭრის, - შენიშნა ტომმა, - ყოველ საღამოს, როგორც კი საჭირო რაოდენობის ხურდებს დააგროვებს... აგერ, ვნახოთ, - ტომმა ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო, - ეს შეიძლება ეყოს კიდეც. დაგ, შენ მიდი, წიგნები წაიკითხე, მე კი დავბრუნდები და თხუთმეტჯერ ვუყურებ კისტოუნელ პოლიციელებს, ხომ იცი, ეგ არასდროს მწყინდება. მერე გალერეაში შევხვდეთ და იმ დროისათვის ჯადომ შეიძლება უკვე მოქმედებაც დაიწყოს.

- ტომ, იმედია, დარწმუნებული ხარ იმაში, რასაც აკეთებ.

- დაგ, ხომ გინდა ამ პრინცესის გათავისუფლება?

დაგლასი ქუსლებზე დატრიალდა და ადგილს მოსწყდა.

ტომმა თვალი გააყოლა. ბიბლიოთეკის კარი ლაწალუწით მიიხურა და დადუმდა. ბიჭი ლომის ზურგიდან გადმოხტა და წყვდიადში ჩაყვინთა, ბიბლიოთეკის საფეხურებიდან კი ტაროს ქაღალდის ფერფლი აფრიალდა და ჰაერში გაიფანტა.

გალერეაში ბნელოდა; იდუმალი შუქით განათებული ჩინური ბილიარდის დაფა გოლიათის მღვიმეში ქვიშაზე ნაფხაჭნ ასოებს ჰგავდა. შუშაში გასახედ სლაიდებზე ტედი რუზველტი იკრიჭებოდა, ძმები რაიტები კი

საფრენი აპარატის პროპელერს ასწორებდნენ. კუდიანი თავის საკანში იჯდა, თვალებზე ცვილის ლიბრი გადაჰკვროდა, უეცრად ერთმა თვალმა გაიბრწყინა. გალერეის მტვრიან ფანჯრებს გარედან ჯიბის ნათურა მიანათეს. ვიღაცის მძიმე სხეული მიაწვა დაკეტილ კარს და კლიტეში გასაღებმა დაიჟღარუნა. მძიმე ხვნეშა გაისმა.

- ნუ გეშინია, მე ვარ, პატარა ქალო! - თქვა მისტერ ბლეკმა და შეტორტმანდა.

ლამპიონის შუქზე წიგნში თავჩარგულ დაგლასს სადარბაზოს სამალავიდან გამოსული ტომი წაადგა თავს.

- ჩუ! - ჩასჩურჩულა ტომმა, - გამომივიდა. კისტოუნელ პოლიციელებს თხუთმეტჯერ ვუყურე; მისტერ ბლეკმა ამდენი ხურდა ფულის ჩხრიალი რომ გაიგონა, თვალები აუთამაშდა, აპარატი გახსნა, ფული ამოიღო და გარეთ გამაგდო, თვითონ კი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა კონტრაბანდული სასმლის დუქანში ჯადოსნური ბანგის საყიდლად.

დაგლასი თითის წვერებზე მიეპარა გალერეის ფანჯარას და გორილა დაინახა: ერთს, სრულიად უძრავს, ბანჯგვლიან მკლავებში ცვილის მზეთუნახავი მოემწყვდია, მეორე ელდანაცემივით იდგა შუა დარბაზში და ოდნავ ბარბაცებდა.

- ტომ, - ჩასჩურჩულა ძმას, - მაგარი ხარ. ჯადოსნური ბანგითაა გაჟღენთილი, ასე არ არის?

- ნამდვილად. შენ რა გამოარკვიე?

დაგლასმა თითები წიგნზე აათამაშა და ხმადაბლა ალაპარაკდა:

- მადამ ტარო, როგორც გითხარი, მდიდარ ხალხს ბედისწერას, სიკვდილს და ეგეთ რამეებს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ერთი შეცდომა დაუშვა - ნაპოლეონს პირში მიახალა მისი დამარცხებისა და სიკვდილის ამბავი! ჰოდა...

დაგლასმა კიდევ ერთხელ შეიხედა მტვრიან ფანჯარაში და თვალები გაუსწორა ბროლის საკანში უძრავად მჯდომ ფიგურას.

- Secours, - ჩაილაპარაკა დაგლასმა და განაგრძო, - ნაპოლეონმა დაუძახა მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების ოსტატებს და მათ ტაროს კუდიანი მდუღარე ცვილში ცოცხლად ჩააგდეს. ახლა კი... ახლა...

- შეხედე, დაგ, მისტერ ბლეკი შიგნით რას შვრება! ხელში იარაღისმაგვარი რაღაც უჭირავს!

ასეც იყო. მისტერ ბლეკის უზარმაზარი ფიგურა საშინელი

წყევლა-კრულვითა და ტორტმანით მიიწევდა გალერეის გასწვრივ, ჯაყვა ეკავა და კუდიანს ცხვირწინ სისინით უტრიალებდა.

- მადამ ტაროს იმიტომ გადაეკიდა, რომ მთელ ამ გროვაში ადამიანური იერი მხოლოდ მას აქვს, - თქვა ტომმა, - ვერაფერს დაუშავებს. ერთ წუთში ძირს დაეცემა და დილამდე იძინებს.

- არაფერიც, - შეეკამათა დაგლასი, - მშვენივრად იცის, რომ კუდიანმა გაგვაფრთხილა და მის საშველად მივდივართ. არ სურს, მისი შავბნელი საიდუმლო გამოვამჟღავნოთ,ამიტომ შეიძლება ამაღამ საბოლოოდ გაანადგუროს.

- რა იცის, რომ გაგვაფრთხილა? ჩვენ თვითონაც ხომ არ ვიცოდით, ვიდრე აქაურობას არ მოვშორდით?

- ათქმევინა, აპარატში ხურდები ჩაყარა. ბარათებზე წერისას კუდიანს ტყუილის თქმა არ შეუძლია, ტაროს ქალები და ჩონჩხები მხოლოდ სიმართლეს ამბობენ. იძულებული იყო, სიმართლე გაემხილა და, ალბათ, ისეთი ბარათი გადმოუგდო, რომელზეც ორი პატარა რაინდია გამოსახული, ბავშვების სიმაღლისა, ხომ გესმის? ეს ჩვენ ვართ, ხელკეტებით შეიარაღებული მასთან მივდივართ.

- უკანასკნელად! - ყვიროდა მისტერ ბლეკი თავის ჩაბნელებულ მღვიმეში, - უკანასკნელად ვაგდებ მონეტას. ერთხელაც მითხარი, ეშმაკსაც წაუღიხარ, ეს წყეული გალერეა ოდესმე ფულს მომიტანს თუ საბოლოოდ გავკოტრდები?! ყველა ქალივით გულცივი ხარ, მშვიდად ზიხარ, როცა კაცს შიმშილით სული სძვრება! მომეცი ბარათი. ასე! აბა, ვნახოთ! - ბარათი სინათლესთან მიიტანა.

- ღმერთო! - ჩურჩულით შეიცხადა დაგლასმა, - მზად იყავი.

- არა! - შეჰყვირა ბლეკმა, - მატყუარა! მატყუარა! ესეც შენ! - ყუთს მუშტი დაარტყა. მინამ ვარსკვლავების კასკადად იფეთქა და ძირს ჩამოიმსხვრა. კუდიანი ახლა სრულიად დაუცველი იჯდა და მეორე დარტყმას მშვიდად ელოდა.

- არა! - დაგლასმა კარი შეამტვრია, - მისტერ ბლეკ!

- დაგ! - დაიყვირა ტომმა.

მისტერ ბლეკი ყვირილის ხმაზე შებრუნდა, ბრმად მოიქნია დანა და დარტყმა დააპირა. დაგლასი გაქვავდა. მოულოდნელად მისტერ ბლეკმა თვალები გადმოკარკლა, ამოტრიალდა და პირაღმა დავარდა, დაგლასს მოეჩვენა, თითქოს ათასი წელი გავიდა, ვიდრე ძირს დაენარცხებოდა. მარჯვენა ხელიდან ჯიბის ნათურა გაუგორდა, მარცხნიდან კი ვერცხლისფერი თევზივით დანა გაუსხლტა.

ტომი ფრთხილად შევიდა შიგნით და სიბნელეში გაშოტილ ფიგურას დახედა.

- მკვდარია, დაგ?

- არა, უბრალოდ, მადამ ტაროს მკითხაობამ თავზარი დასცა. სახე ისე აქვს ალეწილი, ეტყობა, ბარათზე საშინელი წინასწარმეტყველება ეწერა.

იატაკზე გაშოტილი კაცი ხმამაღლა ხვრინავდა.

დაგლასმა აცახცახებული ხელით აკრიფა ძირს მიმოფანტული ქაღალდი და ჯიბეში ჩაიწყო.

- წამოდი, ტომ, სანამ დროა, აქაურობას გავარიდოთ.

- მოვიტაცოთ? გაგიჟდი?

- რა, გინდა უარესი დანაშაულის თანამონაწილე გახდე? მაგალითად, მკვლელობის?

- კარგი, რა, დაგ, თოჯინა როგორ უნდა მოკლა?

მაგრამ დაგი ყურს აღარ უგდებდა. გახსნილ ყუთში ხელები ჩაყო და კუდიანმა ტარომ, თითქოს დიდხანს, დიდხანს სწორედ ამ წუთს ელოდაო, შრიალით ამოიოხრა, ნელა, ძალიან ნელა გადმოიხარა და ბიჭს მკლავებში ჩაუვარდა.

* * *

ქალაქის საათი ცხრა საათსა და ორმოცდახუთ წუთს აჩვენებდა. მთვარე ცაზე მაღლა იდგა და მიდამოს თბილი, მაგრამ მაინც სუსხიანი შუქით ავსებდა. ტროტუარი ერთთავად ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. მის ზედაპირზე შავი ჩრდილები მოძრაობდნენ. დაგლასი მარტოკა მიიწევდა წინ, მკლავებში ხავერდისა და ჩალისფერი ცვილის არსება ეკავა. დროდადრო მოცახცახე ხეების ჩრდილის შავ გუბეებში იმალებოდა, ჩერდებოდა და სმენას ძაბავდა. შრიალი მოესმა, თითქოს თაგვები მორბოდნენ, და უკან მიიხედა. ტომი მოსახვევიდან გამოქანდა და მიუახლოვდა.

- დაგ, უკან ჩამოვრჩი, მისტერ ბლეკი ხომ არ... მოკლედ, გონს მოვიდა და ლანძღვა-გინება მორთო. ოჰ, დაგ, მაგ თოჯინათი ხელში თუ დაგიჭირა! ჩვენი მშობლები რაღას იტყვიან? ეს ხომ ქურდობაა!

- ჩუმად!

თავიანთ ზურგს უკან მთვარით განათებულ ქუჩას, როგორც მდინარის ხმას, ისე მიაყურადეს.

- ტომ, შეგიძლია მის გადარჩენაში დამეხმარო, მაგრამ იცოდე, არაფერი გამოვა, თუკი „თოჯინას“ უწოდებ, ხმამაღლა ილაპარაკებ ანდა უსაქმოდ შემომარტყამ წრეებს.

- დაგეხმარები! - ტომმა ხელი შეაშველა და წონის ნახევარი იტვირთა, - უჰ, მსუბუქი ყოფილა!

- სულ ახალგაზრდა იყო, როცა ნაპოლეონმა... - დაგლასმა ფრაზა შუაში გაწყვიტა, - მოხუცები მძიმეები არიან. ამის მიხედვით შეგიძლია მიხვდე მათ ასაკს.

- კარგი, მაინც რატომ? რატომ ატეხე მთელი ეს ამბავი მისი გულისთვის, დაგ? რისთვის?

რისთვის? დაგლასმა თვალები აახამხამა და შეჩერდა. მოვლენები ისე სწრაფად დატრიალდა, თვითონაც ისე სწრაფად ირბინა და სისხლი ისე უდუღდა, რომ სულმთლად დაავიწყდა, რისთვის ხდებოდა ყველაფერი. მხოლოდ ახლა, ტროტუარს რომ მიუყვებოდნენ და ჩრდილები ქუთუთოებზე ღამის პეპლებივით ასხდებოდნენ, ხელებზე მტვრიანი ცვილის მძიმე სუნი რომ იგრძნო, მაშინღა მოიცალა ყველაფრის გასააზრებლად და როდესაც ამის შესახებ ალაპარაკდა, საკუთარი ხმა მთვარის შუქივით უცხო ეჩვენა.

- ტომ, ერთი-ორი კვირის წინ აღმოვაჩინე, რომ ცოცხალი ვარ. ღმერთო, რას დავხტოდი და ვკუნტრუშებდი! მერე კი, გასულ კვირას, კინოში მივხვდი, რომ ოდესმე უნდა მოვკვდე კიდეც. ამაზე ადრე არასოდეს მიფიქრია. ისეთივე გრძნობა დამეუფლა, როგორიც გამიჩნდებოდა, მაგალითად, Y.M.C.A.[39] რომ გაუქმდეს, ანდა სამუდამოდ დაიკეტოს სკოლა, რომელიც სულაც არ არის ისეთი ცუდი, ჩვენ რომ გვეჩვენება; ან მთელი ატმის ხეები ერთბაშად რომ გახმეს, თუნდაც ხევი რომ ამოავსონ, გადაასწორონ და სათამაშო ადგილი აღარსად დაგვრჩეს, ძალიან დიდი ხნით ავად რომ გავხდე და ლოგინს მივეჯაჭვო. ამ გრძნობამ ძალიან შემაშინა. ჰოდა, არ ვიცი. მინდა მადამ ტარო გადავარჩინო. რამდენიმე კვირით ან თვით სადმე გადავმალავ, ვიდრე მაგიის სახელმძღვანელოებში ამოვიკითხავ, როგორ ავხსნა ჯადო და ცვილისგან გავათავისუფლო, რომ ამდენი ხნის შემდეგ ისევ შეძლოს ქვეყნად ცხოვრება. ჰოდა, იმდენად მადლიერი იქნება, თავის ეშმაკებიან, სასმისებიან, ძვლებიან და ხანჯლებიან ბანქოს გამიშლის, დამარიგებს, როდის ავუარო გვერდი ორმოებს და რომელ ხუთშაბათს სჯობს საერთოდ არ ავდგე საწოლიდან. და მეც უსასრულოდ, ან თითქმის უსასრულოდ, ვიცოცხლებ.

- ამ ყველაფრის შენ თვითონ არ გჯერა.

- მჯერა, ძირითადი ნაწილი მაინც. მოიცადე, აი, ხევიც, ნაგავსაყრელთან ახლოს გადავჭრათ და...

---

[39] *The Young Men's Christian Association – „ახალგაზრდა მამაკაცთა ქრისტიანული ასო-ციაცია", ინგლისში დაარსებული საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის პრინციპებით ხელმძღვანელობს.*

ტომი შეჩერდა. დაგლასმა შეაჩერა. უკან არ მიუხედავთ, მაგრამ კარგად გაიგონეს ზურგს უკან სროლასავით მძიმე ნაბიჯები, ყვირილი და წყევლაც მოესმათ.

- ტომ, დაგინახა და გამოგვეკიდა!

გაიქცნენ, მაგრამ გოლიათის ხელი დასწვდათ და ორივე გვერდით გადაისროლა. მისტერ ბლეკი მძვინვარებდა, აქეთ-იქით ბარბაცებდა და კბილებს შორის ნერწყვის შხეფებს აფრქვევდა, ბიჭები ბალახზე იწვნენ და შიშისაგან კიოდნენ. კაცს კუდიანი ქეჩოთი და ცალი ხელით ეკავა და ბიჭებს თვალებს უბრიალებდა.

- ეს ჩემი საკუთრებაა და რასაც მინდა, იმას ვუზამ! როგორ გაბედეთ მისი წაღება?! მთელი ჩემი უბედურება მისი ბრალია: უფულობა, უიღბლობა! დიახ, სწორედ ასეა!

- არა! - დაიყვირა დაგლასმა.

მაგრამ ვეება მკლავებს მსუბუქი ფიგურა უკვე ზევით, მთვარისკენ აეზიდათ, კაცმა მძლავრად მოიქნია კუდიანის ფაქიზი ცვილის სხეული, გეგონებოდათ, ვარსკვლავებს უნდა შეალეწოსო, წყევლით გადაისროლა ხევში, სადაც ის დაღმართზე ჩაგორდა, თან ნაგვის კოშტები ჩაიყოლა და  თეთრი მტვრისა და ნაცრის გროვაში ჩაეფლო.

- არა! - იმეორებდა ძირს წამომჯდარი დაგლასი და ხევში იყურებოდა, - არა!

წოწოლა კაცი ბორცვის ქიმზე წაბორძიკდა და დაუღრიალა:

- მადლობა თქვი, რომ შენც ზედ არ მიგაყოლე! - და აცაბაცა ნაბიჯებით იქაურობას გაშორდა, ერთხელ წაიქცა, ისევ წამოდგა და სიცილითა და ლანძღვა-გინებით თვალს მოეფარა.

დაგლასი ხევის პირას იჯდა და ტიროდა. კარგა ხნის შემდეგ ცხვირი მოიხოცა და ტომს შეხედა.

- ტომ, უკვე გვიანია. მამა ჩვენს საძებნელად ქუჩაში იქნება გამოსული. ერთი საათის წინ მაინც უნდა ვყოფილიყავით სახლში. ვაშინგტონის ქუჩით გაიქეცი, მამა მოძებნე და აქ მოიყვანე.

- შენ რა, ხევში ჩასვლას აპირებ?

- ახლა ნაგავსაყრელზე გდია. ესე იგი, ქალაქის საკუთრებაა, ასე რომ, მისი ბედი არავის საქმე აღარ არის, მათ შორის, არც მისტერ ბლეკის. აუხსენი მამას, აქ რისთვისაც ვეძახით და ისიც უთხარი, რომ ჩემთან და კუდიანთან ერთად შინ მისულს ვერავინ შენიშნავს. უკან დავბრუნდები და შემოვლითი გზით მივათრევ შინ, ისე, რომ ვერაფერს გაიგებენ.

- მაინც აღარაფერში გამოგადგება, მექანიზმი სულ დალეწილი ექნება.

- აქ, ღია ცის ქვეშ, წვიმაში ვერ დავტოვებ, ხომ გესმის, ტომ!

- ჰო, აბა, რა.

ტომი ნელა გაუდგა გზას.

დაგლასი ბორცვის კალთას ჩაუყვა, ნაცრის გროვებს, ძველ ქაღალდებსა და თუნუქის დაჭყლეტილ ქილებს შორის მიაბიჯებდა. სიბნელეში ფერადად გადაშლილ ოღროჩოღრო დაღმართს აკვირდებოდა.

- მადამ ტარო! - თითქმის ჩურჩულით ეძახდა, - მადამ ტარო!

მოეჩვენა, თითქოს ბორცვის ძირას მთვარის შუქზე თეთრი ცვილის ხელი დალანდა, რომელსაც კუდიანი უქნევდა. ნიავი თეთრ ფურცელს აფრიალებდა, მაგრამ ბიჭმა მაინც მისკენ გაუხვია.

ქალაქის საათმა ღამის თორმეტი საათი ჩამორეკა. გარშემო თითქმის არც ერთ სახლში აღარ ენთო შუქი. გარაჟში მოწყობილ სახელოსნოში ორმა ბიჭმა და ერთმა მამაკაცმა, ბოლოს და ბოლოს, უკან დაიხიეს და ძველისძველ დაწნულ სავარძელში დაბრძანებულ, აწყობილ და მოწესრიგებულ კუდიანს შორიდან გახედეს. მის წინ, მუშამბაგადაფარებულ ბანქოს მაგიდაზე, ფანტასტიკურ მარაოებად გადაშლილიყო რომის პაპების, ჯამბაზების, კარდინალების, სიკვდილების, მზეებისა და კომეტებისგამოსახულებიანი ტაროს ქაღალდი, რომელსაც ზევიდან ცვილის თეთრი ხელი ეფარა.

მამა მშვიდად ლაპარაკობდა:

- ასეა. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ქალაქიდან ცირკის გამგზავრება ისე განვიცადე, მთელი ქალაქი შემოვირბინე და მილიონობით ძველი აფიშა შევაგროვე. მოგვიანებით ბოცვრების მოშენებამ და მაგიამ გამიტაცა. სხვენში ილუზიების კოშკებს ვაგებდი, დღის სინათლეზე რომ ვერ გამომქონდა, - თავი კუდიანისკენ გაიქნია, - ო, მახსოვს, ერთხელ, ასე, ოცდაათი წლის წინათ, მომავალი რომ მიწინასწარმეტყველა. კარგი, გაასუფთავეთ და მერე დასაძინებლად წადით. შაბათს საგანგებო ბინა ავუშენოთ, - მამა კარისკენ გაემართა, მაგრამ დაგლასის ხმაზე შეჩერდა.

- მამა, გმადლობ. გმადლობ, სახლამდე რომ მოგვაცილე. გმადლობ ყველაფრისთვის.

- არაფრის, - უთხრა მამამ და გარაჟიდან გავიდა.

კუდიანთან დარჩენილმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

- აუჰ, პირდაპირ მთავარი ქუჩა არ ჩავიარეთ ოთხივემ, - შენ, მე, მამამ და კუდიანმა! მამა ნამდვილი განძია!

- ხვალ, - თქვა დაგლასმა, - ქალაქის ცენტრში ჩავალ და აპარატის დარჩენილ ნაწილს მისტერ ბლეკისგან ათ დოლარად ვიყიდი, თორემ მასაც გადააგდებს.

- აბა, რას იზამს, - ტომმა თვალი შეავლო დაწნულ სავარძელში მჯდომ მოხუც ქალს, - ბიჭო, მართლა ცოცხალივითაა. ნეტავ შიგნით როგორაა მოწყობილი.

- ჩიტივით თხელი ჩონჩხი ექნება. სულ ეს არის, რაც მადამ ტაროსგან შემორჩა მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა...

- და არავითარი მექანიზმი? მოდი, რა, გავჭრათ და შევხედოთ!

- მოვასწრებთ, ტომ.

- როდის?

- რა ვიცი, ერთ ან ორ წელიწადში, თოთხმეტი ან თხუთმეტი წლის როცა ვიქნები. ამ წუთში არაფრის გაგება არ მსურს, გარდა იმისა, რომ აქ, ჩემთანაა. ხვალიდან კი ჯადოების მოხსნაზე უნდა ვიმუშაო, რათა სამუდამოდ გავათავისუფლო. ერთ მშვენიერ საღამოს შეიტყობ, რომ ქალაქის ცენტრში ვიღაც ულამაზესი, საზაფხულო ჭრელ კაბაში გამოწყობილი იტალიელი ქალიშვილი დაუნახავთ. სადგურზე აღმოსავლეთის მიმართულებით იყიდის ბილეთს. ყველა დაინახავს, მატარებელში როგორ ჩაჯდება: ყველა იტყვის, რომ ასეთი მშვენიერი გოგონა არასოდეს უნახავთ და როდესაც ამას გაიგონებ, ტომ - ეს ამბავი კი, მერწმუნე, ელვის სისწრაფით გავრცელდება, რადგან არავის ეცოდინება, თუ საიდან მოვიდა ან საით მიემგზავრება, - აი, მაშინ იცოდე, რომ ჯადო ავხსენი და გავათავისუფლე. და ერთი ან ორი წლის მერე, როგორც კი მატარებელი სადგურიდან დაიძვრება, ცვილის გაკვეთის წამიც დადგება. მისი წასვლისთანავე სრული უფლება გექნება, მის შიგნეულში მხოლოდ პატარა ბორბლები, კბილანები და რკინები აღმოაჩინო. აი, ასე.

დაგლასმა კუდიანის ხელი აიღო და სიცოცხლის ფერხულს გადაუსვა: სიკვდილის ჩონჩხების, თარიღებისა და ბედისწერის, მოირებისა და ახირებების ფერად ზარ-ზეიმს. კუდიანის გაცვეთილი ფრჩხილები შრიალით ეხებოდა ქაღალდს. სახე ყოვლად იდუმალი წონასწორობის ძალით ჰქონდა დახრილი, ნათურის შუქზე მოელვარე თვალები გაბმით უმზერდნენ ბიჭებს.

- გინდა გიმკითხავო, ტომ? - მშვიდი ხმით იკითხა დაგლასმა.

- მიდი.

კუდიანის ფართო სახელოდან ბარათი გადმოვარდა.

- ტომ, შეხედე ამას! ერთი ბარათი გადაუმალავს და ახლა გვაძლევს! - დაგლასმა ქაღალდს სინათლეზე გახედა, - ცარიელია. ამაღამ ქიმიკატებით სავსე ასანთის კოლოფში ჩავდებ, ხვალ კოლოფს გავხსნით და შიგ წერილი დაგვხვდება!

- რა ეწერება ბარათზე?

დაგლასმა სიტყვების უკეთ გასარჩევად თვალები მოხუჭა.

- ეს ეწერება: „მადლობას მოგახსენებთ თქვენი უმორჩილესი მონა და გულითადი მეგობარი, მადამ ფლორისტან მარიან ტარო, ქირომანტი, სულის მკურნალი და ბედისწერის ქალღმერთთა შემლოცველი“.

ტომმა გადაიხარხარა და ძმას მხარში მსუბუქად ჰკრა ხელი.

- განაგრძე, დაგ, კიდევ, კიდევ რა?

- მოიცადე... კიდევ ეწერება: „ჰეი, ჰერი-ო!.. სულელია, ვინც სიკვდილს ელის!.. სჯობს უდარდელად მღერა და ცეკვა... როს ისმის სიკვდილის ზარების რეკვა... ღვინის სმა სჯობს და ფერხული... ჰეი, ჰერი-ო!“ კიდევ ეწერება: „ტომ და დაგლას სპოლდინგებო, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რასაც კი მოისურვებთ, ყველაფერი აგიხდებათ!“ და ეწერება, რომ მე და შენ უსასრულოდ ვიცოცხლებთ, ტომ, უსასრულოდ...

- და ეს ყველაფერი - ამ ციცქნა ბარათზე?

- დიახ, თითოეული სიტყვა, ტომ.

ელექტრონათურის სინათლეზე სამივეს თავი დაეხარა, ბიჭებსაც და კუდიანსაც, უსასრულოდ აკვირდებოდნენ ცარიელ, მაგრამ მრავლისაღმთქმელ კოხტა ბარათს და თითოეულ იმ დაფარულ სიტყვას შეიგრძნობდნენ, არარადან რომ უნდა ამოტივტივებულიყო.

- მაგარია, - ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ტომმა.

დაგლასმა კი საზეიმო ჩურჩულით გაიმეორა:

- მაგარია...

* * *

ალისფერ შუადღეს მწვანე ხეების ჩრდილში ვიღაც ჩუმად, ღიღინით ითვლიდა.

- ...ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი...

დაგლასმა ნელა გადაჭრა გაზონი.

- ტომ, რას ითვლი?

- ...ცამეტი, თოთხმეტი, მოკეტე, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, ჭრიჭინებს, თვრამეტი, ცხრამეტი!..

- ჭრიჭინებს?

- ოჰ, ჯანდაბა! - ტომმა მოჭუტული თვალები დაჭყიტა, - ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა!

- გეყოფა, უფროსებმა არ გაიგონ, რომ იწყევლები.

- ჯანდაბა, ჯანდაბა-მეთქი! - ყვიროდა ტომი, - ახლა თავიდან დაწყება მომიწევს, ვითვლიდი, ჭრიჭინები თხუთმეტი წამის განმავლობაში რამდენ-ჯერ დაიჭრიჭინებდნენ, - თავისი ორდოლარიანი მაჯის საათი მაღლა ასწია, - დაითვლი, მერე ოცდაცხრამეტს მიუმატებ და მიიღებ ზუსტად იმ ტემ-პერატურას, რაც ამ წუთშია, - ისევ ჩაუკვირდა საათს, ცალი თვალი მოხუჭა, თავი დახარა და აჩურჩულდა:

- ერთი, ორი, სამი..!

დაგლასი შეტრიალდა და სმენად იქცა. სადღაც მაღლა, სპილოსძვლის-ფერ ცაში, უსასრულოსიგრძის სპილენძის მავთული გაჭიმულიყო და ზრი-ალი გაუდიოდა. ყოვლისგამჭოლი ლითონისებრი ვიბრაცია ნედლი ელექ-ტრომუხტებივით კვლავაც და კვლავაც ცვიოდა ხეებიდან და არემარეს თავ-ზარს სცემდა.

- შვიდი, - ითვლიდა ტომი, - რვა.

დაგლასი ნელა აუყვა სახლის კიბეს. ბნელ დერეფანში რაღაცას გაჭირ-ვებით ჩააკვირდა, ასევე ნელა დაბრუნდა პარმაღზე და სუსტი ხმით გადას-ძახა ტომს:

- ზუსტად ოთხმოცდაშვიდი გრადუსია ფარენჰაიტით.

- ოცდაშვიდი, ოცდარვა...

- ჰეი, ტომ, გესმის?

- მესმის - ოცდაათი, ოცდათერთმეტი! გამეცალე! ორი, სამი, ოცდათოთ-ხმეტი!

- შეგიძლია თვლა შეწყვიტო, აგერ, შიგნით რომ თერმომეტრი კიდია, ის უჩვენებს ოთხმოცდაშვიდს ყოველგვარი ჭრიჭინების გარეშე.

- ჭრიჭინები! ოცდაცხრამეტი, ორმოცი! ჭრიჭინების კი არა! ორმოცდა-ორი!

- ოთხმოცდაშვიდი გრადუსია. მეგონა, სწორედ ამის გაგება გსურდა.

- ორმოცდახუთი ეგ შიგნითაა და არა გარეთ! ორმოცდაცხრა, ორმოც-დაათი, ორმოცდათერთმეტი! ორმოცდათორმეტი, ორმოცდაცამეტი! ორმოცდაცამეტს პლუს ოცდაცხრამეტი იქნება ოთხმოცდათორმეტი გრა-დუსი!

- ამას ვინ ამბობს?

- ვინ ამბობს და მე ვამბობ! ოთხმოცდაშვიდი გრადუსი ფარენჰაიტით კი არა, ოთხმოცდათორმეტი გრადუსი სპოლდინგით!

- შენ გარდა ამ აზრს კიდევ ვინმე იზიარებს?

ტომი ალეწილი სახით წამოხტა ფეხზე და მზეს თვალი გაუსწორა.

- ჭრიჭინები, აი, ვინ! მე და ჭრიჭინები! ხომ ხედავ, რომ უმცირესობაში ხარ! ოთხმოცდათორმეტი, ოთხმოცდათორმეტი გრადუსი სპოლდინგით, ღმერთმანი!

ორივენი იდგნენ და უმოწყალოდ გაშიშვლებულ ცას აჰყურებდნენ, რომელიც ახლა წყობიდან გამოსულ კინოთეატრს ჰგავდა: ფართო ეკრანით აშტერდებოდა უძრავად გართხმულ მომაკვდავ ქალაქს, მდუღარე ოფლში რომ იხრჩობოდა.

დაგლასმა თვალები დახუჭა და ორი შტერი მზე დაინახა, მისი ქუთუთოების ვარდისფერ, გამჭვირვალე სარჩულებზე რომ ცეკვავდნენ.

- ერთი... ორი... სამი...

დაგლასს ტუჩები თავისით აუმოძრავდა.

- ...ოთხი... ხუთი... ექვსი...

ამჯერად ჭრიჭინები კიდევ უფრო სწრაფად ჭრიჭინებდნენ.

* * *

შუადღიდან დაღამებამდე, შუაღამიდან რიჟრაჟამდე კაცი, ცხენი და ფურგონი გრინთაუნის ყველა ქუჩასა და კუნჭულში მიმოდიოდნენ და ქალაქის ოცდაექვსიათას სამას ორმოცდაცხრავე მცხოვრები საუკეთესოდ იცნობდა მათ.

დღის ნებისმიერ მომენტში ბავშვებს შეეძლოთ თითქოსდა უმიზეზოდ შეჩერებულიყვნენ და გამოეცხადებინათ:

- მისტერ ჯონასი მოდის!

- ნედი მოდის!

- ფურგონი მოდის!

ასაკოვან ხალხს შეიძლებოდა ვერც სამხრეთით, ვერც ჩრდილოეთით, ვერც აღმოსავლეთით და ვერც დასავლეთით მისტერ ჯონასის, ნედის სახელით ცნობილი ცხენისა და პრერიაში მოხეტიალე პირველი კოლონისტებისდროინდელი ფურგონის ვერანაირი ნიშანწყალი ვერ შეენიშნათ.

მაგრამ ნებისმიერი ქუჩის ძაღლისგან ყურს თუ ისესხებდით, სათანადო სიხშირეზე მომართავდით და რაც ძალი და ღონე გაქვთ, დაცქვეტდით, კილომეტრების მოშორებით ქალაქის მეორე ბოლოდან გაიგონებდით გამკივან სიმღერას, თითქოს რაბინი გალობსო შუა უდაბნოში, ან მუეძინი - მინარეთიდან. მისტერ ჯონასის ხმა თავის პატრონს მუდამ წინ უსწრებდა, ასე რომ, ხალხს მისი მოსვლისათვის მოსამზადებლად ნახევარი საათი მაინც

ჰქონდა. მისი მოახლოებისას კი ტროტუარის ბორდიურები უკვე ბავშვებით იყო ხოლმე სავსე, გეგონებოდათ, აღლუმის სანახავად გამოეფინენო.

მაშ, ასე: ფურგონი ქუჩაზე შემობრძანდებოდა ხოლმე, ხურმისფერი საჩრდილობლის ქვეშ, კოფოზე მისტერ ჯონასი იჯდა, სადავე ნაკადულივით ეღვრებოდა ხელებიდან. კოფოზე იჯდა და მღეროდა:

*ძველმანები, ძონძები!*
*არა, ჩემო ბატონო!*
*ძველმანები, ძონძები!*
*არაფერიც, ქალბატონო -*
*ბრილიანტები, ძოწები!*
*ნამსხვრევები, ნატეხები,*
*სამეჯლისო კაბები,*
*ბოხჩები და მაქმანები,*
*ბებოს მოსართავები.*
*ძველმანები? ძონძები?*
*არაფერიც, ქალბატონო!*
*არა, ჩემო ბატონო!*

მისი სიმღერის გაგონებისთანავე ყველა ხვდებოდა, რომ მისტერ ჯონასი ჩვეულებრივი მეძველმანე სულაც არ გახლდათ, თუმცა, ტანზე დაკონკილი ველვეტის კოსტიუმი ეცვა, თავზე კი ფეტრის ქუდი ეხურა, ზედ დაკერებული სამოქალაქო ომისდროინდელი სამხედრო ღილებით. ეს უცნაურობა კი სჭირდა: გარდა იმისა, რომ მზის შუქზე დადიოდა ქალაქში, ის და მისი ცხენი შეიძლებოდა თქვენს შესახვედრად მთვარით განათებული ქუჩის კუთხიდანაც გამოცურებულიყვნენ; ასე მიაგორებდა ფურგონს და უვლიდა წრეებს ღამის წყვდიადში ჩაკარგულ კუნძულებს, კვარტალებს, რომელთა ბინადრებს უხსოვარი დროიდან იცნობდა. ფურგონით აქა-იქ შეგროვებულ ნივთებს დაატარებდა კვირაობით, თვეობით თუ წლობით, ვიდრე ისინი ვინმეს არ დასჭირდებოდა. ასეთ შემთხვევაში საკმარისი იყო, გეთქვათ: „ეს საათი მინდა“, ან: „ეს ლეიბი გამომადგება“, და ჯონასი გამოგიწვდიდათ მას, უსასყიდლოდ გაგატანდათ და, ახალი სიმღერისათვის სიტყვების შერჩევით გართული, გზას განაგრძობდა.

ამგვარად, ძალზე ხშირად ის ერთადერთი ადამიანი იყო მთელ გრინთაუნში, ვისაც ღამის სამ საათზე ეღვიძა და როდესაც თავის ტკივილით შეწუხებული ადამიანი მთვარის შუქზე მის ფურგონსა და ცხენის მოლაპლაპე გვერდებს დალანდავდა, გარეთ გამორბოდა და ეკითხებოდა, შემთხვევით

ასპირინი ხომ არ გექნებათო, რასაც უცვლელად დადებითი პასუხი მოსდევდა. არაერთხელ მოუწია ღამის ოთხ საათზე მშობიარე ქალისათვის დახმარების გაწევამ და ადამიანები მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამჩნევდნენ, რა სუფთა ხელები და მოვლილი ფრჩხილები ჰქონდა, თითქოს მდიდარი კაცი ყოფილიყოს, ყველასგან საიდუმლოდ სადღაც მეორე ცხოვრებით რომ ცხოვრობდა. ზოგჯერ ვინმეს გვერდით მოისვამდა და ქალაქის ცენტრში სამუშაოზე მიჰყავდა, ანდა, თუ ადამიანს უძილობა სჭირდა, მასთან პარმაღზე ადიოდა, თან მუდამ სიგარები აღმოაჩნდებოდა ხოლმე, ერთად დილამდე ისხდნენ, ეწეოდნენ და საუბრობდნენ.

ვინც ან რაც უნდა ყოფილიყო მისტერ ჯონასი, ან რაგინდ უცნაურად და გიჟად უნდა მოგჩვენებოდათ, სინამდვილეში გიჟი არ იყო. თვითონ ჩვეული თავმდაბლობითა და სილბოთი არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი ხნის წინათ ჩიკაგოში ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ ამ საქმემ დაღალა და სიცოცხლის დარჩენილი წლების სრულიად სხვაგვარად გატარება ინდომა. ეკლესიებს არ ცნობდა, თუმცა, მათი იდეებისადმი მოწიწებით იყო განმსჭვალული, თავად კი მუდამ სიამოვნებით ქადაგებდა და უყვარდა ცოდნის გამომჟღავნება; ცხენი და ფურგონი იყიდა და გზას გაუდგა, დარჩენილი წლები იმაზე ზრუნვას მიუძღვნა, რომ ქალაქის ერთ ნაწილს ის მიეღო, რაც მეორე ნაწილს აღარ სჭირდებოდა. საკუთარ ფუნქციას ოსმოსის მსგავს ფიზიკურ პროცესად აღიქვამდა: ქალაქის სხვადასხვა კულტურულ ფენას ერთმანეთთან დაკავშირებას უადვილებდა. მფლანგველობას ვერ იტანდა: იცოდა, ის, რაც ერთისთვის ნაგავია, სხვისთვის შეიძლება ფუფუნებას ნიშნავდეს.

ასე რომ, დიდები და, განსაკუთრებით პატარები, ცნობისმოყვარედ იცქირებოდნენ ფურგონში და განძეულობის უშველებელ გროვას სინჯავდნენ.

- ოღონდ დაიხსომეთ, - ამბობდა მისტერ ჯონასი, - რაც მოგესურვებათ, ყველაფერი თქვენია, თუკი მართლა გჭირდებათ. ამის დასადგენად საკუთარ თავს დაუსვით კითხვა: მართლაც მთელი გულით მინდა ეს ნივთი? ერთ დღეს მაინც თუ გავძლებ უმისოდ? თუ ფიქრობთ, რომ უამნივთოდ მზის ჩასვლისთანავე სულს გააფრთხობთ, მაშინ სტაცეთ ხელი და გაიქეცით. სიამოვნებით გაგატანთ, რა ნივთიც უნდა იყოს.

ბავშვებიც იდგნენ და ათვალიერებდნენ პერგამენტის, ფარჩისა და შპალერის რულონებს, მარმარილოს საფერფლეებსა და პერანგებს, გორგოლაჭებსა და ბამბით გატენილ რბილ, ამობურცულ სკამებს, კუთხის მაგიდებსა და ბროლის ჭაღებს. კარგა ხანს ჩურჩულის, შრიალისა და ჭახაჭუხის მეტს ვერაფერს გაიგონებდი. მისტერ ჯონასი ჩიბუხს გემრიელად ეაჩებოდა და ბავშვებს თვალს ადევნებდა. ბავშვებმა იცოდნენ, რომ მის თვალს

არაფერი გამოეპარებოდა. ხანდახან ხელი შაშის ყუთისკენ, მძივებისა თუ ძველებური სკამისკენ რომ გაეპარებოდათ, მაშინვე თავს ასწევდნენ და მისტერ ჯონასის მოსიყვარულე, გამომცდელ მზერას ხვდებოდნენ. მიმზიდველ საგანს მაშინვე უშვებდნენ ხელს და ძებნას განაგრძობდნენ, ვიდრე ყოველი მათგანი მხოლოდ მისთვის განკუთვნილ საგანს არ გადაეყრებოდა და არ ჩაეჭიდებოდა. ამჯერად ისეთი გაბრწყინებული სახეებით ახედავდნენ, რომ მისტერ ჯონასს უნებლიეთ ეცინებოდა. ხელს ისე აწევდა, თითქოს მათი სახის ბრწყინვალებას ვერ უძლებს და თვალებს იჩრდილავსო. თვალებზე ხელაფარებული წამით შეშდებოდა. ამის დანახვაზე ბავშვები ყვირილით უხდიდნენ მადლობას, გორგოლაჭებს, თიხის ფირფიტებს თუ ქოლგას გულში იკრავდნენ, მიწაზე ხტებოდნენ და გარბოდნენ.

წუთის შემდეგ უკანვე ბრუნდებოდნენ და რომელიმე საკუთარი ნივთი მოჰქონდათ, მობეზრებული თოჯინა ან თამაში, რასაც გემოგასული საღეჭი რეზინივით დაეკარგა ხიბლი და რასაც ქალაქის მეორე ბოლოში გადანაცვლების დრო დასდგომოდა, სადაც ახალი თვალით დანახული კვლავ მკვდრეთით აღდგებოდა და მნახველსაც სიცოცხლის ხალისით აღავსებდა. გაცვლა-გამოცვლის ამ საბუთებს მორცხვად აგდებდნენ ფურგონის ფერდს მიღმა უხილავ საგანძურში; მერე კი ფურგონი რწევა-რწევით განაგრძობდა გზას, მზესუმზირისებრი ბორბლებით შუქს ისხლეტდა და მისტერ ჯონასი კვლავაც ღიღინებდა:

*ძველმანები, ძონძები!*
*არა, ჩემო ბატონო!*
*ძველმანები, ძონძები!*
*არა, ქალბატონო!*

...ვიდრე თვალს არ მოეფარებოდა და მხოლოდ ძაღლებსღა ესმოდათ უდაბნოში რაბინის ხმა და კუდებს აქიცინებდნენ...

- ...ძველმანები...

ხმა წყდებოდა.

- ...ძონძები...

ჩურჩული.

- ...ძველმანები... - ხმა საბოლოოდ წყდებოდა.

და ძაღლებიც იძინებდნენ.

* * *

ტროტუარებზე მტვრის აჩრდილები დაძრწოდნენ: გავარვარებული ღამის ქარი მათ აგროვებდა, აქეთ-იქით აფრიალებდა და გაზონებზე მშვიდად აფენდა. გვიან ღამით მოსეირნეთა ნაბიჯებისაგან დარწეული ხეების ტოტები ზვავებად აფრქვევდა ქვიშას. შუაღამიდან ისეთი გრძნობა გაგიჩნდებოდათ, თითქოს ქალაქის მიღმა გამოღვიძებული ვულკანი გარშემო წითელ, ცხელ ფერფლს ანთხევს და უძინარ გუშაგებსა და სიცხის გამო აღრენილ ძაღლებს სქელი ქერქით ფარავსო. დილის სამი საათისათვის ყოველი სახლი გამომშრალ და კვამლიან სხვენად იქცა, ნაპერწკლის აფეთქებას რომ ელის, რათა გაღვივდეს.

რიჟრაჟი ის დრო იყო, როდესაც ელემენტები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ჰაერი გაზაფხულის მდუღარე წყლებივით უხმოდ და უმიზნოდ მოჩქეფდა. ტბა უძრავი ორთქლის სქელ ფენად გადაჰფარებოდა თევზებისა და ქვიშის ველებს, მისი გამჭვირვალე წნეხის ქვეშ რომ იფუფქებოდნენ. ქუჩის ზედაპირზე ძირტკბილას ჭიქურივით იღვრებოდა კუპრი, წითელი აგური თითბრისა და ოქროს ნაზავად ქცეულიყო, სახურავებს მდუღარე ბრინჯაო ჰქონდათ გადასხმული. მაღალი ძაბვის სადენები სამუდამოდ დატყვევებულ ელვებად იკლაკნებოდნენ და უძილო სახლებს ხანძრით ემუქრებოდნენ.

ჭრიჭინები სულ უფრო ხმამაღლა ჭრიჭინებდნენ.

მზე კი არ ამოვიდა, თითქოს გადმოიღვარა.

დაგლასი თავის ოთახში იწვა დადნებოდა, სახეზე ოფლის წვეთები პატარ-პატარა ბუშტებივით ეყარა.

- ეუჰ! - შესძახა მასთან შემოსულმა ტომმა, - დაგ, დაგ, დღეს მთელი დღე მდინარეში ვისხედით.

დაგლასმა ამოისუნთქა. მერე შეისუნთქა. ოფლი წურწურით ჩაეღვარა კისერში.

- დაგ, გღვიძავს?

დაგლასმა დასტურის ნიშნად სულ ოდნავ დაუკრა თავი.

- ცუდად ხარ? უჰ, ამ სახლს დღეს ნამდვილად ცეცხლი მოეკიდება! - ტომმა ძმას შუბლზე დაადო ხელი და ასე ეგონა, გახურებული ღუმლის კარს შევეხეო. შეშფოთებულმა თითები სწრაფად მოაცილა, გაბრუნდა და ქვედა სართულზე ჩაირბინა.

- დედა, - დაიძახა, - დაგლასი ცუდადაა!

დედა, რომელიც ამ დროს მაცივრიდან კვერცხს იღებდა, შედგა, სახეზე ერთბაშად შეშფოთება დაეტყო, კვერცხებიანი ყუთი ისევ უკან შედო და ტომს მეორე სართულზე აჰყვა.

დაგლასს ამასობაში თითიც კი არ შეუტოკებია.

ჭრიჭინები ახლა უკვე კიოდნენ.

* * *

შუადღისას, თითქოს ეშინოდა, მზე არ დამეწიოს და ძირს არ დამანარცხოსო, სახლის მთავარ შესასვლელს ექიმი მიადგა, სულს ძლივს ითქვამდა, თვალებში უკვე დაღლილობა ეტყობოდა. თავისი ჩანთა ტომს გადასცა.

პირველი საათისათვის ექიმმა სახლი დატოვა. კარში რომ გადიოდა, გაოგნებული იქნევდა თავს. ტომი და დედამისი ბადიან კართან იდგნენ, ექიმი ხმადაბლა იმეორებდა, არ ვიცი, არ ვიციო. მერე თავზე პანამა დაიხურა, მაღლა ახედა, როგორ ხეთქავდა და ახმობდა მზე ხეების ფოთლებს, წამითაც შეყოვნდა, ისე, თითქოს ჯოჯოხეთის პირველ სკნელში აპირებს შებიჯებასო, მერე კი სირბილით გაემართა მანქანისაკენ. გამონაბოლქვმა მფეთქავ ჰაერს ხუთიოდ წუთით კვამლის მოლურჯო ფარდა ჩამოაფარა და თანდათან გაიფანტა.

ტომმა სამზარეულოში ყინულის სამტვრევი შეიტანა. ყინული პრიზმებად დაამსხვრია და მეორე სართულზე აიტანა. დედა საწოლის ნაპირზე იჯდა და ერთადერთი ხმა, რაც ოთახში ისმოდა, დაგლასის სუნთქვა იყო: ორთქლს ჩაისუნთქავდა და ცეცხლს ამოისუნთქავდა. ტილოში გახვეული ყინულის ნაჭრები შუბლზე და ტანის გასწვრივ დაადეს. ფარდები ჩამოაფარეს და ოთახი მღვიმეს დაამსგავსეს. ორ საათამდე ასე ისხდნენ და გამუდმებით ახალ-ახალი ყინული მოჰქონდათ. დაგლასს შუბლზე რომ მიადეს ხელი, ისეთი იყო, როგორიც ნათურა, მთელი ღამის განმავლობაში რომ ანთია. ხელით რომ შეეხებოდით, თითებზე დაიხედავდით და გაიკვირვებდით, ძვლამდე როგორ არ ჩამეწვაო.

დედამ რაღაცის სათქმელად გახსნა პირი, მაგრამ ჭრიჭინები ახლა უკვე ისე ხმაურობდნენ, რომ ჭერიდან ბათქაში ცვიოდა.

წითელ მორევში მოცურავე, დაბრმავებული დაგლასი იწვა და თავისი გულის პისტონისებრ ფეთქვასა და ფეხებსა და მკლავებში სისხლის ბლანტ მიმოქცევას უსმენდა.

ტუჩები ისე დაუმძიმდა, ვერ ამოძრავებდა. ფიქრებიც დაუმძიმდა, მხოლოდ ქვიშის საათში ნელა, სათითაოდ ჩაცვენილი მარცვლებივით წკარუნებდნენ. წკაპ!

მბზინავი ფოლადის ლიანდაგის მოსახვევიდან უეცრად რწევით შემოვიდა ტრამვაი და ჰაერში ნაპერწკლების კასკადი გადმოაფრქვია. მისმა ზარმა ათასჯერ დაიწკრიალა, მისი ბოლო ხმა ჭრიჭინების ჭრიჭინს შეერწყა. ტრამვაიმ ზარბაზნისებრი გუგუნით ჩაიქროლა და გაუჩინარდა. მისტერ ტრიდენ!

წკაპ. ერთი მარცვალიც ჩამოვარდა. წკაპ.

- ჩუქუ-ჩუქუ-ჩუქუ-ჩუქ! გუ-გუუუ!

სახურავის თავზე ბიჭი მატარებლობანას თამაშობდა, საყვირის უხილავ ბაწარს ექაჩებოდა, მერე კი უცბად გაშეშდა და ქანდაკებად იქცა.

- ჯონ! ჯონ ჰაფ! მძულხარ, ჯონ! არა, ჯონ, შენ ჩემი მეგობარი ხარ! არ მძულხარ, არა, გესმის?

ჯონი თელებს შორის დერეფანში, როგორც ზაფხულის უძირო ამომშრალ ჭაში, ისე ვარდება, ვარდნისას სულ უფრო პატარავდება.

წკაპ. ჯონ ჰაფ. წკაპ. მარცვალი ვარდება. წკაპ. ჯონ...

დაგლასმა თავი გააქნ-გამოაქნია და ქათქათა, საზარლად ქათქათა ბალიში გადასრისა.

ორი ქალბატონი სელაპის ყეფის თანხლებით მოსეირნობს მწვანე მანქანით, გამვლელებს მტრედებივით თეთრ ხელებს უქნევენ. თანდათან გაზონის ღრმა წყალში იძირებიან, აი, მწვანე ბალახმა თითქმის დაფარა, მხოლოდ მაღლა აწეული თეთრი ხელებიღა მოუჩანთ...

მის ფერნ! მის რობერტა!

წკაპ... წკაპ...

და უცბად გზის გადაღმა ფანჯრიდან პოლკოვნიკი ფრილაი გადმოეყუდა, სახე საათის ციფერბლატს მიუგავდა და ქუჩაში ბიზონების ჩლიქებით აფორიაქებული მტვერი დატრიალდა. პოლკოვნიკი ფრილაი არაბუნებრივად შეირხა და დაიჭრიალა, ყბა ჩამოუვარდა, პირიდან ენის მაგივრად ზამბარა ამოუვარდა და ჰაერში აზანზარდა. თოჯინასავით განერთხა ფანჯრის რაფაზე, მაგრამ ცალი ხელის ქნევას მაინც განაგრძობდა.

მისტერ აუფმანმა ჩამოიარა რაღაც ბრჭყვიალა ტრანსპორტით, ტრამვაისაც რომ ჰგავდა და მწვანე ელექტრომანქანასაც, კვამლის ღრუბელში გახვეული ამაყად მოგორავდა და მზესავით გჭრიდა თვალს.

- მისტერ აუფმან, ეს თქვენი გამოგონებაა? - გასძახა ბიჭმა, - ბოლოს და ბოლოს, ააშენეთ ბედნიერების მანქანა?

მაგრამ კარგად რომ დაუკვირდა, შენიშნა, რომ მანქანას ძირი არა აქვს და მისტერ აუფმანი მთელ ამ კონსტრუქციას საკუთარი მხრებით დაატარებს.

- ბედნიერება, დაგ, ესეც შენი ბედნიერება! - და ისიც ტრამვაის, ჯონ ჰაფსა და მტრედისთითებიან ქალბატონებს გაჰყვა.

მაღლა სახურავზე კაკუნი გაისმა. ბრახ-ბრუხ. სიჩუმე. ბრახ-ბრუხ. ჩაქუჩი და ლურსმანი. ლურსმანი და ჩაქუჩი. ფრინველების გუნდი და მოხუცი ქალი სუსტი, მაგრამ ხალისიანი ხმით ამღერდა:

*და შევგროვდებით მდინარის პირას... პირას... პირას...*

*და შევგროვდებით მდინარის პირას...*

*უფლის ტახტთან რომ მოედინება.*

- ბებო! დიდო ბებო!

რბილი კაკუნი. რბილი კაკუნი.

- ...მდინარის პირას... მდინარის პირას...

ახლა უკვე მხოლოდ ჩიტები ციცქნა ფეხებით უნაზესად ფხაჭნიდნენ სახურავს. რბილად. რბილად.

- მდინარის პირას...

დაგლასმა ჰაერი ჩაისუნთქა და კივილით ამოისუნთქა.

არც კი გაუგია, დედა რომ ოთახში შემოვარდა.

დაბუჟებულ ხელზე სიგარეტის ცხელი ფერფლივით დაეცა ბუზი და უღონო ბზუილით ისევ აფრინდა.

* * *

ნაშუადღევის ოთხი საათი იდგა. ქვაფენილი მკვდარი ბუზებით იყო მოფენილი. ძაღლები თავიანთ წყლიან ჯამებში ისველებდნენ თათებს და ბუდრუგანებში იყუჟებოდნენ. ჩრდილები ხეებქვეშ დახვავებულიყვნენ. ქალაქის ცენტრში ყველა მაღაზია ჩარაზული და ცარიელი იყო. არც ტბის სანაპიროზე ჩანდა ვინმე, ტბა კი კისრამდე თბილ, მაგრამ შვებისმომგვრელ წყალში ჩამსხდარი ადამიანებით იყო სავსე.

ოთხი საათი და თხუთმეტი წუთია. აგურით მოკირწყლულ ქუჩებზე ძველმანების ფურგონი მიირწეოდა, ზედ მისტერ ჯონასი იჯდა და მღეროდა.

ტომმა, რომელიც შინიდან დაგლასის აწითლებულ, განაწამებ სახეს გამოექცა, ტროტუარი ნელა გადაკვეთა და გაჩერებულ ფურგონს მიუახლოვდა.

- სალამი, მისტერ ჯონას!

- გამარჯობა, ტომ.

ქუჩაში, ტომისა და მისტერ ჯონასის გარდა, არავინ იყო და შეეძლოთ მშვიდად დამტკბარიყვნენ მიმზიდველი ძველმანების დათვალიერებით, რომლითაც ფურგონი პირამდე იყო სავსე, მაგრამ ზედაც არ შეუხედავთ. მისტერ ჯონასს არაფერი უთქვამს, ჩიბუხს მოუკიდა, გააბოლა და თავი ისე დაუკრა ბიჭს, თითქოს უთქმელადაც იცოდა, რაღაც უბედურება რომ ტრიალებდა.

- რა ამბავია, ტომ? - იკითხა ბოლოს.

- ჩემი ძმა, - უპასუხა ტომმა, - დაგი.

მისტერ ჯონასმა სახლს ახედა.

- ავად არის, - თქვა ტომმა, - კვდება.

- მთლად ასე ცუდად არ იქნება საქმე, - დაამშვიდა მისტერ ჯონასმა და აქეთ-იქით მიმოიხედა: ამ მდუმარე დღეს რეალური სამყაროს არც ერთი საგანი ოდნავადაც არ მოასწავებდა სიკვდილს.

- კვდება, - გაიმეორა ტომმა, - ექიმმაც ვერაფერი გაუგო. სიცხეო, ასე ამბობს, ცუდად იმიტომაა, რომ უსაშველოდ ცხელაო. განა ეს შესაძლებელია, მისტერ ჯონას? განა შეიძლება მზემ ადამიანი ჩაბნელებულ ოთახშიც კი მოკლას?

- რა ვიცი, - მისტერ ჯონასმა რაღაცის თქმა დააპირა და შეჩერდა.

იმიტომ, რომ ტომი ტიროდა.

- ყოველთვის მეგონა, რომ მძულს... დიახ, ასე მეგონა... თითქმის გამუდმებით ვჩხუბობდით... ჰო, მგონი, მართლაც, მძულდა... ხანდახან... მაგრამ ახლა... ახლა. ოჰ, მისტერ ჯონას, იქნებ...

- იქნებ რა, ბიჭუნავ?

- იქნებ ფურგონში ისეთი რამ გქონდეთ, მისი გადარჩენა რომ შეეძლოს? რამე ისეთი, რასაც მივუტანდი და რაც გამოაჯანმრთელებდა.

ტომი ისევ ტიროდა.

მისტერ ჯონასმა დიდი წითელი ცხვირსახოცი ამოიღო და ტომს გაუწოდა. ტომმა ცხვირი მოიხოცა და თვალები შეიმშრალა.

- დაგს მძიმე ზაფხული ჰქონდა, - თქვა მერე, - ბევრი რამ გადახდა თავს.

- მიამბე ყველაფერი, - სთხოვა მეძველმანემ.

- რა გითხრათ, - ჩაისლუკუნა ტომმა, რადგან ჯერ რიგიანად არ მოეთავებინა ტირილი, - ჯერ ერთი, თავისი საუკეთესო მარმარილოს ბურთულა დაეკარგა, ყველაზე ლამაზი. მეორე ის, რომ ვიღაცამ ბეისბოლის ხელთათმანი მოპარა, დოლარი და ოთხმოცდათხუთმეტი ცენტი რომ ღირდა. მერე ძალიან დიდი ზარალი ნახა, ჩარლი ვუდმენს თავისი ნამარხი ქვებისა და ნიჟარების კოლექცია ტარზანის თიხის ფიგურაში რომ გაუცვალა, რომელსაც

თურმე მაკარონის ყუთის ხუფებს თუ შეაგროვებ, უფასოდ გაძლევენ. ეს ფიგურაც მეორე დღესვე ტროტუარზე დაუვარდა და დაემსხვრა.

- დასანანია, - თქვა მეძველმანემ და ცხადად დაინახა ასფალტზე თიხის ყველა ნამსხვრევი.

- მერე კიდევ, დაბადების დღეს, მაგიის შესახებ წიგნი რომ უნდოდა, ის არ აჩუქეს: მის მაგივრად შარვალი და პერანგი მიიღო. ეს უკვე თავისთავად საკმარისია ზაფხულის ჩასაშხამებლად.

- მშობლებს ზოგჯერ ავიწყდებათ, თავად რას განიცდიდნენ ბავშვობაში, - შენიშნა მისტერ ჯონასმა.

- ეგრეა, - ტომმა ხმადაბლა განაგრძო, - მერე კიდევ, ტაუერის ნამდვილი ორიგინალური ხელბორკილები, დაგლასს ლონდონიდან რომ ჩამოუტანეს, მთელი ღამე გარეთ დარჩა და დაჟანგდა. და, რაც მთავარია, სიმაღლეში ერთი დუიმი მოვიმატე და თითქმის დავეწიე.

- სულ ეს არის? - მშვიდად ჰკითხა მეძველმანემ.

- ასეთ ან უარეს შემთხვევას კიდევ ასს ჩამოგითვლიდით. ზოგ ზაფხულს უიღბლობა პირდაპირ ფეხდაფეხ დაგდევს. რაც სკოლა დამთავრდა, დაგლასს ხან წიგნის ჭია უჭამს კომიქსების კოლექციას და ხანახალი სპორტული ფეხსაცმელი უობდება.

- მეც შემიძლია გავიხსენო ასეთი წლები, - თქვა მეძველმანემ.

ცას ახედა და მთელმა წლებმა თვალწინ ჩაუარა.

- ჰოდა, ხომ ხედავთ, მისტერ ჯონას, აი, ამის გამო კვდება...

ტომს ხმა ჩაუწყდა და მსმენელს თვალი აარიდა.

- უნდა დავფიქრდე, - თქვა მისტერ ჯონასმა.

- შეგიძლიათ უშველოთ, მისტერ ჯონას? შეგიძლიათ?

მისტერ ჯონასი ფურგონში ღრმად ჩაეყუდა, ბოლოს წელში გაიმართა და თავი გაიქნია. მზეში გამოსულს, სახეზე დაღლილობა დაემჩნა და ოფლმა წვრილ წვეთებად დაასხა. მერე კვლავ გადახედა ლარნაკების, აქერცლილ-საღებავებიანი აბაჟურების, გამწვანებული სპილენძის ნიმფების გროვებს და ამოიოხრა. შემდეგ სადავე ხელში აიღო და ოდნავ შეარხია. ცხენის ზურგისთვის თვალი არ მოუცილებია, ბიჭს ისე უთხრა:

- ტომ, მოგვიანებით განახავ. რაღაც მაქვს მოსაფიქრებელი. უნდა მოვძებნო, მივიხედ-მოვიხედო და ნავახშმევს დავბრუნდები. მაშინაც, ვინ იცის, რას მოვახერხებ.. აი, მანამდე... - ფურგონში ხელი ჩაყო და პატარა ჩინური ზანზალაკების ასხმა ამოიღო, - ეს მისი საძინებლის ფანჯარაზე ჩამოკიდე. სასიამოვნო, გრილ მუსიკას გამოსცემს!

ფურგონი გაგორდა, ტომი კი ზანზალაკებით ხელში იდგა და თვალს აყოლებდა. ასხმა მაღლა ასწია, მაგრამ ჰაერი არ იძვროდა და ერთი ბგერაც კი არ ესმოდა. ზანზალაკები დამუნჯებულიყვნენ.

* * *

შვიდი საათი. ქალაქი გოლიათურ ქურას ჰგავდა, რომელსაც თავზე დასავლეთიდან მოსული სიცხის ტალღები ეღვრებოდა. ყოველი სახლის თუ ხის ქვეშ ნახშირისფერი ჩრდილები ირხეოდა. ქვევით ჟღალთმიანი კაცი მიმოდიოდა. ტომი ფანჯრიდან უყურებდა ჩამავალი და მაინც უმოწყალო მზით განათებულ მის თავს და ეგონა, ამაყად წამომართულ ჩირაღდანს, ალისფერ მელას თუ თვით საკუთარ სამფლობელოში მოსიარულე ეშმაკს ვხედავო.

რვის ნახევარზე მისის სპოლდინგი უკანა კარიდან გავიდა ნაგვის ვედროში საზამთროს ქერქების ჩასაყრელად და სახლთან მისტერ ჯონასს მოჰკრა თვალი.

- ბიჭი როგორ არის? - იკითხა მისტერ ჯონასმა.

მისის სპოლდინგი უხმოდ იდგა, პასუხი ბაგეზე უცახცახებდა.

- თუ ნებას დამრთავთ, მისი ნახვა მინდა, - თქვა მისტერ ჯონასმა.

მისის სპოლდინგი კვლავ ვერ იღებდა ხმას.

- თქვენს ბიჭს კარგად ვიცნობ, - განაგრძო კაცმა, - რაც წამოიზარდა და გარეთ დამოუკიდებლად გამოდის, თითქმის ყოველდღე ვხედავ. მისთვის რაღაც მაქვს ფურგონში.

- ის... - ქალს უნდოდა ეთქვა, უგონოდააო, მაგრამ ამის მაგიერ თქვა, - თვლემს. დიახ, სძინავს. ექიმმა გაგვაფრთხილა, რომ მისი შეწუხება არ შეიძლება. ოჰ, ისიც კი არ ვიცით, რა სჭირს!

- მიუხედავად იმისა, რომ „თვლემს“, მაინც დაველაპარაკებოდი, - რბილად, მაგრამ მტკიცედ თქვა მისტერ ჯონასმა, - ძილში გაგონილს ზოგჯერ მეტი მნიშვნელობა აქვს, შენამდე უკეთ აღწევს, რადგან ყურადღება მოკრებილი გაქვს.

- ძალიან ვწუხვარ, მისტერ ჯონას, მაგრამ ვერ გავრისკავ, - მისის სპოლდინგი კარის სახელურს ჩაეჭიდა და თითებს აღარ უშვებდა, - მაინც გმადლობთ. დიდი მადლობა, რომ შემოიარეთ.

- კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო.

მისტერ ჯონასს ფეხი არ მოუცვლია. იდგა და ზედა სართულის ფანჯარას აჰყურებდა. მისის სპოლდინგი სახლში შევიდა და კარი მოიხურა.

ზედა სართულზე მწოლიარე დაგლასი ხმაურიანად სუნთქავდა, თითქოს ხანჯლის ბასრ პირს ქარქაშში აგებს და კვლავ ამოაქვსო.

* * *

რვა საათზე ექიმი მოვიდა და ისევ თავის ქნევით წავიდა. პიჯაკი აღარ ეცვა, ჰალსტუხი შეხსნილი ჰქონდა და ისეთი გასავათებული სახით იყურებოდა, თითქოს იმ დღეს, სულ ცოტა, ოცდაათი გირვანქა მაინც დაიკლოო. ცხრაზე ტომმა, დედამ და მამამ გარეთ გასაშლელი საწოლი გამოიტანეს, რათა დაგლასს ღამით ეზოში, ვაშლის ძირას დაეძინა. თუკი ოდნავი ნიავი მაინც შეირხეოდა, აქ უფრო ადრე მიაღწევდა ავადმყოფი ბიჭის საწოლამდე, ვიდრე საზარლად ჩახუთულ საძინებელში. თერთმეტ საათამდე აქეთ-იქით მიმოდიოდნენ. მერე კი მაღვიძარა სამ საათზე დააყენეს, რათა ამ დროისათვის პარკების გასავსებად ახალი ყინული დაეკეპათ.

როგორც იქნა, სახლი ჩაბნელდა და მიწყნარდა, ყველას ეძინა.

თორმეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე დაგლასმა ქუთუთოები შეარხია.

მთვარე ამოდიოდა.

შორს ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო.

მაღალი, ნაღვლიანი ხმა იყო, ძლიერდებოდა და კვლავ მშვიდდებოდა, კრიალა, სუფთა ბგერები იყო, სიტყვებს კი ვერ გაარჩევდით.

ტბის თავზე მთვარე ამოვიდა და ილინოისის შტატის ქალაქ გრინთაუნს გადახედა, გამოაჩინა ყოველი სახლი, ყოველი ხე თუ ისტორიამდელი მოგონებებითა და გულუბრყვილო სიზმრებით შეწუხებული ყოველი ძაღლი, ძილში ძლივს გასაგონად რომ წკმუტუნებდა და წრიალებდა.

რაც უფრო მაღლა იყო ცაზე მთვარე, სიმღერის ხმაც თითქოს მით უფრო კრიალდებოდა და ძლიერდებოდა.

სიცხიანმა დაგლასმა ოხვრით შეიცვალა გვერდი.

შესაძლოა, ეს მანამდე ერთი საათით ადრეც კი დაიწყო, ვიდრე მთვარე თავის შუქს ქვეყნად მიმოაფრქვევდა, ან იქნებ უფრო გვიანაც. ასე იყო თუ ისე, ხმა უკვე მოახლოებულიყო და მასთან ერთად გულისძგერის მსგავსი ხმაც ჟღერდა: სინამდვილეში ეს აგურის ქუჩებზე, ხეების მწვანე რიდეების გასწვრივ, მომავალი ცხენის ფლოქვების ხმა იყო, ყრუდ და რბილად რომ მოისმოდა.

და კიდევ ერთი ხმა ისმოდა, კარის ნელი გაღებისა და დახურვის ხმა, დროდადრო რბილ ჭრიალში რომ გადადიოდა. ფურგონის ხმა.

და მთვარის შუქით განათებულ ქუჩაზე ფურგონში შებმულმა ცხენმა შემოაბიჯა, ფურგონის მაღალ კოფოზე კი მსუბუქად დაბრძანებულიყო მისტერ ჯონასის გამხდარი ფიგურა. ქუდი ისევ ეხურა, თითქოს კვლავაც მზე აჭერსო და დროდადრო სადავეს ცხენს თავზე ნაკადულის ტალღებად უფრიალებდა. ფურგონმა ძალიან ნელა ჩაიარა ქუჩაზე, მისტერ ჯონასი განაგრძობდა სიმღერას, მძინარე დაგლასმა წუთით თითქოს შეაჩერა სუნთქვა და ყური დაუგდო.

- ჰაერი, ჰაერი... იყიდეთ ჰაერი... წყალივით კამკამა და თოვლივით ცივი... აპრილის სუნთქვა და ქროლა შემოდგომის... პაპაიის სურნელი შორი კუნძულიდან... მთებიდან... ზღვებიდან... მყინვარის ფერდიდან... ქილა სულ ათ ცენტად, ბოთლი კი თორმეტად, იჩქარეთ, ციური ნამი გეგონებათ...

სიმღერა რომ დასრულდა, ფურგონი გზის პირას შეჩერდა და ვიღაც უკვე ეზოში იყო, საკუთარ ჩრდილს ფეხით თელავდა, მოჰქონდა ხოჭოებივით მწვანე ორი ბოთლი, მთვარის შუქზე კატის თვალებად რომ ბრჭყვიალებდა. მისტერ ჯონასი გასაშლელ საწოლს მიუახლოვდა და ზედ მწოლიარე ბიჭს ხმამაღლა დაუძახა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ერთხანს იდგა და ოდნავ ირხეოდა, თითქოს ჭოჭმანობსო, მერე გადაწყვეტილება მიიღო, საწოლის გვერდით ბალახზე ჩამოჯდა და ზაფხულის წნეხით გასრესილ ბიჭს სახეში ჩახედა.

- დაგ, - უთხრა, - მშვიდად იწექი, არც რამის თქმა მოგეთხოვება, არც თვალების გახელა. თავს ძალასაც კი ნუ დაატან, რათა ყური დამიგდო, მაგრამ ღრმად, შინაგანად, ვიცი, რომ მისმენ. მე ვარ, ბებერი ჯონასი, შენი მეგობარი. შენი მეგობარი, - გაიმეორა და თავი დაუქნია.

ხელი აიშვირა, ხიდან ვაშლი მოწყვიტა, აქეთ-იქით შეატრიალა, მოკბიჩა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო.

- არიან ადამიანები, ვისაც ძალზე ადრეულ ასაკში აწვებათ დარდი, - ამბობდა მისტერ ჯონასი, - თითქოს ამის არანაირი მიზეზი არ არსებობს, მაგრამ ეს ლამის დაბადებიდანვე მოსდევთ. მათი გულისტკენა სხვებზე იოლია, დანარჩენებზე სწრაფად იქანცებიან, მეტს ტირიან, უფრო ხანგრძლივი მახსოვრობა აქვთ... ეს კარგად ვიცი, მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ.

ვაშლი მოკბიჩა და დაღეჭა. შემდეგ განაგრძო:

- მაშ, კარგი, სად ვიყავით? - საკუთარ თავს თვითონვე გასცა პასუხი, - ცხელი ღამეა, ჰაერი არ იძვრის, აგვისტოა. მომაკვდინებელი სიცხეა. ზაფხულიც გრძელი იყო და ძალზე ბევრი რამ მოხდა, ასე არ არის? მეტისმეტად ბევრი რამ. აი, უკვე პირველი საათი ხდება და არც ნიავია, არც წვიმა. ერთი წუთიც და, აქედან ავდგები და წავალ, მაგრამ წასვლის წინ, კარგად

დაიმახსოვრე, საწოლზე ამ ორ ბოთლს დაგიტოვებ და როდესაც წავალ, მინდა კიდევ ორიოდ წუთი შეიცადო, მერე კი თვალები გაახილო, ფრთხილად წამოჯდე და ბოთლების შიგთავსი დალიო. პირით კი არა, ცხვირის ნესტოებით. ბოთლები შეანჯღრიე, გახსენი და რაც შიგნითაა, შეისრუტე, რათა ტვინი და ფილტვები აგევსოს. ოღონდ ჯერ ეტიკეტებზე წარწერები წაიკითხე. არა, სჯობს მე თვითონ წაგიკითხო.

ერთი ბოთლი სინათლეს შეუშვირა.

- საოცნებო მწვანე ბინდის პროდუქცია, ჩრდილოეთის სუფთა ჰაერი, - წაიკითხა კაცმა, - დამზადებულია 1900 წლის გაზაფხულზე თეთრი არქტიკული ატმოსფეროსაგან, შეიცავს აგრეთვე ზემო ჰუძონის ხეობაში 1910 წლის აპრილში შეგროვებულ ნიავს და აიოვის შტატის ქალაქ გრინელის მიდამოებში მზის ჩასვლისას აბრჭყვიალებულ მტვრის ნაწილაკებს, როდესაც ტბის, ნაკადულისა და ტყის წყაროს თავზე გრილი ჰაერი ტრიალებს. ახლა კი ის, რაც წვრილად წერია, - თქვა და თვალები ოდნავ მოჭუტა, - „ასევე შეიცავს მენთოლის, ლაიმის, პაპაიის, საზამთროსა და სხვა გრილი, წვნიანი ხილისა და მცენარის მოლეკულებს, როგორიცაა ქაფური, ისეთ ბალახებს, როგორიცაა ზამთრის გაულტერია და მდინარე დეს-პლეინზის[40] ნაპირებიდან მონაქროლ ნიავს. გარანტირებულია ძალის აღსადგენად და გასაგრილებლად. მიიღეთ ზაფხულის ღამით, როდესაც ტემპერატურა ოთხმოცდაათს გადააჭარბებს“.

ახლა მეორე ბოთლი აიღო.

- ესეც იგივეა, ოღონდ არანის კუნძულების[41] ქარი, დუბლინის ყურეში შეგროვებული მლაშე ბრიზი და ისლანდიის სანაპიროს ფლანელის ბურუსი დავუმატე.

ორივე ბოთლი საწოლზე დადო და წამოდგა.

- კიდევ ერთ მითითებას მოგცემ, - საწოლისკენ გადაიხარა და თვალდახუჭულ ბიჭს მშვიდად ჩასჩურჩულა, - ამას რომ შეისრუტავ, თან იმაზე იფიქრე, რომ ეს ბოთლები შენი მეგობრის მოხუფულია. ს. ჯ. ჯონასის სასმელების კომპანია, გრინთაუნი, ილინოისი - 1928 წლის აგვისტო. მოსავლიანი წელიწადია, ჩემო ბიჭო... მოსავლიანი წელიწადი.

წუთიც და, მთვარით განათებულ კვარტალში კვლავ ცხენის ზურგზე სადავის ტყაპუნის ხმა გაისმა და ფურგონი ქუჩის ბოლოში რბილი რახრახით გაუჩინარდა.

---

*[40] დეს-პლეინზი - მდინარე აშშ-ის შტატ ილინოისის ქალაქ დეს-პლეინზში.*

*[41] არანის კუნძულები - აერთიანებს სამ კუნძულს: ინიშმორს, ინიშმანსა და ინაშირს, მდებარეობს ირლანდიის დასავლეთ სანაპიროსთან.*

კიდევ ერთი წუთის შემდეგ დაგლასს ქუთუთოები აუთრთოლდა და მან ნელა გაახილა თვალები.

- დედა! - ჩურჩულებდა ტომი, - მამა! დაგი, დაგი უკეთაა! ამწუთას ჩავედი მის სანახავად და... წამოდით!

ტომი გარეთ გავარდა. მშობლები უკან მიჰყვნენ.

როდესაც მიუახლოვდნენ, დაგლასს ეძინა. ყურებამდე გაბადრულმა ტომმა ხელი დაუქნია და დედ-მამა საწოლისაკენ დაიხარა.

სამივენი დახრილი უსმენდნენ ავადმყოფის სუნთქვას. ამოსუნთქვა, სიჩუმე, ამოსუნთქვა, სიჩუმე.

დაგლასს პირი ოდნავ გახსნილი ჰქონდა და ბაგეებიდან და ნესტოებიდან გრილი ღამისა და გრილი წყლის, ქათქათა თოვლისა და ქორფა, მწვანე ხავსის სურნელს აფრქვევდა, მშვიდი მდინარის ფსკერზე, ვერცხლისფერ კენჭებზე არეკლილი მთვარის შუქისა და თეთრი ქვის ჭაში მოლიკლიკე წყლის სიგრილეს.

მოეჩვენათ, თითქოს სახე ჰაერში ამოფრქვეული შადრევნის მაცოცხლებელ, ვაშლისსურნელიან ჭავლს შეუშვირეს.

კარგა ხანს იდგნენ ასე უძრავად.

* * *

მეორე დილა გათენდა და ერთ მუხლუხოსაც ვერ ნახავდით ვერსად. სამყარო, რომელიც პირამდე სავსე იყო შავი თუ რუხი ციცქნა ქულებით, მუდამ თავ-თავიანთ გზაზე, მწვანე ფოთლისა თუ ბალახის მთრთოლარე დაშნისკენ რომ მიღოღავდნენ, ერთბაშად დაცარიელდა. ის მოუხელთებელი, აღუწერელი ხმა, რომელსაც მუხლუხოების მილიარდობით ციცქნა ნაბიჯი გამოსცემდა, ერთბაშად მიწყდა. ტომი, რომელიც ამტკიცებდა, ამ უფაქიზესი ხმის გაგონება შემიძლიაო, ახლა გაოცებული გაჰყურებდა ქალაქს, სადაც არც ერთი ჩიტის ნისკარტში ბუსუსებიანი ნამცეცი აღარ იძვროდა. ამასთან, ჭრიჭინებიც აღარ მღეროდნენ.

მერე კი სიჩუმეში ვეება ამოოხვრასავით გაისმა შრიალი, რომელმაც ყველას მუხლუხოებისა და ჭრიჭინების უეცარი გაქრობის მიზეზი ამცნო.

შხაპუნა წვიმა.

წვიმა მსუბუქი ალერსივით დაიწყო, შემდეგ იმატა და მძიმედ დაუშვა, ტროტუარები და სახურავები უზარმაზარი ფორტეპიანოებივით დააგუგუნა.

თავის საძინებელში დაბრუნებული დაგლასი საწოლში ახალჩამოფერფლილი თოვლივით მსუბუქად იწვა, თვალები გაახილა, სახე ცის

მაცოცხლებელი ნიაღვრებისკენ მიაბრუნა და თავისი ყვითელი ბლოკნოტისა და „ტიკონდეროგას“ ყვითელი ფანქრისაკენ ნელა, ძალიან ნელა გააპარა თითები...

* * *

ჩამობრძანება-დახვედრის დიდი მღელვარება ტრიალებდა. საიდანღაც თითქოს საყვირების ხმაც კი მოისმოდა. ოთახებში ნაშუადღევის ჩაისთვის შეკრებილი ახლობლებისა და მეზობლების ტევა აღარ იყო. ჩამოვიდა დეიდა, რომელსაც როუზი ერქვა და მისმა კლარნეტივით წკრიალა ხმამ ყველა ხმა გადაფარა. თვითონ დეიდას კი, მისი სახელის შესაბამისად, წარმოსახვაში სათბურის ვარდივით თბილ, რბილ და ფაშფაშა არსებად დაინახავდით, სადაც კი დაჯდებოდა, ნებისმიერ ოთახს რომ ამოავსებდა. მაგრამ დაგლასისთვის ახლა მთელი ეს ხმაური და ალიაქოთი არაფერს ნიშნავდა. ის თავისი საკუთარი სამყაროდან გამოვიდა და სამზარეულოს კარში იდგა, სადაც ბებო, აქაურობის მბრძანებელი, სასტუმრო ოთახში ქათმებივით მოკაკანე კრებას რომ განერიდა, ახლა ვახშმის მზადებით იყო დაკავებული. კართან მდგარი ბიჭი რომ დაინახა, იმწამსვე მივარდა, მოესიყვარულა, შუბლზე ეამბორა, თვალებიდან ქერა თმა გადაუწია, თვალებში დაჟინებით ჩახედა, რათა გაეგო, საბოლოოდ თუ ჩაიფერფლა მასში ცოტა ხნის წინათ მძვინვარე სიცხე, ხოლო როდესაც ამაში დარწმუნდა, შვებით ამოისუნთქა და საქმეს მიუბრუნდა.

დაგლასს ხშირად უჩნდებოდა სურვილი, ეკითხა: „ბებო, ეს არის ის ადგილი, საიდანაც ქვეყნიერება დაიწყო?“ რადგან უეჭველი იყო: სწორედ ამისთანა ადგილას ჩაეყარა საფუძველი სამყაროს. სამზარეულო უდავოდ შესაქმის შუაგულს წარმოადგენდა, რადგან ყოველივე მის გარშემო ტრიალებდა; ის გახლდათ საძირკველი, რომელზედაც ტაძარი დაფუძნებულიყო.

ბიჭმა თვალები მოხუჭა და ყნოსვას მიენდო. ბრმად მოძრაობდა ჯოჯოხეთის ამ ცეცხლსა და ფქვილის მოულოდნელ ქარბუქებს შორის, ამ ყოვლად საოცარ ჰავაში, სადაც ბებო, ინდოელი გურუსთვალებიანი ბებო, რომლის კორსაჟიც ორი მკვრივი და თბილი ქათმისხელა სხეულს იტევდა, ათასმკლავიანი ქალღმერთი ბებო ცრიდა, თქვეფდა, ბეგვავდა, ჩურთავდა, კეპავდა, ფცქვნიდა, ახვევდა, ურევდა და მარილს აყრიდა.

საკუჭნაოსკენ ბრმად გაიკვლია გზა. სასტუმრო ოთხიდან ხარხარი და ჩაის ფინჯნების ჟღარუნი ისმოდა, მაგრამ ბიჭმა ზღვისფერი მწვანე

სიგრილისა და ველური ხურმის სამფლობელოში შეაბიჯა, სადაც ჭერში ჩამოკიდებული კრემისფერი ბანანების სურნელი ტრიალებდა, მშვიდად რომ მწიფდნენ და შემოსულ სტუმარს თავში რბილად უკაკუნებდნენ. აღშფოთებული ქინქლები ძმრის ბოთლებისა და ბიჭის თავზე აწრიალდნენ.

თვალები გაახილა. დაინახა ზაფხულის ღრუბელივით გაწოლილი პური, თითქოს ელოდა, რბილ ნაჭრებად როდის დამჭრიანო, ბლითები რომელიღაც კულინარიული თამაშის მერე მიმოფანტულ საცირკო რგოლებს მიამსგავსა. ბიჭს მათი სურნელისაგან ნერწყვი მოადგა. აქ, სახლის ჩრდილიან მხარეს, სადაც ცხელი ქარი ფანჯრის მინას ნეკერჩხლის ფოთლებს ახლიდა და ნაკადულის რაკრაკა ხმას გამოსცემდა, დაგლასი საკაზმ-სანელებლების დასახელებებს კითხულობდა.

როგორ ვუთხრა მადლობა მისტერ ჯონასს იმისთვის, რაც გამიკეთა? რით გადავუხადო ეს სიკეთე? ვერაფრით, ვერაფრით გადავუხდი. ასეთი რამისანაზღაურება შეუძლებელია. მაშ, რა? როგორ მოვიქცე? რამენაირად სხვას უნდა გადავცე, რათა ჯაჭვი არ გაწყდეს. ვიპოვო ვინმე, ვისაც დახმარება სჭირდება და დავეხმარო. მხოლოდ ასე...

- კაიენური წიწაკა, თავშავა, დარიჩინი.

ზღაპრული, იავარქმნილი ქალაქების სახელწოდებები, რომლებსაც სანელებლების მტვრის ქარიშხალმა გადაუქროლა.

ხელი გაჰკრა და მსუბუქად შეარხია რომელიღაც შავი კონტინენტიდან ჩამოტანილი, ასხმებად ჩამოკიდებული ხახვის თავები, რითაც შოკოლადისთითებიანი ბავშვები რძისფერ მარმარილოზე ოდესღაც კენჭობანას თამაშობდნენ.

ერთი ქილის ეტიკეტზე წარწერა რომ წაიკითხა, მიხვდა, რომ კალენდრის წრეს შემოურბინა და წლევანდელი ზაფხულის იმ განსაკუთრებულ დღეს მიადგა, როდესაც საკუთარი თავი მბრუნავი სამყაროს ცენტრში უნდა აღმოეჩინა.

ქილაზე ეწერა სიტყვა ნეტარება.

და დაგლასი მიხვდა, რომ სწორად მოიქცა, სიცოცხლე რომ გადაწყვიტა.

ნეტარება! რა არაჩვეულებრივი სახელია თეთრხუფიან ქილაში ჩაპრესილი წვრილად დაკეპილი მწნილისათვის! როგორი ადამიანი იქნებოდა ის, ვინც ეს სახელი მოიგონა? ალბათ, ღრიალითა და ფეხების ბაკუნით გასრისა, ერთმანეთში აზილა ამ ქვეყნის ყველა სიხარული, მერე ქილაში მოათავსა და გაკრულად წააწერა: ნეტარება! რადგან ჟღერადობით ეს სიტყვა უკვე თავისთავად ნიშნავდა მინდორ-ველად თარეშს ველურ წაბლა ცხენებთან ერთად, პირიდან ბალახი წვერ-ულვაშივით რომ ჰკიდიათ, ანდა ოკეანის

მღვიმეში თავის ჩაყოფას, რათა წყლის გოლიათური მასა ზედ გადაგევლოს. ნეტარება!

ხელი ისევ თაროსკენ გაიწვდინა. აი, კიდევ ერთი ქილა: გემო.

რეალური სამყაროს ნაშუადღევის სასტუმრო ოთახიდან დეიდა როუზის ხმა მოისმა:

- ამ საღამოს ბებო რას გვიმზადებს სადილად?

- ვიდრე სუფრას არ მივუსხდებით, არავინ იცის, რას ამზადებს ბებო, - უპასუხა პაპამ, რომელიც დღეს ამ გოლიათი ყვავილის დასახვედრად სამსახურიდან ადრე წამოსულიყო, - ეს მუდამ საიდუმლოა, მუდამ მღელვარე მოლოდინი.

- მე კი მიყვარს, როდესაც წინასწარ ვიცი, საჭმელად რა მექნება, - წივანა ხმით თქვა დეიდა როუზმა და გადაიხარხარა. ჭაღზე ჩამოკიდებული ბროლის კრისტალები მტკივნეულად აწკარუნდნენ.

დაგლასმა საკუჭნაოს წიაღში უფრო ღრმად შეაბიჯა.

- გემო... რა საუცხოო სიტყვაა. რეჰანსა და ბეტელსაც არა უშავს. წიწაკა. კერი. ყველა მაგარია, მაგრამ „ნეტარება“... ეჭვგარეშეა: „ნეტარება“ ყველას სჯობს.

* * *

ბებო თავდახურული ქვაბებით სამზარეულოსა და სასადილო ოთახს შორის მიმოდიოდა, უკან კი ორთქლის შლეიფებს დააფრიალებდა, სუფრასთან შეკრებილი საზოგადოება კი მდუმარე მოლოდინით აყოლებდა თვალს. არავის გასჩენია სურვილი, დროზე ადრე აეხადა ხუფები, რათა იდუმალი კერძებისათვის დაეხედა. აი, როგორც იქნა, ბებიამ თავისი ადგილი დაიკავა, პაპამ ლოცვა წარმოთქვა და იმწამსვე ვერცხლისფერი ხუფები კალიების გუნდივით აფრიალდა სუფრიდან.

როდესაც სათითაოდ ყველამ მისი კულინარიული საოცრებებით ამოივსო პირი, ბებო მშვიდად მიეყრდნო სკამის საზურგეს და იკითხა:

- აბა, როგორ მოგწონთ?

ნათესავებიც, დეიდა როუზის ჩათვლით, და მდგმურებიც, ვისი ყბებიც ამ წუთში ნეტარად შეედუღაბებინა უგემრიელეს ნაზავს - ყველანი საშინელი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. რა ქნან: ხმა ამოიღონ და სუფრას ჯადო ახადონ, თუ განაგრძონ ღეჭვა, კიდევ და კიდევ იგემონ ეს ღმერთების საკვები, ეს თაფლი და ბადაგი? ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს არ იცოდნენ, ეცინათ თუ ეტირათ ამ უმოწყალო დილემის გამო; უსასრულოდ ისხდებოდნენ

ასე და ვერც ხანძარი, ვერც მიწისძვრა, ვერც ფანჯრის მიღმა თოფის გასროლა თუ ყრმათა წარტყვევნა ვერ დასძრავდათ ადგილიდან, რადგან უკვდავების ელექსირით იყვნენ მონუსხულნი. უნეტარესი სანელებლების, ტკბილი ნიახურისა და ქორფა ბოლქვების ამ ჯადოსნურ ჟამს ყველა ბოროტმოქმედი ბავშვივით უმანკოა. ყველა თვალი ქათქათა თოვლის მინდორზე მიმორბოდა, სადაც კოხტად ელაგა ფრიკასე და ბამი, ახალგამოგონებული სიმინდისა და ლობიოს კერძი, რაგუ და მოლუსკების წვნიანი. სრულ სიჩუმეში ერთადერთი, რასაც გაიგონებდით, სამზარეულოდან გამოსული დუღილის შესაქმისეული ხმაური გახლდათ და ჩანგლების თეფშებზე შეხების საათისებრი წკრიალი, წუთების მაგიერ წამებს რომ ითვლიდა.

უცბად დეიდა როუზმა ერთი ღრმა ჩასუნთქვით დაიბრუნა მთელი თავისი წარუშლელი სივარდისფრე, სიჯანსაღე და შეუპოვარი ენერგია, ჩანგალი ჰაერში შეაჩერა, ზედ ასხმულ საიდუმლოს დააშტერდა და მეტისმეტად ხმამაღლა თქვა:

- ო, უდავოდ არაჩვეულებრივი სადილია, მაგრამ რა არის ის, რასაც ახლა მივირთმევთ?

შეორთქლილ ჭიქებში ლიმონათმა შიშხინი შეწყვიტა, ჰაერში მოლაპლაპე ყველა ჩანგალი მაგიდაზე დაეშვა.

დაგლასმა ისეთი თვალებით შეხედა დეიდა როუზს, როგორც განგმირული შველი შეჰყურებს მონადირეს, ვიდრე ძირს დაეცემა. მაგიდის გაყოლებაზე ყველა სახეს შეშფოთება დაეტყო. ყველა კერძი ხომ თავად ამბობდა საკუთარ სათქმელს, განა ასე არ იყო? საკუთარი ფილოსოფია ჰქონდა, თავად სვამდა შეკითხვებს, რომელთაც თავადვე სცემდა პასუხს. რა საჭიროა ზედმეტი სიტყვები, როდესაც შენი სისხლი და მთელი სხეული მხოლოდ ამ წმინდა ქებათა ქებას ითხოვს?!

- ასე მგონია, - განაგრძო დეიდა როუზმა, - ჩემი შეკითხვა არავის გაუგია.

ბოლოს და ბოლოს, ბებომ სულ ოდნავ გახსნილ ტუჩებს შორის გამოცრა პასუხი:

- ამ კერძს „ხუთშაბათის ოჯახურს“ ვუწოდებ. ყოველ კვირას გვაქვს სადილად.

ეს სიცრუე იყო.

მრავალი წლის განმავლობაში ერთი კერძი არასოდეს ჰგავდა მეორეს. მწვანე ზღვის ბინადარი იყო თუ ზაფხულის კრიალა ციდან ჩამოვარდა, მცურავი საკვები იყო თუ მფრინავი, სისხლი დაადინეს თუ ქლოროფილი, გადაადგილება შეეძლო თუ მხოლოდ მზისკენ თავის მიბრუნება, არავინ იცოდა. არავინ კითხულობდა. არავის ადარდებდა.

ოჯახის წევრები, დიდი-დიდი, სამზარეულოს კარში თუ გაჩერდებოდნენ და ფქვილის ამოფრქვევებს დააკვირდებოდნენ, ტკბებოდნენ ჟღარუნითა და ბრაგაბრუგით, თითქოს შეშლილი ფაბრიკის მუშაობას ესწრებოდნენ, სადაც ბებო ნახევრად ბეც თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მისი თითები კი ქვაბებსა და ჯამებს შორის თავად იკვლევდნენ გზას.

ნეტავ თვითონ თუ დაფიქრებულა თავის ნიჭზე? ალბათ, არა. თუკი ვინმე მის კულინარიულ შესაძლებლობებს ახსენებდა, ბებო უბრალოდ დაიხედავდა ხოლმე ხელებზე, რომლებსაც რაღაც დალოცვილი ინსტინქტი ხან ფქვილის ხელთათმანებით მოსავდა, ხან გამოფატრული ინდაურების წიაღში უშვებდა მათი ცხოველური სულის მოსაპოვებლად. თანამოსაუბრეს ძველი სათვალით შემორკალულ რუხ თვალებს შეანათებდა. სათვალის მინები ორმოცი წლის განმავლობაში ღუმლის ჭვარტლსა და წიწაკისა თუ სალბის მტვერს დაებინდა ისე, რომ ბებო ზოგჯერ შესაწვავ ხორცს ორცხობილას მაგიერ სახამებელში ამოავლებდა ხოლმე, მიუხედავად ამისა, ხორცი მაინც არაჩვეულებრივად ნაზი და ცვრიანი გამოდიოდა! ხშირად გარგარის ნაჭრები ხორციან წვნიანში უცვიოდა, ერთმანეთთან აჯვარებდა ხილს, ბალახეულს, ხორცს, ბოსტნეულს ისე, რომ არანაირ ტრადიციას, არანაირ რეცეპტს არ ცნობდა. გადამწყვეტი მხოლოდ ის გახლდათ, რომ სუფრაზე მიტანის დამაგვირგვინებელ მომენტში ჯილდოდ ნერწყვმომდგარი პირები და ყველას ძარღვებში სისხლის აძგერებული დინება ერგებოდა. ასე რომ, მისი ხელები, როგორც მანამდე დიდი ბებოს ხელები, მისი საიდუმლო და საუნჯე, მისი სიხარული და სიცოცხლე იყო. ბებო მათ გაოგნებით დასცქეროდა, მაგრამ თავისუფლებას ანიჭებდა, რათა თავიანთი ცხოვრებით ეცხოვრათ.

* * *

მაგრამ აი, ამდენი წლის განმავლობაში პირველად გამოეცხადა ეს მეტიჩარა, კირკიტა, შეიძლება ითქვას, ეს ლაბორატორიული მკვლევარი, ხმამაღლა რომ ალაპარაკდა იქ, სადაც ერთადერთ ღირსებას დუმილი წარმოადგენდა:

- დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც რისგან დაამზადეთ ეგ თქვენი „ხუთშაბათის ოჯახური“?

- რისგან და, - კვლავ თავი აარიდა ბებომ პირდაპირ პასუხს, - თავად განსაჯე, რისი გემო აქვს?

დეიდა როუზმა ჩანგალზე აცმული ლუკმა დაყნოსა.

- საქონლის ხორცია თუ ბატკნის? ჯანჯაფილი თუ დარიჩინი? ლორი? მოცვი? ცოტაოდენი ორცხობილაც ხომ არ ჩაგიდვიათ? პრასი? ნუში?

- ზუსტად ეგ არის, ზუსტად, - თავი დაუქნია ბებომ, - დამატება ხომ ყველას გნებავთ?

ამ სიტყვებს მაშინვე დიდი გნიასი, თეფშების ჩხარუნი და აჩქარებული ყაყანი მოჰყვა, მკრეხელური დაკითხვის სამუდამოდ შეჩერებას რომ იმედოვნებდა. ყველაზე მეტს დაგლასი ხმაურობდა და სხვებზე მეტადაც იქნევდა ხელებს. მაგრამ სახეზე ყველას ეტყობოდა, რომ მათი სამყარო შეტორტმანდა, მათ ბედნიერებას საფრთხე დაემუქრა, რადგანაც ოჯახის თითოეული წევრი თავს პრივილეგირებულად თვლიდა და დერეფანში გონგის პირველი გაჟღერებისთანავე ტოვებდა საქმეს თუ თამაშს და სასადილო ოთახში გარბოდა. წლების განმავლობაში ასე იყო: სუფრის გარშემო სკამების აჩქარებული სიმფონია და თეთრი ხელსახოცების ფრიალი; იდაყვებით მიიკვლევდნენ მაგიდისაკენ გზას და დანა-ჩანგალს ისეთი სიშმაგით დასწვდებოდნენ, თითქოს ეს-ეს არის, საპყრობილიდან გამოსულან, სადაც შიმშილით გატანჯულნი ელოდნენო განაჩენს. ახლა კი ნერვიულად ყაყანებდნენ, უკბილოდ ხუმრობდნენ და დეიდა როუზს ისეთ მზერას ესროდნენ, თითქოს თავის დიდრონ უბეში ყუმბარას მალავდა, უმოწყალო წიკწიკით საბედისწერო წამებს რომ ითვლიდა.

დეიდა როუზი ამასობაში რაღაცნაირი გუმანით მიხვდა, რომ დუმილი ოქროა და მთელი ენერგია თავის თეფშზე სამჯერ გადმოღებულ იმ კერძს მიუძღვნა, რომლის არსისა და წარმოშობის დადგენას ამაოდ ეცადა, ნასადილევს კი თავის ოთახში ავიდა კორსეტის შესახსნელად.

* * *

- ბებო, - ამბობდა კვლავ პირველ სართულზე დაბრუნებული დეიდა როუზი, - რას ჰგავს შენი სამზარეულო! თვითონვე უნდა აღიარო, რომ აქ საშინელი არეულობაა. ბოთლები, ჯამები და ყუთები სულ ერთმანეთზეა დახვავებული, ეტიკეტი თითქმის ყველას მომძვრალი აქვს: როგორღა იგებ, რას იყენებ? თავს დამნაშავედ ვიგრძნობ, თუ ნებას არ დამრთავ, ვიდრე თქვენთან ვსტუმრობ, აქაურობა დაგიწკრიალო. ერთი დამაცადე, მკლავები დავიკაპიწო...

- არ არის საჭირო, დიდი მადლობელი ვარ, - უპასუხა ბებიამ.

დაგლასმა ეს საუბარი ბიბლიოთეკის კედლის მიღმა გაიგონა და გულმა რეჩხი უყო.

- აქ ისეთი ბუღი დგას, როგორიც თურქულ აბანოში, - განაგრძობდა დეიდა როუზი, - მოდი, რომელიმე ფანჯარა გავაღოთ და ეს ფარდები გადავწიოთ. ხომ უნდა ვხედავდეთ, რას ვაკეთებთ!

- კაშკაშა სინათლე თვალებს მჭრის, - მშვიდად თქვა ბებომ.

- მე თვითონ დავგვი სამზარეულოს, დავრეცხავ ჭურჭელს და ყველაფერს კოხტად დავაწყობ. ნუღარ მეკამათები, უნდა დაგეხმარო.

- სჯობს გახვიდე და სასტუმრო ოთახში დაჯდე, - არ უთმობდა ბებო.

- დაფიქრდი, ბებო, ეს როგორ დაგეხმარება საჭმლის მომზადებაში? მართლაც, არაჩვეულებრივი დიასახლისი ხარ, მაგრამ, თუკი ამ ქაოსში - ნამდვილ ქაოსში! - ამდენს ახერხებ, ხომ წარმოგიდგენია, რას მიაღწევ, ყველა ნივთი რომ თავ-თავის ადგილას იქნება, იქ, სადაც ადვილად მისწვდები.

- ამაზე არასოდეს მიფიქრია, - თქვა ბებომ.

- მაშ, ახლა იფიქრე. კულინარიის თანამედროვე მეთოდები შენს მომზადებულ კერძებს, სულ ცოტა, ათი-თხუთმეტი პროცენტით მაინც გააუმჯობესებს. შენი მამაკაცები სადილს ისედაც ცხოველებივით შეექცევიან, სადღაც ერთ კვირაში კი სიმაძღრისაგან ბუზებივით დაიხოცებიან. ისეთი გემრიელი და კოხტა სადილები გამოგივა, რომ დანა-ჩანგალს ხელიდან ვეღარ გააგდებინებ.

- მართლა ასე ფიქრობ? - ბებო უკვე დაინტრიგებული ჩანდა.

- არ დანებდე, ბებო! - მხურვალედ ჩასჩურჩულა დაგლასმა ბიბლიოთეკის კედელს.

მაგრამ მეორე წუთში ძრწოლით გაიგონა, როგორ გვიდნენ და ხეხავდნენ სამზარეულოს, სანახევროდ დაცლილ პარკებს ნაგავში ყრიდნენ, ქილებს ახალ ეტიკეტებს აკრავდნენ, ჯამებს, ყავადნებსა და ტაფებს კი კარადებში აწყობდნენ, წლების განმავლობაში ცარიელი რომ იყო. თვით დანებიც კი, მუდამ ვერცხლისფრად მოლივლივე თევზების გროვად რომ ეყარა მაგიდაზე, ახლა უჯრაში შეენახათ.

პაპა ხუთი წუთის განმავლობაში ყურებდაცქვეტილი იდგა დაგლასის ზურგს უკან, მერე, ცოტა არ იყოს, უგერგილოდ მოიფხანა ნიკაპი და შენიშნა:

- ისე, კაცმა რომ თქვას, ეს სამზარეულო ადამ და ევას დროიდან არეულ-დარეული იყო და ცოტაოდენი მოწესრიგება მართლაც არ აწყენდა. და თუკი ის, რასაც დეიდა როუზი ამტკიცებს, მართალი გამოდგა, ბიჭო დაგლას, ხვალინდელი სადილი უიშვიათეს განცდას გვპირდება.

- ჰო, - გაიმეორა დაგლასმა, - უიშვიათეს განცდას.

* * *

- ეს რა არის? - იკითხა ბებომ.

დეიდა როუზმა შეფუთული საჩუქარი გაუწოდა, ზურგს უკან რომ მალავდა.

ბებომ გაშალა და შესძახა:

- რეცეპტების წიგნი! - საჩუქარი მაგიდაზე დააგდო, - ასეთ რამეს არასოდეს ვიყენებ! ერთი მუჭა ეს, ერთი მწიკვი ის, სათითისოდენა ჭიქით კიდევ რაღაც, - ყველაფერს ისე ვამზადებ...

- საყიდლებზე გაგყვები და საჭირო პროდუქტით მოგამარაგებ, - უდრტვინველი იერით გამოუცხადა დეიდა როუზმა, - ჰო, მართლა, წეღან შენს სათვალეს დავაკვირდი: ნუთუ ამდენი წელი ასეთ მიგრეხილ-მოგრეხილ ბუდეში ჩასმულ, დაბზარულ-დაკბილული შუშებიდან იყურები? მიკვირს, საერთოდ როგორ ახერხებ სიარულს ისე, რომ ფქვილიან კასრში არ ჩავარდე. ახლავე წავიდეთ შენთვის ახალი სათვალის შესარჩევად.

წუთიც და, როუზიც და მის ხელკავში მომწყვდეული გაოგნებული ბებოც ნაშუადღევის მზიან ქუჩაში გავიდნენ.

დაბრუნდნენ ხილ-ბოსტნეულითა და ახალი სათვალით. ბებოს ახალი ვარცხნილობა ჰქონდა, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, თითქოს ქალაქი ჭენებით შემოარბენინესო და როდესაც როუზმა სახლში შემოიყვანა, სული ძლივს მოითქვა.

- ესეც ასე, ბებო. ახლა ყველაფერი თავის ადგილზე გაქვს და არაფრის პოვნა არ გაგიჭირდება... და ახლა კარგადაც ხედავ!

- წამოდი, დაგ, - უთხრა პაპამ ბიჭს, - კვარტალის გარშემო გავისეირნოთ, რომ უფრო მადიანად მივირთვათ. ეს ისტორიული საღამო იქნება. ნაძლევს დავდებ, ცხოვრებაში საუკეთესო ვახშამს მოვესწრებით.

* * *

ვახშმის დროც მოვიდა.

მოღიმარი სახეები ერთბაშად გაქვავდა. დაგლასი სამი წუთის განმავლობაში ღეჭავდა ლუკმას. ბოლოს კი, ვითომ პირი გაიწმინდა, თავის ხელსახოცში გადმოაფურთხა. შენიშნა, რომ ტომმა და მამამაც იგივე გააკეთეს. ყველანი ისხდნენ და საჭმელს თეფშებზე ზელდნენ, სოუსში გზებსა და

ჩუქურთმებს ხატავდნენ, კარტოფილის ნაჭრებისაგან კოშკებს აგებდნენ და ხორცის ნაჭრებს ჩუმ-ჩუმად ძაღლს უყრიდნენ.

პაპამ ადრევე მოიბოდიშა, უკვე დავნაყრდიო და სუფრიდან წამოდგა.

ყველა გაფითრებული და მდუმარე იჯდა.

ბებო თავის თეფშზე გადმოღებულ ულუფას ნერვიულად ურევდა ჩანგლით.

- ხომ მშვენიერი კერძია? - ყველას სათითაოდ ეკითხებოდა დეიდა როუზი, - თანაც, სუფრა დღეს ნახევარი საათით ადრე გავშალეთ!

მაგრამ დანარჩენები იმაზე ფიქრობდნენ, კვირადღეს ორშაბათი რომ მოჰყვებოდა, ორშაბათს - სამშაბათი და ასე წყებად ჩამწკრივდებოდნენ ნაღვლიანი საუზმეები, მდუმარე სადილები და მგლოვიარე ვახშმები. რამდენიმე წუთიც და, სასადილო ოთახი მთლიანად დაიცალა. მდგმურები მეორე სართულზე თავ-თავიანთ ოთახებში შეიყუჟნენ.

თავზარდაცემული ბებო ნელა გაემართა სამზარეულოსკენ.

- ეს უკვე მეტისმეტია! - განაცხადა პაპამ, სახლის ხვეული კიბის ძირში დადგა და მზის სხივებში მოფარფატე მტვრის ნაწილაკებს ახედა, - ყველანი ქვევით ჩამოდით!

ოჯახის წევრები ბუტბუტით ისხდნენ შიგნიდან ჩაკეტილ, დაბინდულ და მყუდრო ბიბლიოთეკაში.პაპამ მდუმარედ ჩამოატარა ქუდი და ბოლოს თქვა, - ესეც ჩვენი ბანკი, - დაგლასს ხელი მძიმედ დაადო მხარზე, - დაგლას, მნიშვნელოვანი მისია უნდა დაგაკისროთ, კარგად მისმინე, - მისი სუნთქვა ბიჭს თბილად, ახლობლურად მოხვდა სახეზე, როდესაც ყურში ჩურჩული გაიგონა.

* * *

მეორე დღეს დაგლასმა დეიდა როუზს ბაღში მიაგნო, ყვავილების ჭრით იყო გართული.

- დეიდა როუზ, - სერიოზულად მიმართა ბიჭმა, - ხომ არ გინდათ, გავისეირნოთ? აი, აქეთ წამოდით და პეპლების ხევს გიჩვენებთ.

ერთად მთელი ქალაქი შემოიარეს. დაგლასი სწრაფად, აღელვებით ლაპარაკობდა, ქალს სახეში არ უყურებდა, მხოლოდ სასამართლოს შენობაზე საათის რეკვას აკვირდებოდა.

როდესაც თელების თბილ ჩრდილში სახლისკენ მოსეირნობდნენ, დეიდა როუზმა უცებ შეჰყვირა და ხელი ყელზე მიიფარა.

პარმაღის ბოლო საფეხურზე სათუთად ჩალაგებული მისი ბარგი ეწყო. ერთ-ერთ ჩემოდანზე ზაფხულის ნიავით კუთხეაფრიალებული რკინიგზის ვარდისფერი ბილეთი იდო.

ოჯახის ათივე წევრი პარმაღზე უძრავად იჯდა. პაპამ მატარებლის კონდუქტორივით, ქალაქის მერივით, მეგობარივით საზეიმოდ ჩამოიარა საფეხურები.

- როუზ, - მიმართა ქალს, თან ხელი სერიოზულად ჩამოართვა, - თქვენთვის რაღაც მაქვს სათქმელი.

- რა მოხდა? - შეკრთა დეიდა როუზი.

- დეიდა როუზ, - გაისმა პასუხად, - კარგად ბრძანდებოდეთ.

* * *

ნაშუადღევს ჰაერში მატარებლის შორი ყიჟინა გაისმა. პარმაღი დაცარიელდა. დეიდა როუზის ბარგი გაქრა, მისი ოთახიც თავისუფალი იყო. ბიბლიოთეკაში პაპა ღიმილით დასწვდა ედგარ ალან პოს ტომეულის უკან გადამალულ წამლის პატარა ბოთლს.

ბებომ, რომელმაც ამჯერად მარტომ მოიარა საყიდლები, შინ დაბრუნებისთანავე იკითხა:

- დეიდა როუზი სადაა?

- სადგურზე დავემშვიდობეთ, - უპასუხა პაპამ, - ყველანი ვტიროდით. ძალიან არ უნდოდა წასვლა, მაგრამ რას იზამ! დიდი მოკითხვა შემოგითვალა და დაგვიბარა, თორმეტ წელიწადში კიდევ გესტუმრებითო, - პაპამ თავისი ოქროს საათი ამოიღო, - ახლა კი ყველას გთავაზობთ, ბიბლიოთეკაში მოვმყუდროვდეთ და თითო ჭიქა შერი დავლიოთ, ვიდრე ბებო თავის მორიგ გასაოცარ ბანკეტს მოგვიმზადებს.

ბებო სახლის სიღრმეში გაუჩინარდა.

ყველანი - მდგმურები, პაპა, დაგლასი, - ლაპარაკობდნენ და ხალისობდნენ, თან სამზარეულოდან გამოსულ ოდნავ გასაგონ ხმაურს უგდებდნენ ყურს. როგორც კი ბებომ გონგს შემოჰკრა, ყველანი წამოხტნენ და ხელების ქნევით სასადილო ოთახს მიაშურეს.

ყველამ დიდი ლუკმა მოკბიჩა.

ბებო ოჯახის წევრების სახეებს ჩააკვირდა. ისინი მდუმარედ მისჩერებოდნენ თეფშებს, ხელები კალთაში უღონოდ ეყარათ, დაუღეჭავი ლუკმა ყბებს შორის უცივდებოდათ.

- დავკარგე! - თქვა ბებომ, - ჩემი ალღო დავკარგე...

და ატირდა.

სუფრიდან ადგა და ბარბაცით წავიდა თავისი დასუფთავებული, მოწესრიგებული, ეტიკეტებიანი სამზარეულოსაკენ, უსარგებლოდ ქცეული ხელები წინ უსუსურად გაეშვირა.

* * *

ყველანი მშივრები დაწვნენ დასაძინებლად.

დაგლასს ესმოდა, სასამართლოს შენობის საათმა როგორ ჩამორეკა ჯერ თერთმეტის ნახევარი, მერე თერთმეტი, მერე კი შუაღამეც დადგა, ესმოდა თავ-თავიანთ საწოლებში ოჯახის წევრების წრიალი, თითქოს ვეება სახლის მთვარით გადათეთრებულ სახურავქვეშ ზღვის ტალღები მღელვარებდა. იცოდა, არც ერთს რომ არ ეძინა, ყველას მძიმე ფიქრები შემოსწოლოდა. დიდი ხნის შემდეგ საწოლზე წამოჯდა. კედელსა და სარკეს გაუღიმა და თავისი გაბადრული სახე დაინახა, როდესაც კარი გააღო და კიბისკენ ფეხაკრეფით გაემართა. სასტუმრო ოთახში ბნელოდა, იქ სიძველისა და სიმარტოვის სუნი ტრიალებდა. წუთით სუნთქვა შეიკავა.

ხელის ფათურით გაიკვლია გზა სამზარეულოსკენ და კიდევ ერთ წუთს შეიცადა.

შემდეგ კი ამოქმედდა.

სოდა ახალი მბზინავი თუნუქის ყუთიდან ფქვილის ძველ ტომარაში გადმოყარა, სადაც მას ამ სახლში ყოველთვის ინახავდნენ. თეთრი ფქვილი თიხის ძველ ჭურჭელში გადაიტანა. ლითონის ყუთიდან - წარწერით „შაქარი“ - შაქრის ფხვნილი კარადის მომცრო და კარგად ნაცნობ უჯრებში ჩაყარა, რომლებსაც „სანელებელი“, „დანა-ჩანგალი“ და „ბაწარი“ ეწერათ. მიხაკსაც მისი ჩვეული ადგილსამყოფელი მიუჩინა: ხუთი-ექვსი უჯრის ფსკერზე მიმოფანტა. ჯამები, დანა-ჩანგალი და კოვზები ისევ მაგიდებზე დაახვავა.

ბებოს ახალ სათვალეს სასტუმრო ოთახში თაროზე მიაგნო და სარდაფში გადამალა. ძველისძველ ღუმელში შეშა შეაწყო და ცეცხლი მოუკიდა. ღამის პირველი საათის მდუმარე ცაში შავი საკვამურიდან ისეთი ღრიალით ავარდა კვამლი, რომ თუკი სახლში ვინმეს ეძინა, უთუოდ გააღვიძებდა. დაგლასმა სახლის კიბეზე ბებოს ჩუსტების შარიშური გაიგონა. ბებო სამზარეულოს კარში გაშეშდა და აღორძინებულ ქაოსს თვალების ხამხამით შეჰყურებდა. დაგლასი კარს უკან დამალულიყო.

ზაფხულის ბნელი ღამის ორის ნახევარზე სახლის ფარღალალა დერეფნებში საჭმლის ნაირ-ნაირი სურნელი დატრიალდა და კიბეს სათითაოდ ჩამოუყვნენ ბიგუდებიანი ქალები და ღამისხალათიანი მამაკაცები, ფეხაკრეფით მიდიოდნენ სამზარეულოს კართან და შიგნით იჭყიტებოდნენ: იქ დავანებულ წყვდიადს კი მხოლოდ ღუმლიდან ამონაფრქვევი წითელი ალები სერავდა. და ამ წყვდიადში, ღამის ორ საათზე, კვლავ სანახევროდ დაბრმავებული ბებო მოჩვენებასავით დაქროდა მოზანზარე და მოჟღარუნე ქვაბებს შორის. მისი თითები უტყუარი გუმანით აგნებდნენ გზას სიბნელეში და მოთუხთუხე ქოთნებისა და მობუყბუყე ქვაბების თავზე სანელებლების კორიანტელს აყენებდნენ; დიდებულ საჭმელს მარჯვედ ურევდა, წურავდა, თქვეფდა, წითელი ათინათებით აალებულ სახეზე კი გრძნეული ღიმილი დასთამაშებდა.

ოჯახის წევრებმა ჩუმად, ძალიან ჩუმად გადააფარეს მაგიდას საუკეთესო სუფრა, მბზინავი ვერცხლის დანა-ჩანგალი გამოიღეს და ელექტრონათურების მაგიერ, ვაითუ, ჯადოქრობა გავფანტოთო, სანთლები დაანთეს.

სტამბაში ღამის სამსახურიდან დაბრუნებულმა პაპამ გაოცებით გაიგონა სანთლის შუქით განათებული სასადილო ოთახიდან სამადლობელი ლოცვის სიტყვები.

ახლა საჭმელს აღარ იკითხავთ? ცხარე მწვადები, კერის სოუსი, ერბომოსხმული უტკბესი სალათი, ქარვისფერი თაფლით დაფარული ნამცხვრები; ყველაფერი ისეთი გემრიელი, სასიამოვნო და ისე საოცრად ნოყიერი იყო, რომ სუფრასთან ქორფა სამყურას საძოვარზე მიშვებული ნახირის ნეტარი ზმუილი ისმოდა. ყველამ, როგორც ერთმა, მადლი შესწირა თავის თავისუფალ, ფარფატა საღამურ სამოსს.

კვირა დილის ოთხის ნახევრისთვის სახლი მირთმეული კერძებისა და დამტკბარი სულების სითბოს აევსო. პაპამ თავისი სკამი მაგიდას მოაცილა და დარბაისლური ჟესტით მიიპყრო ყველას ყურადღება. ბიბლიოთეკიდან შექსპირის ტომი გამოიტანა, სინზე დადო და თავის მეუღლეს მიართვა.

- ბებო, უმორჩილესად გთხოვ მხოლოდ ერთ რამეს: ხვალ ვახშმად ეს დიდებული ფოლიანტი მოგვიმზადე. მე მგონი, ყველა დამეთანხმება, რომ სუფრაზე მიტანის მომენტისათვის ხოხბის მკერდივით ნაზი, წვნიანი და კნატუნა იქნება.

ბებომ წიგნი გულში ჩაიკრა და სიხარულისაგან ატირდა.

გათენებამდე სუფრას შემორჩნენ, პატარ-პატარა დესერტებითა და იმ ყვავილის ღვინით ტკბებოდნენ, სახლის წინ ეზოში რომ ხარობდა. როდესაც ჩიტებმა სიცოცხლის პირველი ნიშანწყალი მისცეს და მზემ

აღმოსავლეთი შეავარდისფრა, ყველანი მეორე სართულზე აბობღდნენ. დაგლასი სამზარეულოში ღუმლის გაგრილების ხმას უსმენდა. გაიგონა, ბებო როგორ დაწვა.

მეძველმანევ, ფიქრობდა ბიჭი, მისტერ ჯონას, სადაც უნდა იყო ახლა, იცოდე, რომ ვალი გადაგიხადე, მადლი სხვას გადავეცი, ჰო, ასე მგონია, გადავეცი...

ჩაეძინა და სიზმარი ნახა.

სიზმარში გონგი რეკავდა და ყველანი კისრისტეხითა და ყიჟინით გარბოდნენ საუზმის მისართმევად.

* * *

მერე კი ზაფხული ერთბაშად დამთავრდა.

დაგლასმა ეს ქალაქის ცენტრში სიარულისას აღმოაჩინა. ტომმა უცებ შეიცხადა, მკლავში ხელი ჩაავლო და შეშფოთებულმა მაღაზიის ვიტრინაზე მიუთითა. ერთ ადგილას თავზარდაცემულები იდგნენ, რადგან ვიტრინაში სხვა სამყაროდან მოვლენილი ნივთები ეწყო კოხტად, უცოდველად და შემზარავად.

- ფანქრები, დაგ, ათი ათასი ფანქარი!

- ო, არა!

- თხელი და საერთო რვეულები, ბლოკნოტები, საშლელები, აკვარელები, სახაზავები, კომპასები, ასი ათასი სასკოლო ნივთი!

- არ შეხედო. იქნებ მხოლოდ მოლანდება იყოს.

- არა, - სასოწარკვეთით ამოიგმინა ტომმა, - სკოლა. სკოლას ვერ ავცდებით! რატომ გამოფენენ ხოლმე ეს მაღაზიები სასკოლო ნივთებს მაშინ, როდესაც ზაფხული ჯერ დამთავრებულიც კი არაა?! ნახევარ არდადეგებს გვიმწარებენ!

შინ დაბრუნებულებს პაპა დამჭკნარი და გამეჩხრებული გაზონის შუაგულში დახვდათ, უკანასკნელ თითო-ოროლა ბაბუაწვერას კრეფდა. ერთხანს მის გვერდით მდუმარედ მუშაობდნენ, მერე კი საკუთარი ჩრდილისკენ თავდახრილმა დაგლასმა იკითხა:

- ტომ, თუკი ამ ზაფხულმა ასე ჩაიარა, შენი აზრით, მომდევნო როგორიღა იქნება: უკეთესი თუ უარესი?

- მე რას მეკითხები, - ტომმა ბაბუაწვერას ღეროს სალამურივით ჩაჰბერა, - ეს ქვეყანა მე კი არ შემიქმნია, - წუთით საკუთარ ნათქვამს ჩაუფიქრდა, -

ისე, ზოგჯერ კი მეჩვენება, თითქოს მე შევქმენი, - ბედნიერი სახით გადაა-ფურთხა.

- მოდი, ნაძლევი, - უთხრა დაგლასმა.

- რაზე?

- მომდევნო წელი კიდევ უფრო ბევრ რამეს დაიტევს, დღეები უფრო კაშ-კაშა, ღამეები უფრო გრძელი და ბნელი იქნება, მეტი ხალხი დაიხოცება, მე-ტი ბავშვი მოევლინება ქვეყანას და მე ამ ყოველივეს შუაგულში ვიქნები.

- შენ და ორი მილიარდი სხვა ადამიანი, არ დაგავიწყდეს.

- გაისად, დღეისსწორს, - ჩურჩულებდა დაგლასი, - თუ არ ვცდები... ნწ... სწორედ რომ მე ვიქნები!

- თუ რამეში დახმარება დაგჭირდეს, დამიძახე, - ჩაურთო ტომმა.

- ათი წლის ძმა რაში უნდა დამეხმაროს?

- ათი წლის ძმა გაისად თერთმეტის იქნება. ყოველ დილით სამყაროს გოლფის ბურთში ჩახვეული რეზინის ბაწარივით გაგიშლი, ყოველ საღამოს კი ისევ შევახვევ. თუ გინდა, ახლავე გიჩვენებ, როგორ.

- გიჟი ხარ.

- ჰო, ყოველთვის გიჟი ვიყავი, - ტომმა თვალი თვალში გაუყარა და ენა გამოუყო, - და ყოველთვის ასეთი ვიქნები.

დაგლასს გაეცინა. პაპას სარდაფში ჩაჰყვნენ და, ვიდრე ის ყვავილებს სი-ცოცხლეს ასალმებდა, მბზინავ მწკრივებად ჩაწყობილზაფხულს - ბაბუაწვე-რას ღვინის ბოთლებს - ათვალიერებდნენ. პირველიდან ოთხმოცდაათს ზე-ვით დანომრილი კეტჩუპის ბოთლების უმრავლესობა სავსე იყო და სარდა-ფის ბინდში ელვარებდა: ზაფხულის თითო დღისთვის - თითო.

- ბიჭო, - ჩაილაპარაკა ტომმა, - რა პრაქტიკული საშუალებაა ივნისის, ივ-ლისისა და აგვისტოს შესანახად.

პაპამ ახედა, დაფიქრდა და გაეღიმა.

- სხვენში უსარგებლო ნივთების ატანას ნამდვილად სჯობს. ასე შეგიძ-ლია ზამთარში დროდადრო ორი-სამი წუთით განიცადო განვლილი ზაფ-ხული, ხოლო როდესაც ყველა ბოთლი დაცარიელდება, ზაფხულიც უკვა-ლოდ გაქრება და აღარც სინანულის შეგრძნება, აღარც სენტიმენტალური ხარახურა, შემდგომი ორმოცი წლის განმავლობაში ფეხქვეშ რომ გედება. ბაბუაწვერას ღვინო სუფთად, უნაშთოდ, უკვამლოდ წვავს წარსულის გან-ცდებს.

ბიჭებმა ბოთლების რიგს ხელი გააყოლეს.

- აი, ზაფხულის პირველი დღე.

- აი, ტენისის ახალი ფეხსაცმელი.

- ჰო! აი, მწვანე მანქანა!

- ბიზონების დაყენებული მტვერი და ჩინ ლინ-სუ!

- კუდიანი ტარო! მარტოხელა მკვლელი!

- სინამდვილეში არაფერი დამთავრებულა, - თქვა ტომმა, - და არც ოდესმე დამთავრდება. ის, რაც მოხდა, ყოველთვის მემახსოვრება.

- ყველაფერი მანამდე დამთავრდა, ვიდრე დაიწყებოდა, - შენიშნა პაპამ, რომელიც ღვინის პრესის სახელურს ატრიალებდა, - ახალი არაფერი მახსენდება, გარდა იმ რაღაც ახალი ჯიშის ბალახისა, რომელსაც მოჭრა არ სჭირდება.

- შენ, ალბათ, ხუმრობ!

- არა, დაგ, არა, ტომ, წლები რომ მოგემატებათ, თქვენც იგრძნობთ, რომ დღეები რაღაცნაირად იბინდება და ერთიმეორეში ირევა... ერთ დღეს მეორისგან ძნელადღა გაარჩევთ...

- კი მაგრამ, - გაოცდა ტომი, - ამ ორშაბათს ელექტრიკ-პარკში გორგოლაჭებით დავსრიალებდი, სამშაბათს შოკოლადის ტორტი ვჭამე, ოთხშაბათს ნაკადულში ჩავვარდი, ხუთშაბათს ვაზის ტოტზე ვქანაობდი და ძირს ჩამოვვარდი - მოკლედ, ეს კვირა მოვლენებით იყო სავსე! დღევანდელ დღეს კი იმით დავიმახსოვრებ, რომ ფოთლებმა გაწითლება და გაყვითლება დაიწყეს. ცოტაც და, მთელი ბილიკი ფოთლებით დაიფარება, მათ გროვაში ვიხტუნავებ და კოცონს დავანთებთ. დღევანდელ დღეს რა დამავიწყებს! ვიცი, ყოველთვის მემახსოვრება!

პაპამ სარდაფის ფანჯარაში გვიანი ზაფხულის ხეებს გახედა, მათ ტოტებს აგრილებული ნიავი არხევდა.

- ჰო, გეხსომება, ტომ, - წარმოთქვა მშვიდად, - როგორ არ გეხსომება.

ბაბუაწვერას ღვინის ლბილი ციაგი მიატოვეს და კიბეს აუყვნენ ზაფხულის უკანასკნელი რიტუალების შესასრულებლად, რადგან იცოდნენ, ბოლო დღე და ბოლო ღამე რომ ახლოვდებოდა. მოსაღამოვდა და ახლაღა მიხვდნენ, რომ უკვე ორი-სამი საღამო იყო, რაც პარმაღები უფრო ადრე ცარიელდებოდა. ჰაერს სხვაგვარი, უფრო მშრალი სურნელი დაჰკრავდა და ბებოც ცივი ჩაის მაგიერ ცხელ ყავაზე ალაპარაკდა; სახლის ფრონტონის ფარფატა თეთრფარდიან ფანჯრებს უკვე კეტავდნენ; ცივად მოხარშულმა ხორცმა კვლავაც ცხელ მწვადებს დაუთმო ადგილი. კოღოები ტოვებდნენ პარმაღებს და, რაკიღა მტრები უკან იხევდნენ, დროის ბრძოლაში გამარჯვებულ ადამიანებსაც ბრძოლის ველის მიტოვების გარდა, სხვა აღარაფერი რჩებოდათ.

ტომი, დაგლასი და პაპა კვლავაც ისევე იდგნენ პარმაღზე, როგორც სამი თვის წინ, თუ სამი უგრძესი საუკუნის წინ, მონანავე ტალღებზე მთვლემარე ხომალდივით ჭრიალა პარმაღზე, და კვლავაც ჰაერს ყნოსავდნენ. ბიჭები ძვლებში ცარცისა და აბანოზის მატებას შეიგრძნობდნენ, არადა, გაზაფხულზე ძვლებში სულ პიტნის ყლორტები და დრეკადი ძირტკბილა უმოძრავებდათ. მაგრამ აგრილება პირველად პაპას ბებერ ჩონჩხს დასწვდა და უხეში ხელით მის გაყვითლებულ კლავიშებზე დაიწყო დაკვრა.

პაპა კომპასის ისარივით ჩრდილოეთისაკენ შეტრიალდა და ჩაილაპარაკა:

- მგონი, წელს აქ დასაჯდომად უკვე აღარ გამოვალთ.

სამივემ პარმაღის ჭერის რგოლებიდან ჟღარუნით ჩამოხსნა ჯაჭვები და მოდუნებული საქანელა ხმელი ფოთლების პირველი გუნდების თანხლებით დამკრძალავ პროცესიასავით ნელა წაასვენეს გარაჟისაკენ. გაიგონეს, ბებო ბიბლიოთეკაში ბუხარს როგორ ანთებდა. უეცარმა ქარმა ფანჯრის მინები შეაზანზარა.

დაგლასი წელს უკანასკნელად ატარებდა ღამეს ბებოსა და პაპას სახლის მაღალ მანსარდაში. ძილის წინ თავის ბლოკნოტში ჩაწერა:

„ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. როგორც კინოში, როდესაც ადამიანები წყლიდან სახტუნაო კოშკურაზე ხტებიან. სექტემბერი მოდის და ზაფხულის დასაწყისში გაღებული ფანჯრების დაკეტვა გიწევს, ბოტასებს იხდი და ივნისში გადაყრილ ტყავის მძიმე ფეხსაცმელს იცვამ. ადამიანები სახლებში ისევე ბრუნდებიან, როგორც საათიდან გამომხტარი გუგული ბრუნდება შიგნით. სულ რაღაც წუთის წინ პარმაღები ყაყანითა და ხალისით იყო სავსე, მეორე წუთში კი კარებს აჯახუნებენ, ლაპარაკი წყდება და მხოლოდ ფოთლები ცვივიან ძირს გიჟებივით“.

ფანჯარაში გადახედა მიდამოს, სადაც კალიებს ლეღვის ჩირივით დაეფარათ ნაკადულების გადამხმარი კალაპოტები, ცას, სადაც სულ მალე ბატასინის კივილზე ფრინველთა გუნდები სამხრეთისაკენ გადაიჭიმებოდნენ, სადაც ფოლადისებრი ღრუბლების ფონზე ხეები მაღალი კოცონის ფერებით აალდებოდნენ. შორს, მინდვრებში, დაგლასმა დღეს პირველად შეიგრძნო მწიფე გოგრების სურნელი, რომლებსაც დანა, სამკუთხედად ამოჭრილი თვალი და გულში ჩადგმული მწველი სანთელი ელოდათ. ქალაქის თავზე აქა-იქ საკვამურებიდან ამოსული კვამლის პირველი ლენტები აფრიალდა. რკინის შორი ყრუ ჟღარუნი სარდაფებში ქვანახშირის შავი მკვრივი მდინარეების ჩაშვებას იუწყებოდა, მიწისქვეშა სიბნელეში სამარის ბორცვებად რომ დახვავდებოდა.

მაგრამ უკვე გვიანი იყო და თანდათან სულ უფრო გვიანდებოდა.

ქალაქის თავზე აღმართულ მაღალ კოშკში დაგლასმა ხელი მაღლა ასწია.

- ყველამ ტანზე გაიხადოს!

თქვა და შეიცადა. ცივი ქარი ფანჯრის მინას ეხლებოდა.

- ახლა კბილები გამოიხეხეთ.

კვლავ შეიცადა.

- ახლა კი, - გასცა საბოლოო ბრძანება, - სინათლეები ჩააქრეთ!

თვალები დაახამხამა. ძილმორეულმა ქალაქმაც დაახამხამა სინათლეები ჯერ ერთგან, მერე სხვაგანაც, სასამართლოს შენობაზე კი საათმა ათი, თერთმეტი და, საბოლოოდ, შუაღამის თორმეტი საათი ჩამორეკა.

- უკანასკნელი სინათლეები... აქ... და აქაც...

ბიჭი თავის საწოლში იწვა, მის გარშემო ქალაქს ეძინა, ხევი სიბნელეს მოეცვა, ტბა მშვიდად იტალღებოდა ნაპირის გასწვრივ და ყველას, მისი ოჯახის წევრებს თუ მეგობრებს, მშვიდი ძილით ეძინათ ამა თუ იმ ქუჩაზე, ამა თუ იმ სახლში, ან ქალაქგარეთ სასაფლაოზე.

დაგლასმა თვალები დახუჭა.

ივნისის რიჟრაჟები, ივლისის შუადღეები, აგვისტოს საღამოები - ყველაფერი დასრულდა და მხოლოდ ამ ყოველივეს განცდა შერჩა გულს და გონებას. გრძელი შემოდგომა, თეთრი ზამთარი და გრილი, მწვანე გაზაფხული გასული ზაფხულის შეჯამებასა და შეფასებას დაეთმობა. თუკი რამე დაავიწყდება, სარდაფში ბაბუაწვერას ღვინოა და თითოეული დღე დიდი მრგვალი ციფრებითაა დანომრილი. დაგლასი ხშირად ჩავა სარდაფში, მზეს მანამ შეხედავს, ვიდრე თვალები არ აეწვება, შემდეგ დახუჭავს თვალებს და თბილ ქუთუთოებზე დარჩენილ მოციმციმე დამწვრობებსა და იარებს დაითვლის. ყველა ნაპერწკალსა და ანარეკლს თავ-თავიანთ ადგილს მიუჩენს, ვიდრე სურათი თვალწინ ცხადად არ წარმოუდგება.

ამ ფიქრში ჩაეძინა.

და 1928 წლის ზაფხულიც ძილში გასრულდა.